# კვირის პალიტრა

№ 37 (397) ◆ 16 – 22 სექტემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## დაპატიმრებული ჩეჩენი სპეცსამსახურებმა გააპარეს?!..

გვ.5

რამდენ წელს მიუსჯიან ახმეტის პოლიციის უფროსს

მინისტრისაგან პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდა ახმეტის პოლიციის უფროსს, პოლკოვნიკ ავთანდილ თურქიაშვილს. ნარჩემაშვილმა იმავე წამს მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება... არ არის გამორიცხული, რომ სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

## როგორ ჩამოვაგდოთ მობილური ტელეფონის საშუალებით რუსი თავდამსხმელები

გამოშვებულია ღამის სპეციალური სამიზნე Маугли-2, რომელიც გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე მაგრდება და მსროლელს საშუალებას აძლევს, საჰაერო სამიზნე ვარსკვლავებით განათებულ ცაშიც აღმოაჩინოს და ჩამოაგდოს.



სად ვიშოვოთ Игла-ები?

გვ.8,9

**საქართველოსთვის სირცხვილის ერთხელ მაინც მოწმენდას ერთი „მერსედესის“ საყიდელი თანხა სჭირდება**

**საფრთხე კარსაა მომდგარი, ქართველი სამხედროები კი ერთმანეთს ხოცავენ**

დისციპლინა უსათუოდ ერთიორად უნდა განმტკიცდეს და მტრის გასახარად ქართველმა ქართველი აღარ უნდა მოკლას.



## რა უნდოდა თარგამაძეს შევარდნაძესთან?!

— რამდენიმე დღით ადრე ერთ პიროვნებას შევხვდი. ის თანამდებობის პირია და მითხრა, რომ ამ ბოლო დროს პრეზიდენტთან შეხვედრისას შევარდნაძეს მასთან არაერთხელ უხსენებია კახა თარგამაძე, უთქვამს, რომ ძალიან აკლია კახა, რომ ის უფრო ფლობდა სიტუაციას. ამიტომ ექსმინისტრის გამოჩენა პრეზიდენტთან მოულოდნელი არ იყო, თუმცა აღმაშფოთებელია.

გვ.5

ელენე თევდორაძე

ვერსია

გვ.10

## დავიჭირეთ შეიარაღებული ხალხს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი...

ჩვენი ძებნილების უმრავლესობა მეზობელ სახელმწიფოებში იმალება

ინტერპოლის საშუალებით იქაურ კოლეგებს პასპორტის ნომერიც კი ვაცნობეთ. ვიცით, რომ დააკავეს კიდეც, მაგრამ მალე გაათავისუფლეს და მანამ არაფერი იღონეს, ვიდრე ამ რამდენიმე დღის წინ იმ ბინის შესასვლელში არ მოკლა ვიღაცამ, რომელზეც ჩვენ ვუთითებდით.



გვ.3

## ამერიკას ყელში ამოუვიდა საქართველოს გულისთვის რუსეთთან სისტემატური შეჯახება

დუმის სხდომაზე ჩვენმა „მეგობარმა“ როგოზინმა დასვა საკითხი დსთ-დან საქართველოს გარიცხვის შესახებ და ეს რომ მართლაც მოხდეს, სირცხვილით თავი სად გამოვყოთ?! მთელი დასავლეთის პრესა დაბეჭდავს — იმდენად სამარცხვინო და უვარგისი ქვეყანაა საქართველო, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თანამეგობრობიდანაც კი გააგდესო! ამიტომ, დალოცვილებო, მოვასწროთ მაინც გამოსვლა ამ მკვდრადშობილი ორგანიზაციიდან!

## მკითხველის პრემია

გვ.35

**თქვენ ირჩევთ, ჩვენ ვაჯილდოებთ**

## „იარაღს რუსები გვაწვდიდნენ და გამსახურდიას რუსების დახმარებით დავამხეთ“



2 მარტს მე და კიტოვანი მოსკოვში ჩავფრინდით. დღის პირველ ნახევარში 4-5 საათი ისაუბრეს შევარდნაძემ და კიტოვანმა. იმ დღესვე კიტოვანი შევახვედრე თავდაცვის მინისტრ მარშალ შაპოშნიკოვს, მერე კი დაღამებამდე რუსეთის სადაზვერვო სამსახურის უფროსთან პრიმაკოვთან ვიყავით. ამ შეხვედრების შემდეგ რამდენიმე თველა ვიყავი თავდაცვის მინისტრი.

კიტოვანსა და იოსელიანთან უთანხმოება მქონდა — შაპოშნიკოვი 20 ტანკს რომ მაძლევდა, 10 — ერთს მიჰყავდა, 10 — მეორეს.

გვ.16



გვ.22

## კადრები „ფილმიდან“ — ხარება ხარაბაძე

## ბნიდან შოემდე — ყველაფერზე, რაც გაინტერესებთ

*** რას წარმოადგენს გაეროს წესდების ყბადაღებული 51-ე მუხლი...
*** ჰოლივუდის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ოცეული...
*** რა პრივილეგიით სარგებლობს „საპატიო მონადირე“ ჩვეულებრივი მონადირისაგან განსხვავებით?

გვ.29

## „მუტრუკაანთ თეთრი ვირივით ყურებით დაჭერილი საქართველო...“



— ეგ რაღაც მუსონი თუ მასონი, არც მე ვიცი, რასა ნიშნამს, მაგრამ კარგი რო არაფერი იქნება ჩვენი ქვეყნითვინ, ეგ ნაღდია. შევარდნაძეს რომ კარგის გაკეთება სდომნიყო, აქამდინ გააკეთებდა.

— მეხი ილიჩსაც დაეცეს და ჩვენი ენერგეტიკის თავკაცებსაც. რაც საქართველოში დენი იყო, ვიღაც ამერიკელებ მიჰყიდეს, იქაც იმათ დაეყაროთ ამერიკის მიწა, როცა უნდა ჩართამენ, როცა უნდა გამორთამენ.

— ეგრეა, მაშ! კიდევ ბევრი მაქ რაღაც-რაღაცები სალაპარაკო, მაგრამ დავიღალე. სანამ კუპრი „აბაზანას“ გამიკეთებენ, ცოტაი დავისვენებ და მემრე გავაგრძელოთ ლაპარაკი, კარქიი?!

გვ.13

**დიალოგი ჯოჯოხეთში**

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი გრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## თურმე „ედინსტვოს" ჩვენთან მეგობრობა უნდა

1999 წლის მოწვევის პარლამენტის არსებობის უკანასკნელი წლეულიდანვე „წამზომი ჩართო", სადაც სამწუხაროდ ვეღარ მოვუსმენთ ბატონ ვახტანგ ბოჟორიშვილის სიტყვას... საშემოდგომო სესია ტრადიციული პოლიტიკური დებატების გარეშე დაიწყო, რადგან პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა სექტემბრის ბოლოსთვის გადაიდო და სხდომაც გაიმართა... დაცარიელდა(!); ხოლო ვინც დარბაზში დარჩა, მათთვის ყველაზე აქტუალური განათლების მინისტრის პოსტიდან გადაყენების საკითხი და საერთოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლისთვის თავის ტკივილი იყო. პირველივე სხდომაზე გამოვიდა პარლამენტარი ჯუმბერ პატიაშვილი, რომელმაც პოლიტიკური განცხადება-მოწოდებით მიმართა პარლამენტს — დაუბრუნდნენ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხის განხილვას, რადგან, მისი თქმით, შევარდნაძემ დაანგრია ქვეყანა, ვერ შეძლო რუსეთის ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან კონსტრუქციული ურთიერთობა. პრეზიდენტი ცდილობს შექმნას მტრის ახალი ხატი და ამით გაამართლოს ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა და ხელისუფლების აბსოლუტური უსუსურობა! გაირკვა ისიც, რომ ახლახან პატიაშვილი თავისი პოლიტიკური ორგანიზაციის „ერთობის" მონათესავე პარტია „ედინსტვოს" ლიდერებს შეხვედრია მოსკოვში და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც შეუქმნია მათზე, რადგან თურმე „ედინსტვოს" (პუტინის დასაყრდენ პოლიტიკურ ძალას) კონსტრუქციული და მეგობრული ურთიერთობა სურს საქართველოსთან.

## გუდევი, ცოტა არ იყოს, დაბნეულა

11 სექტემბერს, ანუ 2001 წლის საშინელი ტერაქტების წლისთავზე ვლადიმერ პუტინის მიერ გაკეთებულმა ანტიქართულმა განცხადებამ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელების შესახებ, თითქოსდა ჩეჩენი ტერორისტების განადგურების მიზნით, სრულიად შეცვალა პარლამენტის მუშაობის დღის წესრიგი და ქართველი დეპუტატები საპასუხო განცხადებების შემუშავებას შეუდგნენ. პრორუსულმა პოლიტიკოსებმა კვლავ „რბილი ფორმულირების" მოითხოვეს განცხადებაში ჩასაწერად, პროდასავლელები კი რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებისთვის იბრძოდნენ, უწინარესად, დსთ-დან საქართველოს გამოსვლისთვის. საბოლოოდ, პარლამენტმა ერთხმად მიიღო მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი და მოუწოდა მას, დაგმოს და ალაგმოს რუსეთის დაუფარავი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. საგარეო საქმეთა სამინისტროში კი დაიბარეს რუსეთის ელჩი გუდევი და საპროტესტო ნოტა გადასცეს. ამასთან, საქართველო მზადაა ვითარების ობიექტურად შეფასებისთვის მიიღოს საერთაშორისო, მათ შორის, რუსი ექსპერტების ჯგუფი და ჩაიყვანოს პანკისის ხეობაში მონიტორინგისთვის... გუდევმა ეს ინიციატივა მოიწონა, მაგრამ აშკარა იყო ისიც, რომ იგი საპროტესტო ნოტამ და ქართველ დიპლომატთა პოზიციამ (ალბათ, მათი საუბრის ტონმაც) დათრგუნა და დააბნია.

## დუმას პუტინის მუქარა მოსწონს

პუტინის მუქარას საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის დუმა, ფედერაციის საბჭო, პოლიტიკოსები და გენერალიტეტი მხარს უჭერენ. მათი აზრით, რუსეთმა, როგორც სუვერენულმა ქვეყანამ, საჭიროების შემთხვევაში უნდა დაიცვას თავისი უსაფრთხოება და ამ საქმეში საერთაშორისო მხარდაჭერის დიდი იმედი აქვთ. რუსეთის გენშტაბს უკვე მზად ჰქონია საქართველოს ტერიტორიისა და ბოევიკთა ბაზების დაბომბვის გეგმა, რომელიც შემუშავებულია კოსმოსური ფოტოგადაღებებისა და პანკისში მოქმედი რუსეთის აგენტურის მონაცემების საფუძველზე. ოპერაციაში გამოყენებული იქნება ფრონტალური და მოიერიშე ავიაცია, ასევე დიდი სიმძლავრის ვაკუუმური ბომბები. რუსეთის დუმამ კრემლს საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღების და რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების მომზადების მუშაობის შეჩერების შესახებ ერთსულოვნად მისცა რეკომენდაცია.

## პანკისელები უსაფრთხოების გარანტიას ითხოვენ

პუტინის განცხადებამ და მოსკოვის ქმედებებმა პანკისის ხეობის მოსახლეობა შეაშფოთა. ქისტები და ჩეჩენი ლტოლვილები უკვე ევაკუაციაზე ლაპარაკობენ და საქართველოს ხელისუფლებისგან უშიშროების გარანტიებს ითხოვენ.

საქართველოს პარლამენტში კი კვლავ ალაპარაკდნენ რუსეთიდან საქართველოს ელჩის დროებით გამოწვევის შესახებ, მაგრამ საქმე ლაპარაკს იქით არ მიდის...

## პროგრესული რუსეთის აზრით

„საქართველოსთან ომი რუსეთისთვის კატასტროფით დამთავრდება", ნათქვამია რუსეთის ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც რუსეთის ინტელიგენციის, პოლიტიკოსთა და სამართალდამცველთა ცნობილი წარმომადგენლები აწერენ ხელს. ისინი მიიჩნევენ, რომ „საქართველოს წინააღმდეგ რეალური აგრესია რუსეთის ისტორიისთვის სამარცხვინო ლაქად დარჩება, რომლის შედეგების გამოსყიდვა რუსეთის რამდენიმე თაობას მოუხდება და საქართველოზე დარტყმა ახალი კავკასიური ომის დეტონატორი გახდება..." განცხადებას ხელს აწერენ ელენე ბონერი, სერგეი კოვალიოვი და სხვები...

## რუსეთის გენპროკურატურას „გაახსენდა"

რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის ფონზე რუსეთის გენპროკურატურას „გაახსენდა" კარგად მივიწყებული და რუსეთში განხორციელებული ფინანსური მაქინაციებისთვის „ძებნილი" ბადრი პატარკაციშვილი და ქართულ მხარეს კატეგორიულად მოსთხოვა მისი დაკავება და რუსეთში ექსტრადიცია... ქართველი სამართალდამცველები პატარკაციშვილის რუსებისთვის გადაცემის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავენ და ირწმუნებიან, რომ რუსეთის გენპროკურატურიდან ოფიციალური მიმართვა არც კი მიუღიათ...

## „იტერა" მაინც არ გვეთმობა

რუსეთიდან მომდინარე აგრესიის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება კვლავ არ აპირებს ხელის აღებას „იტერასთვის" „თბილგაზის" გადაცემის განზრახვაზე. მსოფლიო ბანკის ახალმა რეგიონალურმა დირექტორმა, რომელიც პირველად ეწვია ოფიციალური ვიზიტით საქართველოს, მოუწოდა და ურჩია ქართველ ხელისუფალთ — კიდევ ერთხელ გააანალიზონ მიღებული გადაწყვეტილება და „იტერასთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაში დამცავი მექანიზმები გაითვალისწინონ. კერძოდ, ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გააფორმოს კონტრაქტი, თუ „თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის აუცილებელ თანხებს „იტერა" გაიღებს. მიუხედავად ამ რეკომენდაციებისა, მთავრობა პოზიციას არ ცვლის და გაიძახის, „იტერასთან" დაიდება ქვეყნისთვის მისაღები კონტრაქტი, რათა ხალხმა მიიღოს გაზიო...

## დაიწყო პროგრამის მესამე ეტაპი

კრწანისის სამხედრო პოლიგონზე „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მესამე ეტაპი დაიწყო. ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ ჯარისკაცებს 10 დღის მანძილზე მოამზადებენ უკვე უშუალოდ სამხედრო ოპერაციებისთვის, რომლის დროსაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ხელოვნებასაც შეასწავლიან მათ. ამერიკელი ინსტრუქტორები ირწმუნებიან, რომ ქართველი ჯარისკაცები და ოფიცრები თავს არ ზოგავენ სწავლებისას და რომ პროგრამის დასრულებისთვის ისინი საომარი მოქმედებებისთვის სრულიად მომზადებულნი იქნებიან!

## განაჩენი გამოტანილია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამსვლელმა სხდომამ ზუგდიდში 1992 წელს მომხდარ გოჩა ჯიქიას მკვლელობაზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა. გოჩა ჯიქიას მკვლელობაში ბრალდებულს 15 წლით პატიმრობა მიესაჯა. შეგახსენებთ, რომ გოჩა ჯიქია სამოქალაქო ომისას ზუგდიდში კინოთეატრ „რუსთაველთან" გვარდიის ტყიბულის ბატალიონის მაშინდელმა მეთაურმა ვახტანგ გიორგაძემ მშობლების თვალწინ მოკლა!

## ტრადიცია აღორძინდა(!)

ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან პატიმრებმა: გელა ცერცვაძემ, დავით ქინქლაძემ და პაატა დოლაბერიძემ „ტრადიციული სტილით" გათხარეს გვირაბი, მაგრამ კოლონიის დაცვამ გვირაბშივე მოუჭრა გზა და „გაქაჩა"! სამივე პატიმარი სასჯელს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იხდის. ორ მათგანს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

## ბუში მხარს გვიჭერს

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილსა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს შორის გაიმართა დაუგეგმავი ხანმოკლე შეხვედრა, რომლის დროსაც აშშ-ის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციას და განაცხადა, რომ ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ საქართველომ ბოლომდე მიიყვანოს ოპერაცია. მენაღარიშვილს სხვა წამყვანი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმაც დაუჭირეს მხარი. ბუში-მენაღარიშვილის შეხვედრის შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა, საქართველოს ვერავინ დააჩოქებს, საქართველოსთან მხოლოდ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა შეიძლება ყოველგვარი დიქტატის გარეშე!

## რუსები და მწყემსები მჭიდროდ თანამშრომლობენ

ცხინვალის სეპარატისტული და რუსეთისგან მართული მარიონეტული რეჟიმი „პანიკამ" მოიცვა მას შემდეგ, რაც თვითონვე გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში პანკისის ხეობიდან გადმოსული ჩეჩენი ბოევიკები გამოჩნდნენ. რუსული სააგენტოებიც ამ ინფორმაციის დასადასტურებლად კვლავ... მწყემსებს იყენებენ და ირწმუნებიან, ბოევიკები მეცხვარეთა სადგომებში დაბანაკდნენო. ბუნებრივია, ქართველმა ძალოვნებმა ამ დეზინფორმაციას რუსეთ-საქართველოს შორის მძვინვარე საინფორმაციო ომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უწოდეს და კატეგორიულად უარყვეს ცხინვალელ მარიონეტთა მტკიცება, თითქოს საქართველო კონტრტერორისტული ოპერაციის განხორციელებას აპირებს ცხინვალის რეგიონშიც.

ამასობაში კი ოს და აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ერთობლივ დოკუმენტს, რომელიც, რა თქმა უნდა, საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული.

## ახალი ლოზუნგითა და დევიზით

ფილარმონიაში გამართულ ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე ეს ორგანიზაცია პარტიად დაფუძნდა და როგორც მისი დამფუძნებლები ამბობენ მას ამიერიდან ეწოდება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობა". ყრილობას წინ უძღოდა წიწამურში, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილზე, სიმბოლურად გამართული შეკრება, სადაც ნაციონალურმა მოძრაობამ მომავალი სამოქმედო გეგმა დასახა. პარტიამ მიიღო წესდება და პროგრამა, რომლის ძირითადი მიზანია, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მაღალი რანგის მოხელეებისთვის უკანონოდ მითვისებული ქონების ჩამორთმევა და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა; მცირე ბიზნესისთვის საგადასახადო ამნისტიის შემოღება; ყველა „ადგილობრივი ფეოდალის" ალაგმვა და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა; ქართული ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესიის თავის უფლებებში აღდგენა და მისთვის უსამართლოდ ჩამოთრმეული ქონების (მიწების, შენობების, მონასტრების და ა.შ.) დაბრუნება, რომელიც დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშია; სამართალდაამცავი სტრუქტურების ძირეული რეფორმა; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა; დაბალი ხელფასების, ყველა სახის დახმარებისა და პენსიის საარსებო მინიმუმთან გატოლება და ა.შ. ნაციონალური მოძრაობის ყრილობას დაესწრო საქართველოში აკრედიტებული თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსი.

ნაციონალების მთავარ დევიზად იქცა — „თბილისში გამარჯვებიდან მთელ საქართველოში გამარჯვებამდე". ყრილობის შემდეგ მისი მონაწილენი ცეესკოს შენობას მიადგნენ თბილისის საკრებულოს დაუყოვნებლივ მოწვევის მოთხოვნით!.

## „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოეს

თბილისში ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მსოფლიოში სახელგანთქმული გერმანული ფირმის „სიმენსის" პრეზიდენტი, დოქტორი ჰაინრიხ ფონ პირერი, რომელმაც საქართველოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას განიხილა შარშან, დეკემბერში, „ეი-ი-ეს მტკვარში" მომხდარი ავარიის მიზეზები, სადაც აფეთქებისა და ხანძრის შედეგად განადგურებულ მე-10 ენერგობლოკზე სწორედ „სიმენსის" აპარატურა იყო დამონტაჟებული. იმთავითვე წარმოიშვა ვერსია, რომ ავარია ამ აპარატურის გაუმართაობამ გამოიწვია. „სიმენსის" პრეზიდენტმა ურჩია ქართველ ხელისუფალთ, თავი შეიკავონ ნაჩქარევი დასკვნებისგან და ერთობლივ კომისიას მიანდონ ავარიის მიზეზების გამოძიება. მან უსაყვედურა ქართულ მხარეს, რომ დღემდე არ მიეცა საშუალება ავარიის საგამოძიებო მასალების გაცნობისა და იქვე „სიმენსისადმი" საქართველოს ტელეკომის დავალიანების დაფარვის საკითხსაც შეეხო. გაირკვა, რომ ტელეკომს „სიმენსისა" 1 მილიონ 400 ათასი ევრო მართებს. გერმანული ფირმა კატეგორიულად მოითხოვს ვალის სასწრაფოდ დაფარვას... მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ პრეზიდენტმა შევარდნაძემ „სიმენსის" პრეზიდენტი „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოვა და მრავალმნიშვნელოვნად დასძინა, ამ ორდენით მსოფლიოში რამდენიმე ადამიანია დაჯილდოებული და უწინარესად, გერმანიის კანცლერი შრედერიო.

## აშშ დასახმარებლად მზად არის

„აშშ მზად არის საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და, უწინარესად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის დაცვისთვის კომპლექსური სისტემების შექმნაში დაეხმაროს, განაცხადეს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტთან შეხვედრისას ამერიკის სამხედრო შეიარაღების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებმა და სამხედრო ექსპერტებმა. მათი თქმით, საქართველოზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოება აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს. უსაფრთხოების სისტემების შექმნისა და დამონტაჟებისთვის ამერიკელები უახლოეს ტექნოლოგიებს, მათ შორის, თანამგზავრულ სისტემასაც გამოიყენებენ!

## მძევლები გაიცვალა

მძევალთა გაცვლით დასრულდა გატაცებული მოქალაქეების ნათესავებს შორის ენგურის ხიდზე მიმდინარე მოლაპარაკებები. გალის რაიონში 3, 5 და 7 სექტემბერს მძევლად აყვანილი მოქალაქეების ქართველი და აფხაზი ნათესავები ტყვეების გაცვლის თაობაზე მოლაპარაკებებს ხუთი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ. გალის რაიონში 3 სექტემბერს სოფელ ოტობაიაში მძევლად ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშის მკვიდრი მერაბ დონღუზია აიყვანეს. მისმა ნათესავებმა დონღუზიას განთავისუფლების მოთხოვნით 5-7 სექტემბერს ჭუბურხინჯიდან იმელი ჭელიძე, მამა-შვილი ქირიები და რამი ჩხეტია გაათავისუფლეს.

ადგილობრივთა მტკიცებით, აფხაზმა ბიზნესმენმა, ყოფილმა „ბოევიკმა" მერაბ დონღუზიამ, რომელიც უკანასკნელ დროს გალის რაიონში თხილის ბიზნესს ეწეოდა, ადგილობრივ მწარმოებლებს შეძენილი თხილის საფასური არ გადაუხადა, რის შემდეგაც იგი 3 სექტემბერს სოფელ ოტობაიაში მძევლად აიყვანეს.

## სეპარატისტებს ბოევიკები „შეუნიშნავთ"

თამაზ ნადარეიშვილისა და ქართველი ძალოვნების თქმით, კოდორის ხეობაში ათასობით რუსი სალდოფონი იყრის თავს და ვითარება ხეობაში დღითი დღე იძაბება.

კოდორის ხეობის ზედა ნაწილში პატრულირება დაიწყო გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა და რუსი სამშვიდობოების 7-კაციანმა ჯგუფმა. პატრულირების პროცესში სოხუმის რეჟიმის განცხადებაში მოყვანილი ინფორმაცია გადამოწმდება, რომლის თანახმად თითქოს „ხეობის ზემო ნაწილში პანკისიდან გამოდევნილი ბოევიკების გადაადგილება შენიშნეს".

## თავდაცვას „გავამდიდრეთ" და ნატოშიც „გავწევრდით"

საქართველოს პარლამენტში ახლა „გაახსენდათ" ქართული ჯარისთვის დაფინანსების გაზრდის აუცილებლობის საკითხი და „დიდი დისკუსიის" შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 6 მილიონი ლარით „გამდიდრებაზე" შეთანხმდნენ.

პარლამენტში „ახალ მემარჯვენეთა" ინიციატივას და დადგენილების პროექტს, ნატოში საქართველოს გაწევრების ღონისძიებათა დაჩქარების შესახებ, მხარდამჭერთა გამოსვლები მოჰყვა. ასე რომ, დეპუტატები უკვე... ნატოში გაწევრებას ულოცავდნენ ერთმანეთს.

## დაპირისპირება წალკაში

წალკის რაიონის ერთ-ერთ ქართულ სოფელში ორ ჯგუფად გაყოფილი და ნაჯახებითა და ფიწლებით შეიარაღებული ხალხი გამგეობის შენობასთან დაუპირისპირდა ერთმანეთს და კინაღამ სისხლიც დაიღვარა. კონფლიქტი ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა გამოიწვია. სოფლის გამგეობის ძველი შემადგენლობა შენობის დაცლას არ აპირებდა და ახალი საკრებულოს შემადგენლობას და გამგებელს ეზოშიც კი არ უშვებდნენ. ახალმა გამგებელმა რაიონის ხელმძღვანელობას პოლიციის დამატებითი ძალა და დახმარება მოითხოვა. საქმე ის არის, რომ 2 აგვისტოს სოფლის გამგებლად განმეორებით არჩევნებში გამარჯვებული გურამ წულუკიძე ერთ კვირაში გადააყენეს. თანასოფლელთა თქმით, წულუკიძემ ის მიწები გაანაწილა არაკანონიერად, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა უნდა გაიაროს. წულუკიძე კი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი მხარის ხელმძღვანელობისგან იმართება.

## მეხმა მეცნიერი იმსხვერპლა

ხელვაჩაურის რაიონში სატელევიზიო-გადამცემი სადგურის ტერიტორიაზე მეხი ჩამოვარდა. იმ დროს იქვე ფარდულში იმყოფებოდნენ უცხოელი მეცნიერები და ადგილობრივი ბაზიერები, რომლებიც ფრინველებზე დაკვირვებას აწარმოებდნენ. სწორედ ფარდულის კართან მდგომ ჰოლანდიელ მეცნიერს დაეცა მეხი და ადგილზე მოკლა. ხოლო პორტუგალიელი და ქართველი მეცნიერები ელექტროტრავმით დაშავდნენ...




## ერაყი აშშ-ის აგრესიისგან თავს დაიცავს

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიანიშნა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ სადამ ჰუსეინის დამხობა გარდაუვალია და მოუწოდა გაეროს უშიშროების საბჭოს, სასწრაფოდ მიიღოს ახალი რეზოლუცია, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ულტიმატუმი ჰუსეინის მიმართ. მეორე დღეს ჯორჯ ბუშმა ერთი კვირის ვადა მისცა სადამ ჰუსეინს გაეროს რეზოლუციების შესრულებისთვის, რაც ერაყში საერთაშორისო ინსპექტორების დაშვებას და ერაყის მიერ დაგროვილი მასობრივი განადგურების იარაღის ლიკვიდაციის დაწყებას ითვალისწინებს! ბუშის ამ განცხადებებს ერაყის ხელისუფლებამ სიცრუე და დემაგოგია უწოდა და განაცხადა, რომ ერაყელი ხალხი დაიცავს თავს აშშ-ის აგრესიისგან!

## დააკავეს ცნობილი ტერორისტი

დიდი სროლა იყო პაკისტანის ქალაქ ყარაჩიში, სადაც პოლიციამ 11 სექტემბრის ტერაქტების ერთ-ერთ ორგანიზატორს, იემენის მოქალაქეს, 31 წლის რამზიდინ ბინ ალშიბხის მიაკვლიეს. მისი დაკავებისას ტერორისტებმა საშინელი ცეცხლი გახსნეს. რამდენიმესაათიანი გააფთრებული ბრძოლისას 7 პოლიციელი მძიმედ დაიჭრა, რამდენიმე ტერორისტი დაიღუპა, თავად ტერაქტების დაჭრილი ორგანიზატორი დააკავეს... გაირკვა, რომ ალშიბხი 11 სექტემბრის ტერაქტების კამიკაძეებს და, უწინარესად, მოჰამედ ოტას ორგანიზაციული საქმეების გადაწყვეტაში ეხმარებოდა და გერმანიიდან აფინანსებდა მათ. ბინ ალშიბხის დასაჭერად ჯილდოდ 25 მილიონი დოლარი იყო დაწესებული და, როგორც ჩანს, ამ თანხას პაკისტანელი პოლიციელები მიიღებენ!

# ამერიკას ყელში ამოუვიდა საქართველოს გულისთვის რუსეთთან სისტემატური შეჯახება!

*დღეს რუსეთის კრიტიკასა და ლანძღვა-გინებაზე ადვილი რომ არაფერია, ფაქტია; რუსეთის გეოპოლიტიკურ და იმპერიულ ვნებებზეც ხომ უკვე დილეტანტსაც შეუძლია მსჯელობა! რუს პოლიტიკოსთა, სამხედროთა და ჟურნალისტ-პოლიტოლოგთა ყოვლად უნამუსო ანტიქართულ დემარშებსაც რომ საზღვარი აღარა აქვს, ამასაც შევეჩვიეთ; საქართველოს რომ კორუმპირებული, უმაქნისი და მუდამ ვიღაცის მოიმედე ხელისუფლება ჰყავს, ჩვენდა სამარცხვინოდ, ესეც უდავოა. დასავლეთი რომ ჩვენი მეგობარია და რუსეთი მტერი, ამაზე ლაპარაკითა და წერითაც დავიღალეთ, მაგრამ ის სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური „ჯარა“, რაც ბოლო დღეებში დატრიალდა საქართველოს თავს პრეზიდენტ პუტინის უპრეცედენტო განცხადების შემდეგ, გვაიძულებს, ხელი გამოვიღოთ, ბოლოს და ბოლოს, მიუკიბ-მოუკიბავად მოვთხოვოთ პასუხი ხელისუფლებას — როდემდე აპირებს ასე ყოფნას და ერის ღირსების გაუთავებლად შებღალვასა და ფეხქვეშ გათელვას აბსოლუტურად ყველა სფეროსა და მიმართულებით?! საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჩვენი ქვეყნის „ადვოკატად“ მოგვევლინა საქართველოს ისეთი დაუძინებელი მტერი, როგორიც ელენე ბონერ-ალიხანოვაა (თავის დროზე ანდრეი სახაროვთან ერთად საქართველოს „მცირე იმპერიად“ გამომცხადებელი და პირწავარდნილი ანტიქართული იდეოლოგიის დედამთავარი, რამაც ენით აუწერელი ზიანი მოგვაყენა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტებისას), რომელიც რუსეთის ისტებლიშმენტის წარმომადგენლებთან ერთად გაკეთებულ განცხადებაში დაუშვებლად მიიჩნევს რუსეთის ინტერვენციას პანკისის ხეობაში. მაგრამ ამას აკეთებს არა ჩვენი სიყვარულით, არამედ იმიტომ, რომ კარგად ესმის, თუ რა კატასტროფით და მთელი ჩრდილო კავკასიის აფეთქებით შეიძლება დაუმთავრდეს რუსეთს ეს ნაბიჯი... ვინ იცის, იქნებ ეს გეგმა ტრიალებს კიდეც ოკეანისგაღმელ სტრატეგთა ტვინში?! ამ კითხვას გარკვეულწილად უნდა გასცეს პასუხი აშშ-ის მიერ ერაყის წინააღმდეგ დაგეგმილმა დარტყმამ... ახლა კი ჩვენს უპირველეს სატკივარს — არსებული ხელისუფლების ქმედებებს შევეხოთ მიმდინარე ურთულესი გლობალური პროცესების ფონზე. ვესაუბრები პოლიტოლოგ* ***რამაზ კლიმიაშვილს:***

— უწინარესად, უნდა დავაზუსტოთ, რომ პუტინის განცხადებაში ლაპარაკია არა მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაზე, არამედ ტერორისტთა ბაზების განადგურებაზე. ეს გახლავთ ორი აბსოლუტურად განსხვავებული თემა, რომელსაც ქართული მასმედია ყურადღებას არ აქცევს, ჩვენს პოლიტიკოსებს კი, უვიცობის გამო, ვერ მოვთხოვთ, რომ ამ ცნებებში ერკვეოდნენ. „კვირის პალიტრის“ მკითხველს, დარწმუნებული ვარ, ჩემს პროდასავლურობაში ეჭვი არ ეპარება და ახსოვს, რომ მუდამ სასტიკად ვაკრიტიკებდი რუსეთის შოვინისტურ და იმპერიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში ყოველგვარი ემოციის გარეშე ობიექტურად უნდა გავაანალიზოთ პროცესები და ვთქვათ, ვინ რაშია მართალი და ვინ — მტყუანი, რატომ მივედით ვითარების ასეთ ესკალაციამდე: ფაქტია, რომ ჩვენი აღშფოთება გამოიწვია პუტინის ტონმა და დაიწყეს მუშტების ქნევა — ეს როგორ გაგვიბედაო?! მაგრამ პუტინმა ქართველ ხალხს კი არ გაუბედა და მიმართა ულტიმატუმით, არამედ საქართველოს ხელისუფლებას და, სამწუხაროდ, არის კიდეც ამის ღირსი! ეს გახლავთ კორუფციაში ჩამხრჩვალი და ხალხისგან მოპარული ფულით გაზულუქებულ-გამდიდრებული ხელისუფლება. ხალხი კი შეჩვეულია სირაქლემას როლში ყოფნას, ანუ ვიცით, რომ გვყავს დამპალი და მექრთამე ხელისუფლება და თავს ვიტყუებთ — საზღვარგარეთმა არაფერი იცისო. არადა უცხოეთში და იმავე რუსეთში, ჩვენზე უკეთ იციან აქაური კორუფციის მასშტაბები და უმალ გული გაგვისკდებოდა, რომ გვცოდნოდა, სინამდვილეში რამდენი შემოსული ასეული მილიონი დოლარია დალექილი ქართველ ხელისუფალთა ჯიბეებში. ამიტომ ელაპარაკებიან ჩვენს ხელისუფლებას იმ ტონით (და არა მარტო რუსები!), რაც დაიმსახურა. ამიტომ მარაზმად მოჩანს ხელისუფლების მცდელობა, ითამაშოს ქართველი ერის პატრიოტულ გრძნობებზე და გაიძახიან — მოსალოდნელი საშიშროების ჟამს ხელისუფლების ირგვლივ უნდა დავირაზმოთო! ანუ ახლა გაახსენდათ ხალხი. ხოლო როცა უნამუსოდ გვძარცვავდნენ, შემოსულ დახმარებებს ურცხვად ითვისებდნენ, მაშინ ხომ ფეხებზე ვეკიდეთ ჩვენ და ქვეყანა? ამაზე გვიპასუხონ!

— **როგორ ფიქრობთ, პუტინის ამ უპრეცედენტო განცხადებას მოსკოვ-ვაშინგტონის შორის გარიგების სუნი ხომ არ უდის, რაზეც ლაპარაკი და პროგნოზები დღემდე არ ყოფილა?**

— მაინტერესებს, როდის გააცნობიერებენ ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები, ან საერთოდ მიხვდებიან თუ არა, რომ დღეს რუსეთი სტრატეგიული პარტნიორია ამერიკისა და პუტინიც ვერ გააკეთებდა მსგავს განცხადებას პრეზიდენტ ბუშის ნებართვის და მასთან შეთანხმების გარეშე! თუ ამას ვერ ხვდებიან და ვერ ხედავენ, უნდა წავიდნენ ასპარეზიდან და თავი დაანებონ ქართულ პრესაში აბსურდული სტატიების ბეჭდვას, შესაბამისად, მასობრივი ისტერიის გამოწვევას, რომელიც არავის სჭირდება. მით უმეტეს, მოსკოვისთვის მუშტის მოღერება. ეს იგივეა, ფინიამ რომ დაუყეფოს დათვს. ფინიასავით იყეფებიან ჩვენი პარლამენტარები და ვერ ხვდებიან, რომ დათვი ფინიას ყეფას ჩირად არ აგდებს. ახლახან ლონდონში გახლდით და ძალიან გავიხარე, როცა „ბი-ბი-სი-მ“, „ტაიმსმა“ და სხვებმა ფართოდ გააშუქეს პანკისში დაწყებული ოპერაცია. ვიფიქრე, მადლობა ღმერთს, თურმე რაღაც შეძლებია ჩვენს ხელისუფლებას-მეთქი. მაგრამ ჩამოვედი და აშკარა სპექტაკლის მოწმე გავხდი. როგორც ჩანს, ქართველებს გვღუპავს თეატრის სიყვარული. ქვეყანა ვაქციეთ სცენად, სადაც დადგმულ სამარცხვინო სპექტაკლებში უნიჭო მსახიობები თამაშობენ. ისეთი შთაბეჭდილებაც დამრჩა, რომ ვითომ 23 აგვისტოს დაბომბვამ უბიძგა ხელისუფლებას, „ხელი გაენძრია“ და ტანკებითა და ჯარის შეყვანით თითოოროოლა ძებნილი დამნაშავე დაეჭირა, რომლებიც ადრე იყვნენ დასაჭერები. ეს ძალიან მაგონებს დასავლეთ საქართველოში კვირაიას მიერ მოწყობილ „მასშტაბურ ეგზეკუციებს“. ამიტომ, როცა მესმის ზოგიერთი, ვითომ ოპოზიციონერისაგან, რომლებიც გუშინ ამ ხელისუფლების ნაწილნი იყვნენ და გამოყარეს იქიდან, რომ ამ ხელისუფლებას გვერდით უნდა დავუდგეთო, ვიმეორებ, გაუგებარია, როგორ და რატომ უნდა დავუდგე გვერდით ასეთ ხელისუფლებას...

— **მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ რუსეთის სწორედ ასეთი დაქსაქსული ვითარება უნდა საქართველოში, რასაც, როგორც ადრე, თავისი ინტერესებისთვის გამოიყენებს.**



— ჯერ ის ვთქვათ, რომ ხელისუფალი რომ ვიყო, ვეტყოდი რუსებს — თუ გაქვთ კოსმოსიდან გადაღებული ჩეჩენ ბოევიკთა ბაზა საქართველოში, მითხარით, სად არის და მე თვითონ დავბომბავ-მეთქი. ასე მოიქცეოდა ნამდვილი და თავმოყვარე სახელმწიფო და ამერიკამაც სწორედ იმიტომ გამოგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები, რომ ეს გავაკეთოთ! მაგრამ ამის შნო და თავი არა გვაქვს. დიახ, ხელისუფლებამ ფული მიიღო ამერიკელებისაგან, წვრთნიან ბიჭებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ გამოიყენებენ იმ შემთხვევაში, თუ ხალხი კორუმპირებული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვა! ამერიკას კი ეს ქართული ბატალიონები პანკისისთვისაც სჭირდება და ქართული არმიის შესაქმნელადაც, რადგან ვაშინგტონს არაფრით არ სურს თავისი შეიარაღებული ძალების გამოყენება აქ ნაციონალური და სტრატეგიული ინტერესებისთვის. ამერიკელებმა შესანიშნავად იციან, რომ აქაური ისლამისტი ტერორისტები ავლანელ თალიბთა იდეური ნაშიერნი და „ბიძაშვილები“ არიან. ევროპა ხედავს, რომ მიმდინარეობს ცივილიზაციათა შეჯახება და თუ ძირშივე არ მოსპე აგრესიული და ფუნდამენტური ისლამი (და არა ზოგადად ისლამი), ისინი დიდ უბედურებას დაატეხენ კაცობრიობას.

პუტინის გარემოცვაში მყოფი მოაზროვნე პირები ხვდებიან, რომ ამერიკელები შესანიშნავ პირობებს სთავაზობენ, მაგრამ ხისთავიანი გენერალიტეტი და დუმა ამას ვერ აცნობიერებს. ფაქტია, როგორც ჩვენს პარლამენტში, რუსეთის დუმაშიც ბევრი ხისთავიანი ზის, რომლებიც წმინდა წყლის საბჭოთა ადამიანები არიან...

— **ხელისუფალთა, პარლამენტართა და ექსპერტთა მხრიდან ხშირად ისმის და იწერება, რომ კავკასიური მენტალიტეტის, სტუმართმასპინძლობის ტრადიციებიდან გამომდინარე, საქართველო ჩეჩენ ბოევიკებს სხვაგვარად ვერ მოექცეოდა და ამიტომ მისცეს მათ გზა, უსისხლოდ დაეტოვებინათ ხეობა...**

— ვიტყვი, რომ ჩეჩენ ლტოლვილთა მიღების უპირველესი მომხრე ვიყავი, როცა ბევრი საწინააღმდეგოს გაიძახოდა. მოვიქეცით შესანიშნავად, როცა ეს გაუბედურებული ხალხი მივიღეთ და არც რუსებს მივეცით საშუალება, მასხადოვის რაზმებისთვის ზურგიდან დაერტყათ, რადგან ამით ჩაგვითრევდნენ დიდ კავკასიურ ომში. დღეს კი აღარ არის საშიშროება მსგავს ომში ჩათრევისა, არამედ ლაპარაკია არა ჩეჩნურ დაჯგუფებაზე, არამედ შორეულ, მრავალეროვან ტერორისტთა ბანდაზე. ხოლო, რადგან სტუმართმოყვარეები ვართ, ამიტომ უნდა შევიფაროთ კაცის მკვლელები, ადამიანთა გამტაცებლები, ქურდები და ბანდიტები? მაშინ ერი არ ვყოფილვართ, ანუ 21-ე საუკუნეში საქართველოს ადგილი არ არის და თუ ამ მენტალიტეტიდან არ ამოვძვერით, არც ჩამოვყალიბდებით არასდროს სახელმწიფოდ! გავიხსენოთ, რა უყვეს თურქებმა ქურთებს ერაყში. ანალოგიური სიტუაცია გახლდათ. ქურთებით დასახლებულ ტერიტორიას სადამ ჰუსეინი ვერ აკონტროლებდა და ქურთებიც ურტყამდნენ და ურტყამდნენ თურქებს, თურქეთის ტერიტორიაზეც გადი-გამოდიოდნენ. ადგნენ თურქები და ჯერ ჰაერიდან „დააუთოვეს“ ერაყის ქურთისტანი, შემდეგ ჯარებიც შეიყვანეს და გაწმინდეს იქაურობა, სადამ ჰუსეინმა ვერც კი წამოიკნავლა — ჩემს ტერიტორიაზე რა სჩადიხართო?!

— **ერაყის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ სამხედრო ოპერაცია გარდაუვალია. ვინ რა დივიდენდების მიღებას ელის ამ ომიდან და უწინარესად, რუსეთი? აკი გაისმა კიდეც მოსკოვიდან ხმები, რომ შევარდნაძის რეჟიმი გაცილებით საშიშია, ვიდრე სადამ ჰუსეინისაო...**

— რუსეთმა იცის, რომ ამერიკა ერაყს აუცილებლად დაარტყამს, მაგრამ რუსეთს სერიოზული სამხედრო და სანავთობე ინტერესები აქვს და სურს სამაგიერო დივიდენდები მიიღოს, ერაყზე დარტყმა ხომ ერაყელი ხალხის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ეს არის ომი სამარცხვინო ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ. რუსებმაც იფიქრეს და როცა დარწმუნდნენ, რომ ამერიკელებს ვერ ააღებინებენ ხელს ერაყში ომზე, ფსონი დადეს საქართველოთი ვაჭრობაზე. ეს იმიტომ, რომ ხედავენ, ხელისუფლება აბსოლუტურად არაპოპულარულია და იყენებენ ამ შანსს. ერაყი ეკონომიკურ ბლოკადაშია და ერთადერთი ქვეყანაა რუსეთი, რომელიც ერაყთან ვაჭრობაში მონოპოლისტია. იქნება ეს იარაღით ვაჭრობა, თუ სხვა. სადამ ჰუსეინს ფული აქვს ნავთობის წყალობით და რუსეთიც იღებს დიდ შემოსავალს ამ ქვეყნიდან. ბუნებრივია, ის ბოლომდე იბრძოლებს, რათა არ დაკარგოს ეს შემოსავლები. ვაშინგტონიდან ბოლო დროს ისეთი განცხადებებიც გაისმა, სადაც რუსეთს პირდაპირ შესთავაზეს — ოღონდ ერაყის ახალი რეჟიმი ნეიტრალური, ან პროამერიკული იყოს და ერაყში სავაჭრო-ეკონომიკურ გაბატონებაში ხელსაც შეგიწყობთო. პუტინის გარემოცვაში მყოფი მოაზროვნე პირები ხვდებიან, რომ ამერიკელები შესანიშნავ პირობებს სთავაზობენ, მაგრამ ხისთავიანი გენერალიტეტი და დუმა ამას ვერ აცნობიერებს. ფაქტია, როგორც ჩვენს პარლამენტში, რუსეთის დუმაშიც ბევრი ხისთავიანი ზის, რომლებიც წმინდა წყლის საბჭოთა ადამიანები არიან... არადა ჩვენთვისაც კარგია სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა. ერაყს აქვს მასობრივი განადგურების ბირთვული და ქიმიური იარაღი. ვის შეიძლება დაარტყას მან? ყველაზე ახლოს არის აშშ-ის პროტექციის ქვეშ მყოფი ორი ქვეყანა — ისრაელი და საქართველო. თურქეთი ნატოს წევრია, თან ყოველთვის ერიდება სადამ ჰუსეინის გაღიზიანებას. ისრაელს ერთხელ უკვე დაუშინა სადამ ჰუსეინმა „სკადის“ ტიპის რაკეტები, მაგრამ საკადრისი პასუხიც მიიღო. რჩება მხოლოდ ერთი დაუცველი, საწყალი საქართველო და თუ განწირული სადამ ჰუსეინის რეჟიმი შურისძიებას განიზრახავს ამერიკის მიმართ, ადგება და დაგვარტყამს. ამიტომ, ჩვენს ინტერესებშია, რაც შეიძლება მალე მოაშორონ ეს რეჟიმი.

— **პუტინის მუქარა მუქარადვე დარჩება, აშკარაა, მოსკოვი სხვა ბერკეტებს აამოქმედებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით, სადაც დღითი დღე იძაბება ვითარება და სეპარატისტებს მობილიზაციაც კი აქვს უკვე გამოცხადებული.**

ამ დღეებში ვარკეთილში გახლდით, ერთ პიროვნებას უნდა შევხვედროდი. მივდიოდი ბაზრად და მაღაზიებადქცეულ ქუჩაში და ვკითხულობდი, — ვისია ამდენი ლამაზი მაღაზია-მეთქი? თითოეული მაღაზია კონკრეტული პარლამენტარის საკუთრებაა, რაც უკვე აბსოლუტურად ნულამდე სცემს პარლამენტის პრესტიჟს და აქ ხალხის სამსახურზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— მერე ვისი ბრალია ეს? უვარგისმა ხელისუფლებამ უნდა უთხრას თავის ჩინოსნებს, ნუ ლაყბობენ მიკროფონების წინ. ახლახან ერთმა ძალოვანმა ჩინოსანმა საჯაროდ განაცხადა, — პანკისის შემდეგ ანტიკრიმინალურ ოპერაციას ჩავატარებთ სამხრეთ ოსეთშიო! გავოგნდი. დალოცვილო, თუ მართლა აპირებ ამას, ჩუმად მაინც იყავი. ახალი ომი გვინდა კიდევ ძლივს ჩაწყნარებულ სამაჩაბლოში? ეს ხომ პანკისი არ არის? ნორმალურ ქვეყანაში ასეთი განცხადებისთვის ჩინოსანს უმალ მოხსნიდნენ პოსტიდან, როგორც სახელმწიფო საიდუმლოს გამცემს. ტელეკამერების წინ კეკლუცობის შედეგია ის, რომ კოკოევმა და ჯერგენიამ „უსაფრთხოების საკითხებში სამხედრო თანამშრომლობის პაქტი“ დადეს. კოდორთან პოზიციების გამაგრება დაიწყეს, ნადარეიშვილი კი კვლავ გაიძახის — ომით შევალ აფხაზეთშიო. რაიმეს გამკეთებელი რომ იყოს, ზუგდიდში უნდა იჯდეს და იქიდან მოქმედებდეს, თან ლტოლვილებს პატრონობდეს. ან ასეთ ვითარებაში გავლენ კი რუსეთის ბაზები საქართველოდან, როცა მათი არგატანის შანსს ჩვენვე ვაძლევთ აქ ტერორისტთა ბანდების არსებობით?! ვიცით, რომ ხელისუფლება ჩვენი ხალხის წინაშე ყველაფერში მტყუანია, მაგრამ რატომ იმას არ ვფიქრობთ, რომ ეს ხელისუფლება შეიძლება ასევე მტყუანი იყოს მეზობლების წინაშე? ამერიკას ყელში ამოუვიდა საქართველოს გულისთვის რუსეთთან სისტემატურად შეჯახება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ახალი ის არის, რომ იქ ნათქვამია — რუსეთს არა აქვს უფლება, მხოლოდ მან ჩაატაროს ოპერაცია პანკისის ხეობაშიო. რომ გაიძახიან, პანკისის ხეობის დაბომბვით საქართველოს სუვერენიტეტი ირღვევაო, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რომ არანაირი სუვერენიტეტი არა გვაქვს, მაინცდამაინც ახლა გაგვახსენდა სუვერენიტეტი, როცა ტერორისტების ბაზის დაბომბვაზეა ლაპარაკი?! სოხუმში, სეპარატისტებთან ერთად რომ ქეიფობენ ჩვენი ხელისუფალნი, რატომ მაშინ არ ახსენდებათ ქვეყნის სუვერენიტეტი.

— **როგორ უყურებთ „ახალი მემარჯვენეების“ მიერ პარლამენტში წარმოდგენილ პროექტს და მიღებულ დადგენილებას ნატოში საქართველოს გაწევრების ღონისძიებათა დაჩქარების შესახებ?**

— ქაღალდზე კარგად ჟღერს ეს ინიციატივა. ყველა საღად მოაზროვნე ქართველს გაუხარდება ნატოს წევრობა, რადგან დაცულნი ვიქნებით. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ნატო გახლავთ მდიდარ და პრივილეგირებულ ქვეყანათა კლუბი, რომელთა არმიები დაახლოებით ერთ დონეზე არიან. ჰყავს კი საქართველოს არმია და კიდევ ბევრი რამ, ნატოს სტანდარტების შესაბამისი? „ახალი მემარჯვენეების“ პროექტის ის ნაწილი მომწონს, სადაც ლაპარაკია, თუ რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის შიგნით. რაც შეეხება ნატოს კარზე კაკუნს, ვურჩევ, შეეშვან ამას. ნუ ვიგდებთ მასხრად თავს. ნატოში განცხადება არ შეაქვთ და არც დაკაკუნებაზე პასუხობენ. ნატო თვითონ ეპატიჟება ქვეყნებს, თუ დარწმუნდება, რომ არმიაც ჰყავს და შესაბამისი ცხოვრების დონეც აქვს. ამიტომ თუ თავად ნატომ არ მიგიპატიჟა, გინდა აკაკუნე და გინდა წიხლები ურტყი მის კარს, არ შეგიშვებენ. ეს იმას ჰგავს, ელიტარული საზოგადოების გაკრიალებულ კლუბს დაუბანელი და გაუპარსავი „ბომჟი“ რომ მიადგეს — მიმიღეთო. ხომ ეტყვიან, — ძმაო, წადი, გასუფთავდი, ჩაიცვი და შემდეგ ვილაპარაკოთო! „მემარჯვენეების“ პროგრამა კარგია, მაგრამ მანამდე საჭიროა ზემოაღნიშნული პროცედურების ჩატარება... პოპულიზმისთვის იძახე, თუ გინდა პარლამენტში — სამ წელიწადში ევროკავშირის წევრი გავხდებითო, მაგრამ იქ ნუ ამბობ ამ სისულელეს. ევროპელები ზრდილობიანები არიან და პირდაპირ არ დასცინიან ხოლმე აქედან ჩაბრძანებულ მაღალჩინოსნებს, მაგრამ შემდეგ გაზეთებში წერენ — წარმოგიდგენიათ, საქართველოს თურმე სურს, იყოს ევროკავშირისა და ნატოს წევრიო?!

— **2005 წლამდე, როგორც ჩანს, ვერ მოვასწრებთ „გაპარსვა-გასუფთავებას“, თუ ასე გაგრძელდა კვლავაც, თქვენი პროგნოზით, დადგება დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხი?**

— პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების საკითხი აუცილებლად დადგება. პარლამენტიც პარალიზებულია. არც ერთ მის დადგენილებას, განცხადებას ყურადღებას არავინ აქცევს. იღებენ კანონებს და მერე გაიძახიან, რომ საჭიროა ამ კანონების „ჰარმონიზაციაო“. ვის რა ჯანდაბად უნდა ასეთი „ჰარმონიზებული“ კანონები? კეთილი ინებე და მიიღე ისეთი დოკუმენტი, რომ „ჰარმონიზაცია“ აღარ დასჭირდეს. რამდენჯერ მითქვამს, დროულად უნდა მოვშორდეთ დსთ-ს, რადგან არაფრისმომტანია ეს მკვდრადშობილი ე.წ. თანამეგობრობა და გაგვაგდებენ-მეთქი, მაგრამ ყური არავის შეუბერტყავს. ახლა დუმის სხდომაზე ჩვენმა „მეგობარმა“ დმიტრი როგოზინმა დასვა საკითხი დსთ-დან საქართველოს გარიცხვის შესახებ და ეს რომ მართლაც მოხდეს, სირცხვილით თავი სადღა გამოვყოთ?! როცა რუსებმა ცალმხრივად შემოიღეს სავიზო რეჟიმი, ბევრ აქაურ შუბლმაგარს უკანასკნელ წუთამდე არ სჯეროდა და გაჰკიოდა — როგორ გაგვიბედავენო? გაგვიბედეს კიდეც და მეტიც დაგვმართეს. დალოცვილებო, მოვასწროთ მაინც გამოსვლა, სანამ პანღურით გამოგვაგდებენ! თორემ, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, მთელი დასავლეთის პრესა დაბეჭდავს — იმდენად სამარცხვინო და უვარგისი ქვეყანაა საქართველო, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თანამეგობრობიდანაც კი გააძევესო! პრეზიდენტი და მისი ხელქვეითები გაიძახიან, დსთ-ის სამიტებს ტრიბუნად ვიყენებთო. ვის სჭირდება ასეთი საბჭოური ტრიბუნა 21-ე საუკუნეში, როცა ინტერნეტი და სატელიტური ტელევიზიაა და ჩვენთვის ტრიბუნა მთელი მსოფლიოა, რომელსაც წამებში შეგვიძლია დაველაპარაკოთ! სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში უამრავი ცუდი ჩაიწერა ჩვენს ისტორიაში, საქართველო მიწასთან გასწორდა, მდიდარი ქვეყანა გაიძარცვა და მათხოვრების, ქურდების, მეძავების და ნაძირალების ქვეყანა გახდა. წარმოვიდგენდით ოდესმე, რომ ქართველი ამ „კონდიციას“ მიაღწევდა? პრეზიდენტი რომ 1993 წელს, აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ გადამდგარიყო და აცხადებდა კიდეც ამას, ყველა პატივისცემით გააცილებდა, დღეს კი რა მოგახსენოთ. ბევრს დაავიწყდება კომუნისტების ბატონობა, რადიკალი-ნაციონალისტების მოკლევადიანი ყოფნა ხელისუფლებაში, მაგრამ ამ ათწლეულს ძალიან ცუდად მოიხსენიებენ, როგორც შუა საუკუნეების სიბნელეში გადავარდნილი, უსირცხვილო და ქურდი ხელისუფლებისა და ფეოდალების ბატონობის პერიოდს! ამ დღეებში ვარკეთილში გახლდით, ერთ პიროვნებას უნდა შევხვედროდი. მივდიოდი ბაზრად და მაღაზიებადქცეულ ქუჩაში და ვკითხულობდი, — ვისია ამდენი ლამაზი მაღაზია-მეთქი? თითოეული მაღაზია კონკრეტული პარლამენტარის საკუთრებაა, რაც უკვე აბსოლუტურად ნულამდე სცემს პარლამენტის პრესტიჟს და აქ ხალხის სამსახურზე ლაპარაკიც ზედმეტია. არ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება, ქართველი ქართველს პატივს არ სცემს, სხვა ერის წარმომადგენელს კი იცოცხლე — პატივსაც სცემს და ეშინია კიდეც მისი. ასე აღარ შეიძლება ცხოვრება. ამაში დამნაშავენი ვართ ყველანი, რომ დღემდე ვაბოგინეთ ჩვენი მიცემული ხმებით ეს ხელისუფლება. ქვეყანა კი ჩვენია და არა ამ კორუმპირებული კლანის!.

***ზურაბ მჭედლიშვილი***



წილკნის ღვთისმშობელი. XII ს.

# 21 სექტემბერი — ღვთისმშობლის შობის დღე

## დედაღვთისა ფარავდეს სრულიად საქართველოს

21 სექტემბერს წმინდა მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს შობას ყოვლადწმინდისა და მარადის ქალწულის მარიამისა.

ამ დღეს წმ. მამები უწოდებენ დღესასწაულთა დღესასწაულს...

ყოვლადწმინდა მარიამის მშობლები წმ. იოაკიმე და ანა დიდი ხნის მანძილზე უშვილოდ იყვნენ.

იმხანად ისრაელში უშვილობა სირცხვილად ითვლებოდა, რადგან შვილი ითვლებოდა ღვთის წყალობად და დიდ მადლად. იმ სახლს, სადაც ბავშვი არ იყო, მიიჩნევდნენ ცივ სამარედ, რომელსაც მწირიც არ მიაკითხავდა ღამის გასათევად.

მართალი იოაკიმე და ანა მრავალ განსაცდელს იტანდნენ ამის გამო.

ერთხელ, დიდი დღესასწაულის დროს, როცა იოაკიმეს მსხვერპლი პირველს უნდა შეეწირა, უშვილობა წამოაძახეს და უარით გაისტუმრეს ტაძრიდან.

დამწუხრებულმა იოაკიმემ ისრაელის თორმეტივე ტომი მოიარა და რომ ნახა, მის გარდა უშვილო აღარავინ იყო, უდაბნოს მიაშურა. იქ სახელდახელოდ აგებულ ტაძარში ორმოცი დღე-ღამე მხურვალე ლოცვაში გაატარა.

მხურვალედ ლოცულობდა წმინდა ანაც.

მოულოდნელად მას წმ. გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ უფალმა შეისმინა მისი ლოცვა და მალე დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი მთელ ქვეყნიერებაზე განდიდდებოდა.

ეს ამბავი უდაბნოში იოაკიმესაც ეუწყა ანგელოზის მიერ და გახარებული შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს იოაკიმემ ათი კრავი მიიყვანა შესაწირად, თორმეტი ხბო — მღვდლებისა და უხუცესებისათვის, ხოლო ასი ვაცი — ხალხისათვის.

მათ შეეძინათ ქალი და დაარქვეს მარიამი. სამი წლის მარიამი მშობლებმა ტაძარში მიიყვანეს და მას შემდეგ იქ იზრდებოდა, ვიდრე არ დაიწინდა ხურო იოსებზე.

საღვთო წიგნებში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი შედარებულია კიბესთან, რომელიც გადებულია ადამიანსა და ღმერთს შორის და ზეციური მანანასთან, რომლითაც საზრდოობდნენ ებრაელები ეგვიპტეში ყოფნის დროს.

# რა მაგარი ყოფილა მარკესი

## ანუ ფიქრები სოფიკო ჭიაურელის მონოსპექტაკლზე „სიყვარულის სულთათანა“

ფიქრის გორაზე, თეატრ „ვერიკოში“ პრემიერაა. გაბრიელ გარსია მარკესის პიესას თამაშობს სოფიკო ჭიაურელი. მე შევეცდები მაყურებლის პოზიციიდან გადმოგცეთ ჩემი შთაბეჭდილება, ოღონდ მანამდე ოროდე სიტყვა მინდა ვთქვა ამ თეატრის სპეციფიკაზე, რომელიც უნიკალურია ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში — იგი მოკლედ ასე შეიძლება დაახასიათო: მსხვილი პლანით მაყურებლის პირისპირ. ესაა უნიკალური თეატრი. მსახიობი მაყურებელთან სულ ახლოს, ასე ვთქვათ, მსხვილი პლანით მუშაობს და ამიტომაა აქ სახიფათო თამაში. შეუმჩნეველი არ დარჩება მსახიობის სახეზე და, რაც მთავარია, თვალებში გრძნობის არც ერთი გამოკრთომა. ამ თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლი მინახავს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თეატრი ერთგულად მიჰყვება ერთხელ არჩეულ გეზს, მისი სამხატვრო ხელმძღვანელის კოტე მახარაძის ნებას და მაქსიმალურად იცავს თავის სპეციფიკას.



რაკი ჩემი წერილი სოფიკო ჭიაურელის ახალ ნამუშევარს ეხება, გავბედავ და ვიტყვი, რომ ამ თეატრში დაიწყო მისი სამსახიობო ბიოგრაფიის თვისობრივად ახალი ეტაპი. ჩვენ გვახსოვს მისი შესრულებული როლები კინოში, თეატრში, იმ როლებს უეჭველად ჰქონდათ დიდი ღირებულება, იქ ჩანს სოფიკოს პლასტიკა, იუმორი, დრამატიზმი, მაგრამ მე პირადად მგონია, რომ სოფიკომ თავისი ნიჭის ყველა წახნაგი სრულყოფილად ერთი მსახიობის თეატრში გამოამჟღავნა. გავიხსენოთ მისი როლები: დედადედოფალი, მარტოობის ბინადარი და ბოლოს შევჩერდეთ ახალ სპექტაკლზე. ჩვენ წინაშე სამივეგან დგას მარტოსული ქალი, თავისი მოგონებებით, თავისი დღევანდელი ცხოვრებით და სოფიკო ყველგან გვაგრძნობინებს მარტოსულობის ტრაგიზმს, მაგრამ ბოლო ნამუშევარში მაინც მისი ტრაგიზმი გამაოგნებელი ძალით ვლინდება.

ერთი დამახასიათებელი შტრიხიც უნდა აღვნიშნო სოფიკოს ბოლოდროინდელ შემოქმედებაში: იგი არ ცდილობს გაახალგაზრდავდეს, დაახლოებით თავისი ასაკის ქალებს თამაშობს ხოლმე. ჩემი აზრით, ეს დიდი მსახიობობის ერთ-ერთი უტყუარი თვისებაა.

სოფიკო ჭიაურელის არჩევანი ამჯერად მარკესის პიესაზე შეჩერდა. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პიესა შესანიშნავად უთარგმნია თეა გვასალიას. მე დიდი ხანია თვალ-ყურს ვადევნებ ამ ახალგაზრდა მთარგმნელის შემოქმედებას და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ერთხელ კიდევ გამახარა მისმა ნამუშევარმა. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო სოფიკო ჭიაურელის არაჩვეულებრივი უნარი ლექსიკურად მდიდარი ტექსტის უზადოდ დამახსოვრებისა და გადმოცემისა. თეატრში ერთი სიამოვნება ტექსტის მოსმენაა და აქ გადამწყვეტი მსახიობის მეტყველება გახლავთ. სოფიკოს მეტყველების ტექნიკა იმდენად დახვეწილია და ბუნებრივი, რომ მას ტექსტის მკაფიოდ გადმოცემაზე ფიქრი არ სჭირდება: ისმის ყოველი სიტყვა, ჩურჩულით თუ ხმამაღლა ნათქვამი, ტრაგიზმით შეფერილი თუ იუმორით შეზავებული. ამ გრადაციებს, რაც ასე უხვადაა მარკესის პიესაში, სოფიკო გადმოგვცემს ხმის საოცარი მოდულაციით, ჟესტით, თვალებში აკიაფებული ცრემლითა და ღიმილით და შენც მონუსხულივით ზიხარ მთელი სპექტაკლის მანძილზე.

„სიყვარულის სულთათანა“ ალასარებაა მშვენიერი ქალისა, რომელმაც უსიყვარულოდ განვლო მთელი ცხოვრება თავის სათაყვანებელ ადამიანთან და ვერცხლის ქორწილის წინ გადაწყვიტა, დაეცვა თავისი ქალური ღირსება, მიეტოვებინა ქმარი, რომელმაც ამ ხნის მანძილზე თავისი გაუთავებელი დიდ-პატარა რომანებით ჯოჯოხეთად უქცია ცხოვრება. ესაა ტრაგედია ქალისა, რომელიც ცდილობს ამაღლდეს ნამდვილი თუ საეჭვო წარმოშობის არისტოკრატიული ოჯახის დონემდე, თითქოს იუმორითაც ეკიდება თავის განვლილ ცხოვრებას, თითქოს თავის მუსუს მეუღლეზე ძლიერიც არის როგორც პიროვნება, რამდენჯერმე სამაგიეროს გადახდაც უცდია, მაგრამ საბოლოოდ ხვდება, რომ ვერაფერს უხერხებს იმ სიყვარულს, რომელმაც დღემდე ქმრის გვერდით გააძლებინა და თვალზე ცრემლმომდგარი მაინც ქმრის სურათს ეფერება. აქ სოფიკოს გმირის ტრაგიზმი თავის კულმინაციას აღწევს: ჩვენ წინ ზის მხრებში მოხრილი, სახედაღარული, ტანჯული ქალი და მეტყველ თვალებში ცრემლი უკიაფებს. ეს სახე კარგა ხანს გიდგას სულ ახლოს, გაძრწუნებს თავისი უნუგეშობითა და უმწეობით და ნელ-ნელა სიბნელეში იკარგება. საბოლოოდ რწმუნდები, რომ მანამდე გათამაშებული უდარდელობა და ირონია ქმრისა და მისი ოჯახის მიმართ მხოლოდ თავის მოტყუება ყოფილა.

ვერ გავკადნიერდები, თამამად ვიმსჯელო რეჟისორის ნამუშევარზე, მაგრამ მე მგონი, რეჟისორის მიზანია თვალში საცემი არ იყოს მისი ხელი. ასეთივეა ალბათ მხატვრისა და კომპოზიტორის ჩანაფიქრიც. იური გეგეშიძეც და გია ყანჩელიც ისეთ ფონს ქმნიან, რომ ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგეს მსახიობი. შესანიშნავია ქმრის გამოსახულება სკამზე შემოცმული პერანგითა და ჰალსტუხით და იქვე მიფენილი გაზეთით. მთელი პიესა და სპექტაკლი ხომ არშემდგარი დიალოგია — პარტნიორი მთელი ცხოვრება დუმდა და სახეზე გაზეთი ჰქონდა აფარებული.

მარკესის გმირი კოლუმბიელია, მაგრამ იგი თავისუფლად შეიძლებოდა ქართველიც ყოფილიყო. ასეთია სოფიკო ჭიაურელის, დამდგმელი ჯგუფის და მარკესის ჩანაფიქრიც, რომელმაც დიდი მსახიობის წყალობით ასე შთამბეჭდავად შემოდგა ფეხი ქართულ სცენაზე.

***დალი ფანჯიკიძე***

# „მეორე სიცოცხლე რომ მომეცეს, ისევ საქართველოს მოვახმარდი“ — *ოდისეი დიმიტრიადი*



დამეთანხმებით, თითზე ჩამოსათვლელი გვყავს ადამიანები, რომელთა საქართველოში ჩამოსვლას მარტო ოჯახის წევრები კი არა, მთელი კულტურული საზოგადოება მოუთმენლად ელოდება, რომლებიც ძალიან აკლია თბილისს... მათ რიცხვშია ოდისეი დიმიტრიადი, დიდი ხელოვანი, რომელიც XX საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული ქართული კულტურის სამსახურში იდგა, კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც არა მარტო პროფესიონალიზმით, არამედ თავისი შინაგანი სამყაროთი სიყვარული მოიპოვა.

წელს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სეზონი გახსნა ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით“ და ეს სპექტაკლი ოდისეი დიმიტრიადის 94 წლისთავს მიუძღვნა:

— ვამაყობ, რომ ასე ვუყვარვარ და ვახსოვარ ქართველ ხალხს — გულწრფელი სიხარულით გაგვანდო ბატონმა ოდისეიმ — ვიჯექი თეატრის ლოჟაში და მესმოდა აპლოდისმენტები, რომლებიც ხალხმა მე მომიძღვნა... ის აღარ ვარ რაც ვიყავი, აღარ შემიძლია ძველებურად მუშაობა, არა და, ძალიან სამწუხაროა... კიდევ მინდოდა საქართველოს სამსახურში ვყოფილიყავი...

— **საინტერესოა, როგორია თქვენი თვალით დანახული დღევანდელი საქართველო?**

— მძიმე ეპოქა გვიდგას. ეკონომიკურადაც ძალიან უჭირთ ქართველებს... ცდილობენ დახმარება უცხოეთიდან მიიღონ, მაგრამ უცხოელებიც რამდენს დაეხმარებიან, ყველას ხომ არ ეყოფა... აქ რომ შეეძლოს ყველას სამსახურის შოვნა, აქედან რომ არ გარბოდნენ, კარგი იქნებოდა. ვდარდობ... რა უნდა ქნან ქართველმა მუსიკოსებმა, მას შემდეგ რაც ჯანსულ კახიძე დაკარგეს... გავიგე, ზოგი ბათუმში მიდისო... ვერც გაამტყუნებ, ხომ არ შეიძლება 30-ლარიან ხელფასზე არსებობა... ძალიან არ მინდა რომ ორკესტრი გაიფანტოს... ადრე სახელმწიფო ზრუნავდა ხელოვნებაზე, ახლა...

— **წარსულში დარჩა ბევრი კარგიცა და ცუდიც...**

— დიახ, საშინელი სახელმწიფო იყო, ტოტალური. ჩემი მეგობარი ევგენი მიქელაძე დაიჭირეს და დახვრიტეს... სოხუმიდან მან მომიწვია თბილისში... იმ პერიოდში ბევრს აპატიმრებდნენ, როგორ გადავრჩი, არ ვიცი, დაკითხვაზეც კი არ გამოვუძახივარ არავის... ალბათ მიფრთხილდებოდნენ.. მიქელაძე აღარ იყო და თეატრს სჭირდებოდა დირიჟორი.

— **ადრინდელ ოპერის თეატრსა და დღევანდელს შორის დიდი სხვაობაა, არა?**

— რა თქმა უნდა. 1953-57 წლები ისეთი გვქონდა, რომ მსგავსი წარმატებები საოცნებოა. თბილისის ოპერის თეატრი მესამე ადგილზე იყო მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრების შემდეგ...

— **მაყურებლებიც სხვანაირი გყავდათ, თურმე ის ბიჭებიც კი მოდიოდნენ სპექტაკლზე, „ბირჟაზე“ დგომა რომ უყვარდათ...**

— დიახ, ახალგაზრდები დადიოდნენ თეატრში. უბილეთოდაც შემოიპარებოდნენ, მაგრამ მათ ხომ ხელოვნება უყვარდათ... მე ვიდექი სადირიჟორო პულტთან... ჩემი თაყვანისმცემლები ყვიროდნენ, ტაშს უკრავდნენ. მერე ისე მოხდა, ბევრი მათგანი დაიჭირეს და დარბაზიც შეიცვალა. მიუხედავად ამ ტრაგედიისა, საამაყოც ბევრი გვქონდა. ბედნიერი ვარ, იმდენი კარგი რამ მინახავს. მარტო ჭაბუკიანი რად ღირდა! პირველი მოცეკვავე იყო მსოფლიოში. საერთოდ, ქართველები ნიჭიერი ხალხია, განსაკუთრებით ცეკვაში, მუსიკაში... ჯორჯ ბალანჩინი ხომ გახსოვთ? მან ამერიკაში დააარსა თავისი სკოლა და ბევრი რამ გააკეთა ამერიკული ბალეტისათვის. მისი ძმა — ცნობილი კომპოზიტორი ანდრო ბალანჩივაძე აქ არის... ერთხელ ორივენი ჩავიდნენ ქუთაისში. მეც იქ ვიყავი, მამის — მელიტონ ბალანჩივაძის საფლავზე გავიდნენ... მერე ისევ დაიშალნენ: ერთი ამერიკაში წავიდა, მეორე დარჩა... აი, როგორია ცხოვრება, თითქოს ეს ამბავი ზოგადად დღევანდელობის ასახვაა: ერთი შვილი უცხოეთშია, ძალიან შეძლებული, მეორე აქ: საკმაოდ განსხვავებულ (გაცილებით ცუდ) პირობებში ცხოვრობს.

— **როცა საბერძნეთში ბრძანდებით და საქართველოზე ფიქრობთ, პირველ რიგში რა გახსენდებათ?**

— ჩემი საუკეთესო წლები საქართველოში მაქვს გატარებული... 20-იანი წლები, როცა კონსერვატორიაში ვსწავლობდი პეტრე ამირანაშვილის, დავით გამრეკელის, მერი ნაკაშიძის, ნადეჟდა ხარაძის გვერდით... კარგი ოპერის კადრები ვიყავით... მერე ზაქარია ფალიაშვილმა სოხუმში გამაგზავნა: დავეხმაროთ აფხაზეთის კულტურასო! ის ზრუნავდა, რომ აფხაზეთში მაღალი დონის ხელოვნება ყოფილიყო... მეც წავედი და თავდაუზოგავად ვცდილობდი მათთვის ძლიერი მუსიკალური კერა შემექნა. რას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე აფხაზები მტრებად იქცეოდნენ და ჩვენც თავიანთ მტრებად წარმოგვიდგენდნენ! ბევრი ტკივილი მაკავშირებს საქართველოსთან, ბევრი სიხარული...

— **აქ არის თქვენი ოჯახი, შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები გყავთ...**

— გული მტკივა, რომ მახსენდება ჩემი შვილი პარის დიმიტრიადი, 25 წლის ასაკში დაიღუპა ტრაგიკულად. არადა დიდი მუსიკოსი იქნებოდა, ისეთი ნიჭიერი იყო... მყავს ქალიშვილი ნანა და ვაჟი ორესტი...

— **ეტყობა, დიდ პატივს სცემდით ოჯახში ტრადიციებს, ყველას ძველი ბერძნული სახელები გქვიათ...**

— დიახ, ჰომეროსის დროინდელი სახელებია... მხოლოდ ნანას ჰქვია ქართული სახელი... მამაჩემს ჰილესი ერქვა, ესეც დიდი ბერძნული სახელია...

— **ოჯახის დიდი ტკივილი — თქვენი გარდაცვლილი ვაჟი ახსენეთ... ამბობენ, იმ ტრაგედიის შემდეგ ძალიან გიჭირდათ მუშაობა...**

— ძნელი იყო, მაგრამ ჭირი ვერ მთრგუნავდა, ვცდილობდი და ისევ ვმუშაობდი. ვფიქრობდი, რომ მთავარი იყო სიკეთე და ადამიანურობა არ დამეკარგა, არც მომავლისთვის მეღალატა. ვზრდიდი თეატრის ცვლას.. ბევრი რამ განვიცადე, მაგრამ ძლიერი ადამიანი ვარ... კიდევ ბევრი სირთულის ატანა შემიძლია... ოღონდ ჩემ ირგვლივ იყვნენ ჯანმრთელად, დიდხანს იცოცხლონ.

— **თითქმის საუკუნემ გაიარა თქვენ თვალწინ...**

— დიახ... და შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ: სიცოცხლე მშვენიერია. მე დავბერდი, მაგრამ სული ახალგაზრდული შემრჩა. ასე მგონია, კიდევ შემიძლია დირიჟორობა. მუსიკას გრძნობდე, მისი შესრულება შეგეძლოს, ღვთისგან დიდი წყალობაა... ვდირიჟორობდი ფალიაშვილს, ჩაიკოვსკის, ბიზეს და ვოცნებობდი...

— **ოცნებობდით?**

— დიახ, როცა ქმნი, ოცნებობ. ეს მაღალი შეგრძნებაა. ჩემს მთავარ ოცნებად რჩება, რომ ადამიანები ბედნიერები იყვნენ...

— **ხომ არ გიფიქრიათ, რომ გაორებული ხართ და ორი ქვეყანა გიყვართ ძლიერად — საქართველო და საბერძნეთი...**

— დიახ, ორივე მიყვარს... მაგრამ სიცოცხლე თავიდან რომ მომეცეს, ჩემს ენერგიასა და ნიჭს ისევ საქართველოს მოვახმარდი.

***ლელა ჯიყაშვილი***

**კონკურსი**

# აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

**საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.**

**საკონკურსო მასალები უნდა წარედგინოს საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საორგანიზაციო, სამეცნიერო-მეთოდური და კადრებთან მუშაობის განყოფილებას 2002 წლის 30 ნოემბრამდე.**

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1**

**ტელ.: 37-39-25**



# დაპატიმრებული ჩეჩენი სპეცსამსახურებმა გააპარეს?!..

## – რამდენ წელს მიუსჯიან ახმეტის პოლიციის უფროსს

გასულ კვირას დუისის საგუშაგოსთან ჩეჩნებსა და შინაგან ჯარს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. საგუშაგოზე თავდასხმა ჩეჩნებმა გვიან ღამით განახორციელეს და იგი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. თავდამსხმელები შეიარაღებულნი იყვნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ხელყუმბარებითა და რაციებით. თუმცა სამართალდამცავები მომხდარს სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ და აცხადებენ, რომ საგუშაგოსთან დაუმორჩილებლობას ჰქონდა ადგილი, რომელიც შეიარაღებულ წინააღმდეგობაში გადაიზარდა. ინციდენტის დროს სამი ჩეჩენი დაიჭრა, რომელთაგან ორმა მიმალვა შეძლო. გამთენიისას პოლიციამ დაკავებული ერთი ჩეჩენი ახმეტის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანა. არაოფიციალური ინფორმაციით, ჩეჩნები დუისის მახლობლად მდებარე საგუშაგოს მას შემდეგ დაესხნენ, რაც რამდენიმე დღის წინ დაკავებული ერთ-ერთი ჩეჩენის გამოშვებაზე უარი მიიღეს.

უკვე გაირკვა, რომ შეტაკებაში მონაწილეობდა ცნობილ დამნაშავეთა „ახმედოვების ჯგუფი". საავადმყოფოში მოთავსებული ჩეჩენი კი ისან მურადოვი აღმოჩნდა.

ამ შეტაკების შემდეგ ახმეტის საავადმყოფოში კიდევ ერთი დაჭრილი, ვინმე ხანგოშვილი მიიყვანეს, თუმცა უცნობია, ამ ორ შეტაკებას შორის არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი.

იმ მომენტში კი, როდესაც ხანგოშვილს საავადმყოფოში გადაუდებელ ოპერაციას უკეთებდნენ, პირველი შეტაკების დროს ორივე წვივში დაჭრილი ისან მურადოვი საავადმყოფოდან გააპარეს. იგი „ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანით პანკისის მიმართულებით წაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ მანქანა არც ერთ ბლოკ-პოსტზე არ გაუჩერებიათ. კიდევ ერთხელ გამოიკვეთა პანკისში ქართველ სამართალდამცავებსა და დამნაშავეებს შორის კრიმინალური კავშირი, რაც პრაქტიკულად, ანტიტერორისტული ოპერაციის ჩაშლისკენ არის მიმართული. აღშფოთებულმა კობა ნარჩემაშვილმა მომხდართან დაკავშირებით ახმეტის პოლიციის უფროსი — ავთანდილ თურქიაშვილი დააპატიმრა. ბოლო ინფორმაციით, ის უკვე თბილისში გადმოიყვანეს და მის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები ტარდება. თუმცა გაურკვეველია, რატომ არ დააპატიმრეს ის პოლიციელებიც, რომლებსაც უშუალოდ ევალებოდათ მურადოვის დაცვა. ერთ-ერთი ინფორმაციით, დაცვის მოხსნა რიგით პოლიციელებს ავთანდილ თურქიაშვილმა უბრძანა. შაბათს საღამოს „კვირის პალიტრა" დაუკავშირდა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსს ზურაბ ტუშურს, რომელმაც ტელეფონში თითქმის ჩურჩულით გვითხრა, რომ ის პანკისის ხეობაში ოპერაციაზე იმყოფებოდა და ლაპარაკი არ შეეძლო.

სიტუაციის უკიდურესად დაძაბვის გამო ახმეტის სოფლებში უკვე შეიყვანეს დამატებითი ძალები. „კვირის პალიტრა" ამ საკითხებთან დაკავშირებით შსს-ს პრესსამსახურის უფროსს **პაატა გომელაურს** ესაუბრა.

— **ბატონო პაატა, დადასტურდა თუ არა, რომ ისან მურადოვის საავადმყოფოდან გაპარებაში თავად პოლიციამ მიიღო მონაწილეობა?**

— უკვე დაიწყო მოკვლევა, რომელსაც აწარმოებს შსს-ს გენერალური ინსპექცია. დაზუსტებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ საღამოს 11 სთ-ზე მინისტრი ატარებდა თათბირს რეგიონული პოლიციის შენობაში, რომელიც მდებარეობს თელავში და სწორედ აქ აცნობეს მას, რომ ისან მურადოვი გაიპარა. ამ დროს მინისტრისაგან პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდა ახმეტის პოლიციის უფროსს, პოლკოვნიკ ავთანდილ თურქიაშვილს. ნარჩემაშვილმა იმავე წამს მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და იგი დააპატიმრეს.

— **აღიძრა თუ არა უკვე სისხლის სამართლის საქმე თურქიაშვილის მიმართ?**

— ამ ეტაპზე ჯერ ისევ მოკვლევა მიმდინარეობს. ამის შემდეგ მასალები გადაეცემა გენერალურ პროკურატურას. არ არის გამორიცხული, რომ სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

— **რატომ დააკავეს მხოლოდ პოლიციის უფროსი და არა რიგითი პოლიციელებიც, რომლებსაც უშუალოდ ევალებოდათ მურადოვის დაცვა?**

— თურქიაშვილს ნაბრძანები ჰქონდა, პოსტი საავადმყოფოსთან დაეყენებინა. დააყენა პოსტი, არ დააყენა, თუ შემდეგ მოხსნა, ამის გარკვევა ახლა მიმდინარეობს. მურადოვი როცა გააპარეს, პოსტი არ მდგარა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ გამოიკვეთა სხვა პირთა დანაშაული, მათი პასუხისმგებლობაც დაისმება.

— **მართალია, რომ გაპარებული „ახმედოვების რაზმის" წევრია და საერთოდ, რა შეგიძლიათ თქვათ ამ რაზმის შესახებ?**

— არ გამოვრიცხავ, თუმცა ამ კითხვას კომენტარს ვერ გავუკეთებ, რადგან ამ საკითხზე ინფორმაციის გაცემის უფლებამოსილება ჯერ არ მაქვს.

— **ერთ-ერთი ინფორმაციით, თავდამსხმელები ითხოვდნენ რამდენიმე დღის წინ დაკავებული ერთ-ერთი ჩეჩენის გათავისუფლებას...**

— რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ბლოკ-პოსტზე მართლაც დააკავეს ისან ისაევი, რომელსაც აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი. ამის შემდეგ მოხდა თავდასხმა დუისის საგუშაგოსთან, სადაც გუშაგები შეეცადნენ გაეჩერებინათ რუსული ნომრებით მოძრავი ჟიგულის მარკის ავტომანქანა. მძღოლი არ დაემორჩილა მითითებას, ბლოკ-პოსტის მხრიდან გამაფრთხილებელი გასროლა გაისმა. მეორე მხარემ კი დამიზნებითი ცეცხლი გახსნა, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა და ჩეჩნების მხრიდან დაიჭრა სამი პიროვნება. ერთი — ისან მურადოვი დააპატიმრეს, დანარჩენმა ორმა კი ტყეს შეაფარა თავი. არ ვიცი, ითხოვდნენ თუ არა ჩეჩნები ისაევის გათავისუფლებას, მაგრამ ფაქტია, რომ მანქანა არ გააჩერეს.

ისე იმასაც გეტყვით, რომ მურადოვის დაკავებიდან ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა სცადა, თავს დასხმოდა ამ ბლოკ-პოსტს, მაგრამ უშიშროებისა და შს სამინისტროების ძალებმა ეს თავდასხმა აღკვეთეს.

— **სწორედ ამ მომენტში დაიჭრა ვინმე ხანგოშვილი, რომელიც ახმეტის საავადმყოფოში მიიყვანეს და რომლის ოპერაციის დროსაც გააპარეს მურადოვი?**

— სამწუხაროდ, პასუხისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ არ არის გამორიცხული. თუმცა არ უარვყოფ, რომ დაჭრილი მართლაც ახმეტის საავადმყოფოში წევს და ისიც ვიცი, რომ იგი ქისტია.

— **რა ინტერესი უნდა ჰქონოდა ეწ ახმედოვების დაჯგუფებას, რომ საგუშაგოს ბრძანებას არ დაემორჩილნენ და მანქანა არ გააჩერეს?**

— მურადოვის დაკავება თუ მოხერხდა, უფრო გამოიკვეთება დეტალები. თუმცა საგუშაგოს ბრძანებას რომ დამორჩილებოდნენ, მათ აუცილებლად დააპატიმრებდნენ, რადგან სამივენი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. გარდა ამისა, მანქანაში ჰქონდათ ხელყუმბარები და სხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ დაკავებული ისაევი იმიტომ დააპატიმრეს, რომ პისტოლეტი ჰქონდა.

— **ხომ არ გაგირკვევიათ, რატომ მოხვდნენ ისინი საგუშაგოსთან და არ იმალებოდნენ ტყეში, ასე ვთქვათ, უსაფრთხო ადგილას?**

— ეს ჯერ კიდევ დასადგენია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხეობა უკვე კონტროლდება. ხდება ბლოკ-პოსტების ადგილების ცვლა. ვერ გეტყვით, რატომ არ იმალებოდნენ ტყეში. შეიძლება მიზეზი აქაც მარტივი იყოს: გარკვეული ხნის მანძილზე ეს ხალხი მიეჩვია თავისუფლად გადაადგილებას ცეცხლსასროლი იარაღით, რასაც დღეს ვეღარ ახერხებენ.

— **არსებობს ინფორმაცია, რომ დაჭრილი ჩეჩენი სპეცსამსახურებმა გააპარეს...**

— წინ ვერ გავუსწრებ მოვლენებს, ვნახოთ, გამოძიება დაადგენს. ისე ამგვარ ინფორმაციას არ ვფლობ.

— **დღეს რა მდგომარეობაა?**

— კიდევ ერთი ოპერაცია ჩატარდა. ამოიღეს დიდძალი იარაღი, ისლამური ლიტერატურა, მანქანის ნომრები, რაციის სიხშირეები, დაჭრილებისთვის საინიექციო საშუალებები და ა.შ. დააკავეს ერთი პიროვნება, რომლის შესახებაც, ჯერჯერობით, ინფორმაციას ვერ მოგაწვდით.

— **ითქვა, რომ თითქოს პიტერ შოუ უნდა გაგეთავისუფლებინათ. რატომ ვერ მოხერხდა?**

— ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, კონკრეტული დროის დასახელება შეუძლებელია.

# გიორგაძე, კიტოვანი და კვირაია ერთიანდებიან?!

## რატომ იყო თარგამაძე შევარდნაძესთან?!

მას შემდეგ, რაც პუტინმა თავისი წინაპრების გამოცდილების გამეორება სცადა და საქართველოს „რუსული ჩექმით" დაემუქრა, ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმაც შანსი არ გაუშვეს ხელიდან და თურქეთისა თუ აჭარის სანაპიროებიდან ახლახან დაბრუნებულმა პოლიტიკოსებმა მშიერ მოსახლეობას ისევ დაუწყეს მტკიცება, რომ ყველაფერი „იმ ერთის" ბრალია. თუმცა მადლობა ღმერთს, ყველა ერთ მხარეს არ აღმოჩნდა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმაც მხარი დაგვიჭირა და სამუდამოდ თუ არა, ამჯერად პრობლემაც თითქოს მოგვარდა. დღეს უკვე ცალკეულ პოლიტიკოსს რომ ჰკითხოთ — დაგვბომბავს თუ არა რუსეთი, თითქმის ყველა გიპასუხებთ, რომ არა. თუმცა რას ფიქრობს პუტინი, ბოლომდე არავინ იცის. კულუარებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, საქართველოში ხელისუფლების შეცვლა იგეგმება რუსული სცენარით. ჯერჯერობით, არ არის გამოკვეთილი, ვის უპირებენ გაპრეზიდენტებას, თუკი სცენარი განხორციელდება. ადამიანის უფლებათა დამცველი ელენე თევდორაძე გადაჭრით აცხადებს, რომ იგორ გიორგაძეზე რუსეთი ფსონს აღარ დადებს, რადგან მისი დრო უკვე წასულია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთს შეკედლებული ქართველები დროს უქმად არ კარგავენ და, კიტოვანის თამადობით, მთლიანად შიფრავენ უკვე საკუთარ თავს.



„კვირის პალიტრა" შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით **ელენე თევდორაძეს** ესაუბრა.

— **ქალბატონო ელენე, რა შეფასებას მისცემდით პუტინის განცხადებას. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს?**

— ეს, პირველ რიგში, ნიშნავს მცდელობას — დააშინოს მთლიანად საქართველო, მისი მოსახლეობა და უბიძგოს ჩვენს ხელისუფლებას, უარი თქვას ამერიკის კურსზე და დაბრუნდეს ისევ რუსეთის ანკლავში. აქ ლაპარაკია უკვე არა ბელორუსიის ვარიანტზე, არამედ, როგორც ჟირინოვსკი ამბობდა — საქართველოს ყოფნაზე რუსეთში გუბერნიის სახით. ვფიქრობ, ამგვარი აზრი იყო ჩადებული პუტინის განცხადებაში. მეორე მხრივ, მართალია ჩვენს პრეზიდენტს ქვეყნის შიგნით მძიმე სიტუაცია აქვს, მართალია, მისი რეიტინგი დღეს საქართველოში უკიდურესად დაცემულია, მაგრამ საზღვარგარეთ შევარდნაძე რჩება შევარდნაძედ. ეს მომენტი აღიზიანებს იმავე რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს და კონკრეტულად, თვით რუსეთის პრეზიდენტს. ამიტომ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული ტალღა, რომელიც ბოლო პერიოდში წამოვიდა ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან, რუსეთისთვის იმედის მომცემია, რადგან ამ ფონზე შესაძლოა შეიცვალოს პრეზიდენტი და ასე ვთქვათ, თუ რუსეთი გარედანაც მოახდენდა ზეწოლას, აბსოლუტურად შეიძლება დაიმსხვრეს საქართველო. მე სხვა სიტყვებს ნამდვილად ვერ ვპოულობ, რადგან საქართველო ვეღარ გაუძლებს 1991-92 წლების გამეორებას.

— **რამდენად რეალურად გეჩვენებათ, რომ რუსეთმა მართლაც დაბომბოს პანკისის ხეობა და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ამგვარ სიტუაციაში გარკვეული პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადება — გადადგეს ედუარდ შევარდნაძე...**

— ბატონ ზურაბ ჟვანიასთან ერთად ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ ასეთ სიტუაციაში ყველანი უნდა გავერთიანდეთ. არ აქვს მნიშვნელობა, „პოზიცია" ხარ თუ ოპოზიცია. არის ქვეყნის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როცა შენი პოლიტიკური ხედვა ცოტა ხნით გვერდზე უნდა გადადო, გადააბიჯო შენს ამბიციებს და დადგე ყველასთან ერთად. ნემცოვმა თავის გამოსვლაში სწორედ ის თქვა, რომ პუტინის განცხადება და დუმის გადაწყვეტილება შეცდომა იყო, რადგან საქართველოში რადიკალური ოპოზიციაც კი პრეზიდენტის გვერდით დადგაო. რაც შეეხება დაბომბვას, მიმაჩნია, რომ ეს არარეალურია, რადგან დღეს საქართველო არ არის იზოლაციაში, რუსეთისთვის კი სულაც არ არის სულერთი, რას იტყვის საერთაშორისო თანამეგობრობა; მაგრამ ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ეკონომიკური სანქციები, რაზეც დუმამ მიიღო გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, დღეს ბევრი საკითხით, თუნდაც ენერგომატარებლებით რუსეთზე ვართ მიბმულები. აქედან გამომდინარე, რომელია უარესი, კაცმა არ იცის. როცა სამხედრო ძალის გამოყენება სურს ვიღაცას, მაშინ თანამეგობრობა დაგიდგებათ გვერდით და არ მისცემს ამის საშუალებას, მაგრამ ეკონომიკურ საკითხებში არავინ ჩაერევა.

მართალია, ვამბობ, რომ დღეს ერთად დგომა აუცილებელია, მაგრამ რაც მოხდა, ისევ პრეზიდენტს, მის კურსს და მის პოლიტიკას უკავშირდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრობლემები პანკისის ხეობაში მისივე მინისტრის კახა თარგამაძის შექმნილია, მხოლოდ და მხოლოდ თარგამაძის კერძო ინტერესების გამო. მისი მიზანი იყო პანკისი მისივე გამდიდრების ზონად ქცეულიყო. დარწმუნებული ვარ, რომ ამაზე პრეზიდენტმა თავის დროზე თვალი დახუჭა.

— **სხვათა შორის, თენგიზ კიტოვანი ჯერ კიდევ ორი წლის წინ აცხადებდა, რომ პანკისში არიან ჩეჩენი ბოევიკები და რომ საერთოდ, პანკისის პრობლემის შექმნა შევარდნაძეს საკუთარი სკამის გასამყარებლად სჭირდებოდა... კიტოვანი არაერთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს პერიოდულად, როგორ ფიქრობთ, ვის ინტერესებს ემსახურება?**

— მოდით, ასე ვთქვათ: რომელ ქართველებს უთმობენ რუსეთში ეთერს? ეს არის იგორ გიორგაძე, პერიოდულად, თენგიზ კიტოვანი. ჩვენ რუსულ ეთერში არ გვინახავს იმ ქართველთა პრესკონფერენციები, რომლებიც არ უპირისპირდებიან საქართველოს ხელისუფლებას. აქედან დასკვნის გაკეთება მარტივია. სამწუხაროდ, ჩემამდე მოაღწია გავრცელებულმა ხმებმაც, რომ თითქოს გიორგაძე, კიტოვანი და კვირაია რუსეთში ერთად შეიკვრნენ,□ გასაგებია, რა მიზნებით. თუმცა, ამ ინფორმაციის ობიექტურობაში ცოტა ეჭვი მეპარება. თუ გავიხსენებთ, კიტოვანი ციხეში იგორ გიორგაძის ხელშეწყობით აღმოჩნდა. ისე კი, იმდენად აბსურდულ დროში ვცხოვრობთ, რომ გასაკვირი უკვე აღარაფერია.



— **სხვათა შორის ისიც კი ითქვა, რომ პუტინის ეს განცხადება მიზნად ისახავს, საქართველოში ხელისუფლების შეცვლას და პრეზიდენტად იგორ გიორგაძის მოსვლას. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ვფიქრობ, ეს მიამიტური აზრია, რადგან პუტინი გიორგაძეზე „სტავკას" არ გააკეთებს. იგორ გიორგაძის დროც წავიდა. ის აღარ წარმოადგენს იმ ფიგურას, ვისზეც ფსონს დადებს რუსეთი. ვფიქრობ, მათ ეყოლებათ შერჩეული კანდიდატურა, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, მაგრამ ეს რომ არ არის იგორ გიორგაძე, ამაში ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი.

— **უცნაურად გამოიყურება ამჟამად ასლან აბაშიძის პოზიციაც. მან, როგორც იცით, პანკისის დაბომბვის შემდეგ აშკარად რუსეთის მხარე დაიჭირა და განაცხადა, რომ დაბომბვა ჩვენმა მხარემ განახორციელა...**

— იცით, ამ დროს თბილისში არ ვიყავი და არ მომისმენია. თუმცა ზაფხულში მე გახლდით ბატონ ასლანთან და ჩვენი საუბრისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რატომღაც აფხაზეთთან დაკავშირებით მას აქვს თავისი თვალსაზრისი და არც ის დაუმალავს ოდესმე, რომ სახით რუსეთისკენ არის მიბრუნებული. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ქართულმა მხარემ ჩამოყარა ბომბები, ამაზე კომენტარის გაკეთებაც კი არ მსურს.

— **არ შემიძლია არ გკითხოთ, ხომ არ იცით, რატომ იმყოფებოდა კახა თარგამაძე პრეზიდენტთან იმ დღეს, როდესაც პუტინმა ეს განცხადება გააკეთა?**

— ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. რამდენიმე დღით ადრე ერთ პიროვნებას შევხვდი. ის თანამდებობის პირია და მითხრა, რომ ამ ბოლო დროს პრეზიდენტთან შეხვედრისას შევარდნაძეს მასთან არაერთხელ უხსენებია კახა თარგამაძე, უთქვამს, რომ ძალიან აკლია კახა, რომ ის უფრო ფლობდა სიტუაციას. ამიტომ ექსმინისტრის გამოჩენა პრეზიდენტთან მოულოდნელი არ იყო, თუმცა აღმაშფოთებელია.

— **თვითონ კახა თარგამაძემ განაცხადა, რომ პირად საკითხზე იყო პრეზიდენტთან. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ უახლოეს მომავალში თარგამაძე რომელიმე მაღალ თანამდებობაზე ვიხილოთ?**

— რატომ უნდა ეცადოს პრეზიდენტი, ასეთ სიტუაციაში, რომ მოქალაქე კახა თარგამაძე მიიღოს რაღაც პირად საკითხზე? თუ გავითვალისწინებთ პრეზიდენტის ამ ნოსტალგიას, ყველაფერი მოსალოდნელია.

***გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა***

***ქართველი ერის საამაყო შვილების — მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების სახლ-მუზეუმები, რომლებიც მომავალ თაობებს საამაყოდ და მათ გასახსენებლად შემოუნახა ერმა, დღეს სავალალო მდგომარეობაშია. მეტიც, ზოგიერთი დღეს შავი სამყაროს თავშეყრის ადგილადაა ქცეული. ამიტომ გასაკვირი არც არის, როცა სამუზეუმო ექსპონატები იკარგება. ძვირფასი ნივთები, ძირითადად, უცხოელებზე იყიდება, ან ლომბარდში გირავდება. ხელისუფლებას სახლ-მუზეუმების პრობლემა დიდი ხანია აღარ აწუხებს. ძლიერთა ამა ქვეყნისათა ერის სულიერი მამების ღვაწლი მხოლოდ სუფრასთან თუ ახსენდებათ და მათ შესანდობარს უშველებელი ყანწებით სვამენ. გამოფხიზლებულთ სიმთვრალეში დანაქადები აღარ ახსოვთ. ამასობაში კი სახლ-მუზეუმები ნადგურდება და იძარცვება.***



კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში აკვნისა და ტახტის გაქრობა, ჯერჯერობით, ვერ შეძლეს

# უპატრონოდ დარჩენილ სახლ-მუზეუმებს ეშმაკები ეპატრონებიან...

დადიანების სასახლეთა დაცვის კავშირის თავმჯდომარემ გიორგი კალანდიამ, რომლის პუბლიკაციებს ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს, ერთ-ერთი შეხვედრის დროს მთხოვა სამეგრელოში არსებული სახლ-მუზეუმების მდგომარეობას გავცნობოდი. იმასაც დამპირდა, თუ ამ პრობლემით დავინტერესდებოდი, საგანგებო საინსპექციო რწმუნებით აღმჭურავდა, რაც უფლებას მომცემდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სამუზეუმო დებულების მიხედვით გავცნობოდი სახლ-მუზეუმების სიძველეთსაცავებს, ფონდებს, საინვენტარო წიგნებს და ა.შ. მალე სამეგრელოში გავემგზავრე.

## „მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას, მას ჰქვია სახელად — ზანა“

ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც აბაშის გამგებლის მოადგილესთან, მამუკა თელიასთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმს მივუახლოვდით. მუზეუმი დაკეტილი იყო. დირექტორს შინ მივაკითხეთ, მაგრამ ამაოდ — არც იქ დაგვხვდა. გამგებლის მოადგილემ გამოსავალი მაინც მონახა და იქვე, სოფელში, ძველ აბაშაში მცხოვრებ ექსკურსიამძღოლს, მაია ქოიავას მივადექით. გაგვიმართლა, ქალბატონი მაია შინ იყო და, რაც მთავარია, მუზეუმის გასაღებიც თან ჰქონდა. სამივე მუზეუმისკენ გავეშურეთ. ვრცლად გაშლილ ეზოს მივუახლოვდით.

სახლ-მუზეუმი ეზოს სიღრმეში დგას. ჭიშკართან ახლოს უზარმაზარი საძირკველია გათხრილი, რომლის ბეტონის კონსტრუქციები მთელ ხედს ამახინჯებს. ეზოს მარჯვენა მხარეს თხმელის მოუვლელი კორომია. **მამუკა თელია** მეუბნება: „ზვიადის პრეზიდენტობის დროს აქ უზარმაზარი სახლ-მუზეუმის აშენება გადაწყდა, მაგრამ ზვიადს არ დასცალდა. მოშორებით ხის სახლი რომ დგას, ის არის სახლ-მუზეუმი... 15-20 წელიწადია სახლს კაპიტალური რემონტი არ ჩასტარებია. წელს მიმდინარე რემონტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 ათასი ლარია გამოყოფილი და ალბათ სახურავის შესაკეთებლად გვეყოფა.“

ეზოში რამდენიმე ძროხა ბალახობდა. გამგებლის მოადგილე ძროხების დანახვამ გააღიზიანა და უსაყვედურა ექსკურსიამძღოლს. მაია ქოიავამ ეზოდან ძროხების განდევნა დააპირა, მაგრამ ძროხებმა თავი სახლის საყრდენი ბოძების ქვეშ შეაფარეს და ცოხნა განაგრძეს.

ექსკურსიამძღოლმა სახლ-მუზეუმის კარი გააღო და ჩვენც მოწიწებით შევედით. მუზეუმი ორი, უბრალოდ მოწყობილი ოთახისგან შედგება. კედლები დიდი მწერლისა და მისი ახლო ნათესავების გაყვითლებულ ფოტოებს დაუფარავს. მწერლის ხელნაწერების ასლებს მტვერი დასდებია, ჭერს აშკარად ემჩნევა ჩამონაჟონი წვიმის კვალი. ეტყობა, კარგა ხანია აქ არავინ ყოფილა... ექსკურსიამძღოლს ფონდების აღრიცხვის საინვენტარო წიგნი მოვთხოვე. ჩემდა გასაოცრად, წიგნი მუზეუმში არ აღმოჩნდა. ვერსად მივაკვლიეთ დამთვალიერებელთა აღრიცხვისა და საბუღალტრო წიგნსაც. უხერხული სიტუაცია შეიქმნა, საიდანაც გამოსავალი ისევ გამგებლის მოადგილემ მოძებნა: „დარწმუნებული ვარ, საინვენტარო წიგნი და საბუღალტრო საბუთები, რომლებშიც მუზეუმის შემოსავალ-გასავალია აღრიცხული, რაიონის კულტურის განყოფილებაში ინახება.“ სხვა გზა არ მქონდა, დავიჯერე და სახლ-მუზეუმში დაცული ექსპონატების აღრიცხვა და ჩაწერა დავიწყე, რათა შემდეგ საინვენტარო წიგნში შეტანილი ნივთების ნუსხისთვის შემედარებინა. ვერსად აღმოვაჩინე მწერლის წიგნები. რაღას ვიზამდი, ისევ რაიონული ცენტრისკენ გავემგზავრეთ და კულტურის განყოფილების გამგეს, ირინა თოფურიას ვთხოვეთ, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის საინვენტარო წიგნი და ბუღალტრული საბუთები წარმოედგინა. თოფურიამ უარი განაცხადა, — ბუღალტრის ავადმყოფობა მოიმიზეზა; ხოლო ე. წ. საინვენტარო წიგნი კი დიდის ამბით მოგვიტანეს. ჩემდა გასაოცრად, იგი მხოლოდ ერთი ფარატინა ფურცელი აღმოჩნდა — თამამად შეიძლება ითქვას, უპასუხისმგებლობის და უკულტურობის ნიმუში. ზოგიერთ ჩამონათვალს გაგაცნობთ (სტილი დაცულია), მაგალითად: 1. ლუსტრა — 1 ცალი, ღირებულობა 23 ლარი, 2. ჩიგანკა — 1 ცალი. 3. კრესლო — 4 ცალი, 4. ექსპონატები — 22 ცალი(?!), 5. ნაბორი მაგიდის — 1 ცალი, 6. მწერლის წიგნები — 76 ცალი და ა.შ. გასაკვირია, ასეთი „აღრიცხვიანობის“ შემდეგ სახლ-მუზეუმში კიდევ რომ არსებობს ექსპონატები. უფრო გაგვაოცა აბაშის კულტურის განყოფილების გამგის, **ირინა თოფურიას** განცხადებამ: „თვალითაც არ მინახავს, როგორია მუზეუმის საინვენტარო წიგნი. არასოდეს გამიგია, რომ წიგნში ყველა ექსპონატის დახასიათება და მდგომარეობა დაწვრილებით უნდა იყოს მითითებული და, საერთოდ, მაპატიეთ და, არ ვიცნობ მუზეუმის დებულებას. იქნებ გაგიკვირდეთ და ეს დებულებაც არასდროს მინახავს“(?!). ასეთი პატრონების ხელში სახლ-მუზეუმი კიდევ კარგ მდგომარეობაშია.



სახლ-მუზეუმში ისე წვიმს, როგორც გარეთ

**— პირველი სართულის სიცარიელე იმთავითვე საეჭვოდ მომეჩვენა და მიზეზი ვიკითხე. პირველი სართული დირექტორს სასტუმროდ აქვს გადაქცეული და იქ წალენჯიხის სტუმრები ათევენ ღამეს ქალებთან ერთადო, მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი ჩემმა წალენჯიხელმა ინფორმატორმა.**

## იუბილეს გაძარცული სახლ-მუზეუმით ვეგებებით

კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ თუ რამე გამაკვირვებდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. იმან, რაც იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში ვიხილე და მოვისმინე, არა მარტო გამაკვირვა, აღმაშფოთა კიდეც. ზუგდიდში ჩასული გამგეობის ხელმძღვანელობას ვეწვიე. გამგებლის მოადგილემ კულტურის დარგში **თენგიზ შანავამ**, რომ გაიგო რისთვის ვიყავი ჩასული, შეცბა, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა და განაცხადა: „მალე ზუგდიდელები და მთელი საქართველოს მოსახლეობა დიდი საზოგადო მოღვაწის, იონა მეუნარგიას დაბადებიდან 150 წლისთავს აღვნიშნავთ. იუბილეს მოსამზადებლად რაიონის ხელმძღვანელობამ დიდი თანხები გამოყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ზუგდიდში ერთ-ერთ ქუჩას იონა მეუნარგიას სახელს ვუწოდებთ, სკვერში ბრინჯაოს ბიუსტს დავდგამთ. გავარემონტებთ და მოვაწესრიგებთ სახლ-მუზეუმსაც.“ შემდეგ თენგიზ შანავამ ჩემი თავი ზუგდიდის კულტურის განყოფილების გამგეს, სერგო ხუბუტიას ჩააბარა, სოფელ ცაიშში წაყვანა და მეგზურობა დაავალა, თუმცა ავტომობილის გამოყოფა დაავიწყდა და იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმისკენ ტაქსით გავემართეთ. გამგებლის მოადგილესთან საუბრის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, „ვეფხისტყაოსანის“ 1888 წლის გამოცემის ინიციატორისა და მისი ფრანგულ ენაზე სრული თარგმანის ავტორის სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ აკაკის სიტყვებს გავიმეორებდი: „იონასთან ვიყავი, ბევრი ვიცინე, ბევრი ვსვი, ვჭამე, გამოვიძინე.“ მაგრამ ჩემს იმედს ცივი წყალი **სერგო ხუბუტიამ** მანქანაშივე გადაასხა: — სახლ-მუზეუმი ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. სახურავი მთლიანად გადახსნილია, დაცვა და სასწრაფო კაპიტალური რემონტი ესაჭიროება. ჩვენმა განყოფილებამ წელს მოახერხა და ადგილობრივ ბიუჯეტში სახლ-მუზეუმის გასარემონტებლად 5 ათასი ლარი ჩასვა, მაგრამ ეს თანხა სეკვესტრში მოახვედრეს და დავრჩით ასე. სოფელს კი იმის სახსარი არ გააჩნია, რომ სახლ-მუზეუმი შეინახოს. ახლა ცაიშში რომ მივდივართ მუზეუმის სანახავად, დირექტორი თქვენს საჩვენებლად არ ივარგებს(?!) და იმედია, ცუდ ფაქტებსაც არ გამოგვიმზეურებთ და საქვეყნოდ თავს არ მოგვჭრით...

**— ბატონო სერგო, ვინა გყავთ ისეთი დირექტორი, რომ მისი ჩვენება არ შეიძლება?**

— რა ვიცი ვინაა. ვიღაც დროებით ასრულებს მუზეუმის დირექტორის მოვალეობას. კარგად არც კი ვიცნობ.

**— კი, მაგრამ არ იცით, ვის მიანდეთ მუზეუმის ექსპონატები?**

— რა დროს იონა მეუნარგიაა?! ზუგდიდს ათი წელია კინო არ ღირსებია და თეატრი...

მალე სოფელ ცაიშში ჩავედით და იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმსაც მივადექით. გეგონებოდათ, გამრჯე გლეხკაცის კარ-მიდამოაო, ეზოში ძროხები, ღორები და ქათმები დასეირნობდნენ. რა თქმა უნდა, მუზეუმი დაკეტილი დაგვხვდა. სერგო ხუბუტიამ მუზეუმის დირექტორის ძებნა მეზობლებში დაიწყო, მაგრამ ამაოდ, — მუზეუმის დირექტორი ზუგდიდში ექიმთან ყოფილა წასული. თითქმის ორი საათი ვუცადეთ, მაგრამ არ გამოჩნდა. ამასობაში ზუგდიდის კულტურის განყოფილების გამგე დაჟინებით მეპატიჟება ცაიშის გამგეობაში: „გამგეობაში წავიდეთ, იქ იქნება საინვენტარო წიგნი შენახული, თანაც პატარას წავიქეიფებთ.“ ის იყო წასვლა დავაპირეთ, რომ ეკლესიასთან მდგარ ქალებს ისე, ყოველი შემთხვევისთვის, დირექტორის ასავალ-დასავალი ვკითხე. „იონას მუზეუმის დირექტორს თუ ეძებთ, იგი სკოლაში არის. ჩვენ გვეგონა, ცაიშის ღვთისმშობლის ეკლესიის დასათვალიერებლად იყავით მოსულები. სერგო ხუბუტიამ ასე გვითხრა, თორემ ბავშვებს გავაგზავნიდით სკოლაში და მუზეუმის დირექტორს მოგიყვანდით.“ მივუხვდი, ზუგდიდის კულტურის განყოფილების გამგეს ეშმაკობას, — სახლ-მუზეუმის დირექტორთან შეხვედრა და მასთან გასაუბრება რომ ვერ მომეხერხებინა, იცრუა. რა უნდა მექნა, ავდექი და სკოლისაკენ გავწიე. ხუბუტია დარცხვენილი გამომეკიდა. სახლ-მუზეუმის დირექტორი **დარიკო გარდავა** მართლაც სკოლაში აღმოჩნდა და, ხუბუტიასაგან განსხვავებით, უფრო გულწრფელი აღმოჩნდა: — სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, ვარ მუზეუმის დირექტორი თუ არა. ხელფასი არ მაქვს, ისე — ენთუზიაზმის ხარჯზე, რაც შემიძლია ვუვლი და ვპატრონობ იონას სახლ-კარს. მუზეუმის ნამდვილი დირექტორი რამდენიმე წელიწადია, რაც გარდაიცვალა. მას შემდეგ სახლ-მუზეუმს ორი წლის განმავლობაში რუსუდან როგავა ხელმძღვანელობდა. ერთი წლის მანძილზე კი იღებდა ხელფასს, მაგრამ მეორე წელს დირექტორის შტატი გააუქმეს და უხელფასოდ მუშაობა აღარ ისურვა. ამიტომ მის ნაცვლად სოფელმა მე მთხოვა მუზეუმის მიხედვა.

**— როდესაც დირექტორად დაინიშნეთ, მუზეუმში დაცული ექსპონატები მიღება-ჩაბარების აქტით თუ გადმოგცეს?**

— რა დანიშვნა, რის დანიშვნა. არც არსებობს ჩემი დანიშვნის ბრძანება. ყოფილ დირექტორს ჩემთვის არც აქტით გადმოუცია ექსპონატები. მოიმიზეზა, — ჩემი წინამორბედი გარდაიცვალა და გარდაცვლილი ხომ არ მომცემდა აქტსო, ამიტომ ნივთების აქტით გადმოცემაზე უარი განაცხადა. სხვა გზა არ მქონდა, თვითონ აღვწერე ის ყველა ექსპონატი და ნივთი, რომელიც სახლ-მუზეუმში დამხვდა. ბევრი ნივთი დაკარგული იყო, მაგრამ რას ვიზამდი?! ყველაფერი ეს შესაბამის ორგანოებში განვაცხადე. თუმცა ზოგიერთი ექსპონატი და იონას ნაქონი ნივთები ჩემი დირექტორობის დროსაც მოიპარეს. როგორც გავიგე, იონას სახლ-მუზეუმიდან მოპარული ნივთები ლომბარდში ჩაუბარებიათ. ახლა მგონი ქურდები დაჭერილები არიან და სოფელში ამბობენ, ყველა მოპარულ ნივთს დააბრუნებენო.

**— ზოგიერთი ექსპონატი და იონას ნაქონი ნივთები ჩემი დირექტორობის დროსაც მოიპარეს. როგორც გავიგე, იონას სახლ-მუზეუმიდან მოპარული ნივთები ლომბარდში ჩაუბარებიათ. ახლა მგონი ქურდები დაჭერილები არიან და სოფელში ამბობენ, ყველა მოპარულ ნივთს დააბრუნებენო.**

**— როგორც შევიტყვე, იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში ზოგჯერ ქურდების თავყრილობებიც იმართება.**

— არ ვიცი თავყრილობაა მათი თუ სხვა რამ, მაგრამ ვერ უარვყოფ... ზოგჯერ, ღამღამობით, მუზეუმს აღებენ ვიღაც-ვიღაცები. რა ვიცი, რას აკეთებენ? შეიძლება ქეიფობენ ან კარტს თამაშობენ. ღამე სახლიდან ვინ გამოვა და მათ ვინ დაუპირისპირდება.

**— ამბობენ, სახლ-მუზეუმში მსუბუქი ყოფაქცევის ქალებიც მიჰყავთო.**

— სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებიც იყო...

ლაპარაკ-ლაპარაკში იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმს მივადექით. ჩვენმა ფიქტიურმა დირექტორმა შენობის კარი შეაღო და მუზეუმში შეგვიძღვა. იონას მაგიდასთან, მის სკამზე დაჯდომა ვერ გავბედე. ქალბატონ დარიკო გარდავას სხვა სკამი მოვატანინე და საინვენტარო წიგნი მოვთხოვე. იონასეული ავეჯი თითქმის უკლებლივ ადგილზე იყო. ავეჯის შემდეგ სხვა ნივთების შეჯერება დავიწყეთ. წიგნი ხელთ მქონდა და დირექტორს მითითებული ექსპონატის ჩვენებას ვთხოვდი. „საწერი მაგიდის მოწყობილობა, შავი მარმარილოს ნაკეთობა, გვერდები დაწახნაგებული, სამელნეებით“, — ამოვიკითხე წიგნში. პასუხი დირექტორისაგან — „არის, მაგრამ სამელნეებია მოპარული“. მარმარილოს საფანქრე ჭიქა — „არ არის“ — იყო პასუხი.

შანდალი, ფერადი ლითონისაგან, დგამი მარმარილოსი — „არ არის“.

ლამპარი, შავი მარმარილოს, ფერადი ლითონით, მარმარილოთი, მოჩუქურთმებული — „არ არის, ჩემი დირექტორობის დროს მოიპარეს“.

სამზარეულოს ჭურჭელი — „არ არის, ესეც ჩემს დროს დაიკარგა“.

სუფრის მოწყობილობა, გრავიურით, კომპლექტი — „არ არის“.

ერთი სიტყვით, ქამარი, უნაგირი, ხალიჩები და სხვა უამრავი იონასეული ძვირფასი ნივთი სახლ-მუზეუმში არ აღმოჩნდა.

„ჩემს დროს დაკარგული, უფრო სწორად, მოპარული ნივთების შესახებ პოლიციას თავის დროზე განცხადებით ვაცნობე. ყველამ კარგად იცის ქურდები ვინც არიან და ვინ სტუმრობს ღამღამობით იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმს, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებს“, — შემომჩივლა დარიკო გარდავამ.

აღშფოთებული ვჯდები მანქანაში, სერგო ხუბუტია მიბოდიშებს და თვალს ვერ მისწორებს. ვიცი, რომ მას არავინ არაფერს ეკითხება, — ყველაფერს რაიონის უმაღლესი ხელისუფლება წყვეტს. დაავალა გამგებლის მოადგილემ და მასაც ცდა არ დაუკლია, რათა ჟურნალისტი ე.წ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს არ გასაუბრებოდა...

***(გაგრძელება იხ გვ. 11)***

# „ჩემი მეუღლე პარტიის რიგით წევრადაც არ მივილე...“

## იმისთვის გავიყვანო საკრებულოს თავმჯდომარე, რომ მერე ვანო ზოდელავას ჩაუგორდეს კალთაში?

*მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კვლავ საგარეო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ქვეყანაში შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები მაინც არ ცხრება. უკვე სტარტს იღებს 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სამზადისი და პოლიტიკურ რინგზეც სულ უფრო ხშირად ჩანან დუელანტები. საკუთარი სახის წარმოსაჩენად (ან სულაც იმისთვის, რომ ხალხს არ დაავიწყდეს) პოლიტიკოსები ახალ ოპონენტებს ეძებენ, უკიდურეს შემთხვევაში კი, ძველ მეტოქეებს „აცოცხლებენ“.*

*ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლების აზრით, თბილისის მერი მეორედ უპირებს მათ გახლეჩას.* ***შალვა ნათელაშვილს*** *თანაპარტიელები უპირისპირდებიან. მიუხედავად პარტიაში გაჩენილი ბზარისა, მთავარი ლეიბორისტი ჩვენთან საუბრისას შესაშური ოპტიმიზმის დემონსტრირებას ავლენდა.*

**— ბოლო დროს განსაკუთრებით მწვავე განცხადებებს აკეთებთ ვანო ზოდელავას მისამართით. თბილისის მერზე ახალი კომპრომატები მოიძიეთ თუ უბრალოდ, წინასაარჩევნო ფანდს მიმართეთ და თავდასხმისთვის „წონიანი“ ობიექტი შეარჩიეთ.**

— მილიონობით ამომრჩეველი დაგვემოწმება, რომ არჩევნების წინ ზოდელავა არასოდეს გვიხსენებია. ჩვენი დევიზია — „მოვახდინოთ შევარდნაძის სისტემის დემონტაჟი“, ამიტომ ლეიბორისტული პარტია სადაც მივა (საკრებულოში თუ პარლამენტში), უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძის კადრებს გაათავისუფლებს.

შევარდნაძე თბილისს მარტო ხომ ვერ მართავს? ამიტომ დასვა ქალაქის მერად ვანო ზოდელავა და უთხრა, — უნდა ააყვავო ოლიგარქია, მოსპო წვრილი და საშუალო ბიზნესი, აქციო თბილისელები თავისივე ქალაქში გერად. ზოდელავას გადადგომის მოთხოვნით ჩვენ წინასაარჩევნო დაპირების შესრულება დავიწყეთ. მერის სავარძელში ზოდელავა იქნება თუ ჩიტირეკიაშვილი, ამას ვერ ასცდებოდა. რაკი საკრებულოში მოვედით, ხელი ჯერჯერობით ზოდელავაზე მიგვიწვდება, პარლამენტში მოსვლის შემდეგ პრეზიდენტს შევუტევთ.

ვანო ზოდელავას 2,5 მლნ ქონება აქვს, ჩრდილო ამერიკის ბანკებში ასეულათასობით დოლარი, საქართველოს ბანკებში კი მრავალრიცხოვანი ანგარიშები. ამბობს, ბიზნესმენი ვარო. თუ მართლაც ასეა, გვაჩვენოს, რა გადასახადები გადაიხადა ამხელა ქონების დაგროვების დროს. გამწვანებიდან დაწყებული, მშენებლობებით დამთავრებული, ქალაქში არ არსებობს სახელმწიფო შეკვეთის დაფინანსება, თუ უკან, მერიაში 20-25% არ დაბრუნდა. სამარშრუტო ხაზებიდან დაწყებული, ბაზრობებით, კაზინოებით და რესტორნებით დამთავრებული მერია ყველაფრის წილში წის. ბიზნესს ვერ წამოიწყებ, თუ მერიაში ნათესავი არ გყავს და იქ წილი არ მიიტანე. თბილისი სოციალური უსამართლობის თვალსაჩინო სურათად იქცა, სადაც ხალხის ხარჯზე გამდიდრებულთა სასახლეები წამოიმართა, მაშინ როცა მოსახლეობა კორპუსებში სულს ღაფავს.

ვანო ზოდელავამ საკუთარი კაბინეტის წინ ააშენა „თბილბიზნესბანკის“ შენობა (რომლის მფლობელი თვითონ არის, მაგრამ ბიძაშვილი დასვა დირექტორად) და იქიდან მიღებული მილიონობით მოგება მის ჯიბეში მიედინება. ზოდელავა მარტო თბილისით არ დაკმაყოფილდა. გავარდა ქიზიყში, დაითრია ასობით ჰექტარი შავი ყურძნის ზვრები, ააშენა უზარმაზარი ღვინის ქარხანა, დააყენა იქ ავტომატიანი დაცვა, ნაცვლად იმისა, რომ ინვესტორი მოეძებნა, გლეხებისთვის თანხები გადაერიცხა და იქ მევენახეობა აეღორძინებინა.

1998 წელს, როცა საკრებულოში მოვედით, ვაპირებდით დედაქალაქის მერის იმპიჩმენტს, მაგრამ ვერ მოვასწარით, ზოდელავამ დეპუტატების მოსყიდვა დაგვასწრო. წელს მისმა პარტიამ არჩევნებში 2% მიიღო და ახლაც იმავე მეთოდს მიმართა — დეპუტატების გადაბირება დაიწყო. მანამდე წილებს გვთავაზობდა, ვაკეში კორპუსების ასაშენებელ ადგილებს, მაგრამ არ მივიღეთ მისი წინადადება. ცნობილი აქსიომაა — როცა პარტიის ლიდერი არ იყიდება, პარტიის აქტივისტებს ყიდულობენ. რაკი ჩემთან ვაჭრობა არ გამოუვიდა, ზოდელავა ჩემს თანაპარტიელებს დაუკავშირდა. საკრებულოს არჩევნებიდან ერთი კვირის თავზე აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ბინაში ზოდელავა 3 ლეიბორისტს შეხვდა, მათ შორის ერთ-ერთი ავთანდილ ტყებუჩავა ბრძანდებოდა. ისინი გაურიგდნენ ზოდელავას და მიიღეს დაპირება, თანამდებობებს გიბოძებთო.

**— ავთანდილ ტყებუჩავას რას შეჰპირდა?**

— საკრებულოს თავმჯდომარეობას. საკრებულოს თავმჯდომარეობის მიმცემი როგორაა ზოდელავა, როცა საკუთარი თავი და სკამი გასჭირვებია. ეს ხალხი ჩვენ პარტიიდან გავრიცხეთ. ახლა დასვა ეს მოსყიდული ხალხი ვანო ზოდელავამ და ათას სისულელეს ალაპარაკებს.

**— ე.ი. გამოდის, რომ ზოდელავამ პარტია გაგიხლიჩათ, ამბობენ გარიცხულ აქტივისტებს ათასობით ლეიბორისტი გაჰყვაო.**

— მტკნარი სიცრუეა. ტყებუჩავას თავისი ნათესავებიც არ გაჰყვებიან, არათუ სხვები. სანამ პარტიის თავმჯდომარე ვარ, მის დაშლას ვერც ერთი ოპონენტი ვერ ეღირსება.

**— თქვენი თანაპარტიელები იმან გაალიზიანა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობა სხვას დაუთმეთ.**

— ახლა ნევროზების პერიოდია და ზოგიერთი ნამდვილად საჭიროებს ფსიქიატრის დახმარებას. სულაც არ არის სირცხვილი, კაცმა შეიაროს ნევროპათოლოგთან, ჩაირტყას ჩაქუჩი თავში, ფეხში და გაარკვიოს, რა სჭირს. პირველ ადგილზე კი გავედით, მაგრამ საკრებულოში უმრავლესობა არ გვაქვს. როცა უმრავლესობა არ გყავს და თანამდებობას იღებ, მაშინ ამ კორუმპირებული სისტემის ნაწილი ხდები. 1998 წელს ეს უკვე ვიგემეთ, როცა საკრებულოს თავმჯდომარედ კახაძე დავნიშნეთ. როდესაც საკითხების გატანა დაგვჭირდა, ხალხი შემოგვეფანტა, უმრავლესობა ფეტვის მარცვალივით გაგვებნა. ის შეცდომა და სისულელე მეორედ გავიმეორო? მეორედ აღარ მაპატიებს ხალხი. იმისთვის გავიყვანო საკრებულოს თავმჯდომარე, რომ მერე ვანო ზოდელავას ჩაუგორდეს კალთაში?

**— თქვენი პარტიის ყოფილი პოლიტიკური მდივანი (ტყებუჩავა) ამბობს, როცა პრეზიდენტმა დაურეკა, ნათელაშვილმა ოთახიდან გამომიშვაო.**

— თავმოყვარე კაცი როგორ იტყოდა, კაბინეტიდან გამიშვესო. ამის მთქმელი ძალიან ცნობისმოყვარეა და კომბოსტოს ფურცელივით დიდი ყურები აქვს. სინამდვილეში მაშინ მეგობარი მირეკავდა — ცოლს ვცილდებიო, ვცდილობდი, შემერიგებინა. ის კი მისმენდა. ამიტომ გავეხუმრე, პრეზიდენტთან მაქვს სალაპარაკო-მეთქი, მან კი სერიოზულად მიიღო. ნორმალური ქვეყანა რომ გვქონდეს, ოპოზიციური პარტიის ლიდერი ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ხვდებოდეს. მაგრამ მათ ისე გატეხილი აქვთ სახელი, ვერ შეხვდები, ხალხი სხვანაირად გაიგებს. კი ბატონო, არ დავმალავ, შევხვდი ჟვანიას, სააკაშვილს, პატიაშვილს, ბატონ ასლანს და მომავალშიც შევხვდები. ვინმესთან შეხვედრისას არავის პირადი კონტროლი ამ მჭირდება. ვინც კონტროლს დაიწყებს, მისი ადგილი პარტიაში არ იქნება.

**— იმასაც ამბობენ — ლეიბორისტულ პარტიაში დიდი ფული ტრიალებსო, ოფისიც შეგიძენიათ.**

— ჩემი პარტია შემოწირულობებით არსებობს და არა გრანტებით და კრედიტებით. არც ოფისი შეგვიძენია, 2007 წლამდე იჯარით გვაქვს აღებული.

**— თურმე ყოფილი თანაპარტიელები თქვენი ძვირად ღირებული პიჯაკების გამო ეჭვობდნენ, რომ ფული გქონდათ.**

— კიდევ კარგი, ის არ იციან, პიჯაკის შიგნით რა მაცვია.. ეს პიჯაკი, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს, 250-ლარიანია. კიდევ ორი პიჯაკი მაქვს, არც ისინია ძვირიანები. ჩემი ყველაზე ძვირად ღირებული პიჯაკი 400-ლარიანია. ისიც თქვეს, ვოლგით დადისო. აბა, ასფალტის საგებ მანქანაზე ხომ არ დავჯდები. ისე, ზოდელავას ეძახიან „ასფალტოვიჩს“ და სცადოს... მე თუ „ვოლგაში“ ვზივარ, ეგენი „მერსედესებით“ და „ბეემვეებით“ დადიან.

**— ამბობენ, ნათელაშვილის ოჯახი აქტიურად ერევა ლეიბორისტული პარტიის საქმიანობაშიო.**

— ოჯახში მეუღლე და 8-9 წლის ბავშვები მყავს. ბავშვებს პარტიულ საქმიანობაში არ ვრთავ, ჩემი მეუღლე კი პარტიის რიგით წევრადაც არ მივიღე და როგორ ერევა პოლიტიკაში?

**— რატომ არ მიიღეთ?**

— არ მივიღე და იმიტომ. პარტიის თავმჯდომარის მეუღლემ ისედაც უნდა შეასრულოს პარტიული დავალებები.

**— ითქვა, ნათელაშვილს თბილისის მერობა უნდა, რომ მერე პრეზიდენტის სავარძელს მისწვდესო.**

— პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზაზე თანამდებობა მას სჭირდება, ვისაც ხალხში არანაირი საყრდენი არა აქვს. შუალედური სავარძელი არ მჭირდება. ამაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი სააკაშვილს დავუთმეთ. ქალაქის და ქვეყნის ხელმძღვანელობა კოალიციური უნდა იყოს. თუ რომელიმე პარტია იტყვის, — მარტო მე დავაკომპლექტებ მთავრობასო, ის საქართველოს მტერია.

**— მაინც არ მითხარით, პირადად თქვენ რა შემოგთავაზათ ზოდელავამ?**

— ფული, ვაკეში მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად, რომ მერე ბინები გამეყიდა (ასე რამდენიმე პარტიას წააშველა ხელი), შემპირდა ადგილებს მსხვილი სამრეწველო საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოში, გასართობ ცენტრებს, რესტორნებს, მაგრამ არ გამოუვიდა...

**— ორიოდ კვირაში პრეზიდენტი პარლამენტში ანგარიშით წარდგება. რას ელით ამ მოხსენებიდან?**

— პრეზიდენტი თუ იტყვის, რა მეთოდით და ტექნოლოგიით დაანგრია ქვეყანა, ეს პოზიტივი იქნება, რათა პოლიტიკოსთა მომავალმა თაობებმა გაითვალისწინონ ეს და ხალხი დაღუპვას გადაარჩინონ. თუ პრეზიდენტი იმის ჩამოთვლას დაიწყებს (რა თქმა უნდა, დაიწყებს) რამდენი სიკეთე გააკეთა, რა კარგად და მხიარულად ცხოვრობს ხალხი, ეს იქნება ძველი შევარდნაძე, რომელსაც უკვე 30 წელია ვუყურებთ. იმედია, ის არ დაარღვევს ტრადიციას და ლამაზი ცხოვრების სურათებს დაგვიხატავს. ამიტომ სჯობს საერთოდ არ მივიდეს პარლამენტში. პარლამენტი ისე ელოდა მის მისვლას, როგორც მზის ამოსვლას. მტერი იყოს ჩვენი დეპუტატების იმედზე. ეს პარლამენტი ოპოზიციონერობაზე დებს თავს და პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი ვერ დაუყენებია. შევარდნაძეს ვერ უბედავენ ამას, როდესაც შრედერს, ჟაკ შირაკს და ბუშს ყოველდღე აქვთ იმპიჩმენტის საშიშროება.

**— ალბათ იმას გულისხმობთ, პრეზიდენტმა ამას წინათ პარლამენტის აზრი რომ უგულებელყო დსთ-დან გამოსვლის შესახებ.**

— პარლამენტი და კანცელარია შეთანხმებული იყვნენ, რომ დადგენილებას პრეზიდენტი ჩააგდებდა. დადგენილება კანონქვემდებარე აქტია, ანუ აქვს რეკომენდაციის ხასიათი და არა კანონის ძალა. თუ პარლამენტს რომ უგულებელყო დსთ-დან გამოსვლა და „სამშვიდობოების“ გაყვანა უნდოდა, ეს კანონში უნდა ჩაეწერათ და პრეზიდენტი ვალდებული იქნებოდა, შეესრულებინა. ეს დადგენილება რომ ფარატინა ქაღალდი იყო, პარლამენტში მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ არ იცოდა მოსახლეობამ. მას აუხვიეს თვალი.

პარლამენტს არც პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დასმა აძლევს ხელს. ეს რომ მოითხოვონ, უმეტესობას დასაჭერად გაუხდება საქმე. დეპუტატების 2/3 წილებში, კონტრაბანდაში, გრანტებსა და კრედიტებშია გასვრილი. ამიტომ უნდა შეწყდეს ქვეყანაში ბიზნესმენი პარლამენტარების „გრიალი“ და მათი პოლიტიკური ბატონობა.

*იზო რუკაძე*



# ხალხის მასობრივი მოწამვლა სალმონელათი

## სიმპტომები: სახსრების აუტანელი ტკივილი და მაღალი ტემპერატურა

დაახლოებით 120 ადამიანი მწვავე ნაწლავური ინფექციით აბაშის რაიონის საავადმყოფოში წევს. როგორც ამბობენ, ხალხის მასობრივი მოწამვლა თურქეთიდან იმპორტირებულმა სალმონელას ბაქტერიით დაავადებულმა ცოცხალმა ქათმებმა გამოიწვია. ვინ იცის, კიდევ რამდენმა მიირთვა დაავადებული ქათმის ხორცი და შესაძლოა არც კი იციან, რა საფრთხე ემუქრება მათ ჯანმრთელობას. ბევრი ალბათ მაღალ ტემპერატურას და სახსრების ტკივილს გაცივებას მიაწერს. ამიტომ ექიმებთან მისვლასაც არ ჩქარობენ და შინაური საშუალებებით მკურნალობენ.

დაახლოებით ერთი კვირის წინ, კერძოდ, 14 სექტემბერს, აბაშის რაიონის სოფელ ტყვირში ჩაჩავების ოჯახმა ქალიშვილი გაათხოვა. საქორწილო სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა. სტუმარ-მასპინძლებმა მამაპაპურად, გემრიელად მოილხინეს. საღამო ხანს ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ ბედნიერი ოჯახის შექმნა უსურვეს და თავიანთ სახლებს მიაშურეს, მაგრამ მალე ლხინი თითქმის ყველას ჩაშხამდა. უმრავლესობა მძიმე მოწამვლის ნიშნებით აბაშის საავადმყოფოში მოხვდა. სხვათა შორის, ქორწილში მეზობელი რაიონებიდან — სამტრედიიდან, სენაკიდან, ხობიდან და ქუთაისიდანაც იყვნენ ნათესავები დაპატიჟებულები და თუ მათაც ქათმის ხორცი მიირთვეს, ვურჩევთ, სასწრაფოდ მიმართონ პოლიკლინიკას ან საავადმყოფოს.

სამშაბათ საღამოს აბაშის რაიონის საავადმყოფოში პირველი ავადმყოფი გამოცხადდა. იგი სახსრების აუტანელ ტკივილს და მაღალ ტემპერატურას უჩიოდა. დაღამებამდე საავადმყოფოს ათეულობით ადამიანი მიაწყდა. დაავადების სიმპტომები ყველას აბსოლუტურად ერთნაირი ჰქონდა. შუაღამე თითქმის გადასული იყო, მაგრამ საავადმყოფოში პაციენტები მატულობდა. მთელი რაიონი ფეხზე დადგა. თბილისიდან და ქუთაისიდან აბაშის რაიონში ინფექციონისტთა არაერთი ბრიგადა გაიგზავნა. საქმეში რესპუბლიკის კატასტროფის ცენტრის თანამშრომლებიც ჩაერთვნენ. მასობრივი მოწამვლის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრმა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომაც დროულად მიიღეს. ექიმებმა კონსილიუმზე ერთხმად დაადგინეს — ხალხის მწვავე ინფექციური მოწამვლა სალმონელას ბაქტერიით იყო გამოწვეული. ავადმყოფთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა მისი წარმომშობი მიზეზიც — თითქმის ყველა, ვინც გემო გაუსინჯა ქათმის ხორცს, მოიწამლა. საბედნიეროდ, რაიონის ხელმძღვანელობისა და ექიმების ძალისხმევით ინციდენტი უმსხვერპლოდ დასრულდა.

სამწუხაროდ, წელს მასობრივი მოწამვლის ანალოგიური ფაქტი პირველი შემთხვევა არ არის. საინტერესოა, რას აკეთებენ საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტი და სახელმწიფო ვეტერინარიის მთავარი ინსპექტორი **ვლადიმერ გვარჯალაძე**, რომელიც პარალელურად ვეტერინარიის დეპარტამენტსაც ხელმძღვანელობს. ჩვენ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— ბატონო ვლადიმერ, რას გვეტყვით აბაშის რაიონის, სოფელ ტყვირში მექორწილეების მასობრივი მოწამვლის შესახებ?**

— აბაშის რაიონის მთავარმა ვეტერინარმა მაცნობა, რომ ამ დღეებში რამდენიმე კაცი სალმონელათი დაბინძურებული პროდუქტით მოიწამლა. ყურადღება მიაქციეთ, არა დაავადებული ხორცით, არამედ დაბინძურებულით. ისე, დასადგენია, მართლა ქათმის ხორცმა მოწამლა ხალხი თუ წყალმა?! ვინ ამტკიცებს, რომ ხალხი მაინდამაინც სალმონელას ბაქტერიით დაავადებული ქათმის ხორცით მოიწამლა? ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები პასუხისმგებლობას გაურბიან. წესით, ერთობლივად უნდა ვატარებდეთ დაავადებული ხორცის ნიმუშების ანალიზს. ერთი ნიმუში ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა შეამოწმოს, მეორე — ჩვენი დეპარტამენტის დიაგნოსტიკური ექსპერტიზის ეროვნულ ცენტრში უნდა შემოწმდეს, ხოლო მესამე ნიმუში ადგილზე უნდა დარჩეს. ნიმუშების ცალ-ცალკე გამოკვლევის შეჯერების შემდეგ შეიძლება ხალხის მასობრივი მოწამვლის მიზეზის დადგენა.

**— თქვენი დეპარტამენტის დიაგნოსტიკური ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი ელექტროენერგიის დავალიანების გამო არ მუშაობს და რას დაადგენს?**

— დავალიანება გასტუმრებულია და ეროვნული ცენტრი უკვე სრული დატვირთვით მუშაობს. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც უნდა გავითვალისწინოთ. დავუშვათ, მართლაც თურქეთიდან შემოტანილი ქათმები დასნებოვნებული იყო სალმონელათი, რა, აბაშაში ქათმის ხორცს უმად მიირთმევენ? ამით იმის თქმა მინდა, რომ თერმული დამუშავების შემდეგ ხორცში სალმონელას ბაქტერია კვდება და იგი სრულიად უხიფათოა.

**— თქვენ ცდილობთ პასუხისმგებლობას გაექცეთ. მოხარშვისას სალმონელას ბაქტერია კი კვდება, მაგრამ შეწვისას იგი უვნებელი რჩება.**

— ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით. მაგრამ ამ ბაქტერიით მოწამვლა მკურნალობას ადვილად ემორჩილება და საშიში არაფერია(?!).

**— საზღვარზე მდებარე საბაჟოზე ვეტერინარი ინსპექტორი დგას და როგორც ვიცი, უნდა ამოწმებდეს შემოსული პროდუქციის ვარგისიანობას.**

— ყველა საქონელს, რომელიც ვეტშემოწმებას ექვემდებარება, თან ერთვის წარმოშობის და ვარგისიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. რაც შეეხება ვეტინსპექტორს, რომელიც საზღვარზე დგას, იგი საქონელს მხოლოდ ვიზუალურად ათვალიერებს. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის საზღვარზე არც დროა და არც ადგილი(?!). და საერთოდ, ექიმები ცდილობენ, ყველაფერი ვეტერინარებს გადააბრალონ.

*ყველა საქონელს, რომელიც ვეტშემოწმებას ექვემდებარება, თან ერთვის წარმოშობის და ვარგისიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. რაც შეეხება ვეტინსპექტორს, რომელიც საზღვარზე დგას, იგი საქონელს მხოლოდ ვიზუალურად ათვალიერებს. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის საზღვარზე არც დროა და არც ადგილი(?!). და საერთოდ, ექიმები ცდილობენ, ყველაფერი ვეტერინარებს გადააბრალონ.*

კაცი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით დამზადებულმა პროდუქტმაც შეიძლება მოწამლოს.

სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა კიდევ ერთხელ ვცადეთ დაგვეზუსტებინა, რამ გამოიწვია ხალხის მოწამვლა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის რამაზ ურუშაძის ერთმნიშვნელოვანი განცხადებით, აბაშაში მექორწილეების მასობრივი მოწამვლა სალმონელას ბაქტერიით დაავადებულმა ქათმის ხორცმა გამოიწვია.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# გამოცხადებული დაბომბვის მოლოდინის კვირეული

## ეტყობა, რუსეთი უფრო არ დაგვარტყამს, ვიდრე დაგვარტყამს

ძნელია ყოველკვირეულ გაზეთში არაერთგზის გადაღეჭილ ინფორმაციაზე ლაპარაკი; თუმცა, ამას დადებითი მხარეც აქვს — ცივი გონებით, მშვიდად შეიძლება იმის გაანალიზება, თუ რა ხდება ჩვენს თავს.

ხდება კი ის, რითაც ბოლო 12 წელია ვარსებობთ, ანუ საქართველო აგრძელებს ფორს-მაჟორული რეჟიმით ცხოვრებას (თუ ამას ნორმალური ქვეყნის ყოფა ჰქვია) — სკანდალიდან სკანდალამდე.

მართალია, რუსეთის ახალგაზრდა და ცოტა „ცხელსისხლიანი" (არადა კავკასიელებს გვაბრალებდნენ — სისხლი გიდუღთო!) პრეზიდენტ პუტინის მორიგმა „აღმოჩენამ" თუ ულტიმატუმმა ნახევარ საქართველოს მაინც დაუფრთხო ძილი, მაგრამ რამდენიმე დღეში თავად რუსულ ისტებლიშმენტში გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებმაც სავსებით სწორად განსაზღვრეს, თუ რამხელა ავანტიურაში ითრევს პრეზიდენტი პუტინი და მისი ყურმოჭრილი ყმა — სახელმწიფო დუმა — რუსეთის სახელმწიფოს.

რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები ასჯერ მაინც აღემატება ჩვენსას, მაგრამ გვჯერა, საბოლოოდ, რუსეთი ისევე კუდამოძუებული გაიქცევა საქართველოდან, როგორც მისი წინამორბედი საბჭოთა კავშირი გამოვარდა ავღანეთიდან. სავალალო კი ის იქნება, მორიგი რუსი დერჟავნიკი-პრეზიდენტის ამბიციებს ქართველი ერის დიდი ნაწილი რომ შეეწიროს.

ცხადზე ცხადია, ყოველივე ზემოხსენებული ავანტიურა რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტის იმიჯის გასამტკიცებლადაა წამოწყებული.

გაიხსენეთ სამი წლის წინანდელი მოვლენები: ჩეჩნეთში მეორე ომის დაწყების წინ სულით და ხორცით დაძაბუნებულ ელცინს სასწრაფოდ მოუძებნეს მემკვიდრე — ვლადიმირ პუტინი. მაშინ მთელი რუსული სახელმწიფოებრივი მანქანა ახალგაზრდა პრეზიდენტის დადებითი იმიჯის შესაქმნელად იღვწოდა. შეიძლება სწორედ ამიტომ დაიწყო ჩეჩნეთის მეორე ომიც — პრეზიდენტმა პუტინმა დედარუსეთს ჩეჩნეთის პირველ ომში დამარცხების სირცხვილის ჩამორეცხვა და შურისძიება შეჰფიცა!

მაგრამ გავიდა ბრძოლის სამი წელი და რუსი ჯარისკაცები კვლავ ყოველდღიურად იხოცებიან ჩეჩნეთში, რუსეთი კი უფრო და უფრო ეფლობა ჩეჩნეთის ომის ჭაობში. რუსეთის საზოგადოება უკვე იწყებს პასუხის მოთხოვნას პრეზიდენტ პუტინისგან, არადა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები თითქმის კარსაა მომდგარი და თუკი 70 წლის პრეზიდენტები არ ფიქრობენ ანდამატიანი სკამის დატოვებას, რატომ არ უნდა მიჰბაძოს მათ „ნორჩმა" პუტინმა?!

ამიტომაც იშვა ახალი საფრთხობელა საქართველოს და კერძოდ, პანკისის ხეობის სახით, სადაც მომზადებული და აღჭურვილი ჩეჩენი მებრძოლები თურმე ხელს უშლიან პუტინს, მოიგოს ომი ჩეჩნეთში. გამოიძებნა მიზეზი. ახლა რუს ამომრჩევლებს თამამად შეიძლება განუმარტონ, თუ რისი ბრალია ჩეჩნეთის ომის გაჯანჯლება. რაღა დასამალია და, ამგვარ დახმარებებს მართლაც ჰქონდა ადგილი ჩეჩნეთის პირველი ომისა და მეორე კამპანიის დასაწყისში. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსმა მესაზღვრეებმა და საარმიო დანაყოფებმა 81-კმ-იანი საზღვრის მონაკვეთზე 3 ათასამდე სამხედრო ჩააყენეს, ჩეჩნების ამ მხრიდან შეღწევა თითქმის შეუძლებელი გახდა.

ცხადია, რუსეთი მართალია, რომ არ სურს მეზობელი საქართველოდან ხდებოდეს ჩეჩენი პარტიზანების „კვება". ზუსტად ათი წლის წინ არც საქართველოს უნდოდა ასევე მეზობელი ქვეყნიდან — რუსეთიდან შეიარაღებული ჩეჩნების გადასვლა აფხაზეთში, რომლებიც ადგილობრივი სეპარატისტების მხარეზე იბრძოდნენ.

დღეს ერთგვარი როქი განხორციელდა, რომელიც უკვე გარკვეულწილად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის უსაფრთხოებას ემუქრება. არ იქნებოდა სწორი, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები რამდენიმე ასეული ჩეჩნისა თუ არაბის უსაფრთხოებაზე გაგვეცვალა, მით უფრო, რომ ჩეჩნეთში ფეხმოუცვლელად მებრძოლი პრეზიდენტი მასხადოვი და გავლენიანი საველე მეთაური ბასაევი მათ დღეს ჩეჩენი ერის ინტერესების გამყიდველებს უწოდებენ.

მაგრამ აქვე კიდევ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, თუმცა ხაზს გავუსვამთ, რომ ეს მთლიანად სტატიის ავტორის ვერსიაა: ჩეჩნებს საქართველოში რომ გამოეზამთრათ და გაძლიერებულიყვნენ, წლების განმავლობაში დაინტერესებულნი იყვნენ... დასავლეთის სპეცსამსახურები და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებიც.



მდიდარ საუდის არაბეთსა თუ იორდანიას სურდა, თავისი ემისარების საშუალებით ფუნდამენტური ისლამი გაებატონებინა არა მარტო ჩეჩნეთსა და მთლიანად ჩრდილო კავკასიაში, არამედ ქრისტიანულ საქართველოშიც (ამაზე ნათლად მეტყველებს პანკისის სოფლებში არაბი ვაჰაბიტების მიერ აშენებული მეჩეთებიც).

დასავლეთის ინტერესები კი უფრო ღრმა და, შეიძლება ითქვას, გლობალურიც გახლდათ. თავად განსაჯეთ — აქტიური საბრძოლო მოქმედებების დროს ჩეჩნეთში რუსეთის ფედერაცია დღეში 3 მლნ დოლარს მაინც ხარჯავდა. ასეთმა დღეებმა კი ჩეჩნეთის მეორე ომში თითქმის ნახევარი წელიწადი შეადგინა. ბუნებრივია, რუსეთის სამხედრო ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული საომარი ხარჯები, ამიტომაც რუს გენერლებს უხდებოდათ შეიარაღებული ძალების სხვა კომპონენტებისთვის მოეკლოთ მნიშვნელოვანი თანხები და ჩეჩნეთში სახმელეთო ჯარებისა და საფრონტო ავიაციისთვის გადაეგზავნათ. წაგებულნი კი პირველ რიგში რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები და სამხედრო-საზღვაო ფლოტი რჩებოდნენ, ანუ რუსეთის შეიარაღებული ძალების ის სახეობები, რომელთა შეიარაღებაშიცაა ბირთვული ქობინებით აღჭურვილი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები.

ანუ უსახსრობის გამო ვერ ხერხდებოდა იმ რაკეტების განახლება, რომლებსაც ჩრდილო ამერიკის კონტინენტი ჰქონდა ამოღებული მიზანში (ყველაზე ასაკოვანმა რუსულმა ბირთვულქობინიანმა ბალისტიკურმა რაკეტამ, რომელიც ჯერ კიდევ დგას სტარტზე შახტში, კარგა ხანია გადააბიჯა 30 წელს) და ბუნებრივია, ამერიკელებისთვის ნელდებოდა რუსული „დათვის" მოსალოდნელი ბირთვული საფრთხე, რაშიც გარკვეული წილი საქართველოსაც ედო.

მაგრამ 11 სექტემბრის ტრაგიკულმა მოვლენებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა (ისე, ამ ტრაგედიის სცენარი ძალზე წააგავს იმ გეგმებს, რომლებითაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ГРУ-ს დივერსანტები ვარჯიშობდნენ — მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მისივე იარაღითა და სატრანსპორტო საშუალებებით გრანდიოზული ნგრევის მოწყობა, მათ შორის პორტატიული, ე.წ. ბირთვული ჩემოდნებითაც), აშშ და რუსეთი ამ საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიციაში პარტნიორები გახდნენ, საქართველოს კი შერჩა რამდენიმე ასეული ჩეჩენი, რომლებიც სამშობლოშიც ველარ ბრუნდებოდნენ.

არ შევმცდარვართ, როდესაც ორი კვირის წინ აღვნიშნეთ, რომ პანკისის ხეობაში რამდენიმე დღით დავასწარით რუსული დესანტის გადმოსხმას ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყება. ეს იმის ბრალი იყო, რომ, უბრალოდ, კრემლს გაუგრძელდა ამ ოპერაციის საინფორმაციო უზრუნველყოფა. ამასთან, შეიარაღებული ჩეჩნების დიდმა ნაწილმა დატოვა პანკისი, ხეობაში ძმები ახმადოვების 30-40-კაციანი ჯგუფიღა დარჩა, რომელიც თითქოს მალე აპირებდა პანკისიდან გასვლას, მაგრამ სწორედ მას ბრალდება 12 სექტემბერს დუისთან ქართულ საგუშაგოზე შეიარაღებული თავდასხმა.

ერთგვარად გასაგებია ოფიციალური თბილისის პოზიცია — არც მწვადი დაწვას და არც შამფური — ჩეჩნებს დაატოვებინოს ქვეყნის ტერიტორია და თანაც უსისხლოდ და უდავიდარაბოდ. თუმცა, პანკისიდან მოხერხდა მათი გაყვანა, მაგრამ ქვეყნის ტერიტორია ეტყობა, ჯერ ბევრს არ დაუტოვებია, რაც მორიგ გართულებებს გამოიწვევს მომავალში და არა მარტო რუსეთთან, არამედ შეიძლება თავად ამ ჩეჩნურ დაჯგუფებებთანაც.

# როგორ შეიძლება განვითარდეს რუსული სამხედრო აგრესიის სცენარი?!

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პუტინმა 11 სექტემბერს თავის შეიარაღებულ ძალებს დაუსვა ამოცანა, საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდული საბრძოლო ოპერაციები დაგეგმეთო, უკვე გამოჩნდა რამდენიმე სცენარი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს რუსული აგრესია ჩვენს წინააღმდეგ.

ერთ-ერთი სცენარის მიხედვით, პანკისის ხეობაზე მასირებულ საჰაერო დარტყმას განახორციელებს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-4 საჰაერო არმიის (რომელშიც 15-მდე მოიერიშე, გამანადგურებელი და ბომბდამშენი პოლკია, თითოეულ საავიაციო პოლკში არანაკლებ 30 საბრძოლო თვითმფრინავია) საფრონტო ავიაცია და საარმიო ავიაციის საბრძოლო შვეულმფრენები. ამის შემდეგ ხეობაში გადასვამენ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის — СКВО-ს როსტოვის სპეცდანიშნულების ბრიგადის ტაქტიკურ დესანტს, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება რუსეთის გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოს — ГРУ-ს.

ამის პარალელურად, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რუსეთის მოტომსროლელი პოლკები დაიწყებენ მასირებულ სახმელეთო ოპერაციას, რათა ჩეჩნეთის სამხრეთ მთებს შეხიზნული ჩეჩენი პარტიზანები გადმოდევნონ საქართველოს საზღვარზე, ანუ ის, რასაც კრემლი პირიქით, ჩვენ გვაბრალებს. ამით მოსკოვს სურს, ჩეჩნეთის შეიარაღებული კონფლიქტის მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანა.

მეორე ეტაპზე განხორციელდება საბრძოლო მოქმედების რაიონის, ანუ მოსკოვის გათვლით, პანკისის ხეობის იზოლაცია, როგორც არტილერიის, ისე ტანკების გამოყენებით. თანაც რუსეთის გენერალიტეტს არ სურს ზედმეტი ხარჯების გაწევა — ისინი საქართველოში მხოლოდ ტანკების ეკიპაჟებსა და საარტილერიო გათვლებს გადმოისვრიან, ხოლო საბრძოლო ტექნიკას აიღებენ ახალქალაქის 62-ე და ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზებიდან (უეჭველია, ამაში რუსებს ხელს არც ახალქალაქის და არც ბათუმის ადგილობრივი ხელისუფლება არ შეუშლის).

მესამე ეტაპზე „ყოვლისშემძლე" რუსი გენერლები გეგმავენ პატარა ჩეჩნეთის ომის მოწყობას — პანკისის ხეობაში ჩაკეტილებს ნელნელა ამოჟუჟავენ სისტემატური საავიაციო და საარტილერიო დაბომბვებით.

რაც მთავარია, თურმე რუსეთის გენერალურ შტაბში იგეგმება მეოთხე და გადამწყვეტი ეტაპიც — ალყიდან თავდაღწეული ჩეჩნების დევნის საბაბით რუსული სამხედრო შენაერთები გადაინაცვლებენ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც და, ბოლოს და ბოლოს, წაუყენებენ ედუარდ შევარდნაძეს ულტიმატუმს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, შემდგომ არსებობაზე.

ეს ჩემი შეთხზული სცენარი ნამდვილად არ არის, ამას ავრცელებენ საკმაოდ სოლიდური რუსული არა მარტო საინფორმაციო საშუალებები, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებთან დაახლოებული პირებიც.

ერთმა რუსმა ანალიტიკოსმა, სტრატეგიისა და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრის დირექტორის მოადგილემ კონსტანტინ მაკიენკომ „ცოტა" შორსაც შეტოპა — ამ ოპერაციაში ყველაზე ეფექტური და იაფი საშუალება იქნებოდა ერთი კარგი სნაიპერული შაშხანა, რომლითაც პრეზიდენტ შევარდნაძის ლიკვიდაცია მოხდებოდაო.

შეიძლება პრეზიდენტ შევარდნაძის დიდი თაყვანისმცემელი არც სტატიის ავტორი იყოს, მაგრამ ის, რომ საქართველოს პრეზიდენტის ფიზიკურ განადგურებაზე ოცნებობს ვიღაც გადამთიელი — უკვე მეტისმეტია. რით არ არის ეს სახელმწიფოებრივი ტერორიზმის „საუკეთესო" გამოვლინება?!

*P.S. თუკი რუსეთის პრეზიდენტი მაინც წავა დამღუპველ ავანტიურაზე (მიუხედავად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის არცთუ ორაზროვანი გაფრთხილებისა), მაშინ მათ შეიარაღებული ჩეჩნებისგან თითქმის დაცლილ პანკისის ხეობაში (თუკი მანამდე რუსეთში ვერგადასულმა ჩეჩნებმა უკან დაბრუნება არ მოიწადინეს) პირდაპირ შეტაკება მოუწევთ საქართველოს შინაგანი ჯარების დანაყოფებთან, სპეცრაზმებთან და იქვე, ფიხოვანის საველე ბანაკში მდგარ თავდაცვის სამინისტროს ნაწილებთან. ეს რასაც ნიშნავს, თავად მკითხველმა განსაზღვროს.*

# რუსული ПВО სომხეთში პირველი გასროლის უფლებას იტოვებს

## საჰაერო შემოტევას მარტო ჩრდილოეთიდან კი არა, სამხრეთიდანაც უნდა ველოდოთ, — სომხეთში ხომ ძლიერი რუსული საავიაციო დაჯგუფებაა თავმოყრილი

რუსეთს სამხრეთ კავკასიაში თავისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის — სომხეთის ტერიტორიაზე შედარებით მცირე რაოდენობის სახმელეთო შეიარაღება აქვს, ვიდრე საქართველოში; სამაგიეროდ, იქ განაწილებულია მისი ძლიერი საჰაერო თავდაცვის სისტემის კომპონენტები.

სომხეთის და რუსეთის დაჯგუფების საჰაერო თავდაცვის სისტემები ერთობლივად იმართება სომხეთის შეიარაღებული ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სამეთაურო პუნქტიდან, თუმცა მოსკოვს თავისთვის დატოვებული აქვს მნიშვნელოვანი გამონაკლისი — საჭიროების შემთხვევაში სომხეთის საჰაერო თავდაცვის ხელმძღვანელებთან წინასწარ შეუთანხმებლად ცეცხლის გახსნის უფლება ეძლევა რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის — СКВО-ს (რომელსაც ოპერატიულად ექვემდებარება ГРВЗ-ც) სარდალს ან მის შემცვლელ პირს.

ეს, ერთი შეხედვით მცირე გამონაკლისი, სინამდვილეში უდიდეს უფლებას ანიჭებს სომხეთში თავმოყრილ რუსულ სამხედრო დაჯგუფებას, რაც ზოგჯერ სულაც არ უნდა შედიოდეს სომხეთის სახელმწიფო ინტერესებში.

რუსებს სომხეთში, გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზაში თავმოყრილი ჰყავთ სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის არც ისე ხელწამოსაკრავი საჰაერო თავდაცვის ძალა — 19-მდე МиГ-29 და ორადგილიანი МиГ-29УБ ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი (მათგან ათზე ცოტათი მეტი თუ არის ამჟამად საბრძოლო მზადყოფნაში), С-300В ტიპის მობილური საზენიტო-სარაკეტო სისტემის ერთი ბატარეა და საჯარისო საჰაერო თავდაცვის Куб-М3 ტიპის თვითმავალი საზენიტო-სარაკეტო დანადგარები.

დღესდღეობით ეს ყველაზე ძლიერი, საჯარისო საჰაერო თავდაცვის სისტემების დაჯგუფებაა სამხრეთ კავკასიაში და მათ თუ დავუმატებთ МиГ-29 გამანადგურებლებსა და სომხების С-125 სისტემის საზენიტო-სარაკეტო სისტემების დივიზიონებს, მაშინ ეფექტურობა მნიშვნელოვნად იზრდება.

შეიძლება გიუმრიში მდგარი რუსი და სომეხი მეზენიტეები ამას არ ამხელდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ მათი რადიოლოკატორების და რადიოელექტრონული დაზვერვის მთავარი „სამიზნე" საქართველო-სომხეთის საზღვრიდან სულ რაღაც ოციოდე კმ-ში მდებარე მარნეულის სამხედრო აეროდრომია, რომელიც ამასთანავე საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარ ბაზას წარმოადგენს.

ინტერესი მარნეულის აეროდრომის მიმართ მას შემდეგ გაათკეცდა, რაც ორიოდე წლის წინ იგი თურქებმა შეაკეთეს და მათმა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებმაც მოუხშირეს მარნეულში დაშვება.

შვიდივე ქართული საბრძოლო Су-25 მოიერიშე მარნეულის ბაზაზე დგას, რაც კარგად იციან არა მარტო მეზობელი ქვეყნების — სომხეთის და აზერბაიჯანის, არამედ რუსეთის სამხედრო დაზვერვაშიც. თქვენ წარმოიდგინეთ, 23 აგვისტოს მართლაც მარნეულიდან რომ აფრენილიყო ქართული მოიერიშე, როგორც ამას მოსკოვი გვაბრალებს, განა გიუმრიდან რადიოლოკატორებით ამას ვერ დააფიქსირებდნენ რუსი და სომეხი მეზენიტეები?

საჯარისო საჰაერო თავდაცვის საშუალებები, როგორიცაა თვითმავალი ЗСУ-23-4 Шилка-ები, Стрела-10-ები თუ Куб-ები, ახალქალაქისა და ბათუმის ბაზებშიც უნდა იყოს, მაგრამ მათ აღრიცხვიანობას, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ, ხელშეკრულება არ ითვალისწინებს, რადგან ეს სისტემები, იმავე ტანკების თუ ჯავშანმანქანებისგან განსხვავებით, თავდაცვის საშუალებებად არის აღიარებული.

არადა სერიოზული და ეფექტიანი საჰაერო თავდაცვის გარეშე ნებისმიერი არმია, თანამედროვე ომების პირობებში, განწირულია არა მარტო კონკრეტული ბრძოლის, არამედ მთლიანად ომის წასაგებად.



რუსულ-სომხური КУБ-ები საქართველოშიც „იჭყიტებიან"

## რუსი სამხედროების აღიარება

რუსულ გაზეთში, „Новая Газета“, გასულ კვირას დაიბეჭდა ინტერვიუ (მისი თარგმანი იხილეთ მე-14 გვ.-ზე) რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის ინკოგნიტო ოფიცრებთან.

ეს ოფიცრები, ფაქტობრივად, აღიარებენ სწორედ იმას, რის შესახებაც „კვირის პალიტრა“ ჯერ კიდევ ორი კვირის წინ წერდა — ვის და როგორ შეეძლო 23 აგვისტოს დაებომბა საქართველოს ტერიტორია. მთავარი აქცენტი სწორედ იმ Су-25Т ტიპის მოდერნიზებულ მოიერიშეებზეა გადატანილი, რომელნიც ჩვენ ვახსენეთ. ჩვეულებრივი Су-25-ისგან განსხვავებით, მათ ღამითაც შეეძლოთ მეტ-ნაკლებად ზუსტი საჰაერო დარტყმის განხორციელება ყოველგვარი მანათობელი ბომბების ჩამოუყრელად. როგორც „კვირის პალიტრა“ იუწყებოდა, 1993 წელს ჩვენ თვითონ გადავეცით რუსეთს 6 ასეთი მოდერნიზებული Су-25Т მოიერიშე, რომლებსაც მას შემდეგ ლიპეცკის საფრენოსნო-საგამოცდო ცენტრში ცდიდნენ და ჩეჩნეთის მეორე ომში ეპიზოდურად რთავდნენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ობიექტების (მაგალითად, 1999 წლის შემოდგომაზე, მასხადოვის სამგზავრო Ту-134-ის აეროდრომზე გასანადგურებლად, რათა ჩეჩნეთის პრეზიდენტი არსად გაქცეულიყო, ან შამილ ბასაევს ეს Ту ტროტილით არ დაეტვირთა და კრემლზე არ „დამჯდარიყო“), გასანადგურებლად.

საგულისხმოა, რომ მალალჩინოსანი რუსი სამხედროები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ერთ გარემოებას — „არც ერთ სერიოზულ სამხედრო ექსპერტს არ სჯერა ქართველი მფრინავის — ვეფხისტყაოსანი რუსტელი-რუსთაველის ლეგენდა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ყველა ქართველ პილოტს და ყველა მათგანზე გვაქვს დოსიე. მსგავსი გვარი არც მათ აქვთ, არც მათ ცოლებსა და ნათესავებს“.

ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის სპეცსამსახურები აგროვებენ ინფორმაციას ყველა იმ ქართველ ოფიცერზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად რამეს წარმოადგენენ და შეიძლება მომავალში დაემუქრონ რუსეთის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში.

## საფრთხე კარსაა მომდგარი, ქართველი სამხედროები კი ერთმანეთს ხოცავენ

— ახმეტის რაიონის ს. ფიჩხოვანში, იქ, სადაც თავდაცვის სამინისტროს ნაწილები საველე ბანაკში გადიან სამხედრო სწავლებას „კახეთი-2002“-ის ფარგლებში, 46 წლის ზემდეგმა ტარიელ ციკარიძემ, რომელსაც ავღანეთში სამსახურის გამოცდილება ჰქონდა, ხოლო საველე ბანაკში მზარეულის მოვალეობას ასრულებდა, ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე მოკლა სამხედრო მოსამსახურე.

— სასაზღვრო საგუშაგო „საბუეზე“, რომელიც საქართველო-დაღესტნის საზღვართან მდებარეობს, რიგითმა დიტო შაშიაშვილმა ავტომატით მოკლა უფროსი ლეიტენანტი რამაზ გამხარაშვილი და თანამოსამსახურე ბესარიონ ნერსესაშვილთან ერთად მიიმალა. გაქცეულებმა თან სამი ავტომატი გაიყოლეს.

— თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კოჯრის სასწავლო ცენტრში 20 წლის რიგითი მუმლაძე დაიღუპა. ვარაუდობენ, რომ იგი სოკოთი მოიწამლა.

— დააკავეს თბილისის ცენტრში მანდილოსნის გაძარცვისა და ცემის ფაქტებში ეჭვმიტანილი, 19 წლის რიგითი გურამ გასიევი, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოტოსამანევრო ჯგუფის რიგითია.

ეს მხოლოდ ის ნუსხაა, რაც გამოაშკარავდა, თორემ მთლიანად სამხედრო ძალებში ბოლო დღეებში კიდევ ბევრი, უფრო მცირე მასშტაბის დანაშაული მოხდა.

საერთოდ, რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, მკვლელობები არმიაში ყოველთვის და ყოველ ქვეყანაში ხდება და სამხედროებიც ყველგან იღუპებიან მშვიდობიანობის დროს.

მაგრამ მოუთმენელია, როდესაც ყოველივე ამას ელემენტარული უდისციპლინობა იწვევს. „დედოვშჩინა“, კუთხურობა, ჩაგვრა — ყველა ეს ტერმინი, სამწუხაროდ, ქართული არმიის სინონიმად იქცა, რასაც, ბუნებრივია, თავისი მიზეზებიც აქვს. დღევანდელი საზოგადოება ძალზე გულგრილად არის განწყობილი არმიის მიმართ და მეტად მარტივად მსჯელობს მის პრობლემებზე. არადა როგორიცაა ქვეყანა, არმიაც ისეთივე გვყავს. ჩვენდა სავალალოდ, დღევანდელ ქართულ არმიაში ქუჩური წესებია გამეფებული — ხშირად იმარჯვებს არა წესდება, არამედ ერთი ხროვა, რომელიც ყაზარმაში ახალმისული ჯარისკაცების „მოთვინიერებაზე“ — ანუ დაჩაგვრაზე „მუშაობს“.

ფაქტობრივად, ღამე ყაზარმა ეკუთვნის ამ ხროვას, რომელიც მგლებისას წააგავს. მასაც ჰყავს მეთაური და ერთად ეცემიან ახალ საკბილოს, თორემ ცალ-ცალკე ხანდახან კურდღლებს ემსგავსებიან. ასეთი „განწესი“ ზოგიერთ ოცეულის თუ ასეულის მეთაურსაც აძლევს ხელს. ზოგიერთი ასეულის მეთაურისთვის, რომლის ხელფასი 80-90 ლარია, სულერთია, რა მოხდება მის დაქვემდებარებაში მყოფ დანაყოფში ღამით, მთავარია, ისეთი რამ არ მოხდეს, რაც მის კარიერაზე ცუდად იმოქმედებს. ამიტომაც ურჩევნიათ, ღამით, ყაზარმაში, თავისი წესრიგი დაამყაროს „მგლების ხროვამ“.

მშიერი ჯარისკაცის თემა ყბადაღებულია, მაგრამ ხშირად ამ მართლაც რომ საჭირბოროტო თემას ისინი განიხილავენ, თუ წერენ, რომლებსაც ერთი ღამეც კი არ გაუთევიათ ყაზარმაში. მშიერი ჯარისკაცი ქართულ არმიას არ ეყოლება, თუკი ამა თუ იმ დანაყოფის (ოცეულის, ასეულის, ბატალიონის და ბრიგადის) მეთაური თავის დონეზე იდგება და ჯარისკაცების ხარჯზე გამდიდრებას არ მოინდომებს.

ჩვენ შეიძლება ერთ-ორ ნაწილში გამოვასწოროთ მდგომარეობა, რაც, ცხადია, საერთო სურათს ვერ შეცვლის... კარდინალური გამოსწორება მხოლოდ ერთ გარემოებას შეუძლია — ქართული სამხედრო ძალების მთლიანად კონტრაქტის საფუძველზე გადასვლას.

აბა, ვინმემ გაბედოს და ამერიკულ „წვრთნისა და აღჭურვის“ ფარგლებში მოსამზადებელ საველე ბანაკში მყოფ დაქირავებულ ჯარისკაცებს რამე დააკლოს ან ყაზარმაში სცადოს არასაწესდებო ურთიერთობების დამყარება. მაშინვე გარეთ გამოაპანღურებენ და იმ 380-420 ლარსაც დაკარგავს, რასაც ასე უფრთხილდება (თუმცა გასულ კვირას გავრცელდა კულუარული ცნობა — ამ კურსანტებს იაღლუჯაზე გაფუჭებული ხორცი აუტანესო. მაგრამ ეს ჯერჯერობით დასადგენია).

თუკი მოგვარდება არასაწესდებო ურთიერთობები სამხედრო დანაყოფებში და დისციპლინაც თავის ადგილზე იქნება, მაშინ თითქმის გამოირიცხება ისეთი ფაქტები, რითაც ეს სამწუხარო სტატია დავიწყეთ.

დღეს, როდესაც მეზობელი ქვეყანა სამხედრო აგრესიით გვემუქრება, ქართულ სამხედრო ძალებში, განსაკუთრებით კი პანკისის ხეობაში მდგარ შინაგან ჯარებში, ფიჩხოვანში დაბანაკებულ თავდაცვის სამინისტროს ნაწილებსა და „ცხელი საზღვრის“ გასწვრივ, საგუშაგოებზე განლაგებულ სასაზღვრო ჯარებში დისციპლინა უსათუოდ ერთი-ორად უნდა განმტკიცდეს და მტრის გასახარად ქართველმა ქართველი აღარ უნდა მოკლას.

არსენალი

# რუსული „კრაკადილებისა“ და „გრაჩების“ „მოსათვინიერებლად“ მათივე „ისრებსა“ და „ნემსებს“ გამოიყენებენ

### ყველაფერი — გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე

შესაძლებელია საქართველოს რუსული ავიაცია დაესხას თავს. ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება მთავარი კითხვა — როგორ მოვახერხოთ საჰაერო აგრესორების სათანადოდ დასჯა?

ბოლო სამი წელია, „კვირის პალიტრა“ გამუდმებით წერს იმ ხერხებსა და საშუალებებზე, რითაც შეიძლება დაუპატიჟებელი საჰაერო „სტუმრების“ მოგერიება (თუმცა, მარტო წერით რომ საქმეს, უფრო სწორად კი, საქართველოს საჰაერო თავდაცვას შველოდეს, ჩვენს




ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა).

ამჯერად ვეცდებით, მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ რუსულ გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე Стрела-2М, Стрела-3, Игла-1 და Игла-ზე და აი, რატომ: მიუხედავად იმისა, რომ საჯარისო საჰაერო თავდაცვის სისტემაში, გარდა Стрела-2М-ისა (სამწუხაროდ, არც ისე დიდი რაოდენობის), გაგვაჩნია საზენიტო-ტყვიამფრქვევები, ავტომატური ქვემეხები, მაინც ყველაზე ეფექტურ საზენიტო საშუალებად მიჩნეულია გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. თანაც მათი განლაგება მთის მწვერვალებზე ბევრად უფრო ადვილი და მოსახერხებელია, ვიდრე იქ ქვემეხების ათრევა.

შედარებისთვის განვიხილავდით ანალოგიური დანიშნულების ამერიკულ „სტინგერებს“, მაგრამ არა გვაქვს და კაცმა არ იცის, როდის გვაჩუქებენ ამერიკელები. მათი ყიდვა კი ძალიან ძვირი დაგვიჯდება. ისე, კი სჯობს, ბევრად იაფი რუსული Игла შევიძინოთ, რომელიც ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით, ნამდვილად არ ჩამოუვარდება ამერიკულ „თანამოძმეს“.

შევადაროთ ერთმანეთს „სტინგერისა“ და რუსული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების შესაძლებლობები. მათი დანიშნულება ერთი და იგივეა — მოტომსროლელი, სატანკო, საპარაშუტო-სადესანტო ნაწილებისა და ცალკეული მცირე ზომის სტაციონარული ობიექტების დაცვა დაბალ სიმაღლეზე მფრენი მოწინააღმდეგის ავიაციისგან.

ისინი მოქმედებენ ერთი პრინციპით — „გაისროლე და დაივიწყე“, ანუ როგორც კი თვითდამიზნების სითბური კვანძი გარემომცველ ფონზე მიზნის სითბურ კონტრასტს დააფიქსირებს, რაკეტა „ერთგული ძაღლივით“ აედევნება პოტენციურ მსხვერპლს. თითოეული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი შედგება გასაშვები მოწყობილობისა და საზენიტო რაკეტის კონტეინერისგან, რომლებიც ერთმანეთზე მაგრდება.

Стрела-2М-ს შეუძლია საჰაერო სამიზნეების ჩამოგდება 50-2.300 მ-ის დიაპაზონში და ისიც მაშინ, თუკი სამიზნის სიჩქარე შემხვედრ მიმართულებაზე 150 მ/წმ-ს არ აღემატება. ასეთ დროს სროლის მაქსიმალურმა სიშორემ შეიძლება 2,8 კმ-ს მიაღწიოს. თანამედროვე რეაქტიული ბომბდამშენების სიჩქარე 250 მ/წმ-ს აღწევს, ამიტომაც Стрела-2М მოწინააღმდეგის მიერ ობიექტის დაბომბვის შემდეგღა ახერხებს რეაგირებას. Стрела-2М-ს სხვანაირად „შურისძიების“ იარაღსაც უწოდებენ, რადგან უკვე გაფრენილ მოწინააღმდეგეს თუ დაადევნებს ხოლმე რაკეტას.

Стрела-3 მისი გაუმჯობესებული ვარიანტია, რომელშიც გამოყენებულია თვითდამიზნების სითბური კვანძის ფოტომიმღების გაცივების სისტემა, რაც აძლიერებს კონტრასტს მფრინავი სამიზნის მიერ გამოყოფილ ტემპერატურასთან მიმართებაში. მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები შემდეგია: მოქმედების სიმაღლე — 10-3.000 მ, მოქმედების სიშორე — 500-4.200 მ, მიზნის სიჩქარე — 260-310 მ/წმ, ხოლო თავად საზენიტო რაკეტის სიჩქარე კი 470 მ/წმ-ს აღწევს.

Стрела-ების უფრო გაუმჯობესებული ვარიანტებია: Игла-1 და Игла. Игла-1-ში პირველად იქნა გამოყენებული გასროლის ავტომატი, რომელიც ათავისუფლებდა მსროლელს გასროლის წინ საჭირო გამოთვლებისგან. ამასთან, Игла-1 ბრძოლისუნარიანი რჩებოდა შემთხვევითი დავარდნისა თუ წყალში ჩავარდნის შემდეგაც.

მას შეუძლია 320 მ/წმ (უკან მიდევნებით) — 400 მ/წმ (შემხვედრი კურსით) სიჩქარით მფრენი სამიზნეების ჩამოგდება (თავად საზენიტო რაკეტის სიჩქარე 570 მ/წმ-ს აღწევს) 10-3.500 მ სიმაღლეებზე და მაქსიმალური 5,2 კმ-ის დაშორებით.

რუსული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მწვერვალია Игла (თუმცა დღეისათვის მიმდინარეობს მისი გაუმჯობესებაც). მას უყენია სახელმწიფოებრივი კუთვნილობის გამომცნობი სისტემა „ჩემი-სხვისი“ (საკუთარი თვითმფრინავის აღმოჩენის შემთხვევაში ავტომატიკა ბლოკირებას უკეთებს რაკეტის სტარტს), საჰაერო სიტუაციის ამსახველი ელექტრონული პლანშეტი (რომელზეც მსროლელი ხედავს, თუ რომელი მხრიდან ემუქრება საჰაერო შეტევა), ნამდვილი სამიზნისა და სითბური „ხაფანგების“ სელექციის სისტემა (განასხვავებს თვითმფრინავის სითბურ სილუეტს სხვა კონტრასტული სამიზნეებისგან) და, რაც მთავარია, ორსპექტრალური სითბური დამიზნების კვანძი.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი Стрела-2М ადვილად ტყუვდებოდა სითბური „ხაფანგების“ გაშვებისას და მთავარ სამიზნეს კარგავდა, Игла ყოველივე ამისგან დაზღვეულია. იგი ამასთან არა უშუალოდ თვითმფრინავის რეაქტიული ძრავის საქშენში ფეთქდება (ბევრ პილოტს დასახიჩრებული თვითმფრინავი მაინც დაუსვამს აეროდრომზე), არამედ მოხვედრის ადგილად თვითმფრინავის კორპუსის შუა ნაწილს ირჩევს და საბრძოლო ქობინთან ერთად დეტონირდება თავად რაკეტის დარჩენილი საწვავით, რითაც იზრდება საფრენი აპარატის ჩამოგდების შესაძლებლობა.


მეზენიტე ისვრის Игла-ს

Игла-ს ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლები მთლიანად ემთხვევა Игла-1-ისას, ოღონდ როგორც აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელისგან Игла გამოირჩევა ორსპექტრალური დამიზნების სითბური კვანძით.

ზემოხსენებული ყველა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის წონა 15-17 კგ-ია. მათ 1,27 კგ მასის საბრძოლო ქობინი უყენია (Стрела-2М-ის საბრძოლო ქობინი იწონის 1,15 კგ-ს) და აფეთქება უშუალოდ სამიზნესთან კონტაქტის შედეგად ხდება. თუკი საზენიტო რაკეტა ასცდა სამიზნეს, მაშინ სტარტიდან 14-17 წმ-ში იგი თვითლიკვიდირდება.

ჩვენ შევეცადეთ, ერთგვარი წარმოდგენა შეგვექმნა მკითხველისთვის, თუ რას წარმოადგენენ ასე რეკლამირებული რუსული „ისრები“ თუ „ნემსები“ (მათ დაწვრილებით დასახასიათებლად „კვირის პალიტრის“ ერთი ნომერიც არ გვეყოფა).

დღევანდელი დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღები ვარიანტია, თუკი საქართველო-რუსეთის საზღვრის გაყოლებით (განსაკუთრებით კი ჩრდილო ოსეთ-ინგუშეთ-ჩეჩნეთ-დაღესტნის გასწვრივ) მდებარე რამდენიმე ათეულ მთის მწვერვალზე დადგებიან Игла-თი შეიარაღებული ქართველი მეზენიტეები. მათ აუცილებლად დასჭირდებათ წინასწარი ინფორმაცია 5 წთ-ით ადრე მაინც, თუ რომელი მხრიდან არის მოსალოდნელი საჰაერო შეტევა, მაგრამ ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლების შემყურე, დღესაც არ გვაქვს მობილური მცირეგაბარიტიანი რადიოლოკაციური სადგურები, რომელთა აუცილებლობაზე ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვწერდით. თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება ერთგვარი გამოსავლის პოვნა — სტავროპოლში, მოზდოკის სამხედრო აეროდრომის ახლოს (აქაური თვითმფრინავები ბომბავენ ძირითადად ქართულ ტერიტორიებს), შეიძლება ჩასაფრდეს რამდენიმე კაცი, რომლებიც როუმინგში ჩართული ჩვეულებრივი მობილური ტელეფონების ერთი ზარით, ვისაც საჭიროა, შეატყობინებენ, რომ სამხედრო აეროდრომიდან მოიერიშე თვითმფრინავები აფრინდნენ. შეიძლება რამდენჯერმე განგაში ცრუ გამოდგეს (ეს მოიერიშეები საჰაერო შეტევებს უშუალოდ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განახორციელებენ), მაგრამ ერთხელაც იქნება, სასურველ შედეგსაც მოგვიტანს. მათ მიერ გადმოცემული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაეგზავნება მთებზე განლაგებული პორტატიული რადიოსადგურებითა და Игла-თი აღჭურვილ ქართველ მეზენიტეებთან.

მაგრამ კვლავ რჩება ერთი პრობლემა — თითქმის ყველა ბოლო თავდასხმა რუსულმა ავიაციამ ღამით განახორციელა. Стрела-სა და Игла-ს ოპერატორები ღამის სიბნელეში კი ფაქტობრივად ვერ შეძლებენ არათუ საჰაერო სამიზნის აღმოჩენას, არამედ მის მიზანში ამოღებასაც. ერთგვარი გამოსავალი მაინც არის: უკვე




გამოშვებულია ღამის სპეციალური სამიზნე Маугли-2, რომელიც გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე მაგრდება და მსროლელს საშუალებას აძლევს, საჰაერო სამიზნე ვარსკვლავებით განათებულ ცაშიც აღმოაჩინოს და ჩამოაგდოს.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სად ვიშოვოთ Игла-ები? ჩვენ ხელთ არსებულ Стрела-2М-ები შეიძლება მხოლოდ დასაშინებლად გამოდგეს, მაგრამ სასწრაფოდ გვჭირდება უფრო ძლიერი Игла-ები. Игла-ს ერთი კომპლექტის ფასი (კომპლექტში შედის ერთ გასაშვები მოწყობილობა, ორი საზენიტო რაკეტა და ოთხი კვების წყარო) დაახლოებით 40 ათასი დოლარი ღირს, ანუ საქართველოსთვის სირცხვილის ერთხელ მაინც მოწმენდას სულ ერთი „მერსედესის“ საყიდელი თანხა თუ სჭირდება, მაგრამ რად გინდათ — დღევანდელი ხელისუფლებისთვის (საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი) უპირველესი საზრუნავი მაინც საკუთარი კეთილდღეობაა, თორემ ის თანხა, რაც ხელისუფლების მომსახურე ავტომობილების საყიდლად დაიხარჯა, თავისუფლად ეყოფოდა საქართველოს საჰაერო სივრცის სისტემის შექმნასა და ეფექტურად ამუშავებას.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## პანკისური „იდილია“ ორი-სამი ათეული წლის წინ დაიწყო

„Пьянство и драки казалось старикам полнозаконным явлением и никто не думал его заменить“.

Максим Горкий . „Мать“

აქედანვე უნდა განვაცხადო: ჯეროვნად ვაფასებ იმ ტაქტიკას, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებამ პანკისთან დაკავშირებით აირჩია და ამის გამო მისი წარმატებისაც მჯერა, თუმცა ვერ დავეთანხმები აზრს, თითქოს „პანკისური ვაკუუმის“ წარმოქმნა ამ ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების შემოსვლას ქრონოლოგიურად ემთხვევა. შინაგან საქმეთა ორგანოებში ჩემი მისვლის პირველივე დღეებიდან, ანუ 70-იანი წლების დამდეგიდან ამ ხეობაში ქართული სამართლებრივი ვაკუუმის პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა. და განა მარტო იქ — დღემდე ასეა, ვთქვათ, იორმუღანლოში, მუღანლოში, მხოლოდ ქართველებით დასახლებულ მესტიაში; მაგრამ უსამართლობა იქნებოდა ამის მიზეზები მხოლოდ სამართალდამცავ სტრუქტურებში გვეძებნა, ან თუნდაც ეთნიკური ნიშნით აგვეხსნა, მით უმეტეს, ამ ხეობაში ქისტებთან ერთად ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ქართველები და ოსები. თუმცა ნაწილობრივ ასეც იყო. აკი გამუდმებით გვიკიჟინებდნენ მოსკოვიდან, მეტი მიმტევებლობა გამოიჩინეთ ეროვნული უმცირესობების მიმართო — „სმელეე ვიდვიგაიტე კადრი იზ ნაციონალნიხ მენშინსტვ“ (ლ. ი. ბრეჟნევი, საქართველოს გასაბჭოების ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვიდან). თითქოს ვინმეს, ოდესმე, მეტი შემწყნარებლობა გამოეჩინოს ხიზნების მიმართ, ვიდრე ქართველებს. მანამდეც ლამის საკუთარი სინდისის ანაბარად მყოფი ხეობის მოსახლეობის — კანონის წინაშე პასუხისმგებლობა კიდევ უფრო შესუსტდა და იმასაც მოვესწარით, რომ ხეობაში პოლიციელი ვეღარ შედიოდა. თუ ზოგჯერ ვინმე ახმეტელი ან დუისელი გამბედავი პოლიციელი, ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით, ვითომ იქაური ნათესავების მონახულების საბაბით შევიდოდა, მის ხელმძღვანელობას (ხეობის გარეთ) გული უსკდებოდა, — გაშიფვრის შემთხვევაში პოლიციელს ან მოკლავდნენ, ან მძევლად აიყვანდნენ. ამიტომ ხეობაში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მხოლოდ უსუსურ მცდელობად უნდა ჩაითვალოს ამ ექვსი თუ შვიდი წლის წინ დუისში გახსნილი პოლიციის ქვეგანყოფილება, რომლის თანამშრომლების აბსოლუტურ უმრავლესობას ისევ დუისელები შეადგენდნენ. და მაინც უკვე იმდენად გაუცხოებული იყო იქაური მოსახლეობა პოლიციისფორმიანების მიმართ, რომ პანკისელებმა ერთ მშვენიერ დღეს დაარბიეს შენობა და აიძულეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ხეობის ქვემო წელში გადაეტანათ იგი. თუმცა ეს შედარებით ახალი ამბავია. მანამდე კი უკიდურეს შემთხვევებში, სამართალდამცველებს ხეობიდან ზოგიერთი ბოროტმოქმედის „გაქრობა“ უხდებოდათ (ანუ მკვლელებისა და ბანდიტების ქურდულად დაპატიმრება, ანუ მოტაცება ისე, რომ ხეობის მოსახლეობას არ გაეგო). მაგრამ ეს მეთოდი ყოველთვის როდი ამართლებდა და მხოლოდ ერთეულებს თუ იჭერდნენ. პანკისელები მათ დაჭერასაც აპროტესტებდნენ და ერთ მშვენიერ დღეს, როცა თავიანთ გვერდით ჩეჩნეთიდან ლტოლვილებთან ერთად გადმოსული კბილებამდე შეიარაღებული მებრძოლები დაიგულეს, კიდევ უფრო ამრეზით იყურებოდნენ აქეთ. ხალხი შეეჩვია, რომ დანაშაულზე პასუხს არავინ აგებდა, შეეჩვია, რომ აქვე, მეზობლად, ადამიანებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ; შეეჩვია გადამთიელ დამნაშავეებსაც, რომლებიც იარაღასხმულები თავხედურად „დასეირნობდნენ“ ხეობაში თუ მის გარეთ. დიახ, სოციალისტური რეალიზმის მამამთავრისა არ იყოს, ხალხი შეეჩვია ამ სისაძაგლეს და თითქოს აღარც აპირებდნენ სხვაგვარად ცხოვრებას, მასპინძლები ყოველგვარ გაჭირვებას უძლებდნენ, ოღონდ სტუმართათვის არ ეწყენინებინათ, მაგრამ...

ხეობაში დიდძალი ჰუმანიტარული დახმარება შედიოდა. მადლობა ღმერთს, არავინ დამშეულა, საჭმელიც იყო და სასმელიც, მაგრამ არ შედიოდა... შამფურზე აცმული მწვადი, არ შედიოდა მოხარშული ძროხის ბეჭი და კეცებშუა დაბრაწული დედალი... მანანის ბურღული კი, ღვთის მიერ გამოგზავნილი ეს ზეციური საკვები, რომელმაც თავის დროზე ებრაელი ერი უდაბნოში შიმშილით დახოცვას გადაარჩინა, მწვადების მაგივრობას ვერ სწევდა. არადა ჩეჩნები ოდითგანვე მესაქონლეები არიან და ხორცის გარეშე, ბუნებრივია, გაუჭირდებოდათ. ჰოდა, სტუმარმა ჩეჩნებმა მასპინძლების პირუტყვს დაადგეს თვალი. ჯერ ითხოვდნენ, მერე იპარავდნენ, მერე და მერე პატრონსაც აღარ ეკითხებოდნენ, ისე მიჰყავდათ ოჯახის მარჩენალი ძროხები და სხვა საქონელი. ჯერ ბოსლები დაცარიელდა, მერე ცხვრის ფარეხები და საქათმეები. ამას ისიც დაერთო, რომ ხეობაში საქმის გარჩევები დაიწყო, რასაც ხშირად სისხლიანი დასასრული ჰქონდა და ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნდა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ხალხი — დაიღალა და ხელისუფლებამ სწორედ ამ განწყობას დაამთხვია ხეობაში შინაგანი ჯარების შეყვანა.

# დავიჭიროთ შეიარაღებულ ხალხს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი...



ჩვენი ძებნილების უმრავლესობა მეზობელ სახელმწიფოში იმალება

***ყოველთვის ვერიდები გახმაურებულ თემებზე წერას. მით უმეტეს მაშინ, როცა ჩემი კოლეგები ამას შესანიშნავად აკეთებენ. მაგრამ ამჯერად ნავსი უნდა გავტეხო, რადგან მეჩვენება, რომ მასმედიაში გაშუქებულ ამ თემას მთავარი სათქმელი აკლია და ეს პრობლემის მიმართ ჟურნალისტების ზერელე დამოკიდებულების კი არა, მათი ინფორმატორების ბრალია. მე, როგორც ყოფილი სამართალდამცველი, შევეცდები ამ ხარვეზის გასწორებას.***

## რას პუტუნობს პუტინი და სად წავიდნენ ჩეჩენი ბოევიკები?

არავის დაუმალავს, რომ საქართველოს ხელისუფლება შინაგანი ჯარის შეყვანას აპირებდა ხეობაში. ის ბოევიკები კი რუსულ ჯარს რომ გაერიდნენ, თუნდაც დროებით, სულაც არ ისურვებდნენ ქართულ ჯართან შებმას და, ბუნებრივია, ხეობას დატოვებდნენ. ახლა რუსეთის პრეზიდენტი თავს იკლავს, გინდა თუ არა მითხარით, სად არიან, უნდა დავბომბოო (ცოტა ხნის წინ კი აცხადებდა: არც დამიბომბავს და არც ვაპირებო). საოცარია, თვითონ კბილებამდე შეიარაღებულმა რუსულმა არმიამ შვიდი წლის მანძილზე თავის ტერიტორიაზე ვერაფერი დააკლო ბოევიკებს და საქართველოსგან ითხოვენ ფორსირებულ იერიშს — ან უნდა გაანადგურონ, ან უნდა დააკავონ და გადასცენ რუს სამართალდამცველებს. მამაცხონებულები, თუ ასე იყვნენ გაწიწმატებულები, იქ არ ჰყავდათ ეს ბოევიკები, აქეთ რას უშვებდნენ? კი, მაგრამ თვითონ რუსებმა არ შემოგვისიეს ჩეჩნები აფხაზეთში? თუ შარი არ უნდოდათ, ომის დაწყებამდე რატომ არ გაამაგრეს საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი, რომელზეც ახლა ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება? ხომ იცოდნენ, რომ იმ ბილიკებზე, რომლითაც ლტოლვილები გადმოვიდნენ, არც ბოევიკებს გაუჭირდებოდათ გადმოსვლა?

ვესაუბრები შინაგან საქმეთა სამინისტროს ძებნის სამმართველოს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს, **გივი მღებრიშვილს**.

— **ბატონო გივი, გასაგებია, რომ პანკისის ოპერაცია ხეობაში წესრიგის აღდგენას, უპირველესად კი დამნაშავეთაგან მის გაწმენდას გულისხმობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გეგმის თანახმად, ოპერაცია ეტაპებადაა დაყოფილი და ბოროტმოქმედებზე მასირებული შეტევა აგვიანებს. რა ვიფიქროთ? თქვენ უკვე იქ დგახართ, მაგრამ თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ძნელი დასაჯერებელია, ბოევიკები ან დამნაშავენი ისხდნენ და გელოდებოდნენ, როდის მიადგებით დაპატიმრების ორდერით.**

— ჩეჩენ ბოევიკებს საქართველოს ბარში ჩასვლის სურვილი არასოდეს ჰქონიათ და იმედია, არც მომავალში გაუჩნდებათ. ხეობიდან გასასვლელები გამაგრებულია ბლოკპოსტებით, მაგრამ რელიეფის გამო თითქმის შეუძლებელია ყველა ბილიკის გაკონტროლება. რაც შეეხება ბოროტმოქმედებს, ბევრმა დატოვა ხეობა და ბარს მიაშურა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იქ უფრო იოლად დავიჭერთ. აკი სწორედ ამის გამო აფარებდნენ ისინი თავს პანკისს. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ხეობა მთლიანად გაიწმინდა. ჩვენ უკვე დავაკავეთ ზოგიერთები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ეს ღონისძიება მხოლოდ ბოევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული, უკეთეს შემთხვევაში კი მოსახლეობის აღწერის ჩასატარებლად. დაკავებულთა შორის ისეთებიც არიან, რომლებმაც განგვიცხადეს, — არ ვიცოდით თუ გვეძებდითო. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობების სისასტიკე და რაოდენობა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ან წასასვლელი არსად ჰქონდათ, ანდა არ სჯეროდათ, რომ ხეობაში ჯარის შესვლის შემთხვევაშიც კი ვინმე გაბედავდა მათ დაპატიმრებას. ასეთებს უეჭველად დავიჭერთ. დავიჭერთ შეიარაღებულ ხალხსაც, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, მათ შორის ბოევიკებსაც და შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში გადავცემთ რუსებს...

აუცილებლობის შემთხვევაში, ჩხრეკებსაც ჩავატარებთ და ასე ნელ-ნელა კალაპოტში ჩადგება ის ოპერატიული საქმიანობა, რომელიც უსათუოდ მოგვცემს შედეგს.

— **და ისევ ძებნილებთან დაკავშირებით.**

— საქართველოში 90-იან წლებში მიმდინარე ტერიტორიულმა და სამოქალაქო ომებმა, დამნაშავეთა დაუსჯელმა თარეშმა ერთბაშად გააათმაგა ძებნილთა რაოდენობა. ალბათ გახსოვთ, რომ 80-იანი წლების მიწურულს რესპუბლიკაში იძებნებოდა 700-900 კაცი, 1996-97 წლებში ეს ციფრი 7000-მდე ავიდა და ძალზე დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ 5000-მდე ჩამოვსულიყავით. ეს საქმე, ფაქტობრივად, მხოლოდ ინსპექტორების იმედად იყო, ახლა მასზე პასუხს აგებენ სამხარეო და რაიონული პოლიციის უფროსები. ახალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ძებნა პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა და მასზე მუდმივი კონტროლი დააწესა.

— **ბატონო გივი, იქნებ ძებნის გარკვეული ეპიზოდები შევთავაზოთ მკითხველს...**

— ჩვენი ძებნილების უმრავლესობა მეზობელ სახელმწიფოებში იმალება, — ძირითადად, რუსეთში, მოსკოვში ან შავიზღვისპირა ქვეყნებში: ბულგარეთში, რუმინეთში, საბერძნეთში. რუს კოლეგებთან ჩვენ ინფორმაციის გაცვლის საკმაოდ აწყობილი სისტემა გვქონდა, რაც შესანიშნავად მოქმედებდა ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ დაძაბულობამდე. საკმარისია ოდნავ შეიცვალოს ურთიერთობა უარესისკენ, რომ რამდენიც არ უნდა ვუკიჟინოთ რუსებს — თქვენთან ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ სახლში, ამა და ამ გვარით, ამა და ამ ნომრიანი პასპორტით კაცის მკვლელი იმალება-თქო, ყურსაც არ შეიბერტყავენ, არადა დამნაშავემ არ იცის გეოგრაფია, იგი იქაც დანაშაულს სჩადის. ვერ გამიგია, რატომ ხუჭავენ თვალს ასეთ ფაქტებზე? რა შუაშია პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათია? თუმცა არც ბულგარელი კოლეგები იკლავენ დიდად თავს. მართალია, აქ პოლიტიკური ფაქტორი არაფერ შუაშია, მაგრამ ფაქტია, გულგრილად ეკიდებიან ჩვენს თხოვნას ამა თუ იმ ძებნილის დაკავების შესახებ.

### ეპიზოდი პირველი

დიდხანს ვთხოვდით ჩვენს იქაურ კოლეგებს, დაეკავებინათ მკვლელობისათვის ძებნილი ბიძინა აროშიძე, რომელმაც გავლენის სფეროების გაყოფასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავის გამო სამი წლის წინ მოკლა ირაკლი ჩლაიძე და მძიმედ დაჭრა დავით ზადაგაძე. აროშიძე მხედრიონელი ყოჩი გახლდათ. ჯერ მოსკოვში იმალებოდა, შემდეგ ბულგარეთში გადასახლდა და იქ გასულ წელს თბილისში მოკლულ ბუბუტეიშვილთან ერთად ქათმის ბიზნესს აკონტროლებდა. ბოლოს და ბოლოს, დავადგინეთ, რომ ცხოვრობდა ქალაქ ვარნაში, დავით ასათიანის პასპორტით. ინტერპოლის საშუალებით იქაურ კოლეგებს პასპორტის ნომერიც კი ვაცნობეთ. ვიცით, რომ დააკავეს კიდეც, მაგრამ მალე გაათავისუფლეს და მანამ არაფერი იღონეს, ვიდრე ამ რამდენიმე დღის წინ იმ ბინის შესასვლელში არ მოკლა ვიღაცამ, რომელზეც ჩვენ ვუთითებდით.

### ეპიზოდი მეორე

1999 წლის 8 ნოემბერს მამა-შვილ არეშიძეებს გაძარცვის მიზნით, ბინაში თავს დაესხა შეიარაღებული ჯგუფი. არეშიძეები თავის დაცვას შეეცადნენ და ერთი თავდამსხმელი მოკლეს, მაგრამ თვითონაც დაიღუპნენ. განადგურდა ოჯახი. გავარკვიეთ, რომ თავდამსხმელთა ჯგუფში უნდა ყოფილიყო თბილისში ერთ-ერთი გამორჩეული ოჯახის შვილი გიორგი ჯანაშვილი, რომელიც მშობლების თავგადაკლული მეცადინეობის მიუხედავად, ქუჩამ ჩაითრია და ნარკოტიკებს მიეძალა. მერე თითქოს იმკურნალა კიდეც, მაგრამ ამაოდ. ამის გამო მეუღლეც გაშორდა და იგიც საბოლოოდ გადაბარგდა დამნაშავეთა სამყაროში. დავადგინეთ, რომ ისიც ბულგარეთში ცხოვრობდა არჩილ არსენიშვილის გვარით. ისევ ინტერპოლის დახმარებით მივაღწიეთ იმას, რომ იგი დააკავეს ბულგარელებმა. ჯანაშვილს დაკავებისას უყვირია — აქ ქურდობა მაქვს ჩადენილი და ქართველებს ნუ გადამცემთო.

— **ეს ხომ მათი სტილია, ურჩევნიათ შედარებით მსუბუქ დანაშაულისთვის აგონ პასუხი. სამაგიეროდ, ამით მძიმე სასჯელს აიცილებენ.**

— რა თქმა უნდა. მაგრამ ბულგარელებმა გადმოგვცეს პატიმარი, აქ კი მას უმძიმეს ბრალდებას წაუყენებენ.

### ეპიზოდი მესამე

გივი და მალხაზ შოთაშვილები — მეტსახელად „ჩიჟიკები“, მანქანის გატაცებისა და სხვა, შედარებით „წვრილმანი“ დანაშაულისათვის იძებნებოდნენ. ერთ-ერთი შემოვლისას მათ კუკიის სასაფლაოზე კარტის თამაშის დროს დაადგა თავს ჩუღურეთის პოლიციის ინსპექტორი ანთიძე. ძმებმა ავტომატით დაცხრილეს ახალგაზრდა ოფიცერი და კვლავ მიიმალნენ ჯერ რუსეთში, მოგვიანებით კი საქართველოში დაბრუნდნენ. გასაგები მიზეზის გამო უფლება არ მაქვს აღვწერო ყველა ის საშუალება და მეთოდი, რომელიც ამ ხალხის დასაკავებლად გამოვიყენეთ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, — ეს იყო არაადამიანური ძალისხმევის შედეგი და როგორც იქნა, დავადგინეთ, რომ მათი სამალავი აქვე, თბილისში, ვარკეთილის მასივის ერთ-ერთი სახლის მეხუთე სართულზე ყოფილა. ისიც ვიცოდით, რომ ბინაში იმ დროისთვის შვიდნი იყვნენ. სრული საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ ეს ერთი ბანდა იყო. საბედნიეროდ, ჩვენი ვარაუდი ამ მხრივ არ გამართლდა — თურმე დანარჩენები უბრალოდ მეზობლობდნენ მათთან და წარმოდგენაც არ ჰქონდათ მათი წარსულის შესახებ. დიდი სიფრთხილე გვმართებდა მათი აყვანის დროს. დიდ „ჩიჟიკას“ უთქვამს: რაკი სასჯელის უმაღლესი ზომა მელის, ცოცხალი არ ჩავბარდები პოლიციასო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოროტმოქმედები შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ. სტანდარტული მეთოდებით მათ აყვანას აუცილებლად მსხვერპლი მოჰყვებოდა. ოპერატიულმა ჯგუფმა სადარბაზოში, სარეცხის საშრობში დამალვა მოახერხა და კარის გაღებას დაელოდნენ. ის იყო, საკეტმა გაიჩხაკუნა და სახელურიც ჩამოსწიეს, რომ ჩვენებმა გაღება აღარ აცალეს და ბინაში შეცვივდნენ. „ჩიჟიკებმა“ მეორე ოთახში დააპირეს გავარდნა, სადაც როგორც გამოირკვა, საწოლებზე სასროლად გამზადებული ავტომატები ეწყოთ, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა წამსვე გაქაჩეს ორივენი. გარდა ავტომატებისა, იქვე აღმოვაჩინეთ მთელი არსენალიც. მანამდე კი ძმები გაიძახოდნენ, — ჩვენ ძებნილი შოთაშვილები კი არა, პატიოსანი ხალხი ვართ და რა უფლებით შემოგვეჭერით ბინაშიო.

### ეპიზოდი მეოთხე

გასულ წელს, იანვარში, ქუთაისის ციხეში რამდენიმე პატიმარმა მძევლად აიყვანა ციხის უფროსის მოადგილე და ამ უკანასკნელის მოკვლის მუქარით დაცვა აიძულეს, კარი გაეღო. ეს „ოპერაცია“ გარედან დაგეგმა ერთ-ერთი პატიმრის, ილია მიქელთაძის უმცროსმა ძმამ აკაკიმ. დანიშნულ დროს თვითონვე დახვდა მანქანით ციხის კართან და მიუხედავად იმისა, რომ ციხეში გამოცხადებული განგაშის გამო პოლიცია ფეხდაფეხ მისდევდა, მაინც მოახერხეს გაქცევა. მიქელთაძეებს მეტსახელად „თავლიები“ ერქვათ და აცხადებდნენ კიდეც — ჩვენ ისეთ საქმეებს „ვაკეთებთ“, მეტსახელი რომ გავამართლოთო და მართლაც ციხიდან გაქცეულმა ამ ჯგუფმა, რომელშიც მიქელთაძეებთან ერთად ზვიად სახამბერიძე, დავით ზარნაძე და ბექა ნემსაძეც შედიოდნენ, გაქცევიდან ორ დღეში თვრამეტი ყაჩაღობა ჩაიდინა. თავს ესხმოდნენ მანქანებს, ბენზინგასამართ სადგურებს, მაღაზიებს და ცალკეულ მოქალაქეებს. პანიკამ მოიცვა ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის მოსახლეობა. პოლიცია ფეხდაფეხ მისდევდა გაქცეულებს. მისწვდნენ კიდეც, მაგრამ ძებნილები დაუნდობლად ისროდნენ. რამდენიმე უძილო ღამის შემდეგ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ძებნილ ყაჩაღთა ხუთკაციანი ჯგუფი სამტრედიაში, ერთ-ერთ ბინაში იმალებოდა. გამთენიისას შემოვარტყით ალყა. ორი პოლიციელი დაგვიჭრეს, ორი იმათი ჩვენც შემოგვაკვდა, მაგრამ... თურმე სულ სხვა ჯგუფს გადავყრივართ.

ციხიდან გაქცეულები კი თარეშს განაგრძობდნენ. ამასთან, ყველა ნარკომანი იყო, „წამალზე ისხდნენ“, ფულიც მეტი სჭირდებოდათ. მალე თერჯოლაში დააკავეს ზვიად სახამბერიძე. ცოტა ხანში მიქელთაძეების კვალსაც მივაგენით. როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაგვნებდნენ. დაიჭრა სამტრედიის პოლიციის უფროსის მოადგილე და ერთი ინსპექტორი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ავიყვანეთ.

რჩებოდნენ დავით ზარნაძე და ბექა ნემსაძე. ორივე ნარკომანობისთვის იყო ადრე დაკავებული. სასამართლოს ელოდებოდნენ. 20 წლის ბექამ ციხეში, სადაც „სტაჟიანი“ ქურდიც ბევრი იჯდა, იმხელა „ავტორიტეტი“ მოიპოვა, პატიმრები მას ანდობდნენ ციხის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის გარკვევას. მასვე ჩააბარეს „ობშჩიაკიც“ (გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის პატიმრების მიერ შეგროვილი ფული — ვ.გ.). თითქოს არ უნდა გაქცეულიყო ციხიდან, ვიდრე თავის „მოვალეობას“ ვინმეს არ გადააბარებდა. საქმეც გაურჩიეს, მაგრამ „შემხვედრი მუხლი“ მოიშველია ქურდების დაუწერელი კანონიდან, რომელიც ამბობს, რომ თუ ციხის კარი ღიაა, ქურდი აუცილებლად უნდა გაიქცეს. ბექა ნემსაძე, როცა მოსკოვში იმალებოდა, ქურდადაც აკურთხეს. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის, მოსკოვშივე, ჩვენი წარმომადგენლობის მეშვეობით აგვეყვანა. ორიოდ დღეში კი ზარნაძეც დავაკავეთ.

***ვაჟა გავაშელი***

# გაზეთ „კვირის პალიტრის“ სარედაქციო კოლეგიას

***რედაქციას დაუკავშირდა პატიმარი ირაკლი კერესელიძე და „კვირის პალიტრის“ №36-ში გამოქვეყნებულ პეტრე გელბახიანის ინტერვიუსთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ითხოვა. ობიექტურობის პრინციპებიდან გამომდინარე, რედაქცია აქვეყნებს ირაკლი კერესელიძის ღია წერილს.***

პატივცემულო რედკოლეგიის წევრებო! რომ არა განსაკუთრებული აუცილებლობა, ვგონებ, არც კალამს ავიღებდი ხელში და არც თქვენს



ყურადღებას მოვითხოვდი, მაგრამ სადღეისოდ, ვალდებული ვარ ამ წერილით ვუპასუხო ერთ თქვენს რესპონდენტს.

„კვირის პალიტრის“ 9-15 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩემი პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადებები, რომელთა ავტორიც ახლახან გათავისუფლებული პეტრე გელბახიანია.

მინდა მჯეროდეს, რომ „კვირის პალიტრამ“ ჩემი პატიმრობის გამო აღნიშნული პუბლიკაციების გამოქვეყნებისას ვერ მოახერხა ჩემი მოსაზრებების დაფიქსირებაც, რაც მეტ ობიექტურობას შემატებდა ზემოხსენებულ სტატიას. ვითვალისწინებ, რომ ჩემი პატიმრობის გამო რთულია ჩემთან შეხვედრა და ინტერვიუს აღება, ამიტომ გთხოვთ, ობიექტურობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩემი ღია წერილი გამოქვეყნდეს თქვენს გაზეთში.

ზემოხსენებულ 9-15 სექტემბრის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ტერორიზმსა და ბავშვის მოკვდინებაში დადანაშაულებულმა, მსჯავრდებულმა პეტრე გელბახიანმა — მასა და ირაკლი დოკვაძეს შორის დაპირისპირება ჩემი მიზეზით ახსნა და მე ხალხის დამხერხავი, ცილისმწამებელი და „ორგანიზმი“ მიწოდა.

გულდასაწყვეტია, რომ პეტრე გელბახიანმა საკმაოდ უტაქტო და, ჩემი აზრით, უზნეო ნაბიჯი გადადგა, როდესაც ამ სახის კომენტარები გააკეთა. თუმცა მე მაინც არ ვუპასუხებდი მას, რომ არა ერთი გარემოება — იგი ცრუობს და ამ სიცრუეს კონკრეტული მიზანი აქვს, ჩემი ფაქტორი აქ მხოლოდ მეორადია. გელბახიანის იმ მტკიცებების გასაბათილებლად, რომლის მიხედვითაც, თითქოს იგი მე პიროვნებასაც ვერ მიწოდებდა და ორგანიზმად მთვლიდა, მოიცილე ეს კაციო, დოკვაძეს ურჩევდა, ხოლო ირაკლი დოკვაძე მას ჯიუტად არ უჯერებდა — ის ფოტოილუსტრაციებიც მეყოფა, რომელსაც ამ წერილს ვურთავ. პირველ ფოტოზე მე და პეტრე გელბახიანი სუფრაზე ვართ რადიკალ ზვიადისტებთან ერთად (მანანა გამსახურდიას ფრთაა). მეორე ფოტოზე, პეტრე ჩემთან სტუმრადაა მოსული, ხოლო მესამეზე — მე, პეტრეს და ირაკლი დოკვაძეს იმ ოთახში გადაგვიღეს, რომელიც სამივემ ერთად ზონაში ჩვენი ხელით გავარემონტეთ.

ჩემი და პეტრე გელბახიანის ნაცნობობა 1995 წლის სექტემბერში დაიწყო და წლების განმავლობაში მყარ მეგობრობაში გადაიზარდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჯეროდა. მე, პეტრე გელბახიანი და ირაკლი დოკვაძე წელიწად-ნახევარზე მეტხანს ერთად ველოდით დახვრეტის აღსრულებას სიკვდილმისჯილთა კორპუსში. 1999 წლიდან 2001 წლის 29 მარტამდე, ჯერ ე.წ. კრიტში, მერე კი ავჭალის კოლონიაში ერთ ოთახში ვცხოვრობდით და პატიმრების ენაზე ოჯახის წევრები გვერქვა. გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული სტატიებისა და „60 წუთის“ ეთერში გასვლის მერე პეტრე გელბახიანი ცალკე გადავიდა ჩვენი საერთო ოთახიდან და მისივე სურვილით, ჩვენ შორის ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა.



მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ გელბახიანი მრავალჯერ ეცადა ავჭალის კოლონიაში ჩემი ყოველდღიურობა აუტანლად ექცია და მის მიერ დაფინანსებულ ე. წ. „ტორპედოებთან“ ერთად მრავალი ბოროტებაც გამიკეთა, მას მაინც ხელი მოეცარა ჩემთან ბრძოლაში. რომ არა ა/წ 29 მარტს მოწყობილი პროვოკაცია, რომლის შედეგადაც გაქცევის მცდელობა დამაბრალეს და №5 საპყრობილეში გადმომიყვანეს, რაშიც ჩემი ღრმა რწმენით გელბახიანის ხელიც ურევია — ჩვენ შორის ალბათ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეოდა ყველაფერი. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ციხიდან გასული კაცის მიერ ციხეში დარჩენილ კაცის საზოგადოდ ლანძღვა მხოლოდ სულმდაბალი არსების ხვედრია, მაინც არ მსურს პეტრე გელბახიანს ის სიკეთე დავუკარგო, რაც მას ჩემთვის გაუკეთებია. წლების განმავლობაში მისი ოჯახის მოტანილ საჭმელს ვჭამდი, ისევე, როგორც იგი ჩემი ოჯახისას და, მისი მობილურით ვეკონტაქტებოდი ჩემებს. როდესაც 1999 წელს ინგლისური ენის საფუძვლიანად შესწავლა გადავწყვიტე, რჩევა არ დაუყვედრებია და მისმა დამ თამრიკო გელბახიანმა ინგლისური გრამატიკის სახელმძღვანელო მაჩუქა. როცა სისხლის გადასხმები დამჭირდა, არც მაშინ დამზარდა და ექიმის ვალი ჩემ წინაშე პირნათლად მოიხადა. იმაზე, თუ როგორი მეგობარი ვიყავი მისთვის, სჯობს მისი ოჯახის წევრებმა ან ჩვენმა საერთო მეგობრებმა ირაკლი დოკვაძემ და პაატა გულიკაშვილმა ილაპარაკონ.

თავიდან ჩემთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ ჩეხდა ლოთი ქობალია პეტრე გელბახიანს დანით 1998 წლის ზაფხულში და რატომ გაიმეტა ზვიადისტმა ზვიადისტი სასიკვდილოდ, თუმცა, დროთა განმავლობაში, ბევრი რამ გავაცნობიერე და ვგონებ, რასაც ახლა მოგითხრობთ, მკითხველისთვისაც ბევრი რამ ნათელი გახდება.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების შემდეგ პეტრე გელბახიანმა გადაწყვიტა, ზვიად გამსახურდიას ქვრივის ფავორიტი გამხდარიყო. მან დედამისს, ქ-ნ ნუცა ტატიშვილს მიზანი დაუსახა და ტელეფონით ასეთი ფრაზაც უთხრა: — იცოდე, მანანაზე უკეთესი მეგობარი შენ არ გყავს და დღის უმეტესი ნაწილი მასთან უნდა გაატაროო. ალბათ ყველაფერი კარგადაც იქნებოდა პეტრესათვის, რამეთუ ჩვენს მობილურზე „კრიტში“ გიორგი და ცოტნე გამსახურდიებიც ხშირად ურეკავდნენ, მაგრამ მანანა გამსახურდიამ წიგნი გამოსცა (რუსულ ენაზე), რომელშიც პეტრე გელბახიანის ბაბუას, ასევე პეტრე გელბახიანს (იმას, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი იყო და მერე ციხეში ჩასვეს), მექრთამე უწოდა და ეს ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გელბახიანების კლანს ზურგი ექცია ეროვნული მოძრაობისათვის. რაღა თქმა უნდა, რეალური მიზეზის აფიშირება გელბახიანებს არ სურდათ, ამიტომ დაიწყეს ათასგვარი მიზეზების მომიზეზება. ამის ფონზე რადიკალი ზვიადისტი ირაკლი დოკვაძე პეტრე გელბახიანისა და მისი ოჯახისათვის, — მიუღებელი გახდა. მმართველი რეჟიმისა და შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საჯარო განცხადებებს, რომელსაც ირაკლი დოკვაძე პრესის საშუალებით ავრცელებდა — პეტრე გელბახიანი თითქმის არასოდეს აწერდა ხელს. ხელისუფლებისადმი ლოიალურობისათვის პეტრე ციხის შიგნით მნიშვნელოვანი „ლგოტებითაც“ სარგებლობდა და ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ ავჭალის კოლონიაში ფირმა GTS-ში შეძენილი და უშიშროებაში საკუთარი მეუღლისა და დედის გვარზე გაფორმებული „მოტოროლას“ G 10600 ტიპის რაციითაც დააბიჯებდა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ფირმა GTS-ში მოიძიონ, ვისზეა გაფორმებული 61 და 62 რადიო-გადასატანი სადგურები და ხომ არ არიან ეს პირები ქ-ნი ნუცა ტატიშვილი და ქ-ნი ლელა გიორგობიანი, პეტრე გელბახიანის დედა და მეუღლე.

რამდენადაც პეტრე გელბახიანის „ლგოტები“ ყოვლის მომცველი ხდებოდა, რაც ალკოჰოლისა და ნარკოტიკის განუსაზღვრელ ოდენობასაც გულისხმობდა, იმდენად დისკომფორტული იყო პეტრესათვის ირაკლი დოკვაძესთან ერთად (ერთ ოთახში) ცხოვრება. იმის გათვალისწინებით კი, რომ ვალერი ასათიანი გელბახიანების ოჯახის ახლობელი გახლდათ და მე მის დანაშაულზე საჯარო განცხადება გავაკეთე — პეტრე გელბახიანმა ამით ისარგებლა და ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სცადა. ჩვენი ოთახიდან გასვლით და ჩემთან დაპირისპირებით, პეტრემ ქულა დაიწერა ასათიანთან, რომელიც ყოველთვის შევარდნაძის ორბიტაში მოიაზრება და ამავდროულად, დაშორდა დოკვაძესაც. ხოლო შემდგომ უფრო აქტიურ კავშირებზე გავიდა მმართველ რეჟიმთან. რომ არა ირაკლი დოკვაძის პრინციპული პოზიცია, პეტრე გელბახიანი ბევრად ადრე დატოვებდა ციხის კედლებს პრეზიდენტის შეწყალების გზით. ის რომ პეტრე გელბახიანსა და ირაკლი დოკვაძეს შორის კონფლიქტის მიზეზი მე, ირაკლი კერესელიძე არა ვარ, იმითაც ნათლად გამოჩნდა, რომ ა/წ 29 მარტს ჩემი №5 საპყრობილეში გადმოყვანის შემდეგ პეტრემ და ირაკლიმ ერთად ცხოვრება კი არ განაგრძეს, არამედ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს (წმინდა გეოგრაფიული გაგებითაც კი, რამეთუ პეტრე ავჭალის კოლონიიდან ე.წ. რეს-ბალნიცაზე გადავიდა, რათა თუ პირობით ვადამდე ადრე არ გაათავისუფლებდნენ, ჯანმრთელობის გაუარესების მომიზეზებით, ე.წ. აქტიროვკით გასულიყო ციხიდან).

დიდხანს ვფიქრობდი, დამერთო თუ არა წარმოდგენილი სამი სურათისათვის კიდევ ორი ფოტოც, რაც პეტრე გელბახიანის ამორალური ცხოვრების წესის 100%-იანი მტკიცებულება იქნებოდა, მაგრამ ვინაიდან ეს ფოტოები მესამე პირის (ქალბატონის) ოჯახის ინტერესებსაც ლახავს, თავი შევიკავე ამ ქმედებისაგან. ამთავითვე მინდა ვურჩიო პეტრე გელბახიანს, რომ თავისი არაკაცური ქმედებებით და განცხადებებით ნუ მაიძულებს ამ ფოტოების გამოქვეყნებას, თორემ იმ საპირფარეშოში შეძვრომაც ველარ უშველის, სადაც ის ერთხელ უკვე იმალებოდა.

აგრეთვე ვურჩევ პეტრე გელბახიანს თავისი



ცოდვილი სულის გადარჩენაზე იფიქროს და ჩემი სახელი საერთოდ დაივიწყოს. ნუ ჰგონია მას, რომ რაკი ოცდარვაწლიანი პატიმრობა მემუქრება და ციხეში ვარ, ამიტომ ჩემი სახით დაბალი ღობე იპოვა და შეუძლია უკადრებელი იკადროს. საერთოდაც აჯობებს თავის თავში ჩაიხედოს, მერე გარშემო მიმოიხედოს და მიხვდეს მისახვედრს.

***პატივისცემით „კვირის პალიტრის“ მკითხველისადმი, პოლიტიკური პატიმარი ი. კერესელიძე***

***12/IX/02. ქ. თბილისი, №5 საპყრობილე***

(იბეჭდება მცირე შემოკლებით. სტილი დაცულია — რედ.)

# უპატრონოდ დარჩენილ სახლ-მუზეუმებს ეშმაკები ეპატრონებიან...

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

მეორე დღეს წალენჯიხის რაიონისკენ ავიღე გეზი, სადაც ტერენტი გრანელის, ლეო ქიაჩელის და ნიკოლოზ შენგელაიას სახლ-მუზეუმები მეგულებოდა. წალენჯიხის კულტურის განყოფილების გამგემ ქალბატონმა **გოგოლა მესხიამ** მითხრა: — ცნობილი მოვლენების დროს, მხედრიონელებმა სოფელ ობუჯში ნიკოლოზ შენგელაიას სახლ-მუზეუმი დაწვეს. ლეო ქიაჩელის წიგნების დაწვასაც აპირებდნენ, მაგრამ ბიბლიოთეკაში შევვარდი და ფანჯრიდან დავუძახე, თუ ცეცხლს წაუკიდებთ, მეც ამ წიგნებთან ერთად დავიფერფლები-მეთქი. ასე გადავარჩინე ლეოს წიგნები დაწვას. რაც შეეხება სახლ-მუზეუმების აღდგენას, ყოფილი გამგებელი ჩემს ქმართან იყო დაპირისპირებული და როცა აღსადგენ თანხას ვთხოვდი, ჯავრს ჩემი თხოვნის უგულებელყოფით იყრიდა. მხოლოდ ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმის შენარჩუნება შევძელი, თუმცა ისიც არაერთხელ გაძარცვეს, მაგრამ ყველა ნივთის დაბრუნება მოვახერხე.

— **თუ ასეა, მაშინ წავიდეთ ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმში და შევამოწმოთ ექსპონატები.**

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ მუზეუმის დირექტორი თბილისშია ქალიშვილთან, თანაც შვებულებაშია.

— **მაშინ შვებულების ბრძანება მაჩვენეთ.**

— ახლა გამგეობის ბუღალტერიაში არავინ არის. გამგეობის მდივანიც შეუძლოდ გახლავთ.

— **იქნებ სახლ-მუზეუმის დირექტორს გასაღები აქვს სახლში დატოვებული.**

— რადგან არ იშლით, წავიდეთ და მოვძებნოთ.

მუზეუმის გასაღები დირექტორის სახლში არ აღმოჩნდა. მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი და ქალბატონ გოგოლას დაჟინებით ვთხოვდი გასაღების პოვნას (ცაიშის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე). სასწაული მართლაც მოხდა და მეგრულად გადაჩურჩულება-გადმოჩურჩულების შემდეგ, სახლ-მუზეუმის მცველის შვილმა გასაღები მოგვირბენინა. სახლ-მუზეუმი კაპიტალურ ორსართულიან შენობაშია განთავსებული. პირველი სართული თითქმის ცარიელია. ექსპონატები მეორე სართულზეა განლაგებული, რომელიც ძირითადად ფოტოარქივის, ტერენტი გრანელის (კვირკველია) ხელნაწერების ასლების და რამდენიმე პირადი ნივთისაგან შედგება. საინვენტარო წიგნი მუზეუმში ამაოდ ვეძებეთ. ვერც ცეცხლგამძლე სეიფი აღმოვაჩინეთ სადმე, არადა სამუზეუმო დებულებით სეიფი აუცილებელი ატრიბუტია მუზეუმებისა, იქ უნდა ინახებოდეს ყველა დოკუმენტი. ამიტომ ვერ მოხერხდა ექსპონატების გადამოწმება. ბოლოს პოეტის წიგნები მოვიკითხე. კულტურის განყოფილების გამგისგან ასეთი პასუხი მივიღე: „გრანელის წიგნებს მუზეუმის დირექტორი ალბათ სხვაგან ინახავს(?!). იმიტომ, რომ მთვრალები პირველი სართულის ფანჯრებს ამტვრევენ და ვინმე ფანჯრიდან რომ გადაძვრეს, მუზეუმს გაძარცვავს.“

პირველი სართულის სიცარიელე იმთავითვე საეჭვოდ მომეჩვენა და მიზეზი ვიკითხე. პირველი სართული დირექტორს სასტუმროდ აქვს გადაქცეული და იქ წალენჯიხის სტუმრები ათევენ ღამეს ქალებთან ერთადო, მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი ჩემმა წალენჯიხელმა ინფორმატორმა.

წალენჯიხიდან მომავალს პოეტის სიტყვები ამეკვიატა: „ეს ღამე გაჩნდა როგორც წერტილი, / ფრთიან ოცნების თეთრი ნავები, / მე წამოვედი გულდაწყვეტილი, / და ვიცი ეხლა შენც გენანები.“

*P.S. ხალხნო, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, რას ვაკეთებთ. ვინ გვაპატიებს კონსტანტინე გამსახურდიას, იონა მეუნარგიას, ტერენტი გრანელისა და ერის სხვა საამაყო შვილების ხსოვნის შეურაცხყოფას. ასეთი დამოკიდებულებით ხომ მომავალ თაობებს, ჩვენს შვილებს წინაპრების მიმართ უდიერ დამოკიდებულობას ვასწავლით, რაც ჩვენვე მწარედ დაგვიბრუნდება.*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი მონიტორით 375-დან
COMPUS
კომპუსი
ტელ: 939-103
250-255
ალ. ყაზბეგის 24ა
• სრული ტექნიკური სერვისი და პროგრამული მხარდაჭერა (ქსელები, ინტერნეტი და სხვ.)
• გარანტია 3 წლამდე
• პრინტერები 65-დან

მოსკოვი
ბანკი ქართუ
ექსპრეს გადარიცხვები
უსწრაფესი ფულადი გზავნილები რუსეთსა და საქართველოს შორის ფიზიკური პირებისთვის!
დრო — 5 წუთი
ღირებულება — თანხის 2%
ვალუტა — აშშ დოლარი
ფილიალები და სერვის-ცენტრები
თბილისში: ჭავჭავაძის გამზირი №39ა (სათარ ბანკი), ტელ: 25-14-50 ინგოროყვას ქ. №8, ტელ: 93-89-23, ირ. აბაშიძის ქ. 24, ტელ: 25-06-13, მელიქიშვილის ქ. 1 (ფილარმონიასთან), ტელ: 98-34-11, ცაბაძის ქ. 8, ტელ: 93-58-77, თელავის ქ. 20 (შერატონ-მეტეხი პალასი), ტელ: 77-85-37,
რუსთავის ფილიალი: მესხიშვილის ქ. 1ა, 824 15-05-90,
ფოთის ფილიალი: აღმაშენებლის ქ. 57, 829 32-22-04,
ქუთაისის ფილიალი: ფალიაშვილის ქ. 4 823 14-11-45
თბილისი

# თურმე, რა ატირებდა თეო ბებოს...

მე არ ვიცოდი, თეო ბებოს შვილები თუ ჰყავდა. როცა გარდაიცვალა, თქვეს, რომ 107 წლისა ყოფილა, მე კი რატომ სამასის არ მეგონა... რაც თავი მახსოვს, სულ ასეთი იყო: ძაძებში გახვეული, თეთრი სპეტაკი თმით და ნაოჭებად დალარული სახით, უჩვეულოდ შავი, ციმციმა თვალებით, რომელთაგან ყოველ წუთს შეიძლებოდა ცრემლი გადმოღვრილიყო!...

მე არ ვიცოდი, რა ატირებდა თეო ბებოს და შინაურებს გულს ვუწვრილებდი: — რატომ ტირის, იქნებ რაიმე სტკივა-მეთქი?!...

ჩვენს სახლში კი პურიც არ გამოცხვებოდა, ბებიაჩემს სათუთად რომ არ შეეხვია ტილოში: — წაიღე, თეოს მოუკითხეო...

ჟრიამულით შევცვივდებოდით მოხუცის ეზოში მე და ჩემი ბიძაშვილები და გამოგვეგებებოდა ნაცნობი სილუეტი: ღიმილით ბაგეზე და ცრემლებით თვალში: — მოხვედით, თეოს სიხარულებო და სიცოცხლეებოო!... ძღვენს ჩამოგვართმევდა და კალთიდან ხან ლოყაწითელ ვაშლს დააძვრენდა, ხანაც თხილს და კაკალს: — თქვენთვის ვინახავდიო!... ჩვენ კი შევუჩნდებოდით: „ზღაპარი გვიამბე, თეო ბებო, ჯადო-ზღაპარი, ეგ ყველაფერს გვირჩევნია!“...

— ამ დილაადრიან რა დროს ზღაპარია, საღამოს მოცუნცულდითო! — გვეტყოდა და კარგა ხანს შევცქეროდით ზეცას, იმის იმედით, რომ ზაფხულის მზე სულ ცოტათი მაინც აუჩქარებდა დაზანტებულ მოძრაობას. დაღამებას კი არა და არ ადგებოდა საშველი თითქოს, მაგრამ... ბოლოს მაინც მოვიდოდა საღამო, მერე კი ნანატრი ღამეც და თეო ბებოს მიწურში ჩიტებივით შემოვუსხდებოდით მოხუცს, რომელსაც უცნაური სურნელი ასდიოდა ხელებზე, კაბაზეც: სურნელი მოთიბული ბალახის თუ კიდევ რაღაც იდუმალებით განზავებული არომატი, მაგიურად რომ მოქმედებდა ჩვენზე და მშვიდი ძილისთვის განგვაწყობდა...

— აბა, დღეს რომელი გიამბოთ, ოქროსქოჩრიანებო?! — თავზე გახევებულ ხელს დაგვისვამდა, ძალიან უყვარდა ჩემი და ჩემი ბიძაშვილების მწითური კულულები...

— დედაშვილობისა, თეო ბებო, დედაშვილობისა!...

უცნაურად ამოიოხრებდა, თვალთაგან ცრემლი გადმოუგორდებოდა და გაბზარული ხმით დაიწყებდა: „კარგით, იყოს დედაშვილობისა... იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ჯადოსნური ქვეყანა საქართველო, სადაც საოცარი სილამაზის ქალები და ვაჟები იბადებოდნენ. მტერს შურით გული უსკდებოდა და მოყვარე სულ მრავალჟამიერს მღეროდა. საქართველოში ქალაქებიც იყო და სოფლებიც — ჰოდა, ერთ სოფელში მზეჭაბუკი ვაჟიკა ცხოვრობდა, დედ-მამის პატივისმცემელი და დამფასებელი. დედმამა სიგიჟემდე უყვარდა ვაჟიკას, მაგრამ რომ გაიზარდა, უცნაური რამ დაემართა — მეზობელ სოფელში სტუმრად ყოფნისას შემთხვევით ნანახი მზეთუნახავი თეონა შეუყვარდა. კარგა ხანს რცხვენოდა გამხელა, რომ თეონა დედ-მამაზე და მთელ ქვეყანაზე მეტად უყვარდა. მალავდა ამ სიყვარულს, მაგრამ ბოლოს, მაინც გაუგეს და გახარებულმა ახლობლებმა დიდი ქორწილიც გადაუხადეს... ბედნიერები იყვნენ თეონა და ვაჟიკა. მერე კი, როცა მათ ოჯახში ტყუპი ბიჭი დაიბადა, სიხარულით ცას მისწვდნენ. ტყუპებს გოგონები მოჰყვნენ: ფიქრია და მზევინარი. ბიჭებს ვეფხია და ვამეხი დაარქვეს, სიმამაცე დაებედებათო და თავიდან ასეც იყო, ქვეყანა შენატროდა ვაჟიკას ოჯახის ხვავსა და ბარაქას, სიხარულს და სიყვარულს, გამრავლებას და გაძლიერებას, მაგრამ... ერთ დღეს სოფლად ალქაჯი ამოვიდა — უჯიშო ქალი, რომელმაც ვამეხი მოაჯადოვა, ყური გამოუჭედა მანამდე არნახული და გაუგონარი ქალაქის ქებით, ყველა და ყველაფერი დაავიწყა და ქალაქში გაიტყუა... ძმის გაუჩინარებით შეწუხებულმა ვეფხიამ რკინის ქალამანი ჩაიცვა და მის საძებნელად გაემართა. ისიც დაიკარგა ქალაქის ქუჩებში და მხოლოდ წლების შემდეგ შემოუთვალა მშობლებს: „ქალაქში უნდა წაგიყვანოთ, მაგ ყრუ სოფელში როდემდე უნდა იყოთო!“ — და გინება დაუწყო იმ მთებს, ველებს, ვენახს და მიწას, რომლებმაც შობეს და კაცად აქციეს...

იჯავრა ვაჟიკამ: — თავი არ გამომეყოფა ხალხში, შვილები კაცებად ვერ გამიზრდიაო! და გული გაუსკდა...

დარჩა ძაძებში გახვეული თეონა ფიქრიასთან და მზევინართან ერთად. თავს დაჰფოფინებდა გოგონებს, მათზე ამყარებდა იმედებს, მაგრამ მზეთუნახავებად ქცეული შვილები — ერთი დევებმა მოსტაცეს, მეორე კი — დათვებმა“...

... უსასრულოდ გრძელდებოდა თეო ბებოს ზღაპარი და თვალები გვიფართოვდებოდა, როცა თეონას „საგმირო საქმეებზე“ ვისმენდით: დევებსაც ებრძოდა გულადი დედა, დათვებსაც, რკინის მანქანებსაც, მაგრამ... შვილებს ვერ იბრუნებდა. მიწას მაინც ეფერებოდა, მოსავალი მოჰყავდა, ბელ-მარანს ავსებდა იმ იმედით, რომ შვილები ადრე თუ გვიან, დაბრუნდებოდნენ და სავსე ოჯახი გულს გაუნათებდათ. ხშირად სიკვდილიც უნატრია თეონას, მაგრამ ბოლოს ღმერთს მაინც პატიებას და სიცოცხლეს სთხოვდა: — შვილებს არ შეეშინდეთო უდედოდ!...

...ხან მე ჩამეძინებოდა თეო ბებოს კალთაზე თავდადებულს და ხან ეკას ან ნანას, აღარც გვახსოვდა, როდის ან როგორ მივყავდით კატო ბებოს სახლში, რომ დილით ჩვენს თბილ საწოლში გვეღვიძებოდა!...

ისე მოხდა, ზედიზედ ოთხი წელი ვერ ჩავედი და ბოლოს ვიგრძენი, რაღაც ძალიან დიდს და ძვირფასს ვაკლებდი საკუთარ თავს...

ჩავედი და... გულმა თეო ბებოსკენ გამიწია. ვერ მიცნო. თავი შევახსენე და ავიშვიშდა, უცებ აევსო თვალები ცრემლით: „მოხვედი, სიხარულო, გაგახსენდა ბებიას საფლავი და არც ცოცხალმკვდარი თეო დაივიწყე?!“... მოხვევა დავუპირე. მეც მომინდა ტირილი. ხელით შორს დამიჭირა და არ მიმიკარა: „აბა, რა შენი საკადრისია მოხუცის ალერსი, მზისადარო, ჩემი თავი მევე მომბეზრებია. სიკვდილს ვეძახი და იმანაც დამივიწყა, ეჰ, რა ვარსკვლავზე დავბადებულვარ, გოგო?!“...

... ეს შარშან იყო!...

წელს კი... წელს შემატყობინეს, რომ თეო ბებო გარდაიცვალა და აბა, რა მომათმენინებდა, მის დაკრძალვას არ დავსწრებოდი... თადარიგიც დავიჭირე და უკანასკნელი „საჩუქრებიც“ ვუყიდე უპატრონო მოხუცს, რომელმაც იმდენი სითბო და სიკეთე დამიტოვა სახსოვრად, საკუთარ ბებიაზე ნაკლებად როდი დამამახსოვრა თავი...

ჩავედი და...

დავიბენი თეოს ჭიშკართან მისული. მეგონა რაღაც შემეშალა და სხვა ქვეყანაში თუ არა, სხვა სოფელში მაინც მოვხვდი. ეზოში უცხოური მანქანების ტევა არ იყო და... „უპატრონო“ მოხუცი როგორღაც უხერხულად გაყინულ-გარინდულიყო იტალიურ კუბოში. ჭირისუფლად კი... სულ დევები და დათვები უსხდნენ, ტყავში აღარ ეტეოდნენ, ქონი ყელამდე ამოსვლოდათ და სუნთქვას უშლიდათ...

სახლშიც და ეზოშიც პატარა დევები და დათვები დაბაჯბაჯებდნენ.

— ესენი ვინ არიან-მეთქი?! — ვკითხე გაკვირვებულმა მეზობლებს.

— თეოს შვილები და მათი მონაგარიაო...

— რომელი შვილები, მე რომ თეო ბებოსთან მოსული არავინ მინახავს და არც მოხუცს უხსენებია არასოდეს-მეთქი?!...

— არც ჩვენ გვინახავს რამდენი ხანია და აღარც გვახსოვდა, რომ თეოს და ვაჟიკას შვილები ჰყავდათო! — აიჩეჩეს მხრები.

— ვაჟიკაო?!... ე.ი. თეო ბებოს მონათხრობი და ჩვენი უსაყვარლესი „ზღაპარი“... თუმცა, რაღა ზღაპარი: ტახად ქცეული ვამეხიც დაბრუნებულიყო, პინგვინად ქცეული ვეფხიაც, დევების რძალი მზევინარიც და დათვების რძალი ფიქრიაც... ისინიც გულგრილი მზერით ისხდნენ დედის კუბოსთან და ისე უბზუებდნენ ცხვირს სოფლელებს, თითქოს პირველად დაინახეს ეს ხალხიც, ეს მზეც, ტყეც და ველიც...

რამდენი ხანია არ მიტირია და მეგონა, გადავეჩვიე ტირილს. ახლა კი... ახლა ისეთი გუნდა მომაწვა ყელში, რომ არ მეღრიალა, გული გამისკდებოდა: — თეო ბებო, შენი სიხარული მოვედი და რატომ იმედი არ დამახვედრე, რატომ სიყვარული არ მომაგებე-მეთქი?!... ჯერ გაოგნდა სოფელი და მერე ერთბაშად აზუზუნდა, აგუგუნდა, აზლუქუნდა: — შვილიშვილი მოგივიდაო, თეო!... ალმაცერად შემომხედეს დევებმა და დათვებმა, უკმაყოფილოდ შეიკრეს წარბი, მაგრამ სოფელს აღარაფერი აინტერესებდა მათი. სოფელს ბერდედა მოუკვდა — თავისი სისხლის და სიცოცხლის ნაწილი და იგი პატივს ელოდა სოფლისგან...

დატრიალდნენ და თავად გაშალეს ქელეხის სუფრა: ლობიოც მოხარშეს, შილაფლავიც და ღვინოც „ნაჟური“ მოიტანეს, ახლოს არ წაეკარნენ ქალაქელების უგემურ, დამადლებულ ლუკმას...

თეო საფლავამდე მიაცილეს და ალალი ცრემლით დაულბეს უხეში მიწა. გვიან ღამემდე იხსენებდნენ მერე თეოს და ვაჟიკას სიკეთეს თუ სილამაზეს... შვილებს კი არ ახსენებდნენ, არც მათი სადღეგრძელო დაულევიათ, არც დიდხანს სიცოცხლე უსურვებიათ და არც ფუძის სიძლიერე. იცოდნენ, მაინც არ ეწერა მათ ლოცვას მადლი და ახდენა...

ასეც მოხდა — „ვალმოხდილი“ დევები და დათვები ჩასხდნენ თავიანთ „ჯიპებში“ და „მერსედესებში“ და წავიდნენ. წასვლამდე კარებს თუ ჭიშკარს უზარმაზარი ბოქლომები დაადეს: — სოფლელებმა არ გაგვქურდონო!... ბოლო წიხლიც ვირული მოიქნიეს...

... წამოსვლის წინ კარგა ხანს ვიდექი თეოს ბოქლომდადებული ეზოს ჭიშკართან და ვგრძნობდი: ცარიელი იყო მარტო ის ქოხი კი არა, მთელი სამყაროც!...

მერე კი ვერა და ვერ ამოვიგდე გონებიდან და გულიდან ნაცნობი ლექსის სიბრძნე: „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა!“... აქამდე არ მეგონა, რომ მართალი იყო გულისტკივილით ნათქვამი და ასეც ხდება თურმე!...

***ინგა ჯაყელი***





## რას გვეტყვი, მამაო?

**— თუ შეიძლება, გვიპასუხეთ, საიდან შემოვიდა საქართველოში წმინდა ნინო და თავდაპირველად სად იღვწოდა ქრისტიანულად?**

— ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო ღვთაებრივი გამოცხადების ნებით მოვიდა ფარავნის ტბასთან. აქ მან გაიცნო მცხეთელი მწყემსები, ისევ მიიღო ღვთისაგან ლოცვა-კურთხევა „მცხეთას წარმართთა ქადაგებისა“ და ჯავახეთის მთებით საქართველოში შემოვიდა. ტანჯვა-წამებით მოაღწია ქალაქ ურბნისამდე. წმინდანმა იქ სულ ერთი თვე დაყო, შემდეგ არმაზის კერპის თაყვანსაცემად წამოსულ ქართველებს შეუერთდა და ჩავიდა მცხეთაში. აქედან იწყება მისი კერპთადამამხობელი და ჯვრის სადიდებელი მოღვაწეობა საქართველოში.

**— შევიძინე ლოცვების წიგნი, სათაურით: „შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ“. ვის მიერ არის და როდიდან დაწესებული ეს ლოცვები ქრისტიანი მრევლისათვის?**

— „ფსალმუნში“ ვკითხულობთ: „შვიდ გზის დღესა შინა გაქებდე შენ“ (ფსალ. 118,164). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1989 წლის შობის დღესასწაულიდან მოყოლებული, დღეში შვიდჯერ ვასრულებთ მოკლე ლოცვას. ეს ლოცვები სრულდება დილის 6 და 9 სთ-ზე, დღის 12 და 3 სთ-ზე, საღამოს 6 და 9 საათზე და ღამის 12 საათზე. შვიდგზისი ლოცვები ეხმარება ადამიანს ღმერთთან განუწყვეტელი კავშირის აღდგენაში, რომელიც მას ცოდვებისა თუ უნებისყოფობის გამო დაკარგული აქვს და აჩვევს სწორ დამოკიდებულებას სამყაროს შემოქმედთან, რისკენაც მოგვიწოდებს პავლე მოციქული, როდესაც ამბობს: „მოუკლებლად ილოცევდით“

**— გასულ ზაფხულს, „ფერისცვალებას“, ეკლესიაში მიცვალებულთათვის საკურთხის მიტანა განვიზრახე და მღვდელმა მირჩია, ეს გამეკეთებინა მიცვალებულთა საგანგებო მოხსენიების დღეებში, რადგან „ფერისცვალება“ უფლის დღესასწაულია და ამ დღეს სადღესასწაულო განწყობილება შეეფერებაო. მე კი, საოჯახო ტრადიციისამებრ, ეს დღე მიცვალებულთა მოსახსენიებელი მეგონა. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რომელია მიცვალებულთა დღეები წელიწადში?**

— მორწმუნე ქრისტიანი თავის ლოცვებში ყოველდღე უნდა იხსენიებდეს თავისი გარდაცვლილი ნათესავებისა და ახლობლების სახელებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიცვალებულისთვის, თუ მისი ახლობლები ყოველ შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში ესწრებიან წირვა-ლოცვას, ეზიარებიან და სეფისკვერს აგზავნიან საკურთხეველში გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად. საგანგებო მოხსენიების დღეები კი მიცვალებულთათვის შემდეგია: 1. ხორციელის შაბათი; 2. დიდმარხვის მეორე შაბათი; 3. დიდმარხვის მესამე შაბათი; 4. დიდმარხვის მეოთხე შაბათი; 5. კვირაცხოვლობის (თომას კვირის) სამშაბათი; 6. სულთმოფენობის წინა შაბათი (სულთაობა); 7. დიმიტრის შაბათი.

მიცვალებულთა ხსენების დღეებში (ზემოაღნიშნულის გარდა: გარდაცვლილის დაბადების, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეს) ახლობლები ამზადებენ საკურთხს, რომელსაც დილით, წირვის დაწყების წინ მიიტანენ ტაძარში პანაშვიდისათვის.

**— ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი არის „მღვდლობა“. რა იგულისხმება ამ საიდუმლოში?**

— მღვდლობის საიდუმლო სრულდება ეპისკოპოსის ხელდასმით, რომლითაც სასულიერო პირს მიენიჭება მადლი, თავისი მოვალეობების ღირსეულად აღსასრულებლად: საღმრთო გამოცხადებებში ადამიანთა დასამოძღვრად, საღმრთო საიდუმლოთა და ღმრთისმსახურების შესასრულებლად, საეკლესიო დისციპლინის დასაცავად.

**— საიდან ვიცით, რომ ქრისტემ საიდუმლო სერობაზე მაინცდამაინც გაფუებული პური და წითელი ღვინო იხმია, რის მიხედვითაც ტარდება თანამედროვე ზიარების საიდუმლო?**

— ის, რომ ქრისტემ საიდუმლო სერობაზე იხმია გაფუებული ხორბლის პური, ჩვენ ვიცით საღმრთო წერილიდან, სადაც ბერძნულ ენაზე ეს პური იწოდება „არტოსად“, ანუ გაფუებულ პურად, მაშინ, როდესაც გაუფუებელი პური ბერძნულად არის „აზიმოსი“ (მათე, 26,26), ხოლო ქრისტესა და მოციქულებისაგან წმინდა ევქარისტიაზე წითელი ღვინის ხმევა დასტურდება წმინდა გადმოცემით.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

ჩვენ გვწერენ

## გულისტკივილით ნათქვამი, ანუ საყურადღებო რეპლიკა

„რამდენიმე დღის წინ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის შემეცნებით და აზარტულ შოუ-გადაცემაში, „ვის უნდა ოცი ათასი“, უზუსტობა გაიპარა.

დაისვა ასეთი კითხვა: „რომელია მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი?“ ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთი გახლდათ — ადამაშვილი. მოთამაშემ სხარტად უპასუხა, — მწერლის ნამდვილი გვარი ადამაშვილი გახლავთო.

თვალთ დამიბნელდა. ჯერ კიდევ „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ იქნა დაშვებული დიდი შეცდომა — ერთ-ერთმა ავტორმა, ცნობილმა კრიტიკოსმა და ლიტერატორმა გურამ გვერდწითელმა მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიაში მამას ნამდვილ გვარად „ადამაშვილი“ მიუთითა. ადამაშვილი ხომ მისი ფსევდონიმი იყო! მაშინაც აღვშფოთდით (ჩემი და, ქეთევანი, მაშინ უკვე ცოცხალი აღარ იყო) ახლობლები. ვუსაყვედურეთ ამის გამო გვერდწითელს და საარქივო დოკუმენტებიც ვაჩვენეთ, რომელიც ადასტურებდა, რომ ქართველი კლასიკოსი გვარად ნამდვილად ჯავახიშვილი იყო.

ბატონი გურამი დაგვპირდა, რომ მეორე გამოცემაში აუცილებლად ჩასწორდებოდა ეს შეცდომა...

წლები გავიდა, მეორე გამოცემა აღარ გამოსულა. არადა თაობებმა რატომ არ უნდა იცოდნენ მწერლის ნამდვილი გვარი და წარსული?

იმედი მაქვს, თქვენი გაზეთი დამეხმარება ამ უზუსტობის გასწორებაში და მრავალათასიან მკითხველს ერთხელ და სამუდამოდ გააგებინებს სიმართლეს, რაზეც თავის დროზე მამა წერდა: „ჩემი ნამდვილი წინაპრები ჯავახიშვილები არიან. ჩემს წინაპარს (პაპის პაპას), გვარად ჯავახიშვილს, ქართლში კაცი შემოკვდომია. იქიდან გამოქცეულა, ქიზიყში გადასულა და იქაური გვარი, ტოკლიკიშვილი აუღია. შემდეგ, ბორჩალოში რომ გადმოვედით, იქ ადამაშვილის გვარით ვცხოვრობდით (ესეც შესანიღბავად დასჭირდათ ჩვენს წინაპრებს, — რ.ჯ.). პაპაჩემი ხომ ადამა იყო. ამიტომაც ავიღეთ ადამაშვილის გვარი. მე აღვადგინე და დავიბრუნე ჩვენი გვარი, მაგრამ 1903-1910 წლებში ჩემი პირველი მოთხრობები „ცნობის ფურცელსა“ და „ივერიაში“ ადამაშვილის ფსევდონიმით დავბეჭდე... გარდა ამისა, სხვა მოკლე ფსევდონიმებიც მქონდა: „ალი“, „მალი“, „მადლი“ და სხვ.“).

ეს ჩანაწერი ჩემმა დამ, ქეთევანმა, მამისადმი მიძღვნილ თავის მონოგრაფიაში შეიტანა.

იცით, რაზე მტკივა გული? საწყალი მამა 30-იანი წლების რეპრესიებს ვერ გადაურჩა, მისი საფლავი არ გააჩნია ქართველ ერს, ცოტა ხნის წინ ჩვენს სადარბაზოსთან გაკრული მემორიალური დაფა მოიპარეს, ძეგლი არ აღირსეს, დღემდე ვერ მივიღეთ დახმარება მუზეუმის გასახსნელად და ახლა ნამდვილ გვარსაც უმახინჯებენ...

იმედი გვაქვს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“ თვალს არ აარიდებს ჩემს რეპლიკას და მომდევნო გადაცემაში აღნიშნავს, რომ დაშვებულ იქნა უზუსტობა.

***პატივისცემით რუსუდან მიხეილის ასული ჯავახიშვილი***

# „მუტრუკაანთ თეთრი ვირივით ყურებით დაჭერილი საქართველო...“

## დიალოგი ჯოჯოხეთში





***— მოხვედი, მარო?! კირკიტი კაკალივით ჯანმრთელი დაგტოვე და რა გეტაკა, რამ მოგკლა, დედაკაცო?!***

— დარდმა და უსახსრობამა, ჩემო მიხო, მთავრობისაგან დამცირებამ და მასხარად აგდებამ მამკლა. გაგიგონია, ქა, ესეთი რამე? — არსაიდან ერთი კაპიკი შემოსავალი არა გქონდეს?! — ოჯახს კიდევა რამოტელა ხარჯი აქ. ახლა გადასახადები! აგრემც იმის ჯანი დაიწოს, ვინც კოლმეურნეობა გააუქმა. მითომ თავისუფლება და დემოკრატია მოუტანეს ხალხსა. განა თავისუფლება იმასა ნიშნამს, რო დაუსაქმებელი ხალხი დღე და ღამე ბირჟაზე ეყაროი სალაყბოდა? უსაქმურობამ გაალოთა და გაანარკომანა ნახევარი კახეთი. ნეტა შენს თვალებსა და ყურებს, რომ ვერა ხედამ და არაფერი გესმის. წაირყვნა და გათახსირდა ქვეყანა. შამოდის და შამოდის პანკისის ხეობიდან ათასი ოხრობა-უბედურება, ზოგი ეწევა, ზოგი სადღა არ იჩხირამს და... დაჩლუნგდა, განადგურდა ახალგაზრდობა.

— რას ამბობ, ქალო, კახელი კაცის ნარკომანობა ვის გაუგია?!

— აკი იმიტო გეუბნები, ნეტა შენს თვალებს, რო ვერა ხედამ რა ხდება-მეთქი. მიხო, ჯერ ერთი ის მითხარ, ეს სამოთხეა თუ ჯოჯოხეთი? და დანარჩენზე მემრე ვილაპარაკოთ, მეტი რა საქმე გვაქ, არა?

— ჯოჯოხეთია, ჩემო მარო, მაგრამა, რაც ჩვენმა ვაიმთავრობამ სიმწარე გვაგემა, იმაითან შედარებით, ედემის ბაღია.

— შენ ისიც არ გეცოდინება, რომ პანკისის ხეობაში ომია. ორ დღეში ერთხელ ბომბებსა ჰყრიან და იცი, რას კადრულობენ, ქაა? — თქვენა თითონა ბომბამთ, რუსეთის თვითმფრინავის ფერზე გადაკრასკული თვითმფრინავითაო. რაღაცა გვარი მაიგონეს — რუსტანელი, ვითომ ქართველი კაცი ჩვენი, ერთადერთი თვითმფრინავით დაფრინამს და გასართობად ბომბებსა ჰყრის პანკისში. მაგათ არ გაიხარონ ქვეყანაზე, მე მგონი შევარდნაძესაც მაგათ ასწავლეს ტყუილები. ამას წინათ, ტელევიზორმა გადმოსცა, თურმე ის ჩვენი თვითმფრინავი, არც იქოქება და არც ვინმე იგეთი მფრინავი გვყავს, რო გააფრინოსო. თანაცა ქა, აბლაბუდი ქსელი ჰქონია მატორში გაბმული.

შენ იცი, რო ჩვენი პრეზიდენტის ცოლმაც დაიწყო ტყუილების ლაპარაკი? — ინტერვიუში თქვა: „ჩემ მეუღლეი ჭყინტი ყველი უყვარს და ყოველთვის არა გვაქ საშუალება, რო ვიყიდოთო. კინაღამ ტირილი დავიწყე, მაშ ცოდო არ არის ამ დროულ კაცს რო ყველი უნდოდეს და არა ქონდეს? არა მჯერა, მაგრამ მაინც შემეცოდა. მიხო, მართალი მითხარ, შენს კაი ბიჭობასა, ეს სამოთხეა თუ ჯოჯოხეთი?

— ჯოჯოხეთია, დაიჯერე!

— რავი ქა, მე რომ შეხვედრა მამიწყვეს, დოლ-გარმონითა და ყვაილებით, იგეთი სიხარული სიცოცხლეშიც არ განმიცდია.

— იქა, ქალო, აგიტპუნქტია და მა რა იქნებოდა? — მეც ეგრე მეგონა, მუზიკით და მწვადებით რო დამხვდნენ, მაგრამ შავცდი. აკლიმატიზაცია მდუღარე კუპრში გამატარებინეს. სწორი გითხრა, ძალიან მამიხდა, აღარც სახსრები მტკივა და აღარც რადიკულიტი მაღონებს. ძალიან კი მინდოდა სამოთხეში მოხვედრა, მაგრამა, იქ იცი ვინ არის გამგებელი? — ღობეგლეჯიაშვილი ზაქარა, შვიდი თვის აუღებელი პენსია რო არ მამცა და თავი რო გავუხეთქე ტაბიკითა. აბა, ის სამოთხეში გამაჭაჭანებს?

— მე რაღას მერჩოდნენ, ქა, მეც ხო კაცი არ მამიკლამს? — ვინც რა მთხოვა, უარი არ მითქვამს.

— საქმეც მაგაშია, რო უარი არ გითქვია! შე შობელძაღლო, ჯერ ჩემი ორმოციც არ გქონდა გადახდილი, ვანუას რომ შაუგორდი ლოგინში, ჰაი, დედასა, რატო იქ არ ვიყავ, რო ის ტაბიკი თქვენთვისაც მეთხლიშა, თქვენი დედა კი!..

— კარგი, რა მიხო, მა რა მექნა, კაცო? — იგეთი მოწადინებული იყო, უარი ველარ ვუთხარ. შენ რო კრაოტიდან კრაოტზე გადმოსვლა გეზარებოდა, ვანუა ჩემი გულითვინ, მაჩხაანიდან სიღნაღში ამოდიოდა ხოლმე, მაშ!..

— მამჭერი თავი და სოფლი შარაზე გამაჭენე, არა?!

— უი, ქაა! — ეგ როგო იფიქრე ჩემზე, კაცო? — რომელი ქუჩის დედაკაცი მე მნახე, არა გრცხვენიან? სახლსა და ჩემ კრაოტ არ გავცილებულვარ. შენა, კაცო, შაქრუას გოგო ანეტა ხო არ გგონივარ? — მიწა დაეყაროს გულზე, რაც ჩვენს რაიონში ფრანგი კომერსანტები გამოჩნდნენ, იგეთი რაღაც-რაღაცები ჩაიდინა, რომ მაგათ ოჯახს თავი არ გამაეყოფა... ისე, რო იცოდე, ჩემო მიხო, ახლა, არც ქალაქში და არც სოფელში, ბოზობა სამარცხვინო საქმედ აღარ ითვლება.

— ვენახისა და ყურძნი საქმე როგოა, მარო?

— ეჰ, აბა, რა გითხრა, ჩემო მიხო? — ხო იცი, რამდენი ტანჯვა-წვალება უნდა იმ დალოცვილს, მაგრამ მოჰკრიფამ და 30 თეთრადაც არავინ ჩაიბარებს. მაშ, ეგ საქმეა და ნამუსია, კაცო?! — ერთი კილო ტყეში აკრეფილი წაბლი 1 ლარი ღირს და დამკრახულ, თაფლივით ყურძენში 30 თეთრსაც არავინ იძლევა. მე მგონი, ყველაფერი ხელოვნურად არის მოწყობილი, რომ საქართველოს არც სოფლი მეურნეობა ჰქონდეს, არც მრეწველობა, არც ენერგეტიკა და არც მეცნიერება.

— მართალი ხარ, — მე ჯერ კიდე ცოცხალი ვიყავ, ი ვიღაც ვალავი იყო თუ ჩემი შარვლი ტოტი, იცი, რა თქო ტელევიზორში?! — ვენახები ამოყარეთ და ყურძენი იტალიიდან შამაიტანეთო! — გაგიგია, ეგეთი რამე, კაცო?! ამ დალოცვილ კახეთში, იგეთი კლიმატია, დილით რო ვაზის ლერწი ქამარში გაიკეთო, საღამომდინ მტევან გამაიბამს. მაშ, ამითანა ქვეყნი პატრონ, ცხოვრება უნდა გაუჭირდეი?! ეს იმასა ნიშნამს, რო ქვეყანაი პატრონი არა ჰყავ, ეგ არი და ეგა!

— მარტო ყურძნი შამოტანაი ვიღა ჩივის, ჩემო გულმკვდარო კაცო! — ხორბალი, შაქარი, ცხიმი, ქათმი ბარკლები (ზარკლები გაუხმეთ მაგათა!) და რავი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? ქართველი კაცი რო საქართველოში ვიღაცის ნაწკუმპლ სასმელ შამაიტანს, ჩვენი წინანდალი, ტიბაანი, მუკუზანი, საფერავი და მანავის მწვანე რო გასაყიდი დარჩება, ამაზე მეტი მტრობა და დანაშაული რა გინდა?! დასავლეთ საქართველოში რაც ჩაი და ციტრუსი იყო, გაველურდა და გადაჯიშდა. ამხელა პლანტაციების მქონე ქვეყანას ჩაი უცხოეთიდან უნდა შამოჰქონდეს?! დაბეჩავდა და დაჩაჩანაკდა ქართველი გლეხი. თოხი, ბარი, ნამგალი და ცელი დაუჟანგდა, თითონ კიდე, უსაქმურობისგან დაობდა... ჰო, თურმე პრეზიდენტი და თავისი ახლობლები საზღვარგარეთულს არაფერს არ მიირთმევენ, ამიტომ არც ის ენაღვლებათ, შამაიტანენ თუ არა. იმასაც ამბობენ, მთელი საქართველოს ავლადიდება პრეზიდენტისა და მისი ახლობლების ხელშიაო.

— შუქის საქმე როგოა, მარო? — ისევ სანთელი და ლამპაი ანთებდი თუ „ილიჩი ნათურა“ გიჩახჩახებდა?

— მეხი ილიჩსაც დაეცეს და ჩვენი ენერგეტიკის თავკაცებსაც. რაც საქართველოში დენი იყო, ვიღაც ამერიკელებ მიჰყიდეს, იქაც იმათ დაეყაროთ ამერიკის მიწა, როცა უნდა ჩართამენ, როცა უნდა გამორთამენ. თუ სადმე გაბმულ-გამობმული ალუმინისა და სპილენძის მართული იყო, დამშეულმა ხალხმა ჩამოწყვიტა და ჩამბარებელ პუნქტში ჯართად ჩააბარა. ისინი კიდევა იმ ძვირფას მეტალებს თურქეთში გზავნიან. უბედურება ის არი, რო ჯართ კინაღამ ილია ჭავჭავაძის ბიუსტიც მიაყოლეი. რაც სასაფლაოებზე ფერადი მეტალები იყო, ღობეებით დაწყებული და წარწერებით დამთავრებული, ყველაფერი მაიპარეს.

— გაზი ხო გქონდათ საკმარისი?

— ეჰ, ჩემო მიხო, ხო გითხარი, ბედნიერი კაცი ხარ, რო იმის ნახევარ უკუღმართობასაც ვერ შეესწარ, რაც მე ვნახე. მგონი, გაზის საქმემ და საერთოდ „საქგაზმა“, ერთხელ და სამუდამოდ ჩაისვარა. ვიღაც რუს ქალს „იტერას“ თუ „ეტერას“ მიჰყიდეს, მე უფრო „ეტერა“ — ქართულად ეთერა მგონია. რავი, აბა? ვიღაც-ვიღაცები ამბობენ, რომ ის ვიღაც ეთერაა თუ ჯანდაბა, იგეთი საზიზღარიაო, თუ გაზი ხელში ჩაიგდო, მთელ საქართველოს, მუტრუკაანთ თეთრი ვირივით ყურებით დაიჭერსო. შევარდნაძე თავს იკლამს, გინდათ თუ არა, ეთერას მივყიდოთ, პასუხ მე ვაგებო. ეგ სუ ეგრე ამბობს, მაგრამ ჯერ არაფერზე პასუხი არ უგია. რავი, ქა, დიდი პოლიტიკოსი ეგ არის და მე მაქთენი რა ვიცი, აბა? მიხო, რაღაც დიდი თანამდებობა ჰქონია შევარდნაძეს საზღვარგარეთ, არ მახსომს, მუსონიო თუ მასონიო და იმიტომ უჭერსო ამერიკა მხარსაო.

— ეგ რაღაც მუსონი თუ მასონი, არც მე ვიცი, რასა ნიშნამს, მაგრამ კარგი რო არაფერი იქნება ჩვენი ქვეყნითვინ, ეგ ნაღდია. შევარდნაძეს რომ კარგის გაკეთება სდომნიყო, აქამდინ გააკეთებდა. არც ამერიკელების საქციელი მამწონს, იცოდე. რუსებ კი წაღლიტა საქართველო კლანჭებიდან, მაგრამ, ჯერ აქ სიკეთე არაფერი გაუკეთებიათ, მაგათ რო ვუყურებ, იცი, რა მახსენდება? — ერთხელ, მწყემსებმა, ჩემ თვალწინ მგელს ცხვარი გააგდებინეს და თითონ შეჭამეს. მე მგონი იმ ცხვრისთვინ, სულ ერთი იყო, ვინ შესჭამდა. ეგრე არ არი?

— ეგრეა, მაშ! კიდევ ბევრი მაქ რაღაცრაღაცები სალაპარაკო, მაგრამ დავიღალე. სანამ კუპრი „აბაზანას“ გამიკეთებენ, ცოტაი დავისვენებ და მემრე გავაგრძელოთ ლაპარაკი, კარქიი?

— კარგი, ჰო, ეგრე იყოი!

***დიალოგი ივარაუდა ნიკოლოზ იოსებიძემ***


AMERICAN COUNCILS FOR INTERNATIONAL EDUCATION ACTR • ACCELS

***საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები აცხადებს ახალ პროგრამებს 2003-2004 აკადემიური წლისათვის***

საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები საქართველოს მოქალაქეებისათვის აცხადებს ახალ პროგრამებს, რომლებიც მთლიანად დაფინანსებულია აშშ-ის მთავრობის მიერ. ამ პროგრამებში მონაწილეობის მისაღები კონკურსი ყველასათვის თანასწორუფლებიანია, განურჩევლად ეროვნების, სქესის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიისა თუ ფიზიკური ნაკლოვანებებისა. ანკეტების შევსებისას იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

***მომავალ ლიდერთა გაცვლის თავისუფლების მხარდამჭერი აქტი:***

ამ პროგრამაში გამარჯვებული სკოლის მოსწავლეები ერთი წლის განმავლობაში ისწავლიან ამერიკულ სკოლებში და იცხოვრებენ ამერიკულ ოჯახებში. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებს, რომლებიც არიან დაბადებული 1986 წლის 1 იანვრიდან 1988 წლის 15 ივლისის ჩათვლით. მონაწილეობის მისაღებად მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობის დედანი, გასული სასწავლო წლის ნიშნების ფურცელი (საშუალო არითმეტიკულით 4 ან მეტი), ახალი, 3/4 ზომის ფერადი ფოტოსურათი. საბუთები მიიღება შემდეგ ქალაქებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავი | 23 სექტემბერი | თბილისი | 22, 23 ოქტომბერი |
| ზუგდიდი | 7 ოქტომბერი | ახალციხე | 18 ოქტომბერი |
| ბათუმი | 11 ოქტომბერი | ცხინვალი | 25 ოქტომბერი |
| ქუთაისი | 14 ოქტომბერი | | |

***ედმუნდ მასკის/თავისუფლების მხარდამჭერი აქტის სამაგისტრატო პროგრამა:***

ეს პროგრამა უმაღლესდამთავრებულებს საშუალებას აძლევს ისწავლონ აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში შემდეგ სპეციალობებზე: ბიზნესის ადმინისტრაცია, ეკონომიკა, განათლების ადმინისტრაცია, სამართალი, საბიბლიოთეკო საქმე, ინფორმაციული მეცნიერება, ჯანდაცვა, საერთაშორისო ურთიერთობები, სახელმწიფო პოლიტიკა, სახელმწიფო მართვა და გარემოს დაცვა. ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა **2002 წლის 25 ოქტომბერი.**

***ლექტორთა პროგრამა:***

ეს პროგრამა გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებელთა ლექტორთათვის მათი კარიერის საწყის ეტაპზე. ერთწლიანი პროგრამა გათვლილია სასწავლო პროგრამის განვითარებისათვის, სამასწავლებლო თვისებების შეძენისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და ჰუმანიტარულ საგნებში. კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ორწლიანი გამოცდილება და ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე. ანკეტები შეგიძლიათ მიიღოთ საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოს ოფისში. ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა **2002 წლის 6 დეკემბერი.**

***ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების მასწავლებელთა პროგრამა:***

ეს პროგრამა აჯილდოებს ინგლისური ენისა და ამერიკული კულტურის სწავლების საშუალო სკოლის საუკეთესო მასწავლებლებს. კონკურსის პერიოდში კანდიდატები რეგიონების მიხედვით ეტაპობრივად დაჯილდოვდებიან. პროგრამა აჯილდოებს როგორც მასწავლებლებს, ასევე სკოლებს. ბოლო ეტაპზე გამარჯვებული 5 მასწავლებელი გაემგზავრება აშშ-ში 7-კვირიანი პროგრამით ლიდერობის სემინარზე. ჩაბარების ბოლო ვადაა **2002 წლის 16 დეკემბერი.**

***პარტნიორობა განათლების სფეროში:***

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოსა და ამერიკის საშუალო სკოლებსა და მასწავლებლებს შორის პირდაპირი კონტაქტების განვითარებას. მონაწილე უნდა მუშაობდეს მასწავლებლად ისტორიის, საზოგადოებრივ ან სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე საშუალო სკოლაში და ჰქონდეს სულ მცირე 2 წლის სამუშაო გამოცდილება. ფინალისტები გაემგზავრებიან აშშ-ში 6 კვირით პროფესიული გამოცდილების ასამაღლებლად. ანკეტებისათვის მიმართეთ საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოს ოფისს. პროგრამის ჩაბარების ბოლო ვადაა **2002 წლის 13 დეკემბერი.**

***დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:***

არაყიშვილის ქ. 2, ბინა 4
თბილისი, 380079 საქართველო
ტელ: 29 21 06 ან 93 28 99

ელ-ფოსტა: programs@amcouncils.ge
Website: www.americancouncils.net


CMYK

# გენშტაბის უფროსის ფარული ომი, ანუ ვინ დაფრინავს საქართველოს თავზე?



***საქართველოს ტერიტორიის დაბომბვასთან დაკავშირებული ტრაგიკული ინციდენტის გამოსარკვევად (დაიღუპა ერთი, დაიჭრა ექვსი ადამიანი), თბილისში, 5 სექტემბერს, გენერალ-ლეიტენანტ რომანენკოს ხელმძღვანელობით, რუსეთის გენერალური შტაბის სპეციალური კომისია ჩავიდა.***

საქართველოში წასვლის წინ, სპეცკომისიის წევრებს კონსულტაცია ჩაუტარა გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ანატოლი კვაშნინმა. გენშტაბის და სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრები, მხოლოდ მკაცრი ანონიმურობის დაცვით დათანხმდნენ ინტერვიუზე.

## პროვოკაცია თუ სპეცოპერაცია?

— *პრეზიდენტებისა და მინისტრების დიპლომატიური განცხადებების თანახმად, საქართველოს თავზე ამოუცნობი ობიექტები დაფრინავდნენ...*

— სპეციალისტებისთვის სავსებით ნათელია, რომ ეს რეალური საჰაერო ოპერაცია იყო.

— *ან იქნებ ცბიერი იმპერიალისტების პროვოკაცია. ზოგი ხომ ამტკიცებს, შევარდნაძე ნატოს უპირებს აეროდრომების გადაცემასო. იქნებ აშშ-ის და თურქეთის თვითმფრინავები ზვერავდნენ პანკისის ხეობას?*

— დსთ-ის საზღვრებში ნატოს ყოველი თვითმფრინავის გამოჩენას მაშინვე აფიქსირებენ ჩვენი საჰაერო თავდაცვის საშუალებები. ამიერკავკასიაში ჩვენ მძლავრი ძალები და საშუალებები დაგვრჩა. სომხეთში, თურქეთის საზღვართან (გიუმრი) დგას საზენიტო-სარაკეტო 988-ე პოლკი, ერევანთან 426-ე ავიაჯგუფის ბაზაა. საქართველოს საჰაერო სივრცეც არ არის დაუცველი. ხელვაჩაურში რუსეთის 1007-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი დგას. ბათუმშიც საჰაერო სამხედრო თავდაცვის მძლავრი თანამედროვე საშუალებები გაგვაჩნია. ახალქალაქიდანაც საიმედოდაა დაცული თურქეთის საჰაერო საზღვრები. იქ ყოფილი 147-ე დივიზიის ქვედანაყოფებიდან 62-ე სამხედრო ბაზა გვაქვს შექმნილი.

## ლეგენდა რუსტელი-რუსთაველისა

— *ამბობენ, თბილისის ავიაქარხნის აეროდრომიდან აფრინდა სიმბოლიკა და ნომერშეცვლილი თვითმფრინავი, რომელსაც ქართველი მფრინავი გიორგი რუსტელი მართავდაო...*

— სერიოზულ სამხედრო ექსპერტებს არ სჯერათ „ვეფხისტყაოსანი“ მფრინავის რუსტელი-რუსთაველის ლეგენდა. ჩვენ ყველა ქართველ მფრინავზე დოსიე გვაქვს. მსგავსი გვარი არც გაგვიგონია. არც თვითმფრინავის გადაღებვა იქნებოდა საჭირო, რადგან დილის 4.20 სთ-ზე ვერავინ ვერაფერს შენიშნავდა. ჩვენი კოსმოსური მზვერავების — „ოკოს“ და „პროგნოზის“ დანიშნულებაა სარაკეტო თავდასხმის შესახებ დროულად გაფრთხილება და კოსმოსური და საჰაერო სივრცის გაკონტროლება.

— *ამბობენ, კავკასიის თავზე 1996 წლიდან მუდმივად ჰკიდია სამი ამერიკული და ერთიც ჩვენი მზვერავი-თანამგზავრიო.*

— ამ რაიონში ეს თანამგზავრები, რომლებიც გლობალური მსოფლიო ქსელის „ეშელონის“ შემადგენლობაში შედიან, ამერიკელების თვალი და ყურია, ჩვენი კი, უზრუნველყოფს ობიექტ „კ-200“-ის მუშაობას; იგი უნიკალური სისტემა „დოზორის“ ნაწილია და რუსეთის სარაკეტო და საარტილერიო აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გენერალ-პოლკოვნიკ კარაბელნიკოვის საყვარელი „სათამაშო“, რომელიც თვალდახუჭული ხვდება, ვისი თვითმფრინავები დაფრინავენ საქართველოს თავზე. კოსმოსურმა საშუალებებმაც, ჩვენმა „ავაქსებმაც“ (თვითმფრინავი „ა-50“) უცებ დააფიქსირეს მოიერიშეთა გზა-სავალი. ეს რომ ქართული „სუ-25“ ყოფილიყო, მაშინვე გამოვიჭერდით და არა მარტო კოსმოსური და საჰაერო საშუალებებით. იმ რაიონში ყველაფერს აკონტროლებს უზარმაზარი, რლს ანუ ზელენჩუკის ცალკეული რადიოტექნიკური კვანძი.

## „სუპერგრაჩები მოფრინდნენ“

— *ამბობენ, კონსტრუქტორებმა უკვე შექმნეს უახლესი რადიოლოკაციური სადგურით აღჭურვილი „სუპერგრაჩი“ — „სუ-39“. ამ მანქანას ხომ არ ცდიდნენ პანკისში?*

— ამ „სუპერგრაჩის“ მასობრივი წარმოების თანხები ჯერ არ გაგვაჩნია და არც სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში გამოჩენილა „სუ-39“. მაგრამ მოზდოკში გადააფრინეს მოდერნიზებული თვითმფრინავები „სუ-25ტ“. ამგვარ მანქანებს უშვებს ულან-უდეს ავიაქარხანა (წელიწადში 10 ცალს). ახალ მოდერნიზებულ „გრაჩს“ ღამითაც შეუძლია გამოიყენოს მაკორექტირებელი ავიაბომბები „კაბ-50 ოკრ“ და ლაზერისთავიანი რაკეტები „ხ-25“.

— *ბოევიკებს რატომ არ დაუმიზნეს?*

— ჯერ ერთი, ახალი იარაღის გამოცდისას ყველაფერი ხდება... მეორეც, იმავე ღამეს განადგურდა რუსლან გელაევის კოლონის 7 საბარგო მანქანა.

— *ვინ გასცა ასეთი სპეცოპერაციის ჩატარების ბრძანება, იქნებ ვინმეს „რუსეთის გმირის“ წოდების მიღება სურდა?*

— ეს ბრძანება უმაღლესი ეშელონებიდან მოდიოდა. ხომ დადგა რუსეთის გმირობაზე გენშტაბის უფროს კვაშნინის წარდგენის დრო — ის ხელმძღვანელობს კავკასიაში ყველა საბრძოლო მოქმედებას, მასვე სჩვევია ყველაზე სარისკო ავანტიურულ ოპერაციებზე ბრძანებების გაცემა. ადრე ეს კოსოვოში დესანტის გადასროლა იყო, ახლა საქართველოს დაბომბვაა...

***ნოვაია გაზეტა №66***

# პუტინის წერილი მსოფლიოს ლიდერებს

პრეზიდენტმა პუტინმა მსოფლიოს ლიდერებს წერილი გაუგზავნა, სადაც ის საქართველოს ჩეჩენი მეამბოხეებისა და ტერორისტების მფარველობაში ადანაშაულებს და იმუქრება, თუკი საქართველოს ხელმძღვანელობა ტერორისტებს და ბანდიტებს არ მიხედავს, მაშინ რუსეთი ადეკვატურ ზომებს მიმართავსო. ეს რომ გაიგო, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ოთხსაათიანი სხდომა გამართა თავის უშიშროების საბჭოში. თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, მთავრობა დიპლომატიურ და თავდაცვით ღონისძიებებს მიმართავს კრიზისის გადასაჭრელადო, თუმცა დეტალების დაზუსტებისგან თავი შეიკავა.

პუტინმა ახალგაზრდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა ნიუ-იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მსოფლიო ლიდერების შეკრების პერიოდში, 11 სექტემბრის წლისთავზე.

თავის წერილში პუტინი აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთში ჩატარებული „წარმატებული ანტიტერორისტული ოპერაციის“ შემდეგ ჩეჩენი მებრძოლები საქართველოში გადავიდნენ, სადაც თავისუფლად ცხოვრობდნენ და შეიარაღებასა და ფინანსურ მხარდაჭერას იღებდნენ. პუტინი აცხადებს, საქართველომ რამდენჯერმე უარი უთხრა რუსეთს შეთავაზებაზე — ერთად შებრძოლებოდნენ ამბოხებულებს, პანკისის ხეობაში დაწყებულ ოპერაციას „კონკრეტული შედეგები“ არ მოაქვს ტერორისტული საფრთხის აღმოსაფხვრელად.

პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ნებისმიერი აქცია არ იქნება მიმართული ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის „წინააღმდეგ“, ან „პოლიტიკური რეჟიმის შესაცვლელად“.

***ასოშეიტედ პრესი***

# შევარდნაძე პუტინთან საქმის გარჩევას აპირებს

საქართველოს პრეზიდენტმა ვერავითარი ახსნა-განმარტება ვერ მოუძებნა რუსეთის პრეზიდენტის დემარშს და საგანგებო პრესკონფერენციაზე თქვა, — ალბათ იმაზე არიან ნაწყენი, რომ საქართველომ ნება არ დართო თავის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანისა, რათა ჩეჩენი სეპარატისტებისთვის ზურგიდან დაერტყათო. რუსეთის პრეზიდენტის აშკარა მუქარა შევარდნაძემ თითქოს ვერ შეამჩნია და თქვა, პუტინი თავის განცხადებაში მიგვანიშნებს, რომ არავითარი სანქციები საქართველოს წინააღმდეგ არ განხორციელდება, თუ ის თვითონ მიხედავს ტერორისტებსო და შეახსენა ყველას, რომ ხეობაში ოპერაცია უკვე ტარდება. ამასთან, პრეზიდენტი დაჰპირდა ქვეყანას, რომ დაურეკავს თავის კოლეგას და ბევრ საკითხსაც გაარკვევს...

შევარდნაძისგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტი აგრესიულად შეხვდა პუტინის განცხადებას. ეს კავკასიურ კონფლიქტში საქართველოს ფართომასშტაბიანი ჩართვის მცდელობა არისო, — განაცხადა თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა.

პუტინის მიერ ზუსტად გათვლილმა ულტიმატუმმა საქართველოს ხელმძღვანელობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. ახლა საქართველოს ვერც მისი მთავარი მფარველი, აშშ გამოესარჩლება. გაეროში გაგზავნილი პუტინის განცხადების სრული ტექსტი კოფი ანანს უდევს მაგიდაზე. რუსეთი მტკიცედ მოითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ შეასრულოს გაეროს რეზოლუციიდან გამომდინარე თავისი მოვალეობა. რუსეთი გარკვევით მიანიშნებს, რომ ვეტოს არ დაადებს ერაყის ომს, თუ საქართველოში ჩეჩენ ბოევიკებთან ბრძოლის უფლებას მისცემენ.

***გაზეტა რუ***

# დასავლეთმა ულტიმატუმი არ შეიმჩნია



რუსეთის მიერ გამოცხადებული ომი გამოიწვევს საქართველოში შიდაპოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციას და მის დეზინტეგრაციას. ედუარდ შევარდნაძის პოზიცია გართულდა, რაც შეიძლება მას პრეზიდენტის სავარძლის ფასადაც დაუჯდეს. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძეს ქვეყანაში დიდი მხარდაჭერა არა აქვს, ის მაინც კონსენსურ ფიგურას წარმოადგენს, რომელსაც ალბათ მოკლე ხანში შემცვლელი არ მოეძებნება. აჯობებდა, რუსეთს შევარდნაძისთვის დაეჭირა მხარი, არც ტერორიზმის პრობლემებს გამოჰკიდებოდა (რაც მისი ოფიციალურად გაცხადებული მიზანია) და არც აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სხვა ტერიტორიების პრობლემები ეჩხრიკა.

ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძალოვანი ოპერაციის გატარება მოსკოვ-საქართველოს ურთიერთობებს სცილდება. იბადება კითხვა, როგორ შეხედავენ ამ სცენარს ჩრდილო კავკასიაში, ანუ რუსეთის შიგნით ფართო არასტაბილურ ზონაში? რუსეთის ხელისუფლება ადანაშაულებს დაღესტნის, ჩრდილო ოსეთის, ინგუშეთის მოსახლეობას ტერორისტულ ქმედებებში ან ტერორიზმთან კავშირში. რუსეთის ბრჭყალები ჩრდილო კავკასიას გაალიზიანებს და არც ჩეჩნეთს უშველის. ფედერალური ძალების წინააღმდეგ მებრძოლებს ქართული ტერიტორიების დაბომბვა იარაღს ვერ დააყრევინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ანტიტერორისტულმა ოპერაციამ შეიძლება იმოქმედოს მის რეპუტაციაზე დსთ-ის თვალში და დსთ-ში შემავალი ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებაზეც. საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანში პრობლემები მაშინვე გამწვავდება, როგორც კი შეირყევა შევარდნაძის ტახტი. ბევრი ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებაში შევარდნაძის და მისი აზერბაიჯანელი კოლეგის ჰაიდარ ალიევის ყოფნა დესტაბილიზაციის შემაფერხებელი ფაქტორია ამ რეგიონში. ამ ტანდემიდან ერთ-ერთის გამოვარდნა კავკასიის ფართომასშტაბიან ომს გამოიწვევს.

დსთ-ის პარტნიორთა რეაქცია საქართველოს ტერიტორიაზე ძალის გამოყენების შესახებ დამოკიდებულია აშშ-ის პოზიციაზე. ის კი უარყოფითი იქნება.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა საქართველოს ტერიტორიაზე ძალის გამოყენებას არ მოიწონებს.

პუტინის მიერ საქართველოს ხელმძღვანელობისადმი წაყენებული ულტიმატუმი „ცივილიზებული სამყაროს“ მაღალჩინოსანთ ჯერჯერობით არ შეუფასებიათ — ეს ის შემთხვევაა, როდესაც დუმილი თანხმობად არ უნდა ჩაითვალოს. „ცივილიზებული სამყარო“ ახლა თავის აზრს აყალიბებს, ითვალისწინებს ჩეჩნეთის პოზიციას და მოსკოვი-თბილისის პრობლემის გადაწყვეტის პოლიტიკურ ხერხებს ეძებს. თანაც ადამიანთა უფლებებსაც არ ივიწყებს.

ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შედეგიანად დასრულდება ანტიტერორისტული ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე,

ყველამ უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე რუსეთი, თავის მიერ გატარებული სამხედრო ოპერაციებიდან, ყოველთვის წაგებული გამოვიდა. ამის ნათელი მაგალითია ავღანეთი და ჩეჩნეთი. არც ბაქოს (1988 წ.), თბილისის (1989 წ.), ვილნიუსის (1991 წ.) დავიწყება შეიძლება. ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევაში არმიის გამოყენება უაზრო, არაეფექტური და უგუნური იყო.

***როიტერი***




თუ გსურთ:

ჩვენთან თანამშრომლობით, თქვენ შეძლებთ ყველაზე:

ექსპრესის ტარიფები

| | |
|---|---|
| 0.01-დან 50-მდე | 2 ლარი |
| 50.01-დან 100-მდე | 3 ლარი |
| 100.01-დან 200-მდე | 4 ლარი |
| 200.01-დან 500-მდე | 6 ლარი |
| 500.01-დან 1000-მდე | 10 ლარი |
| 1000.01-დან 1500-მდე | 14 ლარი |
| 1500.01-დან 2000-მდე | 20 ლარი |
| 2000.01-დან 2500-მდე | 24 ლარი |


CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიითხობენ

**ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐ**, როდესაც რამეს იტკენდა, მაშო ბებია ეუბნებოდა:

— ვაიმე, მოგიკვდეს ბებო, რამე ხომ არ იტკინეო.

ერთხელაც, ბაბუას ფეხი გაუცურდა და დაეცა. ირინა ბაბუას მოთქმით მივარდა:

— ვაიმე, მოგიკვდეს ჩემი მაშო ბებია, რამე ხომ არ იტკინე?

ბაბუას ტკივილი დაავიწყდა.

***

**4 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲣᲙᲣᲨᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** დედას სთხოვა, ძილის წინ ზღაპარი წამიკითხეო. ახლა წიგნი აქ არა მაქვს და ვერ წაგიკითხავ, — უთხრა დედამ.

— არა უშავს, პირით წამიკითხე, — მიუგო ნიკუშამ.

***

**4 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲗᲐ ᲙᲝᲞᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ეზოში ასფალტზე ცარცით ხატავს და გაზეთის კითხვით გართულ მამას ხშირ-ხშირად აწუხებს:

— მოდი, მამიკო, ნახე. ახლა რა კარგი რკინიგზა დავხატე.

ასფალტზე ორი პარალელური ხაზი გაუვლია და ალაგ-ალაგ მოკლე ხაზებით შეუერთებია.

მამამ, იქნებ დიდხანს შეიქციოს თავიო, უთხრა:

— რკინიგზას ხომ ელმავალი და ვაგონები მოუხდება. აბა, თუ დახატავ!

თათა ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე კი სხარტად მიუგო:

— იცი, რა, მაგათი დახატვა არ ვიცი და ვითომ... გვირაბშია!

## ᲘᲞᲝᲕᲔ 11 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: „გარეგნობით პარაშუტს ჰგავს, იშლება და იხურება, ხან სიცხეში, ხან წვიმაში თავზე გადმოგვეხურება“.

IV





ᲨᲔᲣᲠᲩᲘᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲣᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ



I ციფრების ნაცვლად განალაგე შესაბამისი წრეები და კვადრატები

II



იპოვე ორი ერთნაირი ბატი

მიიყვანე გოგონა სკოლაში



## V ანა, გამოიცანი

**1. რას შეისწავლის კინოლოგი?**

ა) ადამიანებს, ბ) ფილმებს, გ) ძაღლებს, დ) ფრინველებს.

**2. ვინ შეხარის მშობლიურ ზეცას სიტყვებით: „შეხედე, რა ცაა! ესაა, რაცაა!“**

ა) შოთა ნიშნიანიძე, ბ) გალაკტიონ ტაბიძე, გ) ანა კალანდაძე, დ) ლადო ასათიანი.

VI



რომელი ცხოველისა და ფრინველის ნაწილებისგან შედგება ეს არსება?

## III რებუსი



## ჭიაყელი

| პელეს სამშობლო | მუსიკ. ნოტი | დიდი, გამობერილი მუცელი | ტანისა და თავის დამაკავშირებელი სხეულის ნაწილი | ქლიავის ჯიში |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

| კედლის ჭალი | საბჭოური ავტომობ. მარკა | საზაფხულო საძოვარი | რისამე მწვერვალი, ბოლო სტადია | „საპნის ოპერა“, ანუ ტელე... | კედელში დატანებული პირღია ღუმელი |
|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალლო-სალალო“

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 31-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# „იარაღს რუსები გვაწვდიდნენ და გამსახურდიაც რუსების დახმარებით დავამხეთ“

**გენერალ-ლეიტენანტი ლევან შარაშენიძე 1979-90 წლებში საქართველოს სამხედრო კომისარი, მოგვიანებით კი თავდაცვის მინისტრი იყო. ეს დრო საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი და საინტერესო პერიოდია. ამ დროს მიმდინარეობდა ავღანეთის ომი, დაიწყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, იყო 9 აპრილი, სახელმწიფო გადატრიალება და აფხაზეთის ომი. საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთზე ექსთავდაცვის მინისტრი ლევან შარაშენიძე გვესაუბრება.**

მარცხნიდან: I რიგში — ალექსი ინაური, უცნობი სამხედრო დიმიტრი ქართველიშვილი და ედუარდ შევარდნაძე; II რიგში — ჯუმბერ პატიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გურამ გაბუნია, გურამ ენუქიძე, სასაზღვრო ჯარების სარდალი საქართველოში ზგერსკი; III რიგში — ჟიული შარტავა, ომარ ვარძელაშვილი და ბორის ადლეიბა



**— 1986 წლის ჩერნობილის ტრაგედიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოზე გაგზავნილი ხალხის ბედზე ბოლო დროს დიდი აურზაურია. ითქვა, რომ რამდენიმე ათეული კაცი იქ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით შეიყვანეს. თქვენ, რესპუბლიკის მაშინდელი სამხედრო კომისარი, რას იტყვით ამ ფაქტზე?**

— საქართველოში სამხედრო ტრიბუნალი არ გამართულა. მივიღეთ პოლიტბიუროს დადგენილება, რომ უკრაინელებისთვის დახმარება აღმოგვეჩინა. მოსკოვიდან სპეციალური ჩამონათვალი გადმოგვიგზავნეს — რა სპეციალობის ხალხი უნდა წასულიყო ე.წ. „ზბორებზე“. პროცესს გენერალური შტაბი მართავდა, ცკ-ს და მთავრობას მხოლოდ და მხოლოდ მათ გადაწყვეტილებას ვუთანხმებდით. რაკი სხვადასხვა შეღავათი იყო გათვალისწინებული, უამრავი მოხალისე მოვიდა... არ ვიცი, რატომ გაახსენდათ ჩერნობილის ავარიის შედეგის ლიკვიდაციაზე მომუშავე 150 კაცი, როცა აფხაზეთის ომში 10 ათასი კაცი გაუშვეს სასაკლაოზე.

**— ვინ გაუშვა?**

— იმ მთავრობამ, რომელშიც ვიყავი თავდაცვის მინისტრად. კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რომ აფხაზეთში ჩვენი ჯარი შესულიყო. მადლობა ღმერთს, როცა ომი დაიწყო, უკვე აღარ ვიყავი თავდაცვის მინისტრი. აფხაზეთის კარტი რუსებმა გაითამაშეს, რომ საქართველო ყოფილიყო რუსეთზე მიბმული. ჩვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ გამოიჩინა ალღო, რათა ჩრდილო კავკასიის კონფედერაციასა და რუსეთთან დაემყარებინა ურთიერთობა.

**— 1981 წელს, როდესაც ბრეჟნევი საქართველოს სტუმრობდა, თქვენი განკარგულებით, გიორგი ჭანტურია სამხედრო ჰოსპიტალში მოუთავსებიათ, რათა საპატიო სტუმრისთვის რაიმე პრობლემა არ შეექმნა.**

— ვაღიარებ, როცა პოლიტიკური მღელვარება დაიწყო, ჩემთან კგბ-დან მოვიდა ლიდერების სია. მეკითხებოდნენ, შეიძლებოდა თუ არა მათი გაწვევა არმიაში ან „ზბორებზე“, რათა ამ მეთოდით მომხდარიყო მათი განეიტრალება.



შოთა გორგოძესთან ერთად

კონკრეტულად გიორგი ჭანტურიას შემთხვევა არ მახსოვს, მაგრამ ალბათ სიმართლეა რასაც ბრძანებთ. მაშინ გიორგი ჭანტურიაზე მეტად ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა აინტერესებდა КГБ-ს.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ირაკლი ბათიაშვილი, თამრიკო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი მოდიოდნენ და მედავებოდნენ, რატომ აგზავნი ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში ქართველ ბიჭებსო, მაგრამ მე გენერალურ შტაბს ვემორჩილებოდი, გეგმა იქიდან მოდიოდა.

**— თქვენ რესპუბლიკის სამხედრო კომისარი იყავით 1989 წლის 9 აპრილსაც, არ შეგეძლოთ რაიმეს შეცვლა მაშინ?**

— მე სამხედრო სარდლობას საქმის კურსში არ ჩავუყენებივარ. უშუალოდ როდიონოვის განკარგულებების შესრულება მევალებოდა. 9 აპრილის ღამეს მაშინდელ ლენინის მოედანზე ვიყავი. დაახლოებით ღამის 2-ის ნახევარზე იქ იყვნენ მედესანტეები, 328-ე საპარაშუტო პოლკი, რომელიც თავის დროზე, როცა განჯაში ვმსახურობდი, ჩემს დაქვემდებარებაში იყო (9 აპრილს ამ პოლკის ნაწილი — 1.500 კაცი შემოიყვანეს თბილისში). რთულ ვითარებაში აღმოვჩნდი, როცა დავინახე, ჩემი ყოფილი ხელქვეითები ჩემს თანამემამულეებზე აპირებდნენ შეტევას. მაგრამ არაფრით მჯეროდა, რომ იქ ხალხი დაიღუპებოდა.

იმ ღამეს შინაგან საქმეთა მინისტრ შოთა გორგოძეს კონფლიქტი მოუვიდა როდიონოვთან. ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალმა მას მოსთხოვა, მომიტინგეები ქართულმა შინაგანმა ჯარმა დაარბიოსო. მაშინ გორგოძეს შინაგანი ჯარების ძირითადი ნაწილი აფხაზეთში ჰყავდა გაგზავნილი, არ ჰქონდა სათანადო შესაძლებლობა (და არც სურვილი — ი.რ.) ძალით დაეშალა მიტინგი. სწორედ ამის გამო მოხდა ინციდენტი... ვფიქრობ, სისხლის ღვრა არც როდიონოვს უნდოდა, მაგრამ ვალდებული იყო შეესრულებინა მოსკოვის მოთხოვნა — დილამდე მიტინგი უნდა დაშლილიყო.



თენგიზ კიტოვანთან ერთად

1990 წელს, როდესაც ეროვნული მოძრაობის პიკი დადგა, სამსახურიდან გადავდექი, რაკი ვხვდებოდი საბჭოთა კავშირი იშლებოდა, სიტუაცია არეული იყო. გუმბარიძემაც მირჩია მაშინ, — ახლა თადარიგში ყოფნა სჯობსო და დავუჯერე.

ხელისუფლებაში გამსახურდიას მოსვლის შემდეგ ოპოზიციის ბანაკში აღმოვჩნდი. 1991 წლის სექტემბრის ბოლოს, თბილისის ზღვაზე მივედი თენგიზ სიგუასთან.

**— არაერთხელ ითქვა, რომ მაშინდელ ოპოზიციას იარაღით რუსეთი ამარაგებდა.**

— არ ვმალავ — რუსეთი გვაწვდიდა იარაღს. პატრიკეევი, ამიერკავკასიის სამხედრო ძალების სარდალი, იმ დროს სოხუმში იყო, ვითომ ისვენებდა, მაგრამ ეს განგებ მოაწყვეს. მე უშუალო კავშირი მქონდა გენერალ ბეპაევთან. მათ მოსკოვიდან დაევალათ ჩვენთვის იარაღი მოეწოდებინათ — ავტომატები, ტყვიები, ყუმბარმტყორცნები. გამსახურდია რუსების დახმარებით დავამხეთ.

31 დეკემბერს გამსახურდიას სატელეფონო კავშირის საშუალება მოვუსპეთ. ვიცოდით, რომ მანამდე ის „ვეჩეთი“ უკავშირდებოდა მოსკოვს და ჩრდილო კავკასიას. ღამით ოთარ ხატიაშვილი, ინაურის ყოფილი მოადგილე გავაღვიძეთ. მან მიგვასწავლა ის ჭა, სადაც სატელეფონო კაბელი გადიოდა. კაბელის გადაჭრის შემდეგ გამსახურდია იზოლაციაში აღმოჩნდა. 3 იანვარს კი ახალი, სიგუას მთავრობა ჩამოყალიბდა...

**— რატომ გაჩნდა იდეა, რომ შევარდნაძე ჩამოგეყვანათ?**

— მისი დიდი ავტორიტეტის გამო. 3 თვის მანძილზე სიგუა-კიტოვანი-იოსელიანი მართავდა ქვეყანას. ყველა გვეკითხებოდა, — რატომ არ ჩამოგყავთ შევარდნაძეო. 14 თებერვალს მინსკში სამიტი ჩატარდა. სიგუამ დელეგაციის ხელმძღვანელად დამნიშნა და პირველი განცხადება დროებითი მთავრობის სახელით მე გავაკეთე.



იოსებ ორჯონიკიძე, ლევან შარაშენიძე და გივი გუმბარიძე

**— რა თქვით?**

— რომ საქართველოში გაიმარჯვა რევოლუციამ და ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდა. ყველამ ყურადღებით მოგვისმინა და მიიღო ეს. მაგრამ შუშკევიჩმა, ბელორუსიის მაშინდელმა ხელმძღვანელმა განაცხადა, — საქართველოში კანონიერი ხელისუფლება დაემხო და ე.წ. თავდაცვის მინისტრი გენერალი შარაშენიძე ხუნტის წარმომადგენელია და ჩვენ ვერ ვაღიარებთ და ვერ მოვიწონებთ იმას, რაც საქართველოში მოხდაო, მაგრამ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სხვა წარმომადგენლებმა მხარი დაგვიჭირეს.

იმ დროს მოსკოვში რომ ჩავდიოდით, ზურაბ წერეთელთან ვიკრიბებოდით. იქ მოდიოდნენ გურამ მგელაძე, ნუგზარ ფოფხაძე, ნიკოლსკი. ყველა ფიქრობდა, რომ შევარდნაძე უნდა ჩამოსულიყო საქართველოში. ორჯერ მეც ვიყავი შევარდნაძესთან...

**— შეიძლება ითქვას, რომ დეკემბერ-იანვარში პროცესებს შევარდნაძე მართავდა?**

— არა. ეს უსაფუძვლო ბრალდებაა. შევარდნაძე არ სვამდა საკითხს, როგორი სტატუსით უნდა ჩამოსულიყო საქართველოში. 2 მარტს მე და კიტოვანი მოსკოვში ჩავფრინდით. დღის პირველ ნახევარში 4-5 საათი ისაუბრეს შევარდნაძემ და კიტოვანმა. იმ დღესვე კიტოვანი შევახვედრე თავდაცვის მინისტრ მარშალ შაპოშნიკოვს, მერე კი დაღამებამდე რუსეთის სადაზვერვო სამსახურის უფროსთან პრიმაკოვთან ვიყავით. ამ შეხვედრების შემდეგ რამდენიმე თვეღა ვიყავი თავდაცვის მინისტრი. 9 მაისს თავდაცვის მინისტრად კიტოვანი დაინიშნა. კიტოვანსა და იოსელიანთან უთანხმოება მქონდა — შაპოშნიკოვი 20 ტანკს რომ მაძლევდა, 10 — ერთს მიჰყავდა, 10 — მეორეს. როგორ უნდა მემუშავა ასეთ პირობებში. ფორმალური თავდაცვის მინისტრობა არ შემეძლო. შევარდნაძესთან რატომ მიდიხარო, — წამდაუწუმ მესმოდა საყვედურები კიტოვანისა და იოსელიანისგან. ხალხი მომიჩინეს მეთვალყურედ, ვიცნობ პირს, რომელიც კუდზე დამყვებოდა.

**— რატომ არ გენდობოდნენ?**

— ეტყობა, შიშობდნენ, რომ რუსეთისგან რაიმე დახმარებას მივიღებდი. მე ეროვნული ჯარის აღმშენებლობა მინდოდა რუსეთის მეშვეობით, რაც არ მოსწონდათ. მაშინ ამერიკაზე არ იყო აქცენტი აღებული და, ბუნებრივია, მე რუსეთისკენ მქონდა ორიენტაცია...

**— ეს იყო თქვენი თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი?**

— ეს და ისიც, რომ მე მათ აღარ ვჭირდებოდი. დროებით მთავრობას აფხაზეთში შესვლა ჰქონდა განზრახული. მე ამას სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი, ამიტომაც ჩამომიცილეს გზიდან. ამის შემდეგ კიტოვანის მრჩევლად დავინიშნე.

**— როგორც ვიცი, ალექსი ინაურთანაც გქონდათ უთანხმოება. რატომ ვერ შეეწყვეთ კგბ-ს მრისხანე შეფს?**

— ინაური ძალიან მკაცრი და ეჭვიანი კაცი იყო. ბევრს მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის ჯარში ჯარისკაცების გაწვევა ფულის კეთების საშუალებაც იყო. ჩემს სამსახურს კგბ აკონტროლებდა. ინაური ჩემს ხელმძღვანელად ითვლებოდა. კგბ ფლობდა ინფორმაციას, რომ თანამდებობის პირთა შვილები თავს არიდებდნენ ჯარში წასვლას. ახლაც ასე არ არის? რომელი პარლამენტარის ან მთავრობის წევრის შვილი მიდის ჯარში? ბუნებრივია, ეს პრობლემა მაშინაც იყო. თუმც იყო შემთხვევები, რომ პირიქით ხდებოდა. ჭაბუა ამირეჯიბმა მთხოვა, — ჩემი ირაკლი იქ გააგზავნე, სადაც შენ მსახურობდიო. მართლაც, საჰაერო-სადესანტო ჯარში გავაგზავნე ის ბიჭი, რომელიც მერე აფხაზეთის ომში დაიღუპა.

ერთხელ ცკ-ის ბიუროზე მე და ინაური დავეჯახეთ ერთმანეთს. ინაურმა მითხრა, — ზოგ წვევამდელს აქ რომ ტოვებთ, ზოგს ავღანეთში აგზავნით, ამაში კომისრები ფულს აკეთებენო. მეც შევუტიე მაშინ. თუ რაიმე ინფორმაცია გაქვთ, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დასვით-მეთქი. ამის შემდეგ დაიძაბა ჩვენ შორის ურთიერთობა. ვიცი, კგბ-მ სათანადო ზომები მიიღო და ჩემზე მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა. ჩემს ტელეფონებს უსმენდნენ, შემდეგ ჩემთან სამუშაოდ გამოაგზავნეს კაცი, რომელიც მათი აგენტი იყო.

იმ სკანდალური ბიუროს სხდომის მეორე დღესვე დამიბარა შევარდნაძემ და გამაფრთხილა, — ნუ ედავები ინაურს. ხომ იცი, რა დაემართათ მის მოწინააღმდეგეებსო. გამახსენდა რუსთავის მაშინდელი აღმასკომის თავმჯდომარის ალექსანდრე უბირიას ამბავი, რომელიც ციხეში მოხვდა ინაურის წყალობით (ქრთამის აღება წაუყენეს ბრალად). შევარდნაძეს ვუთხარი, — არ მეშინია, პირადად მე ქრთამს არ ვიღებ-მეთქი. საახალწლოდ და დღესასწაულებზე კი მოჰქონდა ზოგიერთ კომისარს გოჭები და კონიაკები, მაგრამ ეს ყველაფერი რუსეთის სარდლობასთან იგზავნებოდა.

**— შევარდნაძის ჩამოყვანით კმაყოფილი ხართ?**

— შედეგები, რასაც ველოდით, სახეზე არ არის. შევარდნაძე აღარ მოსწონს რუსეთს, არც უწინ ეხატებოდათ გულზე. ელცინსა და შევარდნაძეს შორის ყოველთვის იყო დაპირისპირება. ГКЧП-ს დროს დასახვრეტთა სიაში ერთ-ერთი პირველი შევარდნაძეც იყო. დღეს შევარდნაძეს რუსეთის აგენტს ეძახიან, თუმცა აგენტი არ არის. ისე, სჯობს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს.

*იზო რუხაძე*



მარცხნიდან პირველი ლევან შარაშენიძე, მეოთხე — ალექსანდრე ასლანიკაშვილი, ცენტრში ვიტალი ხაზარაძე და მარჯვნიდან მეორე მიხეილ ოსაძე

# „სხვა არაფრის გახსენება არ მსურს და სიმართლე გითხრა, არც შემიძლია...“



აფხაზეთის ომის ვეტერანთან, ამჟამად რესპუბლიკის ერთ-ერთი ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტთან შეხვედრას რამდენიმე თვე ამაოდ ვცდილობდი, — კრიზისულ მდგომარეობაში მყოფთან გასაუბრება სახიფათო იყო. ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იქნა, ყოფილმა ჯარისკაცმა მოიხედა, რამდენიმე საათით გონება დაუბრუნდა და ჩვენი შეხვედრაც მოხერხდა.

ჩემმა რესპონდენტმა ომის საშინელებისა და შემდგომი ცხოვრებისეული პრობლემების დავიწყება ალკოჰოლის დახმარებით სცადა, შედეგად გალოთდა და ფსიქიკურად დაავადდა კიდეც. ეს დღეს აღარავის უკვირს, სამშობლოს დამცველების უმრავლესობა ჭიქა არყით იკლავს დარდს — დღედაღამ ლოთობენ.

ჩვენი რესპონდენტის მონათხრობს შეულამაზებლად გადმოგცემთ:

„ღარიბულად მოწყობილ ოთახში, მოყანყალებულ ტახტზე ვიწექი და საშინელ სიზმარს ვხედავდი. ასეთი სიზმრები ბოლო ორი კვირა იყო, რაც დამჩემდა. ალბათ ამდენმა სმამ „ბელაია გარიაჩკა“ დამმართა. ძილში ტელეფონის ზარის ხმა ჩამესმა. არყისაგან გაბრუებულმა თვალები ძლივს გავახილე და ყურმილი გაჭირვებით ავიღე, მაგრამ უკვე გათიშულიყო. უეცრად თითები რაღაცამ დამწვა. აკანკალებული ხელი ჩასისხლიანებულ თვალებთან მივიტანე და შუა და საჩვენებელ თითებს შორის ბოლომდე ჩამწვარი „პრიმის“ ნამწვავი დავინახე. ერთი გვარიანად შევიკურთხე და მოვიშორე. ძირს დაყრილ არყისა და ლუდის ცარიელ ბოთლებს უაზროდ გადავხედე, იატაკიდან დაჭმუჭნილი შარვალი ავიღე და ჯიბეები მოვქექე, — მხოლოდ ორასი გრამი არყის გადასახუხი თანხა შემრჩენოდა. რამდენიმე წუთში არაყი უნდა დამელია, თორემ ვგრძნობდი, გავგიჟდებოდი. ავჩქარდი, აბაზანაში შევედი და სახეზე წყალი შევისხი, თუმცა რას მიშველიდა?! მხოლოდ არაყს შეეძლო ჩემთვის აზროვნების უნარის დაბრუნება. სარკეში ჩახედვა არ მინდოდა, რას დავინახავდი — აფორეჯებულ, დასივებულ და თმა-წვერით გაჯაგრულ თავ-პირს, არადა გასაპარსად ხელიც რომ არ მემორჩილება?! სასწრაფოდ არაყი უნდა დამელია. ლოთის პირობაზე, სწრაფად მოვწესრიგდი, კარი გამოვიჯახუნე და კიბეზე ჩქარი ნაბიჯით დავეშვი. სადარბაზოდან გამოსულს ვიღაც მომესალმა, არც მიპასუხია — ახლა თვალწინ მხოლოდ არყის ბოთლი მედგა.

— გამარჯობათ, ქალბატონო ნუნუ. როგორ ბრძანდებით, ბავშვები ხომ გყავთ კარგად?! — მოწიწებით მოვიკითხე ჯიხურის გამყიდველი. ვატყობ, პროფესიონალი ლოთის ყველა თვისება უკვე მაქვს, ერთ-ერთი გადაჭარბებული ზრდილობიანობა გახლავთ.

— ბიჭო, მე დედაშენი ვარ თუ შენი საყვარელი, ნამუსი აღარ გაქვს?! რამდენი გაქვს ჩემი ვალი, როდის უნდა გამისწორდე?

— ქალბატონო ნუნუ, ხომ გითხარით, ერთ კვირაში მთელ ვალს დაგიბრუნებთ და პატივსაცემად ათ დოლარსაც გიფეშქაშებთ.

— მაგას ორი კვირის უკან დამპირდი და ახლაც იმავეს მიმეორებ. სირცხვილი შენ არ გაქვს და ნამუსი. აფსუს, რა ბიჭი იყავი, ამ ლოთობამ სულ მოგითავა ხელი. ცოლ-შვილმა მიგატოვა, მშობლებმა შენზე ხელი ჩაიქნიეს. როდისღა მოხვალ ჭკუაზე?

— არასწორი ინფორმაცია გაქვთ, ქალბატონო ნუნუ. უბრალოდ, სტრესულ მდგომარეობაში ვარ და ალკოჰოლური თერაპიის კურსს გავდივარ. დავამთავრებ ამ მკურნალობას და ისევ ის ვიქნები, ვინც ვიყავი. ახლა კი აი, ორასი გრამი არაყი ჩამომისხით, — ვეუბნები და ვგრძნობ, არაყი თუ არ დაასხა, ამ ბოთლს პირდაპირ თავში გავუქანებ ამ სპეკულანტ დედაკაცს...

მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ჭიქა არყით გამილიცლიცა, მაგრამ ახლა არ გინდა დალევა? პირველი ყლუპის დალევა ყოველთვის მიჭირს. მთელი სხეულით ვკანკალებ, ცივი ოფლი ღვარად ჩამომდის და ჭიქის აღებას ვერ ვახერხებ. ხელების კანკალით ვხვდები, რომ დილის დოზა დამიგვიანდა და „ლომკა“ მეწყება. პირველი ყლუპი — ამაზრზენი გულისრევის შეგრძნებას გაჭირვებით ვუმკლავდები და მწარე სითხესთან ერთად სტომაქში ვაბრუნებ. მეორე ყლუპზე — იგივე მეორდება, ოღონდ გაცილებით მიიოლდება. მესამე ყლუპზე ორგანიზმი უკვე გაჭირვებით, მაგრამ მაინც იღებს სასმელს, მომდევნო ყლუპებზე კი კაპიტულაციას აცხადებს. ორიოდ წუთი გარინდებული ვარ. აჰა, სასმელმა უკვე დაიწყო მოქმედება. ხელები აღარ მიცახცახებს, სიმწრის ოფლიც აღარ მასხამს და ოდნავ მოვფერიანდი კიდეც.

ფეხებში ძალამოცემული სადარბაზოსთან, ბირჟაზე დავდექი. ჯერ კიდევ ადრიანი დილაა. სადარბაზოდან მეზობლები კანტიკუნტად გამოდიან, — რომ დამინახავენ, თვალს მარიდებენ, ანუ „ნევიჟუს“ მიკეთებენ. ეშინიათ, ფული არ ვთხოვო. არადა, რამდენჯერ გამიმართავს მათთვის ხელი. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო. აი, სადარბაზოდან ერთი მეზობელიც გამოვიდა. მისი შვილი აფხაზეთის ომში სიკვდილისაგან მე ვიხსენი. ახლა ის ბიჭი მოსკოვში მაგარ საქმეშია ჩართული და მამამისს ყოველთვე ათას დოლარს უგზავნის. ვხედავ, აჩქარებული ნაბიჯით ცდილობს გამშორდეს, მაგრამ მე ვეძახი:

— ბატონო სერგო, სერგო, კაცო, არ გესმის? სერგო, ერთი წუთით მომიცადე, — სერგოს სხვა გზა არა აქვს. მობრუნდა, ვითომ ახლა დამინახა. სახეზე ნაძალადევი ღიმილი აისხა და ასე ხელაწეული ჩემკენ გამოემართა.

— რამდენი ხანია, კაცო, არ მინახავხარ. როგორ ხარ, ხომ არაფერი გიჭირს?

— სერგო, ხომ იცი, ცუდად ვარ. გადავყევი, ბიჭო, ამ სასმელს და მგონი მერხევა.

— მერე არ უნდა დალიო, კაცო, სასმელს როგორ აკვლევინებ თავს?

— მართალი ხარ, სერგო, მაგრამ უკვე იმდენად მაქვს ორგანიზმი მოწამლული, რომ მხოლოდ ნებისყოფით ლოთობას ვერ მოვერევი. მივედი ნარკოლოგიურში და დამპირდნენ, გიშველითო. მაგრამ სამკურნალო ფული არა მაქვს. სწორედ ამიტომაც გაგაჩერე, იქნებ ცოტა ფული მასესხო, — დასალევი ფულის საშოვნელად კარგა ხანია ტყუილსაც შევეჩვიე. ხანდახან ისეთ ტყუილს დავახეთქებ, თვითონვე მომწონს და ზოგჯერ მჯერა კიდეც.

**— ამის დედა ვატირე. სამაჩაბლოს ომი იყო და გაჭირვებულმა სახელმწიფომ — გვიშველეთო. მერე აფხაზეთში დაიწყეს ომი და ახლა აქ გვჭირდებითო. ყველა გაჭირვებული და უქონელი ჩვენ მოგვადგებოდა. არიქა, ბიჭებო, მხედრიონელებმა მანქანა მომტაცეს და იქნებ დამიბრუნოთო, ქურდები სახლს გაუტეხდნენ და დაზარალებულები ჩვენთან მორბოდნენ, დაგვეხმარეთო. პოლიცია კი იმალებოდა. ჩვენ რომ ვიბრძოდით, ზოგიერთები დუბაიში დაფრინავდნენ სასპეკულანტოდ. აგერ, ალბათ ისეთივე სპეკულანტის შვილმა ბავშვს მანქანა დააჯახა და ისიც ჩვენი საპატრონო შეიქნა. ჩვენი მომხედავი კი არავინ გამოჩნდა, ამათი დედა ვატირე!**

— რომ არაფერი მაქვს, ბიჭო. ჩემს შვილს რაღაც ვალი დასდებია მოსკოვში და სამი თვეა არაფერი გამოუგზავნია. პირიქით, შავი დღისთვის გადანახული უკან გავუგზავნე, — არანაკლებ მარჯვე ტყუილი მომახალა სერგომ.

— არა, კაცო, სამკურნალო ფულს შენ კი არ გაწერ. იქნებ ერთი ხუთი-ათი დოლარით დამეხმარო, — სერგომ ჯიბეში ხელი ჩაიყო. ცდილობს, როგორმე ზუსტად ხუთდოლარიანი ან ათდოლარიანი ამოაყოლოს ხელს.

— აი, მხოლოდ ესა მაქვს. სამსახურში ფეხით წავალ, ოღონდ რამე გეშველოს... — ხელში ხუთ დოლარს მჩრის. შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გადადის და რომ ჰგონია, ვეღარ მხედავსო, ტაქსის აჩერებს და სამსახურში მიდის. მაგრამ ამწუთას სერგოსთვის არ მცალია. ჩემმა ტყუილმა ხუთი დოლარი მაშოვნინა. ეს კი ორი დღის არყის მარაგია. ვატყობ, ისევ დალევა მინდა. ნუთუ ასე მალე გავიდა საათ-ნახევარი? გამვლელს საათს ვეკითხები. აჰა, უკვე ორი საათი გასულა. იმიტომაც დამეწყო ხელების ცახცახი. მაღაზიაში შევდივარ, ზღურბლზე მეპატრონეს ვეჩეხები. გზას მითმობს, ერთი სული აქვს, შემიკურთხოს (მისი არცთუ პატარა ვალი მქონდა, მერე რაღაც შეეშალა, ხელზე დავიხვიე და ვალიც გავუქვითე), მაგრამ იცის, ჯერ კიდევ შემიძლია პასუხის გაცემა და ამიტომ მხოლოდ გულში იგინება... ჭიქა არაყი გადავკარი და ყურებში გუგუნი ჩაწყნარდა. ბოთლში დარჩენილ არაყს პატარა ბოთლში ვასხამ, ჯიბეში ვიდებ და გარეთ გამოვდივარ.

— „ბაბუაწვერას“ გაუმარჯოს, — დიდის ამბით მესალმებიან აფხაზეთის ომში შერქმეული მეტსახელით ჩემი თანამებრძოლები, რომლებიც ჩემსავით გალოთებულან. ახლა ჩვენი სიყვარული და მეგობრობა არყის ბოთლით იწყება და თუ შემოგვაკლდა, ასი გრამის გულისათვის ერთმანეთს თხასავით გავყიდით. არადა, აფხაზეთის ომში ერთმანეთისთვის დაუფიქრებლად ვწირავდით სიცოცხლეს.

— გაგიმარჯოთ. ჰა, რა ქენით, სად ხეთქეთ ამ დილაუთენია, რომ არ ჩანდით.

— რა ვქნათ, ძმაო, შენ ინტელიგენტობას თავს არ ანებებ და შინნახად არაყს ახლოსაც არ ეკარები. ჩვენ კი ბეჟანას სახინკლეში ვიყავით. „ზარბაზანას“ ჰქონდა ორი ლიტრა ჟიპიტაური და ის დავლიეთ.

— „ზარბაზანა“ სადღა არი. გუშინდელი ქეიფის შემდეგ აღარ მინახავს.

— „ზარბაზანა“ და „მუხლუხო“ აგერ აფთიაქში არიან. „მუხლუხოს“ ბავშვს მაღალი სიცხე ჰქონია და წამალი სჭირდება.

ბიჭები აფთიაქიდან დაღონებულები გამოვიდნენ და ჩვენ მოგვიახლოვდნენ.

— ბაბუაწვერა, თუ ძმა ხარ, მომეცი შენი ავტომატი, გარაჟში რომ გაქვს, მიწაში ჩამარხული. ამოვთხრი და ამ წამლის ბარიგებს ერთიანად ამოვჟუჟავ, მე მაგათი მკვდარი და ცოცხალი.

— რა მოხდა, ბიჭო?

— როგორ რა მოხდა, ძმაო, ბავშვს წამალი სჭირდება და ნისიად არ მოგვცეს. არადა, ხუთი დოლარი ღირს, რაღაც იმპორტული წამალი ყოფილა.

ვფიქრობ — სერგომ რომ მომცა, ის ხუთი დოლარი „მუხლუხოს“ რომ მივცე წამლის საყიდლად, რა მეშველება. უარყოდ ხომ გათავებულია ჩემი საქმე, „იზმენები“ დამეწყება. ჩემდა გასაკვირად, ბოლოს მაინც ადამიანმა გაიმარჯვა ჩემში და „მუხლუხოს“ დარჩენილ ფულს ვუწვდი.

— აჰა, აიღე, დღეს სიფთაზე ვიშოვე, მაგრამ ბავშვის წამალს თუ სჭირდება... არყის დედაც ვატირე.

— ბიჭებო, წავიდეთ სისხლის გადასხმის სადგურში, თორემ ცოტაც და მაღაზიას დავაყაჩაღებ, — თქვა ერთმა. შეთქმულებივით, უხმოდ, სისხლის გადასხმის სადგურისკენ მივიჩქარით, რათა სისხლი ჩავაბაროთ და სანაცვლოდ „პოლლიტრები“ ვიყიდოთ. სადგურში ნაცნობ ექთანს მივაკითხეთ. მაგრამ გაგვიცრუვდა იმედი. არავის სჭირდება არც პირველი და არც მეორე ჯგუფის სისხლი. ის იყო დაღონებულები უკან გამობრუნებას ვაპირებდით, რომ ექთანმა დაგვიძახა.

— ბიჭებო, სისხლის კლიენტი გამოჩნდა. შემოდით, — ექიმმა მხოლოდ პირველი ჯგუფის სისხლი გვინდაო.

— ოთხს გვაქვს პირველი ჯგუფი და თუ გინდათ, მოგყიდით.

— აგერ, ავადმყოფის პატრონს დაელაპარაკეთ.

— ბიძია, რამდენი გრამი სისხლი გინდათ?

— ექიმმა ორი ლიტრი გვჭირდებაო.

— რამდენს გადაიხდით?

— შვილებო, ვიღაც გარეწარმა მგონი დამღუპა. ჩემს თვრამეტი წლის გოგონას ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მანქანა დააჯახა, სულთმობრძავი მიატოვა და თავს გაქცევით უშველა. რაც მებადა, ექიმებს მივეცი. ახლა არაფერი მაქვს, მაგრამ თქვენ კაცობას არ დავივიწყებ. მივდგებმოვდგები და რასაც მეტყვით, ვისესხებ და მოგიტანთ, ოღონდ ახლა არ დამღუპოთ, გევედრებით.

— ამის დედა ვატირე. სამაჩაბლოს ომი იყო და გაჭირვებულმა სახელმწიფომ — გვიშველეთო. მერე აფხაზეთში დაიწყეს ომი და ახლა აქ გვჭირდებითო. ყველა გაჭირვებული და უქონელი ჩვენ მოგვადგებოდა. არიქა, ბიჭებო, მხედრიონელებმა მანქანა მომტაცეს და იქნებ დამიბრუნოთო, ქურდები სახლს გაუტეხდნენ და დაზარალებულები ჩვენთან მორბოდნენ, დაგვეხმარეთო. პოლიცია კი იმალებოდა. ჩვენ რომ ვიბრძოდით, ზოგიერთები დუბაიში დაფრინავდნენ სასპეკულანტოდ. აგერ, ალბათ ისეთივე სპეკულანტის შვილმა ბავშვს მანქანა დააჯახა და ისიც ჩვენი საპატრონო შეიქნა. ჩვენი მომხედავი კი არავინ გამოჩნდა, ამათი დედა ვატირე! — ამ სიტყვებით ერთ-ერთმა ჩვენგანმა მაისური გაიხადა და ექიმს მკლავი მიუშვირა, — ყველა ომში ვარ ნაბრძოლი... სამხედრო ბილეთში მიწერია, რომ პირველი ჯგუფის სისხლი მაქვს.

— შენ, ბიჭო, კაცს თუ ეხმარები, ბარემ მადლს მარილი მოაყარე, — ვუთხარით ამხანაგს და დანარჩენებმაც მკლავები დავიკაპიწეთ.

სადგურიდან გაფითრებულები, მაგრამ კმაყოფილები გამოვედით.

— კაცო, იმ საწყალ გოგოს, ლოთების სისხლს რომ გადაუსხამენ, რას დათვრება!..

— აბა, ბიჭო, თუ გალოთდა, შენ ის თქვი.

— ისე, მამამისისთვის უნდა გვეთქვა, მეორე დილას ასი გრამი მიეტანა ქალიშვილისთვის. პახმელიაზე გამოსასვლელად...

მოულოდნელად ჩემს ფეხებთან მანქანამ დაამუხრუჭა. იქიდან ჩემი მშობლების მეზობელი გადმოვიდა და პირდაპირ მეტაკა.

— ბიჭო, სად დაწანწალებ, გამზრდელი ბებია მოგიკვდა. აი, ახლა დავასაფლავეთ. ხალხი გკითხულობდა, მისი შვილიშვილი სად არისო, შენ კი აქ დასეირნობ და ხარხარებ. ერთი კვირაა შენს გზა-კვალს ვერ მივაგენით...

გავშრი... ძარღვებში სისხლი გამეყინა. ბიჭებსაც მუცელში ენა ჩაუვარდათ. გამახსენდა, დაახლოებით ერთი კვირის წინ გალეშილს დედაჩემმა ტელეფონით საყვარელი ბებიის გარდაცვალება მამცნო. მე კი ლოთს, რომელსაც არყის მეტი ამ ქვეყანაზე არაფერი მახსოვდა, ბებიის გარდაცვალება დამვიწყებოდა. ვიგრძენი, თავში რაღაც ჩამწყდა, შემდეგ თითქოს ტვინზე მდუღარე გადამესხა და გონება დავკარგე. როცა გამოვფხიზლდი, გისოსებიან ოთახში საწოლზე ვიყავი დაბმული...

დროდადრო გონება მიბრუნდება, მაგრამ იქნებ სჯობდეს, არასოდეს დამიბრუნდებოდეს აზროვნების უნარი. ერთი კია, ჩემი გაგიჟებით ჩემს ძმაკაც-თანამებრძოლებს ვუშველე — სათოფეზე აღარ ეკარებიან სასმელს.

ესაა და ეს. სხვა არაფრის გახსენება არ მსურს და სიმართლე რომ გითხრა, არც შემიძლია“...

*ზვიად ჩაკვეტაძე*


## «შროშანის» თმის მოვლის ინსტიტუტი

მხოლოდ ჩვენი ორიგინალური მეთოდიკითა და საშუალებებით მიმდინარეობს თმის ცვენის, გამიზეზებული თავის კანისა და ქერტლიანობის მკურნალობა: მასაჟით, კრემებით, მცენარეული ექსტრაქტებით, სამკურნალო ნატურალური პრეპარატებით.

**გთავაზობთ ტილისა და წილის მოსაცილებელ შესანიშნავ მცენარეულ ლოსიონს.**

მის: ჭავჭავაძის 5 (ვაკის „ლეჩკომბინატი“), „მშვენიერების ცენტრი“
☎ 25 00 74 (11-19 სთ-მდე კვირის გარდა)



# „უიმედო მდგომარეობაში ვარ"

## „სიმღერას თავს დავანებებ და ავტომატს ავიღებ ხელში..."



*ამ ინტერვიუს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „უცნობის" უჩვეულო ამპლუა. ნუ ელოდებით, რომ* **გია გაჩეჩილაძე** *სიმღერაზე, კლიპებზე ან მერაბ სეფაშვილზე, თავის თავსა და სერიოჟაზე ისაუბრებს.*

*„რა დროს სიმღერა და ჩემთან ინტერვიუებია, ქვეყანა იქცევა და რუსები გვბომბავენ" — ისე მიპასუხა გიამ, რომ მივხვდი, იმ წუთში სულაც არ გახსენებია, როგორ მღეროდა „ფიცხელ ომში მაჩაბელი" და როგორ მიდიოდნენ სიმღერით საომრად ქართველი ვაჟკაცები. რახან რუსეთი მიხსენა, გიასთან საუბარი მეც პოლიტიკით დავიწყე:*

**— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდი, მოსკოვში კლიპის, „რუსული მატარებლის" გადაღების მცდელობისას დავრწმუნდი ორი რუსეთის არსებობაშიო. ერთს სძულს საქართველო, მეორეს კი სულ ენატრებაო. ბოლოდროინდელი სიტუაციის გამო აზრი ხომ არ შეიცვალე?**

— არავითარი აზრი არ შემიცვლია. რუსეთი მართლაც ორია საქართველოსთან დამოკიდებულებაში. ერთი „ანტად" განწყობილი და მეორე კეთილმოსურნე. ახლა ამის გარჩევა კი არა, ისაა მნიშვნელოვანი, რომ გაგვაჩნდეს სახელმწიფოებრივი ნება და სურვილი საკუთარი უფლებების დასაცავად. ეს ნება ჩვენს პრეზიდენტსაც არ გააჩნია და ელოდება, რას იტყვის ბუში, რას გადაწყვეტს თეთრი სახლი ვაშინგტონში. ასეთ სიტუაციაში კი საქართველო აღარ გამოდის ქვეყანა, ეს არის რაღაც შემოფარგლული ტერიტორია, სადაც ცხოვრობს მათხოვრული მდგომარეობით დამძიმებული, დეპრესიული ხალხი და არავის არაფრის ანალიზის უნარი აღარ აქვს. რუსეთიც, რაც გაუვა, ყველაფერს აკეთებს. ჩვენს „დაჩმორებულ" ხელისუფლებას კი პასუხის გაცემის თავი არა აქვს და იძახის — რაში ვართ დამნაშავეო.

**— ვის გულისხმობთ?**

— პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომელმაც 20-ჯერ გაიმეორა მთელი მსოფლიოს გასაგონად — რაში ვართ დამნაშავეო. ტელევიზორში რომ ვუყურებდი, მის ნაცვლად მე მრცხვენოდა და გვერდზე ვიხედებოდი.

**— როგორ გგონია, რა არის გამოსავალი?**

— ნება, ნება უნდა გაჩნდეს ქვეყანაში, რაც გამოიხატება პატრიოტობით, ქვეყნის სიყვარულით და რადიკალური მოქმედებით. ეს რომ არ არსებობს, ამიტომაც ხდება, რომ ხან რუსი გვილერებს ხიშტს და ხან სხვა, კაცი არ არის, ვინც მაგათ უპასუხებს.

**— როგორც ჩანს, შექმნილმა სიტუაციამ მეტისმეტად პოლიტიზებული გაგხადა.**

— ქართველი ვარ და რა პოლიტიზებულობაზეა ლაპარაკი. საქართველოში ვცხოვრობ და რაც ხდება, მეც მეხება, საშინლად განვიცდი ამ სიტუაციას, სულ ვფიქრობ, რა მოხდება და როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი კი ცხადია — საქართველო უფრო და უფრო ეშვება უფსკრულისკენ. გადავიჩეხებით, რა...

**— როგორც ყველა უკიდურეს სიტუაციაში, ალბათ ამჯერადაც არსებობს გამოსავალი. შენი აზრით, რა შეიძლება იყოს ეს? ხომ არ აპირებ რაიმე აქციის მოწყობას?**

— აქციაზე ჯერ გადაწყვეტით არაფერს ვამბობ, მაგრამ ეგეც არ იქნება გამორიცხული. არ შეიძლება ამდენ ხანს ამდენი უმსგავსობის ატანა...

**— ეს შეშფოთებული ადამიანის ემოციური განცხადებაა თუ კარგად მიღებული გადაწყვეტილება?**

— დიახ, კარგად მიღებული გადაწყვეტილებაა. როცა მე საქართველოს მოქალაქე, ველოდები ჩემი პრეზიდენტის მტკიცე ნების გამოხატვას და ის კიდევ ელოდება, რას იტყვის აშშ-ის პრეზიდენტი ბუში, საშინელი განცდა მეუფლება და კატეგორიულად ვაცხადებ: პრეზიდენტი, რომელიც თავის გადაწყვეტილებებში არ არის დამოუკიდებელი, მე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეს, არაფერში მჭირდება.

**— გია, როგორ ფიქრობ, უნდა ვეომოთ რუსეთს?**

— თუ საომარია და ქვეყნის თავისუფლების დაცვა მოითხოვს, უნდა ვეომოთ კიდეც. ომი კი მარტო იმაში არ გამოიხატება, რომ ავტომატი აიღო ხელში. ბოლოს და ბოლოს, „სადაც ვიწროა, იქ უნდა გაწყდეს" და ამდენი სიმწრით მოპოვებული თავისუფლება არ უნდა დავკარგოთ.

**— თუ მაინც ავტომატით მოგვიწევს ომი...**

— ყველანაირად უნდა ვეცადოთ ამის აცილებას, მაგრამ თუ სხვა გზა არ იქნება, ესეც უნდა გავაკეთოთ.

**— შენ აიღებ ავტომატს ხელში?**

— პირველ რიგში სიმღერას დავანებებ თავს და ავტომატს დავიჭერ ხელში.

**— სანამ ავტომატი აგიღია, იქნებ შენს პროფესიაზეც გვითხრა რამე.**

— სულაც არ ვხუმრობ. რასაც ვამბობ, ყველაფერს მთელი სერიოზულობით, გულისტკივილით ვამბობ და ველარ ვფიქრობ სხვა საქმეზე, ჩემი პირველი საფიქრალი ისაა, რაც საქართველოში დღეს ხდება. ვარ იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელსაც სახლში შეუვარდნენ და სულშიც დაუწყეს ხელების ფათური. ვერაფერს ველარ ვწერ. გაოგნებული ვარ.

**— ხომ არ აპირებ რუსეთში შენს მეგობრებთან, შოუბიზნესის წარმომადგენლებთან დაკავშირებას, მათთან ერთად „რუსული მატარებლის" გაკეთებას გეგმავდი...**

— არავის არ ვუკავშირდები და არანაირ „მატარებელს" აღარ ვაკეთებ და ვარ ძალიან ნერვებაშლილი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რით შეიძლება ეშველოს ყველაფერს... ძალიან უიმედოდ ვარ ახლა და სხვასაც ვერაფერს ვეტყვი საიმედოს.

**— კლიპის გადაღების დროს მანქანა მოგპარეს, რა ქენი, დაიბრუნე?**

— აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი. კარგი, მაინც გეტყვი, მანქანა დავიბრუნე.

**— ახალი კლიპების გადაღება გქონია დაგეგმილი.**

— „მწვანე ოთახთან" ერთად ჩავწერე ახალი სიმღერა. მისი კლიპი მინდა გადავიღო. ეკა კახიანთან დუეტში ვიმღერე კიდევ და ალბათ მასაც გადავიღებ და თუ მშვიდობა იქნა, მალე, უკვე საახალწლო გადაცემაზე დავიწყებ მუშაობას.

*ეკა ლომიძე*

„ტრანსკრიონის" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

კვირა 22 სექტემბერი

შაბათი 21 სექტემბერი

პარასკევი 20 სექტემბერი

ხუთშაბათი 19 სექტემბერი

ოთხშაბათი 18 სექტემბერი

სამშაბათი 17 სექტემბერი

ორშაბათი 16 სექტემბერი



# გულდარდიანო დარდანეო



*დაუჯერებელია, ნებისმიერ მსახიობს არ სიამოვნებდეს, როცა ქუჩაში ცნობენ. თითქოს ეს თავისებური საზომიც არის იმისა, რამდენად აინტერესებთ მისი შემოქმედება. ამ მხრივ, ტელესერიალებსა და ტელერეკლამებში ხშირი მონაწილეობა სწრაფ შედეგს იძლევა... თუმცა ვერ შეედრება იმ დიდ და მყარ წარმატებას, რომლის მოტანა თეატრს შეუძლია.* **ნანა შონია** *ის მსახიობია, ვინც საზოგადოებას თავი თეატრის სცენიდან შეაყვარა. მისი სახელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არც კლიპს ჰქონია, არც კინოს — რუსთაველის თეატრსა და თეატრალურ სარდაფში შესრულებულმა როლებმა თავისი სიტყვა თქვა.*

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როცა თეატრის სცენიდან ვამახსოვრდები მაყურებელს... თუმცა ვიცი, ბევრი მხოლოდ ტელეეკრანიდან, კლიპიდან მიცნობს... მაგრამ ჩემთვის მხოლოდ თეატრია მთავარი. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ფილმშიც. სამწუხაროდ, როცა ეს მოვინდომე, საქართველოში კინო მოკვდა...

**— თქვენ მიერ განსახიერებული როლები სიცოცხლით სავსე, ხალისიანია. ცხოვრებაშიც ასეთია ნანა შონია?**

— სცენაზე მხოლოდ და მხოლოდ დადებითი ენერგიით გავდივარ. პრობლემები, და ცუდი გუნება სცენის მიღმა რჩება. ისე ცხოვრებაში მელანქოლიურიც ვარ, სენტიმენტალურიც. ქმარი დარდანეს მეძახის: გულდარდიანო ჩემო დარდანეო... ბევრ რამეს შეიძლება ზედმეტად ვაზვიადებ კიდეც და მერე განვიცდი... რა ვქნა, ასეთი ვარ... და საერთოდაც არ შემიძლია დამუხრუჭება, ყველაფერს აშკარად გამოვხატავ.

**— თქვენი მეუღლე თეატრის მხატვარი შოთა გლურჯიძეა. როგორი ასატანია ორი ხელოვანი ერთ ოჯახში, კარგად გეცოდინებათ...**

— შოთიკო ძალიან გაწონასწორებული და კარგი ადამიანია... ეგ არის, რომ ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ყოფას, თითქოს არც ახსოვს. ხშირად მეც ასე ვიქცევი, მაგრამ ქალი ვარ და უფრო ხშირად ვაწყდები წინააღმდეგობებს — ამიტომ იძულებული ხარ, იფიქრო ამაზე, რომ იატაკიდან ამოჩრილი ხიწვები უკვე ფეხსაცმელში აღწევს, ონკანიდან რომ წყალი წვეთავს...

**— როგორ უთავსებთ ერთმანეთს დიასახლისობას, შვილის აღზრდასა და დიდი დატვირთვით მუშაობას?**

— დედობა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ ამ საქმეში ძალიან მეხმარებიან დედაჩემი, ჩემი დები. მშვიდად ვარ, ჩემი შვილი — თომა მათთან რომ არის. აი, მეორე შვილი თუ გავაჩინე, რაც ძალიან მინდა, ალბათ ძიძის აყვანა დამჭირდება.

**— ის პერიოდი, როცა თეატრში არ მუშაობთ, ალბათ ძნელი ასატანია თქვენთვის?**

— პროფესიონალურ შიმშილს ვერც ვიხსენებ. ხანმოკლე შესვენება მაშინ მქონდა, როცა დედა გავხდი. სულ 3 თვის იყო თომა, რეპეტიციაზე რომ გამომიძახეს... ხშირად ჩემი შვილი რომ გამერთო, რაღაცებს ვიგონებდი, ვეთამაშებოდი და ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, პროფესიამ გადამწონა, თეატრის გარეშე არ შემიძლია...

**— თომას დედის ნიჭი აქვს თუ მამის?**

— მამის და ძალიან მიხარია... უყვარს ბუნება, ხატავს. ძალიან კარგი მაყურებელიცაა. სულ 3 წლის იყო, საღამოზე წავიყვანე, სადაც აღმოსავლურ ცეკვას ვცეკვავდი. ისე მოეწონა, მეუბნებოდა: წამიყვანე, შენს ცეკვაში მინდაო. ახლა ჩემს სპექტაკლებს ესწრება და შესანიშნავად აღიქვამს.

**— მსახიობისთვის მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყურება. ცნობილია, რომ მხატვარს შეუმცდარი თვალი აქვს. თუ გირჩევთ მეუღლე ტანსაცმელს ან ფერებს?**

— ეს სფერო აბსოლუტურად ჩემი კომპეტენციაა. შოთიკოს მოსწონს ყველაფერი, რაც მაცვია და მიკეთია. ერთხელ მითხრა: ჩემი ნება რომ იყოს, ზუსტად ისე ჩაგაცვამდი, როგორც იცვამო: პირიქით, მე უფრო მიწევს მისთვის ტანსაცმლის შეძენა, თვითონ ურჩევნია მე მიყიდოს, გამახაროს — თავისი თავი არ ახსოვს. ყიდვით კი ვყიდულობ, მაგრამ შოთიკო ძალიან პრეტენზიულია, ხშირად იწუნებს ხოლმე.

**— შარშან ძალიან წარმატებული გასტროლები გქონდათ იტალიაში.**

— დიახ... და ყოველი წარმატებული გასტროლების შემდეგ საოცარი გრძნობა გვეუფლებოდა... აი, რა, შეგვიძლია ქართველებს! ახლა ბევრგან ვართ მიწვეულები, მაგრამ საამისო ფული არ გვაქვს... ახალ თეატრშიც, რომელიც მალე ვაკეში გაიხსნება, განათების ფული გვაქვს გადასახდელი... ერთი სიტყვით, ფინანსური პრობლემები გვაქვს. რაც შეეხება იტალიას, ფესტივალს „ბოლონია 2001" ერქვა. ღია ცის ქვეშ ვითამაშეთ „ფიგარო". ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ქათქათებდა თეთრი დეკორაციები. უცებ, სპექტაკლის მსვლელობისას, შუქი ჩაქრა. კიდეც ვუთხარით ერთმანეთს: რა ბედი გვაქვს ქართველებს, უშუქობა ბოლონიაშიც ჩამოგვყვა-თქო. თუმცა მალე მოაგვარეს ეს პრობლემა და თამაში განვაგრძეთ... საოცარი შთაბეჭდილებებით ჩამოვედით.

**— ახალს რას აპირებთ?**

— კინო აუცილებელია მსახიობისათვის. რაკი ამის საშუალება არ არის, მინდა ტელესპექტაკლში ვითამაშო. ჩამოვა რეჟისორი ნინო შარაბიძე და ვნახოთ.

*ლელა ჯიყაშვილი*

ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მკითხველებისთვის
სახლიდან გაუსვლელად
ტელ: 33-26-73

# თქვენთვის

## ვეხმაურები გელას

# „იმ „ეპიზოდის“ არარსებობისთვის მეც ბევრს გავიღებდი!...“

შვებულებიდან დაბრუნებულს კოლეგებმა ამბავი დამახვედრეს, — მეორე კვირაა, ვიღაც ვაჟი გკითხულობსო.

მეორე თუ მესამე დღეს კარი მორიდებით შემოაღო მაღალმა ჭაბუკმა:

— გამარჯობათ, მე სა-სანდრო მქვია, — მომესალმა ენის ბორძიკით.

— დაბრძანდით... მითხრეს, რომ მეძებდით. ძალიან ღელავდაო...



— ჰო, გე-გეძებდით, თუმცა... ენის დაბმა მარტო ღელვის ბრალი არაა... ეს... ეს!...

...ვერა და ვერ მოაბა სათქმელს თავი და... ხელი ჩაიქნია. მერე უბიდან ოთხად დაკეცილი თაბახის ფურცელი ამოიღო და მომაწოდა:

— წა-წაიკითხეთ და მიხვდებით...

აი, ის წერილიც:

*„გელა! არ ვიცი, რა გითხრა. მე ის „პატარა ბიჭი“ ვარ, შენი და შენი „მეგობრების“ წყალობით, კარგა ხანს რომ ვებრძოდი შიშს და ბოლმას, შურისძიების სურვილი მაგიჟებდა და სიკვდილს გისურვებდი.*

*23 წლის ვარ. ზუსტად იმდენის, შენ რომ ყოფილხარ ჩვენს ოჯახზე თავდასხმისას. ათი წელი გავიდა, მაგრამ ჩემს სიზმრებშიც ყველაზე საშინელი კოშმარი იმ ხალიჩაზე დაყენებული „გუბე“ და თავგაჩეხილი ქრისტინე ბებოა, 76 წლის ქალი, რომელიც დაიღუპა, ცოცხალს ვერ მოუსწრო იმ სასწრაფომ, რომელიც შენ გამოგიძახებია თურმე.*

*არ იჩივლა მამაჩემმა. მართლა შეეშინდა, არავის ეკითხა, „ამდენი ფული საიდან გქონდაო?“ — საკუთარი დედის შეწირულმა სიცოცხლემაც ვერ დააძლევინა შიში და ვერც მას ვპატიობ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ისიც გარდაცვლილია.*

*შენმა წერილმა-აღსარებამ დამაფიქრა, თუმცა კი გული ვერ გამითბო. ის, რაც ჩემს თავს დატრიალდა მაშინ, ახლობლის სიკვდილზე ნაკლები ტრაგედია არ იყო. შენი და ვერ გადარჩებოდა, იმიტომ, რომ ჩემი „სიკვდილის“ ტოლფასად იყო მისი წამლები ნაყიდი.*

*მეცოდები და მაინც ვერ გპატიობ.*

*ღმერთმა გაპატიოს!*

*წერილების წერა არც მიყვარს და არც შემიძლია. შენი აღსარება დიდი სტრესი იყო ჩემთვის და ამან ამაღებინა კალამი ხელში.*

*ისე, სხვათა შორის, იურიდიული დავამთავრე. ასპირანტურაშიც ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. თუ რამეს მივაღწიე და ვინმემ კანონის დაწესების უფლება მომცა, არც ერთ ყაჩაღს მზის სინათლეს არ ვაჩვენებ — თუ დახვრეტას არ მივუსჯი, სამუდამო პატიმრობას არ ავაცილებ!*

*შენგან გამეტებული სანდრო ლ-შვილი*

*24 აგვისტო, 2002 წელი“*

ალბათ მიხვდებით, რა დღეშიც ჩამაგდებდა ამ წერილის წაკითხვა. კარგა ხანს ხმის ამოღება კი არა, თავის აწევაც ვერ გავბედე.

— მე წა-წავალ, — მიმიხვდა სანდრო გასაჭირს.

— არ წახვიდე, გეხვეწები!.. ცუდად გამომივიდა. ალბათ არ უნდა დამეწერა ის აღსარება, მაგრამ გელა ისე ნანობდა, ძალიან მომინდა თანამეგრძნო... მაპატიე!

— მე მესმის თქვენი. ჟურნალისტი ასეთ მასალას ხელიდან ვერ გაუშვებდა...

...სანამ სანდროსთან საუბრის დანარჩენ ნაწილს შემოგთავაზებთ, **მინდა შეგახსენოთ, რომ ლაპარაკია „კვირის პალიტრის“ 29 ივლისი-4 აგვისტოს ნომრის პუბლიკაციაზე „რას არ მივცემდი, რომ წარსულის ის ეპიზოდი არ არსებობდეს ჩემს სიცოცხლეში“, სადაც ახალგაზრდა კაცი წარსულში დაშვებულ შეცდომას ინანიებდა — დის სიცოცხლის გადასარჩენად ყაჩაღურ ძარცვაში მონაწილეობას — და ამას იმ იმედითაც აკეთებდა, რომ დაზარალებული შეუნდობდა...**

— ამისი პატიება არ შეიძლება, — თითქოს ფიქრს მიმიხვდა სანდრო, — ყაჩაღობას და ძალადობას არანაირი გამართლება არა აქვს...

— იქნებ შეხვედროდი გელას, ის ჯერ კიდევ ქუთაისშია...

— შეუძლებელია. შეიძლება მოვკლა... იმ ყაჩაღებს ჩემს ცნობიერებაში ადამიანის სახეები არცა აქვთ. სხვათა შორის, ჩემი უმცროსი დაც ავადმყოფი იყო, ლამის ისიც შეეწირა იმ საქმეს — დღემდე ეპილეფსიით იტანჯება, მაშინ კი, ლამის ხელებში ჩააკვდა დედას შიშით. მეც ბევრს გავიღებდი, რომ იმ „ეპიზოდს“ ამოშლიდეს ვინმე ჩემი სიცოცხლიდან. ეპიზოდი კი არა, ეგ იყო, რაც იყო — მეტი რაღა უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში?!.

— რა ვუთხრა გელას, ის ისეთი უბედურია!

— ჩემზე უბედური?

— მიამბე რამე შენზე!

— ქუთაისში ვარ დაბადებული. უნივერსიტეტი თბილისში დავამთავრე. ასპირანტურისთვის ვემზადები, მაგრამ ცოტა მეშლება ხელი — მამის დანატოვარი სანამდე გაგვწვდებოდა! მე კი, ქვრივი დედა, გაუთხოვარი მამიდა და ავადმყოფი და მყავს სარჩენი. ვმუშაობ. აბა, ხომ არ ვიყაჩაღებ?! მეტს ვერაფერს გეტყვით, არ მინდა მეგობრებმა მიცნონ, ის ამბავი არავისთვის მომიყოლია. ვცდილობდი დავიწყებას... გელას აღსარება რომ წავიკითხე, ასე მგონია, უფალმა გამოცდა მომიწყო — ძალიან დიდი იყო ცდუნება — მომეძებნა და...

— მორწმუნე ხარ?

— ღმერთი რომ არ იყოს, მეც ყაჩაღი და მოძალადე გავხდებოდი.

— ეკლესია ხომ პატიებისკენ მოგვიწოდებს?

— სწორად გამიგეთ, რა. ჩემგან ისიც გმირობაა, შურისძიებას რომ არ ვფიქრობ და ვიმეორებ: ღმერთმა აპატიოს!

— პოლიციაში მუშაობ?

— ჰო და დაუნდობელიც ვარ... ამას წინათ დამანამუსეს: „კაცმა რაც უნდა დააშავოს, მისი ცემის უფლება არა გაქვთო!“ — „წარმოიდგინეთ, რომ ეს „კაცი“ ოჯახში გივარდება, გაწიოკებს და მორალი შემდეგ მიკითხეთ-მეთქი!“ — ჩემი ნება რომ იყოს, ქურდს და ყაჩაღს სულ არ გამოვუშვებდი ციხიდან, მით უმეტეს, თუ მეორედ და მესამედ მოხვდება იქ. კაცი შეიძლება ერთხელ შეცდეს. მეორედ და მესამედ რომ იფიქრებ სხვის გამწარებას, თავად ხარ მერე შეცდომაც და ბუნების ანომალიაც, დამპალი გენეტიკის მქონე...

...ბევრი ვეცადე, მაგრამ სანდროს ერთი ბეწოთიც ვერ მოვულბე გული. წასვლისას არც თავისი მისამართი დამიტოვა.

გელას წავაკითხე სანდროს წერილი... ან კი რისი იმედი მქონდაო, — ისევ გაიბრწყინა ცრემლმა მის თვალში და ისეთი დამძიმებული წავიდა, თითქოს მძიმე ლოდის ქვეშ მოყოლილიყო.

აგვისტოს ბოლოს გელა რუსეთში გაემგზავრა. ასე მგონია, აღარასოდეს დაბრუნდება და ძალიან ვწუხვარ. დავურეკე... არ მიპასუხა, როგორც ჩანს, ჩემზე უკეთ იცის, რომ ასეთ დროს ნუგეში შეუძლებელია!..

***ინგა ჯაყელი***

# სუფრის ცერემონიები

### მიუღებელია ევროპაში

— ღვინის დასხმა ისე, რომ ხელისგული, რომლითაც ბოთლი გიჭირავთ, თქვენკენ არ იყოს მოქცეული;

— მარილის დაყრა სუფრაზე;

— ცხოველების გამოკვება სუფრასთან;

— დანების გადაჯვარედინება;

— დანის გადაცემა ხელიდან ხელში;

— დანით კერძის მირთმევა;

— დანის ან ჩანგლის ტრიალი სუფრაზე;

— პურის დადება შიდა პირით;

— ჭამის დასრულების შემდეგ ხელსახოცის სუფრაზე დაგდება

### მიუღებელია აზიაში

**მუსლიმანურ აზიაში** — დანა-ჩანგლის გადაწოდება მარცხენა ხელით, **ბუდისტურ აზიაში** — პირიქით, მარცხენა ხელი „გულის“ არის. საპატიო სტუმარს კი ორივე ხელით ემსახურებიან;

— ჩხირების ჩარჭობა ბრინჯში;

— ბოკალის ხელში ჭერა, როცა ღვინოს ასხამენ — ჩინეთსა და მონღოლეთში მიუღებელია, ხოლო იაპონიაში — ზრდილობის ნიშანია;

— არ დაუსხათ ღვინო მეზობელს;

— დანის ან ჩანგლის დადება ჭიქაზე ან ბოკალზე.

# მამაკაცი და ჰალსტუხი

**ფსიქოლოგების აზრით, მამაკაცის ბუნების ამოცნობა შესაძლებელია მისი ჰალსტუხით, რადგან ამ აქსესუარს ძლიერი სქესის წარმომადგენლები საკუთარი შეხედულების მიხედვით ირჩევენ.**



მამაკაცი, რომელიც **კოპლებიან ჰალსტუხს** არჩევს, ძალიან ენერგიული და მიზანსწრაფულია. თუ თავისი ოცნების ქალბატონს შეხვდება, მის ერთგულებაში დალევს სიცოცხლეს.

ამ ტიპის მამაკაცი წრფელია და მეგობარ-ახლობლების სული და გული, დიდი ერთგულება და ნაღდი მეგობრობა შეუძლია.

მამაკაცი, რომელსაც უყვარს **პატარა ორნამენტებიანი ჰალსტუხი**, ბუნებით მეტად მშვიდი და გაწონასწორებულია. მას ღმერთმა იუმორის ნიჭი დააბერტყა თავს. იგი ყოველ ნაბიჯს გონებით განსჯის, რაც ხშირად მეუღლეს აღიზიანებს, ალბათ იმიტომ, რომ ქალს სპონტანური მოქმედება და იმპროვიზაცია უფრო მოსწონს.

მამაკაცი, რომელსაც უყვარს **დიაგონალური ხაზებით, კლასიკური ორნამენტებით გაწყობილი ჰალსტუხი**, კორექტული და ერთგულია, იდეალური მეუღლე და მამაა, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც კარიერაა.

უფრთხილდით **ერთი ფერის ჰალსტუხის** მოყვარულს... იგი ეგოისტი, ამბიციური ადამიანია.

**ყვავილებიანი ჰალსტუხი** ერთი შეხედვით, არც უნდა უხდებოდეს ვაჟკაცს, მაგრამ თუ მაინც ასეთი აქსესუარით იწონებს თავს, გახსოვდეთ, იგი რომანტიკული, კეთილი, ჭკვიანი, ამასთან ნიჭიერი ადამიანია, უსიამოვნებებზე ადვილად ხუჭავს თვალს და ცხოვრებას „ვარდისფერი სათვალით“ უყურებს...

# «ხუთი კაცი ისე მიგვლეწ-მოგვლეწა...»

***ალბათ ხშირად გაგიგონიათ რომელიმე მანდილოსნის მისამართით აღტაცებით ნათქვამი — ძალიან ვაჟკაცი ქალიაო. ამგვარი შეფასება პირველად რომ მოვისმინე, წარმოვიდგინე კაცივით ჯანიანი, კუნთებდაბერილი, ულვაშკოკობა ქალი — მაშინ ბავშვი ვიყავი და წარმოსახვაც ბავშვური მქონდა. თუმცა, დღემდე ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს ვაჟკაც ქალზე. მაინც რა ცნებაა „ვაჟკაცი ქალი“? შეიძლება თუ არა არსებობდნენ ასეთები?***

***ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ვთხოვე, აეხსნათ ეს თავსატეხი.***

**გუკა** (21 წლის): — რაღა დაგიმალოთ და, ჩემთვისაც გაურკვეველია ეგ ცნება. ვაჟკაცი თუა, ქალი როგორღაა და ქალი თუა, რაღა ვაჟკაცია? ამორძალებიც არ იყვნენ ვაჟკაცები, როგორც ისტორია გვამცნობს. ისეთი ლამაზები და თვალწარმტაცნი ყოფილან, თვით ალექსანდრე მაკედონელიც კი მოუხიბლავთ, ომზეც კი აალებინეს თურმე ხელი. მოკლედ, არ ვიცი, რას ნიშნავს ვაჟკაცი ქალი, მაგრამ მგონი, ბებიაჩემი იყო ასეთი. რაც მახსოვს, სულ შარვლით დადიოდა. სკამზეც კაცურად ჯდებოდა, სიგარეტსაც კაცურად აბოლებდა და ისეთი ხრინწიანი და ბოხი ხმა ჰქონდა, იმასთან ოთარ რამიშვილის ხმა იადონის გალობად მოგეჩვენებოდათ. საქმეც კაცური უყვარდა. რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი, ალბათ ბაბუამ კი არ ითხოვა ბებია ცოლად, არამედ ბებიამ სტაცა ბაბუას ხელი-მეთქი. ალბათ ასეთზე ამბობენ, — ვაჟკაცი, მამალი ქალიაო. ძალიან მიყვარდა ბებიაჩემი, ბავშვობაში ფეხბურთსაც მეთამაშებოდა, მაგრამ ასეთი ქალები არ მომწონს. მგონი, არც არსებობენ. ბებია ერთადერთი იყო.



**შალვა** (58 წლის): — მგონი, „ვაჟკაცი ქალი“ კი არა, ძლიერი პიროვნება უნდა ეწოდოს ქალს, რომელიც დიდი ნებისყოფითა და სულიერი ამტანობით გამოირჩევა. ვაჟკაცი, უბრალოდ, ეპითეტია, რომელსაც ამგვარი ქალების მიმართ ხმარობენ. დედაჩემმა ექვსი ობოლი (მამა მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა) სრულიად მარტომ, უდიდესი შრომისა და მოთმინების ფასად დაგვზარდა და გზაზე დაგვაყენა. ღირსებისთვის არ უღალატია და როგორც იტყვიან, ქალური სინდისნამუსი ბოლომდე შეინახა. დედაჩემი ნამდვილად ვაჟკაცი ქალი იყო, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მაგარი მოჭიდავე, ან გნებავთ, მაგარი მოჩხუბარი გახლდათ.

**ლუკა** (18 წლის): — ვაჟკაცი ქალი? აუ, ვიცი ეგეთები. კარატეზე დადიან. ორი დაა, ძალიან ლამაზი გოგონები არიან, რომ შეხედავ, ბალერინები გეგონება და იფიქრებ, სული რომ შევუბერო, გაფრინდებიანო, მაგრამ ეგრე არ არის საქმე. უბანში ერთ ბიჭს შეუყვარდა ერთ-ერთი მათგანი. ის კი ახლოს არ იკარებდა, სხვა ჰყვარებია. ერთხელ ამ ბიჭმა გვთხოვა, გოგო უნდა მომატაცებინოთო. ჩვენც გავემზადეთ. საღამოს ქუჩაში მანქანით ჩავუსაფრდით და... მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც ჩვენ დაგვემართა. ხუთი კაცი ისე მიგვლეწ-მოგვლეწა, რომ ერთი კვირა ლოგინიდან ვერ ვდგებოდით. ახლა ისე ვარ დაფეთებული, გოგო თუ მომეწონა, სასწრაფოდ ინფორმაციას ვაგროვებ მის შესახებ, მეშინია, ვინმე კარატისტს არ გადავეყარო.

**მერაბი** (38 წლის): — მართლაც უხეშად ჟღერს „ვაჟკაცი ქალი“, მაგრამ ერთ შემთხვევას მოგიყვებით და თავად განსაჯეთ, შეიძლება თუ არა ქალს ვუწოდოთ „ვაჟკაცი“: შარშან უცხოეთის ერთ-ერთ საზღვაო კურორტზე ვისვენებდი. ერთ დღეს მაგარი ღელვა იყო. ზღვაში შესვლას ვერ ვბედავდით, უზარმაზარი ტალღები ეხეთქებოდა ნაპირს. მოულოდნელად ჩოჩქოლი ატყდა. შევხედე — სერფინგისტები შევიდნენ გაცოფებულ ზღვაში. დაძაბული ვადევნებდით თვალყურს ამ საოცარ ორთაბრძოლას. გადარეულმა სტიქიამ ჯერ ერთი ჩაყლაპა, მერე მეორე... ის ბიჭები პროფესიონალი მოცურავეები იყვნენ. მათი მარცხის შემხედვარე მაშველებიც უმწეოდ იდგნენ ნაპირზე. არასდროს დამავიწყდება, როგორ გამოეწყო მაშველის კოსტიუმში ვიღაც გოგო და ზღვაში გადაეშვა. ორივე ბიჭი გადაარჩინა. მერე გავიგე, თურმე ესპანეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ერთადერთი ქალიშვილი ყოფილა. მითხარით, რა ერქვა მის საქციელს, ვაჟკაცობა?

***ეკა ლომიძე***

# ფრთხილად, ქალს არაფერი ავიწყდება!



მამაკაცებს, რომლებიც გამუდმებით ეჩხუბებიან ან ეკამათებიან ცოლებს, არ ესმით, რა ხიფათში იგდებენ თავს. თურმე, მანდილოსნებს არასოდეს ავიწყდებათ ოჯახური სცენები, მამაკაცებს კი აღარ ახსოვთ არა მარტო ჩხუბის მიზეზი, არამედ თავად ფაქტი და ხშირად უკვირთ, რატომ დადის ცოლი ცხვირჩამოშვებული.

ხანდახან ამბობენ, მამაკაცი ცდილობს, დაივიწყოს უსიამოვნება, ხოლო ქალი ყურადღებას აქცევს იმას, რასაც მისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვსო. ფსიქოლოგები ამ ეფექტს ხსნიან ქალის ფსიქიკის უფრო დახვეწილი ემოციური სტრუქტურით. ე.ი. ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ძლიერ ემოციებთან, ქალი გაცილებით უკეთ იმახსოვრებს. ასე რომ, მამაკაცებო, არ გაგიკვირდეთ, თუ თქვენს ოქროს ქორწილზე ცოლი დარიშხანს მოგაწვდით და გეტყვით, — ეს იმისთვის, 50 წლის წინ რომ მეჩხუბეო!..

# გაივსო ჩვენი ქვეყანა „გავქეხი“ და „მაშასადამე“ ტიპის კაცებით




თბილი, მზიანი დღეებია. ბაღები პენსიონერებით და ბავშვიანი ქალებით არის სავსე. ერთ სკამზე ჩამოვჯექი. ჩემ გვერდით სანდომიანი მამაკაცი გაზეთს კითხულობს. თვალს ჩუმად ვაპარებ. „კვირის პალიტრაა“, რუბრიკა „თქვენთვის, ქალბატონებო“. ვაკვირდები მის სახეს, ხან ეღიმება, ხან სინანულით იქნევს თავს. როცა კითხვა დაასრულა, მოულოდნელად შევესიტყვე:

**— უკაცრავად, მაგრამ მაინტერესებს, მოგეწონათ ეს წერილი?**

გაკვირვებით შემხედა და დახანებით მიპასუხა:

— მომეწონა... ძალიან კარგია, რომ დღევანდელი პრესა ადამიანით, მისი ბედით დაინტერესდა. მომაბეზრებელია ამდენი ღვარძლი და ქილიკი...

ჩემი უნებლიე რესპონდენტი აღმოჩნდა ბატონი თამაზ წულაძე, გეოლოგი, ამჟამად პენსიონერი.

**— ბატონო თამაზ, „მამების“ თაობას თითქმის არასდროს მოსწონდა „შვილების“ თაობა და ეს „დავა“ დღემდე გრძელდება. თქვენ რა მოგწონთ და რა არა თანამედროვე ქალის (გნებავთ, კაცის) თვისებებიდან?**

— საერთოდ, ვცდილობ, „მედლის“ საუკეთესო მხარეს ვუყურო. თუ ძალიან არ გამამწარეს, „მშვიდობის მტრედის“ როლში ვარ.

**— და თუ გაგამწარეს?**

— მაშინ ქალსაც და კაცსაც ერთ „ქვაბში“ მოვათავსებ და ორივეს ერთად შევაფასებ. თანამედროვე ქალის და მამაკაცის ხასიათში იძალა გამორჩენის სურვილმა, ვაჭრულმა გარიგებამ. დღეს ეკლესიას უზარმაზარი მრევლი ჰყავს. რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ, იცით, რამდენია მათ შორის ფარისეველი? ერთი ძმაკაცი მყავდა, მოკვდა, საწყალი, კომუნისტი კაცი იყო, მაგრამ იმისთანა სუფთა გულის პატრონი სხვა არ შემხვედრია... ერთხელაც არ შესულა ეკლესიაში. იმდენი სიკეთე დათესა, იმდენი მოიმადლიერა, რომ მთელი ქვეყანა მისტიროდა. სიკვდილის წინ, ლოგინს მიჯაჭვულმა, შვილს სთხოვა, სვეტიცხოველში წამიყვანეო. შეუსრულეს თხოვნა. ორი საათი ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილი ლოცულობდა. შინ მიბრუნებული ერთ საათში გარდაიცვალა. დღეს კი, ზოგიერთები ეკლესიას ესევიან, ლოცულობენ და გარეთ გამოსულები ისეთ რამეს სჩადიან, თმა ყალყზე დაგიდგებათ.

ბავშვობის მეგობარი მყავდა. შვილი მომანათვლინა. გიო ღვიძლი შვილივით მიყვარდა. სენაკელი გოგო შეირთო ცოლად. ოჯახი სიხარულით არ შეხვედრია რძალს (არ უნდოდათ რაიონიდან ჩამოსულის შინ შეყვანა), მაგრამ სიყვარულს წინ ვერ აღუდგნენ. რძალი კალმით ნახატი იყო. წყნარი და მორჩილი ჩანდა. ბავშვი რომ გააჩინა, იმ დღიდან იმისთანა „ბრჭყალები“ გამოაჩინა, დაბადების დღე აწყევლინა ყველას.

**— მაინც რა ჩაიდინა ასეთი?**

— ჩემი მეგობრის მეუღლე არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, მაგრამ ამ ერთი ციდა გოგომ აითვალწუნა. ჩემს ნათლულს საყვედურობდა, — შენიანები ქედმაღლურად მიყურებენ, რითი მჯობია შენი და მეო, ბოლოს ისიც კი იკადრა, სამზარეულო გაუყო მულ-დედამთილს, ცალკე იმზადებდა კერძს და თუ გუნებაზე არ იყო, ბავშვს ბებიასთან შესვლის ნებასაც არ აძლევდა. იძულებული გახდნენ, ბინა დაეშალათ. ამის მერეც ვერ დაწყნარდა: იმათაც ოროთახიანი ბინა და ჩვენცო? შენმა მშობლებმა ქალიშვილის სახელზე რატომ გააფორმეს ის ბინა და შვილიშვილი რატომ არ ჩაიწერესო? დიდხანს უთმინა ჩემმა ნათლულმა, ზოგჯერ მშობლებთან ცხოვრობდა თვეობით, მაგრამ ბავშვის (და ცოლის) გარეშე დიდხანს ვერ ძლებდა, ბრუნდებოდა ოჯახში და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ერთხელ, მორიგი ჩხუბის შემდეგ შუაღამისას ჩაუსაფრდა ქმარს და ნავთი შეასხა სახეში. ასანთის მოკიდებაც სცადა, მაგრამ გიომ ხელები გაუკავა. მშობლებს ჩივილი უნდოდათ, მაგრამ შვილმა არ მისცა ნება. ქალმა მთლად აიწყვიტა. ქმარს აღარ აძლევდა ბავშვის ნახვის უფლებას, შინაც არ უშვებდა. გაგიჟდა ჩემი ნათლული. წიხლით შეანგრია კარი და მძინარე ბავშვის წაყვანა დააპირა. ამ დაკადაკაში ბავშვს გაეღვიძა და ტირილი მორთო. მამამისს შეეცოდა პატარა და იმ ღამეს დატოვა დედასთან. მეორე დღესაც მიაკითხა ცოლშვილს. ქალს უკვე მოესწრო და ბავშვი გადაემალა. მთელი ორი თვე აწვალა ქმარი, შვილს არ უჩვენებდა, ბოლოს ულტიმატუმი წაუყენა: თუ ჩვენთან ცხოვრება გინდა, მშობლებს აღარ უნდა გაეკაროო. ჩემი ნათლული გაუცნობიერებლად დათანხმდა... ერთ წელიწადში მეორე შვილიც გაუჩნდათ, გოგონა. სწორედ რომ ეშმაკი არ ასვენებდა ჩვენს რძალს. გაიგო, რომ მული თხოვდებოდა. არაჩვეულებრივი ოჯახის შვილი იყო სასიძო. ერთხელაც დახვდა იმ ბიჭს და საცოლე ისე ულანძღა, ლამის ჭკუიდან შეშალა. ორი კვირა თავს ებრძოდა სასიძო. ბოლოს, მივიდა ჩემი მეგობრის ოჯახში და ყველაფერი გულახდილად უამბო მათ — ისეთი სისაძაგლე მითხრა თქვენმა რძალმა, რომ თავს ვერ მოვერიე, მერე კი დავრწმუნდი, რომ ყველაფერი შეთითხნილი იყო და პატიებას გთხოვთო. ძალიან გამწარდნენ ჩემი ახლობლები, განსაკუთრებით კი ნათლული და ამის გამო გვარიანად ჟეჟა ცოლი. ქალმა „შეურაცხყოფა“ არ აპატია ქმარს და როგორც კი სამსახურში დაიგულა, მოკიდა ბავშვებს ხელი და მტკვარში გადახტა... ეს იყო გაუგონარი ამბავი, რომლის მსგავსიც თბილისში არ მომხდარა.

**— იქნებ ის ქალი ფსიქიკურად ვერ იყო კარგად?**

— არა, ბატონო! სავსებით ნორმალური იყო. ბოღმამ და შურმა შეჭამა მისი არსება. არადა ვითომ მორწმუნე იყო. ყოველ კვირადღეს წირვაზე დადიოდა. ახლა ერთმანეთს შეადარეთ ის ჩემი „კომუნისტი“ ძმაკაცი, რომელსაც ჭიანჭველისთვის ფეხი არ დაუდგამს და ეს ავი, აშარი (სამწუხაროდ, მორწმუნე?!) დედაკაცი.

მკითხეთ, რა გაღიზიანებთო. რა და, ფარისევლობა, მომაჯადოებელი ღიმილის მიღმა დამალული ბოროტება, სულს მიხუთავს ერთი ხელის დაკვრით გამდიდრებული კაცების დანახვა, რომელთაც ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ. ხომ გახსოვთ გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. იქ ამბობს მთავარი გმირი: „ქუჩაში მოდიოდა ქალი, ისეთი, როგორიცაა სიტყვა „მოიისფრო“, მას მოჰყვებოდა კაცი, როგორიცაა სიტყვა „გავძეხი“ და მე ვიდექი ისე, როგორიცაა სიტყვა „მაშასადამე“. დიახ, ჩემო ბატონო! „მოიისფრო“ ქალებზე რა მოგახსენოთ, დღევანდელმა ყოფამ „ჩააშავა“ და დაავაჟკაცა ქალების უმეტესობა, არეულმა დრომ კი ძლიერი სქესის წარმომადგენლები ორ ნაწილად გაყო: გაივსო ჩვენი ქვეყანა „გავძეხი“ და „მაშასადამე“ ტიპის კაცებით. პირველი მაღიზიანებს, მეორე კი მეცოდება ალალად, რადგან ვერა და ვერ „მოერგნენ“ ცხოვრებას და ბედს მინდობილნი ნაღვლიანად მიჰყვებიან დინებას. თავს ზემოთ ძალა არაა და რაღა ქნან?

ის ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ ახალგაზრდები მიხვდნენ, ქალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული — ოჯახის კეთილდღეობა, კაცის ჭირვეული ხასიათის „მორბილება“, საქმის კეთილად შემოტრიალება. იმ უბედურმა სულიც წაიწყმიდა, შვილებიც დაღუპა და ქმარიც ცოცხლად გაანადგურა. კიდევ კარგი, ისეთებიც არსებობენ, დავრდომილს რომ ფეხზე წამოაყენებენ... ჩემი მეზობლის ერთადერთი ვაჟი აფხაზეთში დაიღუპა. შეყვარებული ჰყავდა. ცოლად მოყვანა ვერ მოასწრო. მისი სიკვდილის მერე მშობლებმა გაიგეს, რომ გოგონა ბავშვს ელოდებოდა. ცას ეწივნენ სიხარულით... ახლა ის გოგონა მათთან ცხოვრობს, მათი რძალია, ჰყავს ცელქზე ცელქი 7 წლის დათუნა და ცხოვრობენ სიამტკბილობით...

ძველ და ახალ თაობებს ვერ შევადარებ, რადგან ავი და კარგი ყოველ დროში არსებობს. ახალგაზრდობას ისეთი რამ გააჩნია (ყოფის მიუხედავად), რასაც მოფრთხილება უნდა. ესაა — სილაღე! ეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს (სანამ ძალა გეყოფათ) შეინარჩუნოთ ეს მშვე-

**რედაქციისგან: ჩვენი გაზეთის წინა, 36-ე ნომერში, რუბრიკით — „თქვენთვის, ქალბატონებო!“ დაიბეჭდა ახალგაზრდა ქალის, ანის წერილი სათაურით — „მან ოჯახს მდიდარი ქალი არჩია“.**

**სამწუხაროდ, ანის თავისი კოორდინატები არ დაუტოვებია, არადა ბევრი გამოგვეხმაურა, რომელთაც სურთ დაეხმარონ ახალგაზრდა ქალს.**

**ანი! აუცილებლად დაგვიკავშირდით რედაქციაში. იქნებ ამიერიდან მართლაც უკეთესი გზით წავიდეს თქვენი ცხოვრება.**

## თურმე

ქალის სილამაზე მამაკაცის ტვინზე ნარკოტიკივით მოქმედებს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერები.

კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ უმშვენიერესი ქალის დანახვაზე მამაკაცის თავის ტვინის ქერქში ისეთივე ქიმიური რეაქცია ხდება, როგორიც ნარკომანის ტვინში მორიგი დოზის მიღების შემდეგ.

# სახუმარო რჩევა-დარიგება ქალებს

**ქალებო,** ეცადეთ, საქმროს ცოლის თვალებით შეხედოთ, ქმარს კი, — საცოლის!

ვისაც შეყვარებული არა გყავთ, სჯობს, ჯერ გაიცნოთ და მერე შეიყვაროთ, ვიდრე ჯერ შეიყვაროთ და მერე გაიცნოთ!

**ყურადღებიანო ქალებო!** თუ გსურთ მამაკაცის ყურადღება მიიპყროთ, ნუ იქნებით ზედმეტად ყურადღებიანნი მის მიმართ.

**პატივმოყვარე ქალიშვილებო!** მხოლოდ საკუთარ თავს ნუ შესტრფით, თორემ მის ამარა დარჩებით ცხოვრებაში!

**მინი-დეკოლტიანებო!** ეცადეთ, დაიპყროთ მამაკაცის გული და არა — მზერა.

**ანგარებიანო ქალებო!** სიყვარულს ანგარებით ნუ მოეკიდებით და ანგარებას — სიყვარულით!

# ქლიავის კოსმეტიკა



**ქლიავის შემადგენლობაში შედის კანისათვის სასარგებლო ორგანული მჟავები, უამრავი ვიტამინი** — B, C, K, P, PP. **ნიღაბი ყველა ტიპის კანისათვის სრულიად უბრალოა:**

**მშრალი კანისათვის** — ქლიავი დაჭყლიტეთ, გაწურეთ და ათქვიფეთ კვერცხის გულთან ერთად. დაიდეთ სახეზე, 25 წუთში ჩამოიბანეთ თბილი წყლით, შემდეგ ცივით.

**ნორმალური ტიპის კანისათვის** — დაჭყლეტილი ქლიავი ერთ კოვზ ხაჭოში აურიეთ, 15 წუთით სახეზე გაიჩერეთ, ჩამოიბანეთ ოთახის ტემპერატურის წყლით.

**ცხიმიანი სახისათვის** — ქლიავი გათალეთ, ფაფასავით გაქენით და გათქვეფილ ცილაში აურიეთ. 20 წუთით დაიდეთ სახეზე და მერე თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

**ღამის მკვებავი კრემი მშრალი და ნორმალური კანისთვის** — 1 ც ქლიავის ფაფა აურიეთ კვერცხის გულსა და 1 ჩ/კ თაფლში, წაისვით კარგად გაწმენდილ სახის კანზე, დაიძინეთ, დილით ჩამოიბანეთ და ქლიავისავე სალათი მიირთვით.



# სახელდახელო ატმის ტორტი

12 ცალი გათლილი ატამი შუა-შუა გაჭერით.

ათქვიფეთ ერთად 3 ც კვერცხი, 250 გ ცხიმიანი ნაღები, 100 გ შაქარი, მოხალული და გახეხილი 50 გ ნუში.

ნამცხვრის ფორმის ძირზე დააწყვეთ ფუნთუშის ნაჭრები, ზედ ატამი დაალაგეთ და მოასხით კვერცხ-ნაღების ნარევი. შედგით $180^0$-მდე გაცხელებულ გაზქურაში ნახევარი საათით.

მიირთვით ცივად.

ატმის მაგივრად გარგარიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

# „მიწყრებოდა და თან მეფერებოდა...“

***ამბობენ, ეჭვიანობა ადამიანს ამცირებს, სასაცილოს ხდის და სიყვარულსაც ნელ-ნელა კლავსო. ისე, ალბათ ყველაფერი ინდივიდუალურია. ეჭვიანობა შეიძლება ზოგისთვის ტრაგედიად იქცეს, ზოგისთვის — სიყვარულის და ვნების წყაროდ... ამ თემაზე ამჯერად ქალებს ვესაუბრე და ერთადერთი კითხვით მივმართე — რა იწვევს ეჭვიანობას და არის თუ არა იგი ნორმალური მოვლენა?***

**ეკა** (25 წლის): — ზომიერად ალბათ ნორმალური მოვლენაა, ზღვარს გადასული კი, ავადმყოფობა. ერთი ჩემი ახლობელი ქალი ქმარს გამუდმებით უკან დასდევს, უთვალთვალებს. ზოგჯერ პირისპირ გადაეყრება ხოლმე. მაგრამ ისე იქცევა, სიურპრიზივით გამოდის „შემთხვევითი“ შეხვედრები. ქმარი კი აღტაცებულია და ჰგონია, მისი ცოლი რომანტიკული არსებაა. სიამაყით და სიყვარულით აღნიშნავს ხოლმე, — ჩვენი ცხოვრება იმდენად მრავალფეროვანია, რომ არც ერთი დღე ერთმანეთს არ ჰგავსო.

**ლილი** (49 წლის): — სულ მგონია, რომ ეჭვიანობისას თავმოყვარეობა სჭარბობს სიყვარულს. თუ ადამიანი უსაზღვროდ გიყვარს, როგორ უნდა იეჭვიანო მასზე?

ამ საშინელმა სენმა 11 წლის წინ ოჯახი დამინგრია. ჩემი ქმარი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მითვალთვალებდა. ეს ავადმყოფობა მოულოდნელად დაეწყო. ღამით, გვიან დაბრუნებული ფეხაკრეფით შემოვიდოდა სახლში, მოიპარებოდა საწოლთან და ყველაფერს ათვალიერებდა. მერე ფარანს აანთებდა და კარადაში იხედებოდა, საწოლის ქვეშ ეძებდა რაღაცას თუ ვიღაცას. ყინვაშიც კი არ ეზარებოდა აივნის დათვალიერება. ბევრი რომ არ გავაგრძელო, აუტანელი გახდა მისი საქციელი. ავდექი და გავშორდი...



**ანა** (18 წლის): — ძალიან კარგი რამეა ეჭვიანობა. როცა ჩემს შეყვარებულს გავებუტები, ეჭვიანობს, რომ სხვა მომწონს, სხვა მიყვარს და ყველანაირად ცდილობს თავბრუ დამახვიოს. ისეთ სიურპრიზებს მიწყობს ხოლმე, მზად ვარ, გამუდმებით ვაეჭვიანო. ამას წინათ, ჩემს ბიძაშვილს ვთხოვე, პაემანზე მივდივარ და ერთი საათის განმავლობაში სასიყვარულო მესიჯები გამომიგზავნე ტელეფონზე-მეთქი. ნატუკამაც ამისრულა თხოვნა და ბიჭი კინაღამ გაგიჟდა. მითხარი, ვინ არის, ვინ მიბედავს აფორიაქებასო, მეხვეწებოდა. მერე თან გადამყვა, ათასნაირი საჩუქარი მიყიდა. მეც შემეცოდა და სიმართლე ვუთხარი. აუტანელი ხარო, — მიწყრებოდა და თან მეფერებოდა.

**ნინო** (21 წლის): — ძალიან ცუდი რამეა ეჭვიანობა. ერთი ძალიან ლამაზი ბიჭი შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი. სანამ უკეთ გავიცნობდი, ანგელოზი მეგონა. მერე კი შემშალა. ნივთივით, საკუთრებასავით მექცეოდა. ქუჩაში ნაცნობი ან ახლობელი ბიჭი რომ შემხვედროდა, თვალი უნდა ამერიდებინა, თორემ შეიძლება ჩხუბი აეტეხა. ნინოსთან რა გინდა, საიდან იცნობო, — დააყრიდა შეკითხვებს. დედაჩემზე და პატარა ბავშვებზეც კი ეჭვიანობდა. თავს დროზე ვუშველე და დავშორდი, თორემ მისი ცოლი რომ გავმხდარიყავი, ალბათ ცხრაკლიტულში გამომამწყვდევდა.

***ეკა ლომიძე***

# კადრები „ფილმიდან“ — ხარება ხარაბაძე

ვინც მას იცნობდა, დამეთანხმება, რომ ძნელია ხარება ხარაბაძე, რუსუდან კიკნაძის ერთადერთი და გოგი ხარაბაძის უმცროსი ვაჟი წარსულში მოიხსენიო, არადა, მხოლოდ 29 წელი დაყო პლანეტა დედამიწაზე და მერე პატარა უფლისწულივით ტკივილის მომგვრელად გაუჩინარდა... არამზადების ბანდა, რომელმაც ხარებას გარდა სხვა, უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეც შეიწირა, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის მიერ უკვე დაპატიმრებულია და დამსახურებულ სასტიკ განაჩენს ელის, რაც სამწუხაროდ ვეღარაფერს შეცვლის... თუმცა, ის მაინცაა სანუგეშო, რომ გულში ხინჯად არ დაგვრჩება დაუსჯელი მკვლელების ბოგინი. 12 სექტემბერს გურიაში ხარებას სულის მოსახსენებლად მისი ახლობლების მიერ აგებული ეკლესია აკურთხეს. ისეთი განცდა ჰქონდა ყველას, რომ იმ დღეს ხარებაც აქ იყო, სათაყვანებელ საქართველოში, ულამაზეს გურიაში და ძველებურად, უშურველად გასცემდა სითბოს... ხარებას ოჯახის წევრების, განსაკუთრებით მისი ძმის, გიორგი ხარაბაძის დახმარებით შევეცადე ჩვენს მკითხველთან მესაუბრა ბიჭზე, რომელსაც ყველაფერზე მეტად ამქვეყნად კინო უყვარდა. და რომელსაც 12 სექტემბერს 30 წელი შეუსრულდა. მაშ ასე, თქვენ წინაშეა საგაზეთო ფრაგმენტები „ფილმიდან“ — ხარება ხარაბაძე“:

ხარებას დაღუპვის შემდეგ მისმა პედაგოგმა, ქალბატონმა **ლილი იოსელიანმა**, ტკივილით აღნიშნა: „როცა ხარება ამერიკაში მიდიოდა, ძალიან გავუბრაზდი, გული დამწყდა, საქართველომ მაშინ ძალიან ლამაზი, ნიჭიერი და დიდი, ნათელი მომავლის მსახიობი დაკარგა“. მართლაც, ლოს-ანჯელესში ხარებამ თეატრისა და კინოს ფაკულტეტი კი დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტში, რამდენიმე საინტერესო როლიც ითამაშა ამერიკული თეატრის სცენაზე, მაგრამ მსახიობობა აღარ ისურვა და სულ მალე, კინოს ხმის რეჟისორის სპეციალობას დაეუფლა. წარმატებებმაც არ დააყოვნა... ოლგან პეტერსონის ძვირად ღირებული ფილმის, „პრეზიდენტის თვითმფრინავის“ ხმის რეჟისორი სწორედ ხარება ხარაბაძეა. თითქოს აქაც ამოწურა შესაძლებლობები. გადაწყვიტა, პროდიუსერი გამხდარიყო და სამ თანაკურსელ მეგობართან ერთად დააფუძნა კინოკომპანია „მერიდიან ინტერტეიმენტი“. კომპანიაში საგანგებო შეკვეთით გადაღებულ ფილმებს სულ მალე მოჰყვა წარმატებები. 2001 წელს ძველი მეგობრები და კომპანიონები კვლავ მეგობრებად რჩებიან, მათი სახელშეცვლილი კომპანიაც განაგრძობს არსებობას, თუმცა ხარება ახალი საკუთარი კომპანიის „მატადორ მედიას“ პროდიუსერი ხდება. მას ლობისტობას უწევს ცნობილი პროდიუსერი და რეჟისორი რონ შელტონი. ხარებამ იმავე 2001 წლის ზაფხულში გაიცნო თავისი მომავალი პარტნიორი, მოსკოველი კაცი, გიორგი საფიევი, რომელიც კინობიზნესით იყო დაინტერესებული. მათი შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა. ორი ახალგაზრდა კაცი არამზადების, ბინძური გამომძალველების მსხვერპლად იქცა. არადა, 2001 წლის ნოემბერში მათ ოფისი გახსნეს მოსკოვშიც, სადაც დოლფ ლუნდგრემი და ჯონ მალკოვიჩიც ჰყავდათ ჩამოყვანილი. „მაშინ ყველანი ერთად ვიყავით, ხარება, მამა, მე... — იხსენებს **გიორგი**, — შესანიშნავი დრო ვატარეთ 5 დღის განმავლობაში. დილამდე ერთად ვიყავით სამივენი. სამწუხაროდ, მოგონებად დარჩა ყველაფერი, უფრო ადრინდელი შეხვედრებიც, მათ შორის მოსკოვის კინოფესტივალი, სადაც ფილმის „მარტოობის ორდენის კავალერის“ პრიზით დაჯილდოებისას გოგი სცენაზე იდგა, მე და ხარება კი მხარს ვუმშვენებდით. ის იყო ჩემი უმცროსი ძმა, რომელზეც წლების წინ შვილივით ვზრუნავდი, მერე კი, ასაკში საუკეთესო მეგობრები გავხდით...“ მოსკოვში ხარება ჯონს უწევდა მეგზურობას, გიორგი — დოლფს. მალკოვიჩი თავისი ბლანჟეს წყალობით ძალიან დამგვანებია ლენინს. მასპინძელს სტუმარი კრემლის მუზეუმში, ძერჟინსკის კაბინეტში შეუყვანია. მაგიდასთან დაუსვამს და ხელში ტელეფონის ყურმილი მიუცია. ამის შემდეგ დაცვა უხმია. დაცვის ბიჭები კინაღამ გაგიჟებულან ტელეფონზე მოსაუბრე „ლენინის“ დანახვაზე. ბევრი იყო ასეთი ღიმილიანი წუთები, ძვირფასი მოსაგონარი... 2002 წლის მარტში „მატადორ მედიას“ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება უნდა დაეწყო, მაგრამ... 2002 წლის იანვარში სამუდამოდ გაიყინა კადრი, შეწყდა ფილმი — „ხარება ხარაბაძე“. ხარებას თავის პირველ სერიოზულ გამარჯვებად ამერიკული ინგლისური ენის უაქცენტოდ დაუფლება მიაჩნდა. სწორედ „უაქცენტო ამერიკულის“ წყალობით მიიღო საინტერესო როლები თეატრში... *„19 წლის ბიჭი სრულიად უცხო ქალაქის პირისპირ დავრჩი და მამისეული პრინციპულობით შევეჭიდე საქმეს... თუმცა, პირველი წელი ძალიან გამიჭირდა სულიერად. ენა არ ვიცოდი, მეგობრები არ მყავდა. ამ ძნელმა და სერიოზულმა ეტაპმა ჩამომაყალიბა პიროვნებად. თეატრალურ ინსტიტუტში სასურველი როლი რომ შეგხვდეს, ნამდვილი ბრძოლაა საჭირო. იქ მზამზარეულს არავინ არაფერს მოგართმევს. სცენაზე წარსადგომი მონოლოგის გასააზრებლად ჯერ ვთარგმნე და მერე ვისწავლე, ორ დღეში... ორ სპექტაკლში მიმიწვიეს მთავარი როლის შესასრულებლად. ამის შემდეგ იოლად გადავლახე ბარიერი, პირველ როლში ვიეტნამიდან დაბრუნებული ჯარისკაცი ვითამაშე. რეჟისორი, შემდგომში ჩემი პედაგოგი ძალიან მომთხოვნი ადამიანი იყო. მამას მაგონებდა და ამიტომაც არ ვუფრთხოდი სხვებივით მის შენიშვნას. პირველი პრემიერა ანშლაგით დამთავრდა. წარმატებული დებიუტი უძილო ღამეებად დამიჯდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, ჩემზე არ უნდა გაეცინათ“.* ბავშვობიდანვე ფართო იყო მისი ინტერესების სფერო. სპორტშიც უცდია თურმე შესაძლებლობები. „გამხდარი, სუსტი ბიჭი ყველგან ცდილობდა სიარულს — კრივზე, რაგბიზე. მშვენივრად იდგა თხილამურებზე, სკეიტბორდზე ერთხელ კინაღამ კისერი მოიტეხა, სპორტული გენი არ ჰქონდა, მაგრამ არ ეშვებოდა, შეუპოვარი იყო“ — იხსენებს **გიორგი**. თავად ხარებას მოგონება კი მისი ხასიათის შტრიხებს ჰკვეთს: *„მამას სურდა კალათბურთზე მევლო. მე ბოქსი ვირჩიე. ძნელი კი იყო მამის სურვილის წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ დამითმო გოგიმ. რინგზე ვისწავლე, რომ ცხოვრებაში შეიძლება დადგეს მომენტი, როცა მხოლოდ საკუთარი თავის ამარა აღმოჩნდები, როცა ვერავინ ვერ მოგეშველება, როცა თუ არ დაამარცხებ, თავად დამარცხდები. ბოქსში ფრე არ არის. ამერიკაში გამახსენდა ბოქსი, რინგი და...“* ინგლისურად მოსაუბრე ხარებას თურმე ამერიკელისაგან ვერ ასხვავებდნენ, თუმცა თავად წუთითაც არ დავიწყებია თავისი წარმომავლობა და მიზანი, რომელიც ეროვნული მნიშვნელობისა გახლდათ: *„ქართული კინო უნდა აღორძინდეს, საჭიროა უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელება. უნდა შევიგნოთ, რომ ნებისმიერი წარმატების გასაღები ხალხის შრომისმოყვარეობაში დევს. ამერიკაში ყველა თავისი საქმის პროფესიონალია. ქართველებში ეს თვისება მოისუსტებს. არადა, ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები....“* ხარება იყო ამერიკული იდეალების მქონე ახალგაზრდა, სულით ხორცამდე ქართველი, რომელიც ცდილობდა ყველასათვის გაეცნო თავისი ქვეყანა. აკი ამბობს კიდეც, *„ვცდილობ, ყოველი ჩამოსვლისას ჩამოვიყვანო იქაური მეგობრები, ვაჩვენო ჩვენი ქვეყანა, გავაცნო მისი კულტურა და შევაყვარო. უნდა ნახოთ, მერე როგორ სვამენ ფეხზე ადგომით საკუთარ ოჯახში საქართველოს სადღეგრძელოს...“* ისევ გიორგი იხსენებს: „პირველად ორივემ ერთად ვნახეთ ტაო-კლარჯეთი. კინაღამ შეიშალა, ისეთი ბედნიერი იყო. გადაწყვიტა, ექსპედიციასთან ერთად წამოსულიყო თურქეთში, მაგრამ ამერიკაში მოუხდა წასვლა. მერე 1997 წელს მე და გოგი დიდ სამუშაო ჯგუფთან ერთად წავედით თურქეთში ტაო-კლარჯეთზე ფილმის გადასაღებად, სადაც, ალბათ გახსოვთ, სკანდალური შემთხვევა, როცა მთელი საექსპედიციო ჯგუფი დაგვაპატიმრეს თურქებმა და ფილმის გადაღების საშუალება არ მოგვცეს. ამ ამბავმა აღაშფოთა ხარება. მერე, სულ მალე ამერიკის მოქალაქე გახდა. დაგვირეკა და გვამცნო ახალი ამბავი. ჩვენც დიდის ამბით მივულოცეთ, ის კი ყურს არ გვიგდებდა და იცით რა თქვა? — წავალ ახლა მე ტაო-კლარჯეთში ჩემი ამერიკული პასპორტით და როგორ შეძლებენ თურქები გადაღებაზე უარის თქმას, მაგასაც ვნახავო (მხოლოდ ამერიკელებს ვერ ეწინააღმდეგებიან თურქები, გერმანელი მხატვარიც კი სამჯერ დაიჭირეს ოშკის, ბანას და სხვა ტაძრების ჩახატვისთვის). სახტად დავრჩით. იმ წუთში აღარავის ახსოვდა თურქეთის ამბავი“. ხარებას ხასიათის კიდევ ერთი შტრიხი მისივე მოგონებიდან: *„საქართველოდან ახალი წასული ვიყავი, აქ რომ ყველაფერი აირია და ომი დაიწყო. ვერ ვისვენებდი. ყოველ ღამით ტელეფონზე ვეკიდეთ ამერიკაში მე და თბილისში მამა მამშვიდებდა, ისე არ არის ყველაფერი, როგორც შენ გგონია, დაწყნარდი, მივხედავთ აქ საქმეს. შენ მანდ არ დაიხიო უკან, არ მოდუნდეო. მიკვირს, როგორ გავუძელი, იქნებ ამან შემაძლებინა წარმატების მიღწევაც? რა იქნებოდა აქ რომ ვყოფილიყავი? ვიქნებოდი კი ძლიერი პიროვნება? აქ განსაცდელისაგან გოგი დამიფარავდა, რა მოგერევა, როცა ამხელა კლდე გიდგას უკან. მაგრამ პიროვნებად მარტო, დამოუკიდებლად ყალიბდება კაცი. ეს გზა მე და ჩემმა ძმამ გიორგიმ გავიარეთ, ჩამოვყალიბდით არა გოგი ხარაბაძის ფრთებქვეშ შეყუჟულები, არამედ აბსოლუტურად ცალკე. ჯერ გიორგი გახდა „ემიგრანტი“, მერე მე...“*

სწორედ ამის შემდეგ ხდებიან ღვიძლი ძმები სულისმიერი ძმებიც, ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები და კომპანიონებიც. თუმცა, მანამდე გიორგი გერმანიაში მუშაობს, ექიმის პროფესიით, იხვეჭს სახელს, ხარება კი: *„ჰოლივუდში ჯერ უბრალო დამხმარედ ამიყვანეს, მძღოლივით ვეზიდებოდი რაღაცებს. ერთ დღესაც გავიგე, რომ კინომემონტაჟეს ციფრული კომპიუტერის მცოდნე ასისტენტი სჭირდებოდა... მე ვიცი-მეთქი, განვაცხადე, არადა, წარმოდგენაც არ მქონდა. 1000-ფურცლიანი სახელმძღვანელო ერთ ღამეში წავიკითხე. კი მიმიხვდნენ ეშმაკობას, მაგრამ... შემდეგ, ჩემი მონდომება რომ დაინახეს, თვითონ კომპანიამ გადამიხადა სწავლის ქირა. ორ კვირაში კი მუშაობა დავიწყე და ცნობილი კინომემონტაჟის ანა მარია ზანტის ასისტენტი გავხდი“.* ამის შემდეგ ხარებამ ჯერ კამერა შეიძინა. მერე თავად დაიწყო ფილმების მონტაჟი, მიუზიკლებიც გადაიღო, კინემატოგრაფისტთა პროფკავშირების ყველაზე ახალგაზრდა წევრიც გახდა (არადა, იქ მხოლოდ მათ იღებდნენ, ვისაც 60 ან მეტი ფილმი ჰქონდა გადაღებული). მეგობრებთან ერთად კინოკომპანიაც დააარსა და...

**გიორგი**: — „საქართველოში დაბრუნებულს უკვე ხარება ამერიკაში წასული დამხვდა. ამის შემდეგ უფრო ვხვდებოდით ერთმანეთს, ან ის ჩამოდიოდა, ან მე ჩავდიოდი, ან მოსკოვში ვხვდებოდი, ან კიდევ სხვაგან. უერთმანეთოდ არც ერთ პროექტს არ ვაკეთებდით. „მარტოობის ორდენის კავალერის“ გადაღების დროსაც ხარება თანაპროდიუსერი იყო. მანამდე კი „ლუკას სახარების“ გადაღებისას ერთ-ერთ ფრაგმენტში გადაიღეს. მერე კიდევ პატარა ფილმები გადავიღეთ. იქაც ერთად ვიყავით“. ერთად დგომა ნებისმიერი წარმატების საწინდარი და აუცილებლობა იყო ხარებასთვის — *„როცა ერთად დავდგებით, როცა ყველა თავის გასაკეთებელს გააკეთებს, როცა ყველა იფიქრებს სამშობლოს გადარჩენაზე, ქვეყანაც გადარჩება და ეს ხელოვნებით უნდა მოხდეს. ზოგი იქნებ ამის მიღწევას სამამულო სიგარეტის წარმოების აღორძინებით აპირებს ან ბენზინის ბიზნესით. ჩვენ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ, ხელოვნებით უნდა ავაღორძინოთ ქვეყანა“.* უზომოდ თბილსა და მოსიყვარულეს სენტიმენტალური და ნოსტალგიური ბუნება ჰქონია. გაწონასწორებული, მშვიდი ადამიანი ზოგჯერ მეტისმეტ გულჩვილობასაც ავლენდა თურმე და ცრემლსაც კი შენიშნავდით ორმეტრიანი სიმაღლის მქონე ვაჟკაცის თვალზე...

ხარებაზე მოგონებებს აქ შევწყვეტ და სევდამორეულს თვალწინ წარმომიდგება ნატიფი, ულამაზესი ქალი, ტკივილით აღსავსე დედა — ქალბატონი რუსუდან კიკნაძე. ის, ვინც მსოფლიოში ულამაზეს ქალად მიაჩნდა ხარებას, რომელმაც უნებლიეთ დატოვა ძვირფასი ადამიანები. მიჭირს სანუგეშო სიტყვების პოვნა... თუმცა რა საჭიროა, მათ ხომ მაინც არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ...

**ეკა ლომიძე**



ეს ფოტო თავად ხარებას გადაუღია მოსკოვში სახელიც დაურქმევია — „მე და მამა“



ხარება კალიფორნიის უნივერსიტეტის დამთავრებისას



ხარება და გიორგი ხარაბაძეები

გაერთიანებული ქართული ბანკი
UNITED GEORGIAN BANK

„გაერთიანებული ქართული ბანკი“
სათავო ოფისი: თბილისი, უზნაძის ქ. 37
ტელ.: (+995 32) 942 702 / 995 736
ფაქსი: (+995 32) 999 139
E-mail: head@ugb.com.ge
www.ugb.com.ge

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

5

დარბაისელი ქალი

6

შეწვამდე ქმარში ჩადებული, პილპილ, მარილ და ხახვ-მოყრილი სამწვადე ხორცი

9

ქანდაკება არქიტექტურაში

10

შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი

11

უზარმაზარი ტალღა

15

გამარჯვებულთა სასმელი

17

დაწესებულება, რომელსაც სიტყვა თურქული უძღვის წინ

18

სათამაშო ქაღალდი

19

ქალაქი, სადაც თავდაპირველად დადგეს საფოსტო ყუთები

20

რომაულად მას ბახუსი ჰქვია, ხოლო ბერძნულად ...

24

თევზების ხელმწიფე ლუარსაბის აზრით

25

დროშა

26

წყალქვეშ სასუნთქი აპარატი

29

საზაფხულო ქუდი

32

რეალურად არსებული ორგანული და არაორგანული სამყარო

33

სრუტე, რომლის ნაპირებზეც სტამბოლია გაშენებული

34

ძეგლის სახეობა

35

უმაღლესი სამხედრო-საზღვაო „წოდების“ მქონე პეპელა

## შვეულად:

1

ამხანაგი პროფესიის, სამსახურის ან თანამდებობის მიხედვით

2

ცინდალი

3
ზომიერების გრძნობა

4

პირველი მფლობელი ორდენისა, რომელიც დამზადდა საიუველირო ფაბრიკაში (უნიკალური შემთხვევა საბჭოთა ორდენების ისტორიაში)

5

განკარგულება, რომლის შესრულებაც აუცილებელია

7

თურქების მამად წოდებული მუსტაფა ქემალი

8

ტროპიკული აფრიკის გიგანტური ხე

12

გამაბრუებელი ნივთიერება (ზოგადად)

13

გათხრებით ისტორიის შემსწავლელი

14

სახელმწიფო აზიაში

16

წამლის ფორმა მინიატურული ვიდეოკამერისა, რომელსაც საჭმლის მომნელებელ ტრაქტში „მოგზაურობისას“ შეუძლია 50000 კადრის გადაღება

21

XI საუკუნის საეპისკოპოსო ტაძარი მცხეთაში

22

დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობათა ერთობლიობა

23

მრავალადგილიანი ეტლი, რომელსაც დაჰყავდა მგზავრები გარკვეული მარშრუტით

27

ჰერმეტულად დახურული ჭურჭელი

28

უძველესი ქვეყანა, საიდანაც გავრცელდა ლუდის წარმოების ხერხი მთელ მსოფლიოში, მათ შორის ეგვიპტეშიც (სურათზე)

30

ნაგებობა

31

დენის წყაროსთან შეერთებული რადიოდეტალები

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №33 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. მანსარდა; 6. ბართლომე; 9. რიშელიე; 10. კაპელა; 11. ნიკაპი; 15. „ლოენგრინი“; 17. უნცია; 18. ცენტი; 19. დელფინი; 20. არაბული; 24. ბირმა; 25. ონორე; 26. პროსპექტი; 29. ბოლოკი; 32. ტერასა; 33. ბუქსირი; 34. ალბინოსი; 35. ფსალმუნი.

**შვეულად:** 1. მსხალი; 2. „ოდოია“; 3. კალია; 4. ელეგია; 5. მაკარონი; 7. ექსპერტი; 8. რელიგია; 12. კონდიტერი; 13. ანთრაციტი; 14. ლიცეუმი; 16. „ბერლინი“; 21. ვიქტორია; 22. პაპუასი; 23. ორკესტრი; 27. აკაცია; 28. ჭერამი; 30. კურსი; 31. არესი.



# შეკითხვა ექიმს

***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.***

**— მაწუხებს გული. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ჩემთვის ცხელი აბაზანის მიღება?**

***პატივისცემით ვალერი მესხი***

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გულის რა დაავადება გაწუხებთ და რამდენადაა იგი გამოხატული. თუ გაქვთ გულის იშემიური დაავადება (მაგალითად, სტენოკარდია), გადატანილი გაქვთ ინფარქტი ან გაქვთ გამოხატული გულის მანკი, ანდა ძნელად კონტროლირებადი არტერიული ჰიპერტონია (წნევა), მაშინ თქვენთვის სითბური პროცედურები (აბაზანა) მიზანშეწონილი არ არის.

**— მყავს 2 თვის პატარა. რა ასაკიდან უნდა მივცე მას ვიტამინები?**

***ნონა მოდებაძე***

— თუ ჩვილ ბავშვს ძუძუთი კვების დროს ესაჭიროება ვიტამინების დამატებითი დოზა, ექიმის რეკომენდაციით, მას დედა იღებს ხოლმე. თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზე გყავთ, საკვები ფხვნილები, როგორც წესი, შეიცავს საჭირო ვიტამინებს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ბავშვი მოკლებულია დედის რძესაც და სრულფასოვან ხელოვნურ კვებასაც, იგი საჭიროებს ვიტამინების დამატებითი დოზის მიღებას.

ერთი წლის ასაკის შემდეგ კი, ბავშვს პერიოდულად, განსაკუთრებით გაზაფხულობით, უნდა ჩაუტაროთ ხოლმე ვიტამინოთერაპიის კურსი.

**— ვარ ახალდაქორწინებული. აღმომაჩნდა სოკო, რის გამოც მე და ჩემი მეუღლე ვმკურნალობთ „პიმაფუციცინით“. გთხოვთ მიპასუხოთ, ახდენს თუ არა გავლენას ეს პრეპარატი ბავშვის ჩასახვის პროცესზე და კიდევ რა წამლები არ არის რეკომენდებული მამაკაცისთვის ჩასახვის პერიოდში?**

***თ.ქ. ერთგული მკითხველი***

— ჩასახვისათვის ხელსაყრელ პერიოდში, საერთოდ, თავი უნდა შეიკავოთ წამლების და კერძოდ „პიმაფუცინის“ მიღებისგანაც. ყველაზე არასასურველი ამ პერიოდისთვის გახლავთ ქიმიოთერაპიული პრეპარატები, რომლებიც ავთვისებიანი წარმონაქმნების სამკურნალოდ გამოიყენება.

**— მყავს 3 თვის გოგონა, რომელსაც დაბადებიდან თითქმის ყოველდღე აქვს მუცლის ტკივილი. რძეში აღმომაჩნდა სტაფილოკოკი. უკეთესი ხომ არ იქნება, რომ ბავშვი ხელოვნურ კვებაზე გადავიყვანო!**

***ნათია ჯაკოიშვილი***

— თუ გოგონას არა აქვს მოშლილი კუჭ-ნაწლავის ფუნქცია და ნორმალურად იმატებს წონაში, რძეში სტაფილოკოკის აღმოჩენა ნუ შეგაშინებთ. გამოკვლევის შედეგები ხშირად არასწორია: სტაფილოკოკი გამოსაკვლევ მასალაში შესაძლოა მოხვდეს გარედან — მკერდის კანიდან, სადაც იგი სრულებით ჯანსაღ ადამიანებშიც ბინადრობს ისე, რომ არავითარ ზიანს არ აყენებს მათ. სტაფილოკოკი თუნდაც რძეში იყოს, საშიში არ არის, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი შეიცავს ანტისხეულებსაც, რომლებიც უვნებელყოფს ამ ბაქტერიებს. ამრიგად, თუ პატარა ჯანმრთელია და პრობლემა მხოლოდ ნაწლავური კოლიკებია (მოვლითი ტკივილები), არავითარი საფუძველი არ გაქვთ, ბავშვს მოაკლოთ ისეთი დიდი ბედნიერება, როგორიც დედის რძეა. მით უმეტეს, რომ ხელოვნური საკვები კოლიკებს არ მოხსნის.

ნაწლავური კოლიკები დაკავშირებულია ჩვილის საჭმლის მომნელებელი სისტემის მოუმწიფებლობასთან. იგი თითქმის ყველა პატარას აწუხებს 3-4 თვის ასაკამდე, შემდგომ კი თავისთავად გაივლის. მისი მიზეზი გაზების დაგროვებაა. კოლიკების დაძლევაში დაგეხმარებათ კამისა და გვირილისგან დამზადებული სპეციალური ჩაი, გაზგამყვანი მილის გამოყენება აუცილებლობის დროს; ჭამის წინ პატარა დააწვინეთ მუცელზე, ფეხები მოუხარეთ და ახლოს მიუტანეთ მუცელთან. ასე იგი ადვილად განთავისუფლდება გაზებისგან. ბავშვს ფეხები და მუცელი თბილად უნდა ჰქონდეს.

სულ მალე თქვენს გოგონას თანდათანობით შეუმსუბუქდება მუცლის ტკივილის შეტევები და კუჭ-ნაწლავის ფერმენტული სისტემისა და ლორწოვანი გარსის სრულყოფასთან ერთად დამშვიდდება.

**— მაქვს გამრუდებული ფეხები. შეიძლება თუ არა ამის გამოსწორება და რა საშუალებებით? გთხოვთ მიპასუხოთ, რადგან ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

— ოსტეოპლასტიკა პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთი რთული სფეროა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ოპერაციები არ კეთდება, მაგრამ საზღვარგარეთ მსგავსი პრაქტიკა არსებობს და თუ ამის ფინანსური საშუალება გაქვთ, შეგიძლიათ გადაჭრათ თქვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემა.

# კარაბადინი

*— ყოველთვის მეშინოდა ვირუსის. უბრალო გაცივებაც კი, ისე მირთულდებოდა ხოლმე, რომ რამდენიმე დღე ლოგინად მაგდებდა. ნაცნობმა ისეთი რამ მასწავლა, არა მარტო საბოლოოდ დავაღწიე თავი ვირუსულ ინფექციებს, არამედ საგრძნობლად გავიუმჯობესე ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა: დილით, უზმოზე ერთი სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი უნდა ჩაიგუბოთ პირში და წოვოთ 15-20 წუთის განმავლობაში. ჩაყლაპვა არ შეიძლება. ზეთი ფერს შეიცვლის და თეთრ-რძისფერი გახდება. გემოც მოტკბო ექნება. ამის შემდეგ უნდა გადაღვაროთ. თუ ამ მანიპულაციას ისეთ დროს გააკეთებთ, როცა გრძნობთ ვირუსული ინფექციის საწყის ნიშნებს, დაავადება უკუიქცევა და აღარ გაგირთულდებათ. ხოლო თუ ნებისყოფა გეყოფათ და ყოველდღიურად, რეგულარულად შეასრულებთ მოცემულ პროცედურას, გარწმუნებთ, რა დაავადებაც არ უნდა გაწუხებდეთ, თავს უკეთ იგრძნობთ.*

***მიხეილ ქოიაშვილი, თბილისი***

**ექიმის კომენტარი:** აღნიშნული რეცეპტი მრავალგზის გვხვდება აღმოსავლურ ხალხურ მედიცინაში. ამჟამად იგი ჩვენშიც საკმაოდ გავრცელებულია, რადგან მართლაც საკმაოდ ეფექტურ შედეგს იძლევა. მისი ეფექტი წოვის რეფლექსთანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ წოვა ააქტიურებს ადამიანის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას, ჰორმონალურ სისტემას, ხელს უწყობს შხამების გამოყოფას ორგანიზმიდან და საერთო გაჯანსაღებას.

*— ჩემს შვილს პატარაობიდანვე ახველებდა ისე, რომ ვერაფერმა უშველა. რა წამალი არ ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. შარშან ერთ-ერთ სამკურნალო წიგნში წავიკითხე წამლის რეცეპტი: 675გ მაისის თაფლი, 375გ ალოე, 875გ წითელი ღვინო. ალოეს მოჭრამდე 5 დღით ადრე, წყალი არ უნდა დაუსხათ, შემდეგ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, აურიეთ თაფლი და ღვინო. ნარევი დადგით ბნელ და ცივ ადგილას 6 დღე. მიეცით ავადმყოფს პირველი ხუთი დღის განმავლობაში ერთხელ დღეში ერთი სუფრის კოვზი, ხოლო მომდევნო დღეებში იმავე რაოდენობით — სამჯერ დღეში, ჭამამდე 1 საათით ადრე. მკურნალობის ხანგრძლივობაა 2-3 კვირიდან 1,5 თვემდე, — ეს ყველაფერი შევასრულე (თუმცა, ბავშვს პატარა კოვზით ვაძლევდი წამალს). ჩემდა გასაოცრად, არაჩვეულებრივი შედეგი მივიღე — მას შემდეგ ბავშვს აღარ დაუხველებია.*

***მკითხველი***

**ექიმის კომენტარი:** თაფლი ხალხურ მედიცინაში ცნობილია, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და ორგანიზმის დაცვითი ფუნქციების გამაძლიერებელი პროდუქტი. ალოე კი, ფიტოთერაპიაში გასაოცარი ანტიბაქტერიული თვისებებითაა ცნობილი. იგი ორგანიზმზე ზოგადგამაჯანსაღებელ მოქმედებას ახდენს. ასეთივე ზემოქმედება ახასიათებს სუფთა ღვინოს მცირე დოზებით. ასე რომ, მოცემული კომბინაცია უნიკალურია ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მოცემული რეცეპტი მრავალნაცადია არა მხოლოდ ხალხურ მედიცინაში, არამედ მეცნიერულ მედიცინაშიც. რეცეპტს იყენებენ ქრონიკული დაავადებით დასუსტებული ორგანიზმის იმუნიტეტის გასააქტიურებლად, განსაკუთრებით, ჩირქოვანი პროცესების, ტუბერკულოზის, ჰიპერტონიის, თირკმლების ქრონიკული დაავადებების, ჰაიმორიტის, თრომბოფლებიტის, რევმატიზმის და სხვა დროს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

# რაღაცამ მაწყინა...



ასი წლის წინ დიარეას (ფაღარათი) მუცლის გრიპი ერქვა, დღეს მას ექიმები საკვების ტოქსიკოინფექციას უწოდებენ, ჩვენ კი ვამბობთ — რაღაცამ მაწყინაო.

თუ გული გერევათ, უნდა გაიხსენოთ, რა ჭამეთ, სანამ კუჭი აგეშლებოდათ — ბევრი ბოსტნეული თუ ხილი, თევზს ან ნესვს თაფლი ხომ არ დააყოლეთ, ან ინერვიულეთ, ან ძილის წინ კარგად დანაყრდით... ყველაფერი ეს შეიძლება გახდეს კუჭის აშლილობის მიზეზი. ფაღარათს ასევე იწვევს გულძმარვის საწინააღმდეგო ზოგიერთი საშუალება (ზოგიერთი კი პირიქით, ყაბზობას).

თუ ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი მიზეზით კუჭი აგეშალათ, 6 საათის განმავლობაში არაფერი ჭამოთ და მიიღეთ კუჭის შემკვრელი ბალახეულის ნაყენი და ნახარში (სვით მონაცვლეობით). გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

— 1 ს/კ გვირილის ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 10 წუთი, გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/4-1/3 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში. თუ მუცლის ტკივილი და გაზები ძალიან გაწუხებთ, შეგიძლიათ გაიკეთოთ იმავე რეცეპტით დამზადებული გვირილის თბილი, გაწურული ნაყენის 0,5-ლიტრიანი ოყნა.

— იმავე პროპორციით და წესით მომზადებული ბარამბოს ნაყენი მიიღეთ დღეში 3-ჯერ.

— შეურიეთ თითო წილ გვირილისა და კამის თესლს 2-2 წილი ტუხტის ფესვები, ძირტკბილა და ბაღის პიტნა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 40 წუთი თავდახურული, თბილ ადგილას. გაწურეთ და მიიღეთ დღის განმავლობაში.

— თანაბარი რაოდენობის გვირილის, ბაღის პიტნის და კატაბალახას ფესვების ნაყენი მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

— მუცელში ჩხვლეტებისა და შებერილობის დასაცხრომად პერიოდულად გაიკეთეთ საათის ისრის მიმართულებით წრიული მასაჟი, შეიკარით მუცელი თბილად.

## გამოირეცხეთ კუჭი!

მოწამვლის შემთხვევაში პირველ რიგში გამოირეცხეთ კუჭი. ამისთვის აადუღეთ და გააცივეთ 5-6ლ წყალი (მძიმე მოწამვლის დროს — 10-12ლ), რომელსაც დაუმატებთ სხვადასხვა რეცეპტის მიხედვით მომზადებულ წყალხსნარს:

**1**) გახსენით იმდენი მანგანუმი, რომ მიიღოთ ძალიან ღია ვარდისფერი სითხე.

**2**) 1 ს/კ საჭმელი სოდა ან მარილი გახსენით თბილ წყალში. ეს ხსნარი გამოდევნის შხამს არა მარტო კუჭიდან, არამედ სისხლიდანაც.

**3**) 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალში ჩაყარეთ თითო ს/კ გულყვითელა (ძალიან შველის სოკოთი მოწამლულს), გვირილა, კრაზანა და სალბი. ნაყენი 15 წუთი გააჩერეთ თერმოსში, გააცივეთ, გაწურეთ და 1 ჩ/ჭ გახსენით 1 ლ სითხეში — წყალი ოდნავ უნდა გაყვითლდეს.

**4**) 1 ჩ/ჭ ადუღებულ წყალში გახსენით აქტივირებული ნახშირის 4-5 ფირფიტა, 2 ს/კ დაამატეთ გამოსარეცხად გამზადებულ თითო ჩ/ჭ წყალს.

მოწამლულმა უნდა დალიოს იმდენი ხსნარი, რამდენსაც შეძლებს (არანაკლებ 4-5 ჭიქისა). თუ ამ რაოდენობის სითხე არ გამოიწვევს პირღებინებას, მაშინ ორი თითი ჩაიყავით პირში... ამ უსიამოვნო პროცედურის შემდეგ მიიღეთ თბილ წყალში გახსნილი 20-30 გ აქტივირებული ნახშირი.

თუ მხოლოდ კუჭი გაქვთ აშლილი და მოწამვლის სხვა სიმპტომები არ აღგენიშნებათ, მაშინ საკმარისია მიიღოთ მხოლოდ აქტივირებული ნახშირის დიდი დოზა (20-30 გ).

## შიმშილი — წამალია

თუ კუჭმა ძალიან შეგაწუხათ, უმჯობესია 24-36 საათის განმავლობაში თავი შეიკავოთ ჭამისგან. მაგრამ, თუ თავს არცთუ ისე ცუდად გრძნობთ, 5-8 საათი მაინც ნუ გაეკარებით საჭმელს. მოუწესრიგებელი კუჭისთვის დასვენება საუკეთესო წამალია. სამკურნალო შიმშილის შემდეგ შეგიძლიათ მიიღოთ საკვები პატარა ულუფებად, ყოველ 3-4 საათში ერთხელ.

**პირველი დღის მენიუ:** კეფირი, თეთრი პურის ორცხობილა, წყალში მოხარშული ბრინჯის ან შვრიის თხელი ფაფა.

**მეორე დღე:** ქათმის ბულიონი ან ბრინჯის წვნიანი, მოხარშული ხორცი ან თევზი, კარტოფილის ან სტაფილოს პიურე.

## მიიღეთ მეტი სითხე

მხოლოდ შიმშილით ვერ მოიწესრიგებთ კუჭის მოქმედებას. ორგანიზმიდან რომ გამოიდევნოს ტოქსინები, აუცილებელია ყლუპ-ყლუპად, ყოველ საათში ერთხელ მიიღოთ 250 გ სითხე.

— მიიღეთ თბილი, ოდნავ დამტკბარი, სუსტი ჩაი ან თბილი წყალი.

— თუ მარილიანი მოგინდათ, ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმმა დაკარგა არა მარტო სითხე, არამედ ნატრიუმიც და ქლორიც. გახსენით 1 ჩ/კ საჭმელი მარილი 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალში და დალიეთ.

— კარტოფილის ან სტაფილოს ნახარში დაეხმარება ორგანიზმს კალიუმის აღდგენაში. 2-3 საშუალო ზომის ბოსტნეული გახეხეთ, დაასხით 2 ჩ/ჭ ცივი წყალი, წამოადუღეთ, 20 წუთი კიდევ გააჩერეთ ნელ ცეცხლზე. გააგრილეთ. გაწურეთ, ცოტა მარილი უყავით და მიიღეთ.

— უშაქროდ მოხარშეთ კალიუმით მდიდარი ქერმის ჩირი, ქიშმიში, ბანანი. სვით მხოლოდ წვენი.

— ორგანიზმის ბალანსის აღდგენაში დაგეხმარებათ რეგიდრონი, რომელიც შეიცავს კალიუმსა და ნატრიუმს.

თუ ყოველგვარმა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა, კარგავთ უფრო და უფრო მეტ სითხეს, გეწვით თვალები, პირი გიშრებათ, ნერწყვი წებოვანი გახდა, მიღებული სითხე არ ჩერდება ორგანიზმში და ერთი ყლუპის დალევის ძალაც კი არ გაქვთ, — უკიდურესად საშიშია; განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს გრძელდება 10-12 საათი უფროსებსა და მოზარდებში, 10 საააათი — 6-დან 10 წლამდე, 8 საათი — 2-დან 5 წლამდე და 6 საათი — 2 წლამდე ასაკის ბავშვებში.

***ჩასტნაია ჟიზნ №27***

# სტაფილო



ოდითგანვე ცნობილია სტაფილოს სამკურნალო თვისებები. მედიცინაში მის მთავარ ღირებულებად მიიჩნევენ კაროტინების სიუხვეს — 45%-მდე. მათ შორისაა ბეტა-კაროტინი. იგი ორგანიზმში გადაიქცევა A ვიტამინად, რომელიც უაღრესად საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ის სტაფილოში უფრო მეტია, ვიდრე ქაცვში, ასკილსა და წითელ წიწაკაში. A ვიტამინი უზრუნველყოფს მხედველობის ორგანოს ფუნქციონირებას, პასუხს აგებს კანსა და ლორწოვან გარსზე, აძლიერებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს ინფექციებისადმი, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და ა.შ. ამ ვიტამინის უკმარისობისას ვითარდება A ჰიპოვიტამინოზი, რომლის ნიშნებიცაა: მხედველობის გაუარესება, კანის სიმშრალე, მუწუკები, ეგზემა, თმის სიმშრალე და მისი ცვენა, ხელისგულებისა და ფეხის ქუსლების კანის გარქოვანება, ლორწოვანი გარსისა და კონიუნქტივის სიმშრალე, იმუნიტეტის დაქვეითება (ხშირი გაცივება), უძილობა, გადაღლილობა.

სტაფილოში ბევრი საკვები ბოჭკო და პექტინია, რომელიც ხელს უწყობს ნაღველდენას, აწესრიგებს ნაწლავების მიკროფლორას. ასევე სასარგებლოა ეს ნარინჯისფერი ბოსტნეული ანემიის დროს, რადგან ის შეიცავს რკინას, სპილენძს, მანგანუმს, ფოლიუმის მჟავას, ე.ი. „ანემიის საწინააღმდეგო“ მთელ კომპლექსს. უმჯობესია, სტაფილო მივიღოთ გახეხილი, ზეთით ან არაჟნით. ძალიან სასარგებლოა ახალგამოწურული სტაფილოს წვენი. სულ 1ჩ/ჭ წვენის უზმოზე მიღება მოგიხსნით დაღლილობასა და დაძაბულობას, დანარჩენ სიკეთეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

***ლიზა №36***

# ალერგიის წამალი



შინაური ცხოველები ყველაზე უკეთ იცავენ ბავშვებს ალერგიისაგანო, — დაასკვნეს ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებიც 7 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ ბავშვებს, რომელთა ოჯახებში ცხოვრობდნენ ძაღლები ან კატები. მათი ჯანმრთელობის მონაცემებს ადარებდნენ იმ ბავშვებისას, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ შინაურ ცხოველებთან ურთიერთობას. პირველი ჯგუფის ბავშვების იმუნიტეტი 50%-ით მაღალი იყო, ვიდრე მეორისა.

მეცნიერები ამ ფაქტს ასე ხსნიან: „თამაშის დროს ცხოველები ხშირად ლოკავენ პატრონს და ნერწყვთან ერთად გადასცემენ ბევრ ბაქტერიას, რომლებიც ქმნიან დამცველ ბარიერს, რაც ეწინააღმდეგება ალერგიულ დაავადებებს. ასე რომ, ჩვენ ვერც კი ვხვდებით და არც ვეჭვობთ, რომ ჩვენ გვერდით, ახლოს არის დახმარება.

***ტრუდ-7 №156***

# როგორ ვაჯობოთ ჰიპერტონიას?

როგორც წესი, წნევის გაზომვისას ვინიშნავთ ორ სიდიდეს. პირველ ჩვენებას — სისტოლურ წნევას — სისხლის წნევას გულის კუნთების შეკუმშვის მომენტში. მეორე — დიასტოლურს, ანუ წნევას გულის კუნთების მოდუნების მომენტში. ნორმალურ წნევად ითვლება 120/80, მაღალია — 140/90 და ა.შ. . მართალია, ექიმებს დღემდე ბოლომდე ვერ ამოუხსნიათ ჰიპერტონიული დაავადებების მიზეზი, მაგრამ ცნობილია მისი გამომწვევი ძირითადი მექანიზმები.

## რატომ იწევს მაღლა წნევა?

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ რწყავთ გაზონს და თუ შლანგის პირს, საიდანაც წყალი გამოდის, ხელს მაგრად მოუჭერთ, გაიზრდება წყლის წნევა. დაახლოებით ასევე მიმდინარეობს სისხლის წნევის მომატება, როდესაც სისხლძარღვებში იზრდება სისხლის მიმოქცევის მოცულობა ან ვიწროვდება სანათური მის კედლებს შორის.

## ხახვი — წნევის წამალი...

აუცილებელია თვალი ადევნოთ თქვენს წონას! თუ ის 30%-ით აჭარბებს ნორმას, ე.ი. თქვენ რისკის ჯგუფში ხართ. არტერიულ წნევაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი საშუალებაა მარილიანი საკვების შეზღუდვა ან საერთოდ, გამორიცხვა. გახსოვდეთ, ჭამის დროს საჭმელზე მარილის დამატება მავნებელია! შეზღუდეთ კონსერვების, შებოლილი ძეხვეულის და სხვა გემრიელი, მაგრამ ჯანმრთელობისთვის მავნე საკვების მიღება. ჰიპერტონიკმა დიეტაში უნდა ჩართოს კალიუმით მდიდარი, მაგრამ ნატრიუმით ღარიბი პროდუქტები. პარკოსნები, მწვანილი, სტაფილო, ჭარხალი, პომიდორი, ბანანი და ფორთოხალი. შეზღუდეთ



შემწვარი ხორცი, სამაგიეროდ, ზაფხულში რამდენიც გენებოთ მიირთვით საზამთრო და ნესვი. იცით თუ არა, რომ საზამთროს ქერქი და თესლი ბრწყინვალე წამალია ჰიპერტონიის დროს? კარგად გაახმეთ ქერქი და თესლი, დაფქვით და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ფხვნილი 2-ჯერ დღეში, ერთი თვის განმავლობაში.

აიღეთ ერთი თავი ხახვი, მოაცილეთ ჩენჩო და ჩადეთ ანადუღარი წყლით ნახევრად სავსე ჭიქაში, დატოვეთ ერთი ღამე და დილით დალიეთ უზმოზე. მკურნალობის კურსი 2 კვირაა. გარდა იმისა, რომ ხახვი დაბლა სწევს არტერიულ წნევას, აუმჯობესებს სისხლძარღვების სტრუქტურას და შემადგენლობას.

გახსოვდეთ: არტერიულ წნევას მაღლა სწევს ზოგიერთი წამალიც: მაგალითად ანტაციდები, ცხვირში ჩასაწვეთებლები, ზოგიერთი გამაყუჩებელი, რომლებიც კოფეინს შეიცავს.

*ოტდოხნი! №33*

ქარჩაულის სითხით
ხალების, მეჭეჭების, პაპილომების, გემანგეომების და სხვა კანის დაავადებების მკურნალობა გარანტიით.
მკურნალობს ექიმი-დერმატოლოგი მარიანა ქარჩაული
მის: ყაზბეგის გამზ. №8, (ყოფ. პავლოვი) II სად, ბინა 24.
☎ 38-94-51; 899-51-84-68 ლიც. №2553

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

სისხლში შაქრის საზომი აპარატები
სერტიფიცირებულია
სიახლე!!!
კომპლექტები:
105ლ. აპარატი + 10ც. ტესტ-ჩხირი
135ლ. აპარატი + 50ც. ტესტ-ჩხირი
შპს „კონტრასტი", ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ონკოცენტრში პროფესორ კოტე მარდალეიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ახალი საკვლევი პრეპარატის საერთაშორისო კლინიკური კვლევა თავკისრის სიმსივნეებით დაავადებულებში. კვლევისათვის შერჩეულ პაციენტთა მკურნალობა უფასოა.
☎ 25 38 55; 899 98 03 64 №20-03/504

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

**ხშირად გამიგონია, ავადმყოფობა ჩუმად მიმდინარეობს ისე, რომ თავად ავადმყოფი უკანასკნელ წუთამდე არ იცის ეს. რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ავადმყოფობის დროულად გამოსარკვევად?**

*მკითხველი*

# როდის უნდა მიმართოთ ექიმს...



ანუ რას მიუთითებს ორგანიზმში გამოვლენილი ცვლილებები...

**თვალები.** ქუთუთოების შეშუპება ალერგიული რეაქციის გამოვლინების ან თირკმლის პათოლოგიის მიმანიშნებელია.

*თვალის თეთრი გარსის სიყვითლე* — სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს! შესაძლოა ღვიძლში მიმდინარეობდეს ანთებითი პროცესი, ან ნაღვლის ბუშტში ქვები იყოს.

*თვალების ქვემოთ, უპეზე ჩამუქებული რკალები* — ზოგჯერ ეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში წყლულოვანი პროცესის მიმანიშნებელია, ანდა შესაძლოა, კარგად არ გამოიძინეთ.

*უპეების შეშუპება* — თირკმლოვანი დარღვევის ნიშანია, ხშირად არასწორი კვების შედეგიც. ერიდეთ მშრალ საკვებს, მიირთვით რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული, შეამცირეთ მარილი.

*თვალებში პატარ-პატარა ნაწილაკების გაკრთომა* — შეიძლება გადაიღალეთ. თუკი დიდი ხნის მანძილზე ხედავთ ნაპერწკლებს — ეს ბადურის დაზიანების ნიშანია. სასწრაფოდ მიმართეთ ოფთალმოლოგს!

**ყურები.** *ხმაური და სმენის დროებითი დაკარგვა* — მიზეზი შეიძლება იყოს სისხლმომარაგების დარღვევა, ასევე ვირუსული ინფექცია ან სტრესი. მიმართეთ სპეციალისტს.

*ტკივილი* — დამწოლი. ამგვარი შეგრძნება ვითარდება შუა ყურის ანთების დროს, ან სისხლძარღვთა დაზიანების შედეგად. ამ დროს ექიმის კონსულტაცია აუცილებელია.

**პირის ღრუ.** *სუნი პირიდან*, სტომატოლოგს მიმართეთ. თუკი კბილები ჯანსაღი გაქვთ, შესაძლოა, უსიამოვნო სუნი მიმანიშნებელი იყოს კუჭის წყლულის ან შაქრიანი დიაბეტისა (აცეტონის სუნი).

*ლითონის გემო პირში* — შესაძლოა თირკმელი გაწუხებთ.

**კანი.** *ქავილი.* ხშირად ადამიანს ქავილი ეწყება ხანგრძლივი ან ხანმოკლე სტრესის შედეგად. ეცადეთ, მეტი იმოძრაოთ, ისეირნოთ, მიიღოთ დამამშვიდებელი ბალახის ნაყენები. სხვა მიზეზთაგან აღსანიშნავია ალერგია, დიაბეტი, სოკოვანი ინფექცია და მუნი.

*შეფერილობის შეცვლა* — მოყვითალო ელფერი მიუთითებს ღვიძლის ან ნაღვლის ბუშტის პათოლოგიაზე. ზოგჯერ ამის მიზეზია ბევრი სტაფილოს ჭამა ან A ვიტამინის დიდი რაოდენობით მიღება...

*ნაოჭიანი და მშრალი სახის კანი ქალებში.* ასეთი მკვეთრი ცვლილება ორგანიზმში ესტროგენების სიმცირის მანიშნებელია. გირჩევთ გინეკოლოგთან კონსულტაციას. შესაძლოა, ჰორმონალური თერაპია გესაჭიროებათ.

**თმა.** *მყიფე, მტვრევადი.* საფიქრებელია, ეს იყოს ქიმიური დახვევის, თმის საშრობად ფენის ან უხარისხო ლაქის ხმარების ბრალი. სპეციალისტის დახმარებით შეარჩიეთ ვიტამინების კომპლექსი. თუ ამან არ გიშველათ, მიმართეთ ენდოკრინოლოგს. შესაძლოა, ეს ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის შედეგი იყოს.

*თმის ცვენა* — შეიძლება იყოს ჰორმონალური დარღვევის, მინერალური ნივთიერებების სიმცირის შედეგი და ბევრი სხვა...

**ფრჩხილები.** *სიმყიფე* — გადახედეთ, რა საშუალებებით უვლით ფრჩხილებს, მიიღეთ პოლივიტამინური კომპლექსი. თუ არადა, მიმართეთ ენდოკრინოლოგს, შეამოწმეთ ფარისებრი ჯირკვალი.

*თეთრი ფრჩხილები* — გამოიკვლიეთ თირკმლის და ღვიძლის ფუნქცია. თეთრი ფრჩხილები ამ ორგანოთა ფუნქციის დარღვევის შედეგია.

*ფრჩხილებზე ხაზები და ჩაღრმავებები* — ფრჩხილების უსწორმასწორო ზედაპირი ხშირად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევაზე მიუთითებს. უმკურნალეთ ქრონიკულ შეკრულობას, ნაწლავების გაღიზიანების სინდრომს და ფრჩხილები კვლავ ნორმალურ ფორმას მიიღებს.

*მოშავო-მოყავისფრო შეფერილობა* — საშიში ნიშანია — ზოგჯერ ასე იწყება ავთვისებიანი დაავადება. სასწრაფოდ ონკოდერმატოლოგთან!

**მკერდი.** *ტკივილი გულ-მკერდის არეში* — ამ სიპტომს ყურადღებით მოეკიდეთ! თუკი ხშირად ვითარდება და განსაკუთრებით მუშაობისას, აუცილებლად მიმართეთ თერაპევტს და გადაიღეთ კარდიოგრამა. მთავარი საშიშროებაა — გულის კუნთის ინფარქტი. მის ძირითად სიმპტომთა შორისაა: ზეწოლის შეგრძნება, შებოჭილობა მკერდის არეში, ქოშინი, გადამცემი ტკივილი, ტკივილი ხელში, ბეჭის ქვეშ და კისერში.

*მკერდის არეში ტკივილი ქალებში* — განსაკუთრებით მენსტრუალური ციკლის შუა პერიოდში, ხშირად უხიფათოა, იგი დაკავშირებულია ყოველთვიურ ჰორმონალურ გარდაქმნებთან. მეორე შესაძლო მიზეზია — პერორარული კონტრაცეპტივების მიღება. ტკივილი დვრილების არეში — მიუთითებს ანთებით ცვლილებებს სარძევე ჯირკვალში — სასწრაფოდ ექიმთან!

**მუცელი.** *დამწოლი ტკივილი მარჯვენა საზარდულის არეში, ასევე გულისრევა ტემპერატურის თანხლებით* — სასწრაფოდ გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება". შესაძლოა, აპენდიქსის ანთების შედეგია. სხვა ვარიანტია ნაწლავების, თირკმლის და ქალებში საკვერცხეების ანთება. *ტკივილი მარჯვნივ და ზედა არეში* მიუთითებს ანთებით ცვლილებებზე ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტში.

*სისავსის და გულძმარვის შეგრძნება ჭამის მერე* —კუჭის ლორწოვანი გარსი გაღიზიანებულია. ეს ხდება ჭარბი კვების შემდეგ. შესაძლოა, კუჭსა და ნაწლავებში მიმდინარეობდეს წყლულოვანი პროცესი. მიმართეთ გასტროენტეროლოგს.

**ფეხები.** *დაღლილობა* — თუკი ფეხებში სისუსტისა და დაღლილობის შეგრძნება ხანგრძლივად გრძელდება, გაიკეთეთ სისხლის დეტალური ანალიზი. მიზეზი შეიძლება იყოს დეპრესია, ქრონიკული ინფექცია (ვირუსი, რევმატიზმი) და სხვ.

*შეშუპება* — თუ ეს მუდმივია, თან ახლავს ტკივილი, მიმართეთ თერაპევტს, ნეფროლოგს. მიზეზი შეიძლება იყოს თირკმლები, გულის უკმარისობა და ვენური სისხლის მიმოქცევის შეფერხება.

*კრუნჩხვები ფეხის კუნთებში* — ვითარდება ორგანიზმში კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის ნაკლებობის შედეგად. მიიღეთ პოლივიტამინები ამ მინერალების დამატებით.

**ლიმფური ჯირკვლები.** ჩვევად აქციეთ თქვენვე მოისინჯოთ კისრის ლიმფური ჯირკვლები. თუკი რომელიმე მათგანი გადიდებულია, ორგანიზმში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს. სხვა სიმპტომების აღმოჩენისთანავე მიმართეთ თერაპევტს.

*მაია მუხიგული*

# ველოსიპედი შველის თავის ტკივილს



ვისაც თავის ტკივილი აწუხებს, შეტევის დროს ამჯობინებს წამოწვეს და ეძებს სიმყუდროვეს. მაგრამ, როგორც გამოკვლევებმა დაამტკიცეს, თურმე მოძრაობა ბევრად ეფექტურია. 30-წუთიანი ფიზიკური დატვირთვა სრულიად საკმარისი ყოფილა ძლიერი შეტევითი ტკივილების დასაყუჩებლად. ამასთან, თუ კვირაში 2-3-ჯერ იცურავებთ აუზში, ისეირნებთ ველოსიპედით ან უბრალოდ გაივლით — ტკივილი ნაკლებად შეგაწუხებთ.

*ლიზა №35*

სამედიცინო ცენტრი "მედი"
MEDI
უკონტაქტო ეპილაცია
ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მკერდის გადიდება
სახის კანის გაახალგაზრდავება
ბლეფაროპლასტიკა
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი
ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
■ სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
■ ჩხვლეტის გარეშე
■ უმტკივნეულოდ
■ სწრაფად
ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 25 02 02 93 89 75
ელ. ფოსტა: meditb@gol.ge

## ავსტრიას სამთავრობო კრიზისი ელის

ავსტრიის ვიცე-კანცლერი სიუზან რიეს-პასერი გადადგომას აპირებს. პოსტები უკვე დატოვეს ფინანსთა მინისტრმა კარლ ჰაინც გრასერმა და პარლამენტის ერთ-ერთი ფრაქციის ლიდერმა პეტერ ვესტენტალერმა. ავსტრიის სამთავრობო კრიზისის მიზეზი



გახდა ამ სამეულის უთანხმოება თანაპარტიელებთან — ავსტრიის თავისუფლების პარტიის წევრებთან, რომლებიც ემხრობიან ყოფილ იდეოლოგიურ ლიდერს იორგ ჰაიდერს. ჰაიდერი მთავრობას აკრიტიკებს 2003 წლისათვის დაგეგმილი საგადასახადო რეფორმის (რაც გადასახადის შემცირებას გულისხმობს) ერთი წლით გადადების გამო. მთავრობა კი ფიქრობს მოსაკრებლების შეგროვების გზით მიღებული 6 მლრდ ევრო მოახმაროს წყალდიდობით დაზარალებულთ. თუ უახლოეს ხანში ავსტრიის კანცლერი ვოლფგანგ შიუსელი კომპრომისს იპოვის, მაშინ სამთავრობო კრიზისის გაღრმავებას თავიდან აიცილებენ.

***კომერსანტი №162***

## ფერვეზ მუშარაფი საკუთარ პარლამენტს ირჩევს

პაკისტანის უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფს დაავალა სამ წელიწადში მმართველობის სამოქალაქო ფორმაზე გადაყვანა და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. მუშარაფმა იმისთვის, რომ პარლამენტში კანონიერი გზით არ დაეშვა თავისი მტრები, გადაწყვიტა კანონმდებლობაში ცვლილებები შეეტანა. ახალი საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, დეპუტატობის კანდიდატს უმაღლესი განათლება აუცილებლად სამშობლოში უნდა ჰქონდეს მიღებული. აქედან გამომდინარე, ადგილობრივმა საარჩევნო კომიტეტებმა რეგისტრაციაზე უარი უთხრეს ოპოზიციის გამოჩენილ მოღვაწეებს. პირველი მსხვერპლი გახდა დემოკრატიის აღორძინების ალიანსის ლიდერი ნავაბზადა ხანი, რომელსაც საერთოდ არ აღმოაჩნდა დიპლომი. მას მიჰყვა მთავრობის ყოფილი მეთაურის, სამშობლოდან განდევნილი ბენაზირ ბჰუტოს ნათესავი გივენა ბჰუტო. მას ლიბანში აქვს განათლება მიღებული. ცნობილ სპორტსმენსა და პოლიტიკოსს, იმრან ხანს ოქსფორდის უნივერსიტეტის დიპლომმა გაუფუჭა საქმე.

პაკისტანში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტების აზრით, მუშარაფს კვლავ ახალი კანონის მიღება დასჭირდება, რადგან ოპოზიციის უდიპლომო, მაგრამ ცნობილმა ლიდერებმა გამოსავალი იპოვეს — პარლამენტში გზას გაუკაფავენ დიპლომიან ნათესავებს.

***ნიუ ზუიქი***

## ტამილელ „ვეფხვთა" საქმიანობა დაკანონდა

ამ დღეებში კიდევ ერთი ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობა იქნა მიჩნეული კანონიერად, ლაპარაკია ტამილელ „ვეფხვებზე" — მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პირსისხლიან ტერორისტულ დაჯგუფებაზე. ეს გადაწყვეტილება შრი-ლანკის მთავრობამ მიიღო

წლების განმავლობაში ტამილელ „ვეფხვთა" მსხვერპლთა რიცხვი, როგორც შრი-ლანკაში, ასევე ინდოეთსა და ევროპის ქვეყნებშიც იზრდება. ისინი ძლიერ აფეთქებებს მრავალრიცხოვანი მიტინგების დროს აწყობენ.

საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციის საქმიანობის დაკანონებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, ქვეყნის პრეზიდენტი ჩანდრიკა კუმარატუნგა აცხადებდა, — ამას არასოდეს დავუშვებო, ახლა კი თავის მოულოდნელ ნაბიჯს ომის შეწყვეტის სურვილით ხსნის — ტამილელი სეპარატისტები თითქმის 20 წელია ებრძვიან კანონიერ ხელისუფლებას. შრი-ლანკის ხელისუფლების გადაწყვეტილება გაკიცხა ინდოეთმა, სადაც „ვეფხვების" ხელით ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი, მათ შორის ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი დაიღუპა.

***ვლასტი №35***

# დუმილის 4 წუთი



11 სექტემბერს ამერიკამ ოთხწუთიანი დუმილით პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას:

— 8.46 საათზე, როცა პირველი თვითმფრინავი შეეჯახა სავაჭრო ცენტრის კოშკს;

— 9.03 საათზე — მეორე კოშკზე შეჯახებისას;

— 9.37 საათზე, როცა ჩამოინგრა პენტაგონის ალმოდებული კედელი და ბოლოს, 10.03 საათზე — პენსილვანიაში მეოთხე „ბოინგის" ჩამოვარდნის მომენტში.

დატრიალებული ტრაგედიის ნანგრევებიდან გაწმენდილ ადგილზე, ნიუ-იორკის ყოფილმა მერმა რუდოლფ ჯულიანიმ, აშშ-ის სახელმწიფო მინისტრმა კოლინ პაუელმა და მსახიობმა რობერტ დე ნირომ წაიკითხეს მსხვერპლთა ნუსხა. ტრაგედიის ადგილი დაღუპულთა ახლობლებმა ყვავილებით შეამკეს. ეკლესიებში მათი სულის საოხად წირვა-ლოცვა აღავლინეს. დაღუპულთა ნათესავებს შორის 102 ქვრივია, რომლებიც უბედურების მომენტში ფეხმძიმედ იყვნენ. ყველამ მშვიდობიანად მოილოგინა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჯვარს დაიწერენ ერთ-ერთი საფინანსო ფირმის თანამშრომლები — სეტ ვილიამსი და ქლოა ბართლი. ტრაგედიის დღეს 46 წლის სეტმა თავისი 27 წლის თანამშრომელი ქლოა სამხრეთ კოშკიდან გამოიყვანა, რამდენიმე წუთში კოშკი ჩამოინგრა. მათი სიყვარული იმ დღეს დაიწყო.

სამგლოვიარო ცერემონიები ნიუ-იორკის ხუთივე რაიონში ჩატარდა.

ბევრმა ამერიკელმა ამ დღეს ქვეყნის დატოვება ამჯობინა, რათა თავიდან არ განეცადა ის უბედურება. სხვათა შორის, 10 სექტემბერს ტელევიზიით გამოსულმა პირველმა ლედიმ, ლორა ბუშმა მშობლებს მოუწოდა, — ბავშვებს ნუ აყურებინებთ ამ უბედურებას, დანგრეული კოშკები ისევ შეაშინებს პატარებს, რომელთაც უნდა სჯეროდეთ, რომ ამერიკაში მათ სიმშვიდეს ვერავინ დაარღვევსო...

ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, რას ააგებენ ტყუპის ადგილზე. ქალაქის ხელისუფალთ წარმოდგენილი 6 პროექტიდან არც ერთი არ მოსწონთ. ნიუ-იორკელებს განსხვავებული აზრი აქვთ ამ საკითხზე — მსოფლიო სავაჭრო ცენტრი ან ადრინდელი სახით უნდა აღდგეს, ან ტრაგედიის ადგილი მემორიალად იქცეს. ამ უკანასკნელ მოსაზრებას მხარს უჭერს ნიუ-იორკის ყოფილი მერი რუდოლფ ჯულიანი — აქ დიდი სასაფლაოა და მემორიალი უნდა იყოსო. ახალი მერი მაიკლ ბლუმბერგი კი არასდიდებით არ ეთანხმება — დაღუპულთა ხსოვნის ძეგლად იქცევა ახალი შენობები. ეს იქნება იმის დასტური, რომ სიცოცხლე გრძელდებაო.

***ჰერალდ თრიბუნი***

# ჰექმათიარმა ამერიკას «ტერორიზმის დედა» უწოდა

სააგენტო Afghan Islamic Pross-ი იტყობინება, რომ ავღანეთის ისლამური პარტიის ლიდერმა, ქვეყნის ყოფილმა პრემიერმა გიულბედინ ჰექმათიარმა ამერიკას „ტერორიზმის დედა" უწოდა და ავღანელებს მოუწოდა, — იბრძოლეთ ქვეყნიდან აგრესიულ ძალთა განსადევნადო.

ავღანეთის ყოფილმა პრემიერმა ეს მოწოდება აშშ-ში განხორციელებული ტერაქტის წლისთავს დაამთხვია. ჰექმათიარმა ისიც თქვა, — აშშ თავად არის ყველაზე დიდი ტერორისტიო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალიან წუხს, როგორც აშშ-ში მომხდარი ტერაქტის, ასევე თალიბანისა და „ალ-ქაიდას" წინააღმდეგ განხორციელებულ ომში დაღუპულთა გამო. მან თავისუფლებისმოყვარე ავღანელებს მოუწოდა, მონაწილეობა მიიღონ აგრესიულ ძალთა წინააღმდეგ ჯიჰადში და არც ის „მხდალები" დაინდონ, რომლებიც თავიანთ ხალხს ებრძვიან უცხოელებთან ერთად.

# ტონი ბლერმა ჰიბრალტარელები გააცურა

ჰიბრალტარის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, 7 ნოემბერს რეფერენდუმი გამართოს კოლონიის სტატუსის თაობაზე. ამ გადაწყვეტილებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა დიდი ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც ეკუთვნის ეს კოლონია, და აი, რატომ: ტონი ბლერი ადრე იფიცებოდა, კოლონიის სტატუსის ნებისმიერი შეცვლა ჰიბრალტარელების თანხმობის გარეშე არ მოხდებაო, მაგრამ მერე თავის მეგობარსა და კოლეგას, ესპანეთის პრემიერს მოელაპარაკა, ჰიბრალტარი ერთად ვმართოთო. მოსახლეობას არ უნდა ესპანელთა ბატონობა და რა ბოლოც გამოუჩნდება მამალს, აქედანვე ცხადია. ბლერმა მაინც იპოვა უხერხული მდგომარეობიდან გამოსავალი, მართალია არცთუ ლოგიკური, სამაგიეროდ იურიდიულად გამართული. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა — კოლონიის მცხოვრებთა აზრს მხარს კი ვუჭერთ, მაგრამ მხოლოდ ლონდონის მიერ დანიშნული რეფერენდუმის შედეგებს გავითვალისწინებთო. ლონდონს ჯერჯერობით რეფერენდუმი არ დაუნიშნავს.

***იტოგი №35***

# ერაყის ომის ქურთი პაიკები

ვაშინგტონი ირწმუნება, რომ სადამ ჰუსეინის ჩამოგდებით რეგიონს რაკეტებისა და მასობრივი განადგურების იარაღისგან გავათავისუფლებთო, მაგრამ ერაყის მეზობელ თურქეთს ბაღდადის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა დიდი უსიამოვნება მოუტანოს. ანკარა შიშობს, ვაითუ, სადამის დამხობამ ქურთთა მოძრაობა გააძლიეროს, ომმა ათიათასობით ქურთი დევნილი აიძულოს, შევიდეს თურქეთის ტერიტორიაზე. ოფიციალური თურქეთი არ ეთანხმება ერაყის წინააღმდეგ მიმართულ ამერიკის გეგმებს. თურქეთს კარგა ხანია მზად აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც შეერთებული შტატების მიერ ანტისადამური ოპერაციის დაწყებისთანავე 12.000 ჯარისკაცით შევა ჩრდილო ერაყში და იქ 40-კმ-იან ბუფერულ ზონას შექმნის ქურთი ლტოლვილების შესაჩერებლად. ასეთი გეგმები აღაშფოთებს ერაყელ ქურთებს. „ანკარა ფიქრობს, რომ უფლება აქვს, ჩაერიოს ჩვენსა და ერაყის ურთიერთობებში", — აცხადებს ქურთთა დემოკრატიული პარტია. ეს ორგანიზაცია ჩრდილოეთ ერაყის ნახევარს აკონტროლებს. პარტიის პრეზიდენტი მასუდ ბარზანი კი პირდაპირ აცხადებს: „თუკი თურქები აქ შემოვლენ, მაშინ ჩვენი მიწა თურქი ჯარისკაცების სასაფლაოდ იქცევა". ამ დროს კი თურქული მედია ერაყში მცხოვრები 500.000 თურქის უფლებების დაცვაზე ლაპარაკობს. ქურთები ეჭვობენ, რომ ამ საბაბით ანკარას ქურთული ტერიტორიების ოკუპაცია სურს. სიტუაციის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ანკარამ დაკეტა სამანქანო გზა, რომელიც ქურთებისთვის მსოფლიოსთან დამაკავშირებელი წყაროა. ასე მოიქცა თურქეთი შარშანაც, მაგრამ მაშინ, ვაშინგტონის თითის დაქნევის შემდეგ უკან დაიხია. დღეს კი სიტუაცია შეიცვალა, თეთრმა სახლმა, რომელიც თურქული ბაზების ბაღდადის წინააღმდეგ გამოყენებას ესწრაფვის, შესაძლოა თვალი დახუჭოს ანკარის მოქმედებაზე. ერაყი და თურქეთი დიდი საჭადრაკო პარტიის მონაწილენი ხდებიან, სადაც, როგორც ჩანს, ერაყელ ქურთებს უხმო პაიკების როლი ერგებათ.

***კომსომოლსკაია პრავდა №157***

**პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი**

✓ მათთვის, ვისაც გსურთ დაეუფლოთ მომავლის პროფესიას!
✓ საბოლოოდ გადაჭრათ ნებისმიერ ქვეყანაში თქვენი დასაქმების პრობლემა!
✓ და საერთად, იყოთ ყველგან სასურველი და საჭირო პიროვნება!

**გადადგით გონივრული ნაბიჯი — ეზიარეთ XXI საუკუნის ყველაზე პოპულარულ პროფესიებს:**

**1. პროგრამირება; 2. ბიზნეს-ინფორმაციის მართვის სისტემები; 3. უცხო ენები.**

**ინსტიტუტთან არსებული კურსები:**

• *პროგრამირების შემსწავლელი* 10 თვიანი ინტენსიური სწავლებით; წამყვანი პროგრამისტები შეგასწავლიან – Visual Basic, Delphi; C; C++; SQL; Java; JavaScript; Web-დიზაინი;
• *ინგლისური ენის შემსწავლელი* ინტენსიური კურსი. *ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით* (6 თვე).
• მიიღებიან მსმენელები *საოფისე, დამკაბადონებლის, დიზაინერის და აწყობა-მოდერნიზაციის სპეციალობებზე.*

საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7, ცეკავშირის შენობა, V სართული, №544. ტელეფონი: 999911, (756073)
E-mail: kiber@www.com

## ევროპის ცა ერთიანი გახდება

ევროპარლამენტის დეპუტატებმა განიხილეს პროექტი „ერთიანი ევროპული ცა", რომელმაც უნდა გააკონტროლოს საჰაერო მიმოსვლა და გააძლიეროს ევროპის თავზე უსაფრთხოება. 2004 წლის დამლევს პროექტი ძალაში შევა.

ამჟამად ევროპის ცა მრავალრიცხოვან სექტორადაა დაყოფილი და ყოველ მათგანზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა ქვეყნის დისპეტჩერებს აკისრიათ. ეს პროექტი კი ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საჰაერო სივრცეში ერთიანი ავიასადისპეტჩერო სამსახურის ორგანიზებას, რაც გააძლიერებს ფრენის კონტროლს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას, გააიოლებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, — ამბობს ევროპარლამენტის სატრანსპორტო კომისიის წარმომადგენელი ლოიოლა დე პალასიო.

ევროკავშირის წევრთაგან პროექტი ბევრს არ მოეწონა. პრეტენზია წამოაყენეს ევროპის ბევრი ქვეყნის პროფკავშირებმა, რომლებმაც პარლამენტარების ინიციატივა ევროპის საჰაერო სივრცის ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის მცდელობად მიიჩნიეს. ზოგიერთ ქვეყანაში ავიადისპეტჩერებმა პროექტის საწინააღმდეგო გაფიცვები მოაწყვეს. სამუშაოზე გამოსვლაზე უარი გამოაცხადეს ესპანეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის დისპეტჩერებმა.



არც ფრანგი დისპეტჩერები დარჩნენ კმაყოფილები და 36-საათიანი გაფიცვა მოაწყვეს. ევროპარლამენტის დეპუტატები კი აცხადებენ, რომ სწორედ სადისპეტჩერო სამსახურებს შორის კოორდინაციის უქონლობამ გამოიწვია გერმანიაში კატასტროფა, როცა ერთმანეთს შეეჯახნენ „ტუ-154" და „ბოინგ-357".

***ნოვოე იზვესტია №203***

## მოკლედ

**ისრაელში** 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის „უზი"-ს გამომგონებელი უზი გალი. „უზის" გარდა გალმა შექმნა ავტომატური შაშხანა „გალილი"

**კამბოჯის** ხელისუფლებამ პნომპენიდან 100კმ-ის დაშორებით უძველესი პაგოდის (ბუდისტური ტაძარი) რესტავრაციისას აღმოაჩინა ბუდას 27 ოქროს, 3 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს ქანდაკება.

**იტალიის** ნობელის პრემიის კომიტეტმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი წარადგინა 2002 წლის ნობელის მშვიდობის პრემიაზე. სტოკჰოლმის კომიტეტს ალბათ გაუჭირდება კანდიდატურის დამტკიცება, რადგან ევროპაში მილიარდერი ბერლუსკონი არ უყვართ და ძალიან საშიშად თვლიან იმას, რომ მის ხელშია თავმოყრილი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება.

**ათენის** სამხრეთი ნაწილი წყალდიდობის შედეგად დაიტბორა, ზარალი დიდია.

**ეთიოპიის** დედაქალაქ ადის-აბებაში ააფეთქეს სასტუმრო „ტიგრეი", დაიღუპა სამი ადამიანი, დაიჭრა — 38. ვარაუდობენ, რომ სასტუმროს ნანგრევებში ბევრი ადამიანია მოყოლილი.

**ფეოდოსიის** უძველესი სამთავროს დედაქალაქ ბახჩისარაის რაიონში აღმოაჩინეს ვაჭრობის ღმერთის ჰერმესის ქანდაკება, რომელიც ჩვენს ერამდე საუკუნეს განეკუთვნება.

**საფრანგეთში** საშინელ ქარიშხალს წყალდიდობა მოჰყვა. განსაკუთრებით ქალაქ გარდის შემოგარენი დაზარალდა. დაიღუპა 21 ადამიანი, 9 — დაიკარგა.

**ინგლისელმა** 88 წლის ცალფეხა დიზი სილზმა უნიკალური ტრიუკი ჩაატარა. ერთმოტორიანი თვითმფრინავის ფრთაზე 10 წუთის ნაცვლად, რაც მას რეკორდად ჩაეთვლებოდა, 75 წუთს იდგა. საინტერესოა, რომ დიზი სილზმა, რომელსაც მაშველად მუშაობის დროს ბევრი პილოტი გადაურჩენია, ცალი ფეხი ავტობუსის კატასტროფის დროს დაკარგა.

# პოლიტიკოსები „პუტინის ულტიმატუმს“ განიხილავენ

რფ-ის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **ვიქტორ ოზეროვმა** განაცხადა, — რუსეთმა უნდა დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, მაგრამ არ უნდა მოიქცეს აშშ-ვით, რომელიც თავისი სტრატეგიული ინტერესებისთვის არად აგდებს არც უშიშროების საბჭოს და არც გაეროს რჩევებს. სენატორმა გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე ერთპიროვნულ მოქმედებას დაიწყებს და არ გაუწევს ანგარიშს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. თუ პრეზიდენტი ზედა პალატას მიმართავს, ეს პალატა კი კონსტიტუციით წყვეტს მშვიდობისა და ომის საკითხებს, სენატორები გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე არ დათანხმდებიან რუსეთის საზღვრებს გარეთ ოპერაციების ჩატარებაზე.

რფ-ის ვიცე-სპიკერი **ანდრეი ვიხარევი** კი დარწმუნებულია, რომ პარლამენტის ზედა პალატა მხარს დაუჭერს პუტინის წინადადებას.

პარტია „ედინაია როსიის“ მეთაურმა, სენატორმა **ალექსანდრ ბესპალოვმა** თქვა: „პუტინის განცხადების საპასუხოდ, აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, არ შეიძლება საქართველოსა და ერაყის შედარება. და მე ვეთანხმები მას“.

დუმის კომიტეტის თავმჯდომარე საერთაშორისო საკითხებში **დმიტრი როგოზინი** ამბობს, — ის, რაც ახლა ხდება, პოლიტიკური ხასიათის უკანასკნელი გაფრთხილებაა.

ჯგუფ „რეგიონი როსიის“ ხელმძღვანელი **ოლეგ მოროზოვი:** — პუტინის განცხადება ბოლო შანსია დიდი ომის თავიდან ასაცილებლად. ახლა საქართველოს არჩევანი აღარ აქვს. მან კონკრეტულად უნდა იმოქმედოს. ალბათ საქართველოს მთავრობა ხვდება, რომ ხუმრობა დამთავრდა და გაუთავებელი მოლაპარაკებების დროც ამოიწურა.

ედპ-ის ლიდერი **ვლადიმირ ჟირინოვსკი:** — ვფიქრობ, როცა რუსეთის ჯარი საქართველოს დასცხებს, ამით უნდა ისარგებლონ სპეცსამსახურების ქართველმა პატრიოტებმა და გადააყენონ პრეზიდენტი შევარდნაძე.

ოქტომბერში თბილისში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ რუსეთისა და საქართველოს ფეხბურთის ნაკრები გუნდები. ხომ არ აჯობებდა, ეს მნიშვნელოვანი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებულიყო?

თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ალექსეი არბატოვი:** — პოლიტიკური განცხადება ერთია, სამხედრო აქცია — მეორე. უნდა აიწონოს აქედან გამომდინარე ყველა შედეგი: ჩვენ ამ სამხედრო ოპერაციით საქმეს პოლიტიკურად გავირთულებთ. ტერორისტებთან ბრძოლაში ჩვენთან თანამშრომლობა იმიტომ არ უნდათ, რომ საქართველო, რომელმაც დიდი ტერიტორიები დაკარგა, დაზარალებულად თვლის თავს. თუ რუსეთის მხრიდან ძალოვანი მოქმედებები მაინც აუცილებელი შეიქნა, ეს აგრესიის აქტად არ უნდა ჩაითვალოს: საერთაშორისო სამართალში არის ასეთი ცნება — ცხელ კვალზე დევნა...

სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი **ირინა ხაკამადა:** — პუტინი თავის განცხადებაში ორ მიზანს ისახავს. პირველი — შეაჩეროს აშშ-ის აგრესია ერაყის მიმართ: თუ შტატები შესაძლებლად თვლის ერაყში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას, მაშინ რუსეთსაც ძალუძს საქართველოს დაბომბვა. ასე რომ, პუტინი შევარდნაძეს არჩევანს სთავაზობს — ან ეს პრობლემა თავად გადაწყვიტოს, ან რუსეთთან ერთად. მეორე — სურს მსოფლიოს საზოგადოებრიობა დაარწმუნოს, რომ ტერორისტები ტერორისტები არიან და არა ეროვნული განმათავისუფლებლები... ნაციონალური ტერორიზმი არ არსებობს, ტერორიზმი ბოროტებაა, რომელსაც ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ.



გოსდუმის თავმჯდომარე **გენადი სელეზნიოვი:** — საჭიროა შეიქმნას საქართველოსა და რუსეთის ძალოვნების გაერთიანებული სტრუქტურა ტერორისტთა ბანდების გასანადგურებლად. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ დაიჭერს თავს ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს უნდა რცხვენოდეს, თუ იცის, სად და რომელ ბუნაგში სხედან ტერორისტები. პუტინის განცხადება დროულია.

ფრაქციის ლიდერი **ბორის ნემცოვი:** — უგუნურებად მიმაჩნია გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე საქართველოში ჯარის შეყვანა. სიტუაცია ორი სცენარის მიხედვით შეიძლება განვითარდეს. რუსეთისათვის მოსაწონი სცენარი ასეთია: — შევარდნაძე მიხვდება, რომ რუსეთის ხელმძღვანელობასთან კონტაქტი უნდა დაამყაროს და მხოლოდ მაშინ შემუშავდება პანკისის ხეობაში ერთობლივი მოქმედების გეგმა. მეორე სცენარი რუსეთისთვის ნაკლებსასიკეთოა: — შევარდნაძემ შესაძლოა ნაციონალური კარტი გაითამაშოს, რათა შეინარჩუნოს თავისი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის პოზიციები. მაშინ რუს სამხედროებს დამოუკიდებელი მოქმედებების ჩატარების საღერღელი აეშლებათ. ეს დიდი შეცდომა იქნება — ჯერ ერთი, ამას მოჰყვება მსხვერპლი, მეორეც, ჩვენ საკუთარი ხელით გავამაგრებთ შევარდნაძის ხელისუფლებას.



ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო გამოკვლევების ცენტრის ექსპერტი **ზეინო ბარანი:** — აზრი იმის შესახებ, რომ აშშ ერაყზე თავდასხმის მზადების გამო რეაგირებას არ მოახდენს რუსეთის შესაძლო მოქმედებებზე პანკისის ხეობაში, მცდარია. რუსეთის პრეზიდენტის დეკლარაცია „შინაური მოხმარებისაა“ და აშშ-ის ხელისუფლება არ დაიწყებს რუსეთთან პოლიტიკურ ვაჭრობას ერაყის საკითხში.

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი:** ვაშინგტონი არ დაუჭერს მხარს რუსეთს პანკისის ხეობაში ოპერაციის ჩატარებაში.

აშშ ემხრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ხელშეუხებლობას და წინააღმდეგობას გაუწევს რუსეთის ცალმხრივ სამხედრო მოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბრძანა, რომ აშშ-მა მკაცრად გააკრიტიკა ვ. პუტინი გაკეთებული განცხადებისთვის.

*გაზეტა რუ*

## შევარდნაძე სთავაზობს...

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ცნობილი განცხადების საპასუხოდ წერილი მისწერა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, რომელშიც სთავაზობს შეხვედრას ოქტომბრის დასაწყისში, რათა ერთად განიხილონ საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტებთან შემდგომი ბრძოლის გეგმა. „ვიმედოვნებ, რომ თქვენ, როგორც დემოკრატიული პიროვნება, არ დაუშვებთ საქართველოს ტერიტორიაზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას“, — წერს ე. შევარდნაძე. ორი ლიდერი ერთმანეთს შეხვდება მოლდავეთში, 7 ოქტომბრის სამიტზე.

პუტინს სურს, რომ თავისი ოფიცრები და 1000 პოლიციელი შეიყვანოს პანკისის ხეობაში ასობით ჩეჩენი მებრძოლის წინააღმდეგ.

რუსეთის ოფიციალური პოლიტიკური პირები აგრძელებენ მუქარას საქართველოს მიმართ.

რუსული გაზეთი „ვრემია ნოვოსტეი“ წერს, რომ რუსი გენერალი ანატოლი კვაშნინი ამზადებს გეგმას ჩეჩნების წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს ტერიტორიაზე და აპირებს 42-ე დივიზიის გამოყენებას.

ნიუ-იორკში, გენერალური ასამბლეის სესიაზე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფერ სთიგ მელერმა აღნიშნა: „მე ვესაუბრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იგორ ივანოვს და ის დამემოწმა, რომ საქმის მოგვარება მშვიდობიანი გზით უნდა მოხერხდეს. რა თქმა უნდა, რუსეთმა უნდა აკონტროლოს სიტუაცია საკუთარ ტერიტორიაზე, მაგრამ არა საქართველოსთან პოლიტიკური შეთანხმების გარეშე“.

*ნიუ-იორკ თაიმსი*

## საქართველო „ალ-ქაიდას“ თავშესაფარია

ავღანეთში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციების შედეგად ვერ მოხერხდა „ალ-ქაიდას“ ყველა წევრისა და ხელმძღვანელის მოსპობა ან ტყვედ აყვანა. მათი უმრავლესობა მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში დაიქსაქსა. საქართველოს ამ სიაში თავისი მნიშვნელობით მესამე ადგილი უკავია.

ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან თავშესაფრად ითვლება იემენი, პანკისის ხეობა საქართველოში, ჩრდილოეთ ერაყი და ირანი, ყველაზე მნიშვნელოვანი კი პაკისტან-ავღანეთის საზღვრის მიდამოებია.

*ერაბ ნიუსი*

# კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

## (17-30 სექტემბერი)

**17-18/IX, მერწყული** — ნიადაგის დამუშავება, სარეველების ჩატოვება, კომპოსტის მომზადება. ყვავილების განოყიერება. კენკროვანი ნაყოფის შეგროვება — მიუღებელია ნებისმიერი მცენარის თესვა და რგვა.



აუცილებელია ოთახის და ლოგინის განიავება, ორგანიზმის გაწმენდითი პროცედურები, განტვირთვა საკვებისაგან. განსაზღვრეთ ორგანიზმის დატვირთვა. ამ დღეებში იზრდება ადამიანის შემოქმედებითი უნარი. ასევე დიდია ქურდობის, ავანტიურის, ძალადობისა და ტერორის ალბათობა. აუცილებელი საკვები: წიწიბურა, შვრია, რძის პროდუქტები, კვერცხი, ფრინველის ხორცი, ნიგოზი.

**19-20-21/IX თევზები** — ოთახის მცენარეების გადარგვა. ნიადაგის დამუშავება, გაფხვიერება. ერთწლიანი ყვავილების თესვა, ვარდის გადარგვა, ტიტას ბოლქვების რგვა. მიუღებელია ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და ხილის შენახვა, კონსერვის მომზადება და ხეხილზე ტოტების შეჭრა.

ერიდეთ გაცივებას, მოუფრთხილდით ფეხისგულებს, ნერვულ სისტემას, მოერიდეთ მძიმე ფიზიკურ დატვირთვას. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა. 20 რიცხვის შემდეგ იწყება თვის ყველაზე მძიმე დღეები — კლებულობს ადამიანის აქტიურობა, ხშირია ფიზიკური სისუსტე, თავბრუ, უძილობა და შიშის შეგრძნება, ძლიერდება ემოციურობა. საკვებად უნდა მიიღოთ ფაფები, სალათა, ხილი, წვენები, თაფლი, ნიგოზი. სასურველი არ არის მუქი ჩაი, თამბაქო, ალკოჰოლი. ამ პერიოდში ნაკლებად დალიეთ ყავაც.

**22-23/IX, ვერძი** — ნიადაგის დამუშავება, გაფხვიერება, განოყიერება. აგრეთვე ნათესების, ბაღჩეულებისა და ხეხილის განოყიერება. ხეხილის მყნობა. მარცვლეულის აღება და შენახვა. მცენარეებზე ხმელი ტოტების შეჭრა. საჭიროა ოთახის და ლოგინის განიავება. გაუფრთხილდით თავის არეს და გრძნობის ორგანოებს. შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა, ვინაიდან სამედიცინო თვალსაზრისით, მძიმე პერიოდია. ყურადღება მიაქციეთ გულ-სისხლძარღვთა მუშაობას და თირკმლებს — დაიცავით წინა დღეების მოთხოვნები. მძიმე მდგომარეობიდან გამოგიყვანთ საღვთო წიგნების კითხვა. მიირთვით მხოლოდ მსუბუქი საკვები. ნუ მიეძალებით ალკოჰოლს, მუქ ჩაის და თამბაქოს.

**24-25-26/IX, კურო** — სათბურში ისპანახის, ქარხლისა და მწვანილის თესვა. ოთახის მცენარეების გადარგვა. მცენარეების შეწამვლა მავნებლების გასანადგურებლად. კენკროვანი მცენარეების რგვა — ბაღ-ბოსტნის გაწმენდა მცენარეთა ნარჩენებისაგან, ფოთლებისაგან და მათგან კომპოსტის მომზადება. დაკონსერვება, ხილის შენახვა.

ამ დღეებში იოლად ცივდებიან. გაუფრთხილდით ყელის არეს, ყბას, კბილებს, სისხლის მიმოქცევის სისტემას. სასარგებლოა კანის გაწმენდა, მასაჟები, აბანო და ნაკლები ძილი.

უპირატესობა მიანიჭეთ ვეგეტარიანულ საკვებს. ასევე რძესა და რძის ნაწარმს.

**27-28/IX, მარჩბივი** — ნიადაგის შემობარვა ხეხილის გარშემო. ოთახისა და დეკორატიული ყვავილების გადარგვა. შეშის დამზადება. აუცილებელია ოთახისა და ლოგინის განიავება. გაუფრთხილდით გულმკერდის არეს და სასუნთქ ორგანოებს. გარგებთ ვარჯიში, მოგზაურობა, მეგობრებთან გართობა. კარგი პერიოდია ინტიმური ურთიერთობებისთვისაც. ამ დღეებში იზრდება ფიზიკური ამტანობა, ამიტომ გონივრულად ხარჯეთ ენერგია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია თავის ტკივილი. ეს დღეები უპირატესად სხეულის გაკაჟებას დაუთმეთ. ჭამეთ ხშირად მცირე ულუფებით, მიირთვით თხილი, პარკოსნები, მცენარეული ნაყენი, თაფლი, მცირეოდენი ხორცი.

**29-30/IX, კირჩხიბი** — ხეხილის გადარგვა, შტამბების დამუშავება კირის წყალხსნარით. ნიადაგში ორგანული სასუქების შეტანა. ბოსტნეულის თესვა. ოთახის მცენარეების რწყვა.

ამ დღეებში იოლად ცივდებიან. ყურადღება მიაქციეთ მკერდს, ფილტვებს, მუცლის ღრუს და ნერვულ სისტემას. ამინდის ცვალებადობა უარყოფითად მოქმედებს თავის არეზე, მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, აპათია და სტრესი. ამიტომ აუცილებელია შესაბამისი სამკურნალო მცენარეული ნაყენების სმა. შეძლებისდაგვარად მოერიდეთ ქირურგიულ ოპერაციას. 30 სექტემბერს სასარგებლოა ორგანიზმის განტვირთვა.

საკვებად მიირთვით რძე, რძის ნაწარმი, ხორცი, ნიგოზი, მოერიდეთ ალკოჰოლს და თამბაქოს.

*დურმიშხან ყიფიანი*


Louise-all ლუიზოლი

ჭარბთმიანობისაგან განკურნება

სხეულიდან შესაძლებელია საფირმო კრემით და ლოსიონით „ლუიზოლი“. პროცედურა უვნებელია, შედეგად თმა აღარ ამოდის.

იოსებიძის ქ, №53 ☎37-38-13
მის: ჭავჭავაძის გამზ. 20 ☎29-19-73
კაბინეტი „ლუიზოლი“ 10-დან 19 სთ-მდე

ფიტოკოსმეტიკა — თქვენი სილამაზის გარანტი

• ნატურალურ, მცენარეულ მყარ ზეთებზე დამზადებული უნივერსალური დღისა და ღამის მკვებავი კრემები;
• ნუშის რძეზე დამზადებული გამწმენდი რძე (გამონაყარი, ლაქები, ჭორფლი, პიგმენტური ლაქები);
• ჭარბთმიანობისაგან განკურნება უახლესი საფირმო საშუალებებით — 100%-იანი გარანტიით (ჩქარა, უმტკივნეულოდ და იაფად).

მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 „ფიტოკოსმეტიკა“
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 14 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1850 |
| ევრო | 2,1439 |
| ინგლ. ფუნტი | 3,4047 |
| რუსული რუბლი | 0,0690 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3123 |





აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

გახდომა (გარანტიით)

გინდათ უპრობლემოდ გახდომა? მაშინ მოგვმართეთ და თქვენ ყოველგვარი დიეტის გარეშე, ჩვენთან ინდივიდუალურად დამზადებული მცენარეული ფხვნილების საშუალებით, გახდებით 4-ჯერ უფრო ტანადი.

მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 (ოპერის პირდაპირ)
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი «მზიური» აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში

მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი:დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎ 95-45-75; 91-03-17; 91-07-32

# ცხოვრებისეული კურიოზები

## მკვლელი



შუაღამისას ჩვენი საწოლი ოთახის კედელს მიღმა ვიღაცამ ვიღაცას სილა გააწნა. პაუზის შემდეგ შეიგინა და კიდევ გააწნა.

— ახლავე ანდერძს აგიგებ, შენი დედა... შენი! — მკაფიოდ ისმოდა განრისხებული მამაკაცის ლანძღვა-გინება და მუქარა: — მოგკლავ, გაგანადგურებ! — კისერზე რომ მეჯექი და ხმა არ გაგეცი, იმიტომ დამაჯექი თავზე, ხომ! მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა უდანაშაულო კაცის სისხლის წოვა და აბუჩად აგდება! — შენ გამო სად არ მივედი, ვინ არ შევაწუხე, რისთვის, ვისი გულისათვის, არ გაპატიებ, არა! კატუშა, ფანჯარა დაკეტე და სკამი მომაწოდე ჩქარა! არიქა, შენკენ წამოვიდა, დასცხე, რაც მოგხვდება ხელში! ხომ ხედავ, როგორ გვიმწარებს სიცოცხლეს?!

— პარმენ, დაწყნარდი, შენი ჭირიმე! რაც იყო, იყო! გააღე ახლა კარი და გააგდე, ნუ მოვკლავთ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი სისხლი აქვს მაგასაც.

— სწორედ მაგისთვის უნდა მოვკლა, ჩვენი სისხლი რომ აქვს. მორჩა, მე მაგას კისერზე ველარ დავისვამ. ხომ ხედავ თავზე დაჯდომაც მოინდომა. ვერ მივართვი, ვერა!

ფეთიანებივით წამოვცვივდით მე და ჩემი ცოლი ლოგინიდან და ენაგადაყლაპულებმა ყურები ვცქვიტეთ.

— რაღას უცდი, კაცო! ხომ გესმის, შვილს კლავს ეგ ულმერთო! — იკივლა ჩემმა ცოლმა და საცვლების ამარა გამაგდო გასაშველებლად.

კულტურასა და ტაქტზე ფიქრის დრო აღარ იყო. გაშმაგებული დავეჯახე პარმენის ბინის კარებს და ჩარჩოიანად შევიტანე შიგნით. შევედი და... გაოცებისგან პირი დავაღე: ფლოსტებმომარჯვებული პარმენი სკამზე იდგა და კედლის გასწვრივ მოფარფატე კოღოს მოკვლას უპირებდა. ჩემი უცნაური სტუმრობით გულგახეთქილს კი ფლოსტი ხელიდან გაუვარდა და იატაკზე ზღართანი მოადინა.

***ნიკოლოზ იოსებიძე***

## მახათაძე და ნემსაძე

ამ ცოტა ხნის წინათ, „კვირის პალიტრაში“ რამდენიმე იუმორისტული ჩანახატი დაიბეჭდა ისეთ ენამოსწრებულ და კოლორიტულ ჟურნალისტზე, როგორიც ერემია მახათაძე გახლდათ. მეც მინდა, მის შესახებ ერთი ამბავი შემოგთავაზოთ.



გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ბატონი ერემო ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობას“ რედაქტორობდა. რედაქცია რუსთაველზე, რესტორან „დარიალის“ (ამჟამად „ფიროსმანის“) ზემოთ, მესამე სართულზე მდებარეობდა. ამიტომ რედაქტორი და მისი თანამეინახენი, ძირითადად აქვე სადილობდნენ. ისეც ხდებოდა, რომ ეს სადილობა ხშირად კაი გვარიან ვახშმობად გადაიქცეოდა ხოლმე. მოშურნეებმა და ენატანიებმა ეს ამბავი, სადაც ჯერ არს, იქ აცნობეს. იქიდან კი ყოფილი კალინინის რაიკომის (სადაც რედაქცია ტერიტორიულად მდებარეობდა) პირველ მდივანს, ნემსაძეს უბრძანეს — სათანადო, მკაცრი ზომები მიეღო.

და აი, ერთხელ, გახურებული ქეიფისას, რედაქციის მდივანმა რესტორანში ჩააკითხა რედაქტორს და მოახსენა: — ამხანაგი ნემსაძე სასწრაფოდ გიბარებთ ტელეფონთანო.

ერემომ ერთი გემრიელად შეიკურთხა და რედაქციის კიბეებს აუყვა.

— ალო, მახათაძე გისმენთ!

— კაბინეტში შესვლისთანავე ჩასძახა სამთავრობო ტელეფონის ყურმილს.

იქიდან განრისხებული ხმა შემოესმა:

— სად იყავით აქამდე! ამდენ ხანს რატომ მალოდინეთ! სასწრაფოდ გამოცხადდით რაიკომში! ასეთ „ფორმაში“ გამოცხადება ნამდვილად არ შეიძლებოდა რაიკომში და ერემომ რაღაც მოიმიზეზა.

— როგორ მიბედავთ! ახლავე აქ გაჩნდით! ნემსაძე გელაპარაკებათ!

— რას მემუქრებით! ვის აშინებთ, თქვენ თუ **ნემსაძე** ხართ, მე **მახათაძე** გახლავართ! — მიუგო ღვინით შეთამამებულმა ბატონმა ერემომ, ყურმილი დაახეთქა და... რესტორნისკენ დაეშვა.

***მიხო კოპალეიშვილი, თბილისი***

## არც მე დაგალევინებ!..



ეს კურიოზი მე გადამხდა თავს, როცა ექვსი წლის ვიყავი. ძალიან მიყვარდა ლიმონათი. ბაბუა გარდამეცვალა და ქელეხის სუფრის სამზადიდან ორი ბოთლი ლიმონათი დავითრიე. ეზოში გამოვედი, ერთი ბოთლი მაშინვე დავლიე, მეორე კი ცოტა ხნის შემდეგ გავხსენი (გასახსნელიც თან მქონდა). ის-ის იყო დალევა უნდა დამეწყო, რომ ჩემზე ერთი წლით უმცროსი კახა გამომეცხადა და მთხოვა, მეც დამალევინეო. ძუნწი არ ვყოფილვარ, მაგრამ ლიმონათი ისე მიყვარდა, ვერავისთვის ვერ ვიმეტებდი და რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. კახამ მიყურა, როგორ ვსვამდი ლიმონათს, ბოლოს ველარ მოითმინა და მითხრა:

— დამაცადე, მოკვდება ბაბუაჩემი, მეც მექნება ლიმონათი და აბა ნახე, თუ წვეთი დაგალევინო!

***მ. ნაჭყებია, თბილისი***

## რომელი?!

ბიჭიკო ლოსაბერიძე ცოტა არ იყოს, ჭკუანაკლული დაიბადა. სად არ ულოცეს, სად არ უმკურნალეს, მაგრამ შედეგი დიდი ვერაფერი მიიღეს.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭიკო თვითონ ესტუმრა ცნობილ ფსიქიატრს, მთელ ქუთაისში ცნობილ ვასილს:

— მიჭირს რაცხა, ბატონო ვასილ და მიშველე რამე! — შესჩივლა ექიმს.

— რა გიჭირს, ბიჭო? — დაინტერესდა ფსიქიატრი.

— რა ვიცი, ექიმო, რო დამეძინება, სულ ქალები მელანდება და თანაც ბევრი, მარა, რო გევილვიძებ, არც ერთი არ მხვდება! ესაა საქმე?

— აა! ცოლი გჭირდება შენ, ცოლი!

— რამდენი ცოლი?

— რამდენი და ერთი, კაცო! მოიცა, მოიცა, შენს ბიძაშვილს ხომ ჰყავს ცოლი, შენს მამიდაშვილსაც, დეიდაშვილსაც, ხომ?



— კი ჰყავთ, კი!..

— ხოო და შენც გინდა ცოლი!

დამშვიდებული წავიდა ბიჭიკო, მაგრამ მეორე დღეს დილაუთენია მიადგა ფსიქიატრს და ეუბნება:

— ექიმო, ყველაფერი გევიგე, მარა...

— რა მარა?

— რომლის ცოლი მევიყვანო, რომლის?

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## პაროდიის კუთხე

# იგვიანებთ თუ არა პაემანზე

# ტესტი



**1. ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით მიდიხართ და შემოგხვდათ ნაცნობი. თქვენ:**

ა) ეუბნებით: „ბოდიში, პაემანზე მაგვიანდება!“ (123 ქულა).

ბ) გეუბნებათ: „ბოდიში, პაემანზე მაგვიანდება!“ (231).

გ) ორი საათი მაინც ისაუბრებთ ქუჩაში და მერე ორივეს გაგახსენდებათ, რომ პაემანზე დააგვიანეთ (312).

**2. პაემანზე მიხვედით და თქვენი რჩეული არ ჩანს. თქვენ:**

ა) დაელოდებით ასე, 5 წუთი (123).

ბ) დაელოდებით ასე, 5 საათი (231).

გ) ნანობთ, რომ ერთი საათით დაგაგვიანდათ (312).

**3. საწინააღმდეგო სქესის უცნობი ადამიანი გინიშნავთ პაემანს. თქვენ:**

ა) არ წახვალთ პაემანზე (123).

ბ) წახვალთ პაემანზე (231).

გ) წახვალთ პაემანზე სხვასთან (312).

**4. სულ მცირე უსიამოვნება მოგიხდათ შეყვარებულთან (მეუღლესთან). თქვენ:**

ა) ბოროტად მოიხსენიებთ პირველ პაემანზე მისვლის დღეს (123).

ბ) „კეთილად“ მოიხსენიებთ ბოლო პაემანზე არმისვლის დღეს (231).

გ) ფეხზე ადგომით მოიხსენიებთ პაემანზე დაგვიანების დღეს (312).

**5. ტელევიზიით გადის ფილმი პირველ პაემანზე. თქვენ:**

ა) დაუძახებთ მეუღლეს (შეყვარებულს) და ერთად უყურებთ ფილმს (123).

ბ) მარტო უყურებთ ფილმს (231).

გ) გადართავთ ტელევიზორს კრივზე ან ჩოგბურთზე (312).

**6. თქვენს მეგობარს არ ჰყავს შეყვარებული (მეუღლე). თქვენ:**

ა) მისი ტელეფონის ნომერს აძლევთ სხვადასხვა ვინმეს (123).

ბ) გაურიგებთ მას თქვენს რომელიმე ნაცნობს ან ახლობელს (231).

გ) გშურთ თქვენი მეგობრის (312).

**7. პაემანზე დგახართ და თქვენი რჩეულის ნაცვლად გიახლოვდებათ სულ სხვა ვინმე. თქვენ:**

ა) გაიფიქრებთ: „ეს ის არ არის!“ (123).

ბ) გაიფიქრებთ: „ეს ნამდვილად ისაა!“ (231).

გ) გაიფიქრებთ: „ნეტავი, რა ჰქვია?“ (312).

## დაითვალეთ ქულები:

***თუ თქვენ დააგროვეთ 1229-მდე ქულა,* მაშინ ნამდვილად შეყვარებული ხართ და უდიდეს პატივს სცემთ სიყვარულს, თუმცა, იმდენად ემოციური ბრძანდებით, რომ უბრალო გაბრაზებაც კი, უფრო სწორად, თქვენი რჩეულის პაემანზე ერთხელ დაგვიანებაც საკმარისია და ყველაფერს თავდაყირა დააყენებთ.**

***თუ თქვენ დააგროვეთ 1230-დან 1963-მდე ქულა,* მაშინ თქვენს ცხოვრებაში სიყვარულს პირველი ადგილი ნამდვილად არ უჭირავს, თუმცა პაემნები თქვენთვის უცხო ხილი არ არის. მეტსაც გეტყვით, თქვენი საყვარელი ფრაზაა — „საღამოს რას აკეთებთ?“**

***თუ თქვენ დააგროვეთ 1964 ქულაზე მეტი,* მაშინ ეს-ესაა ტესტის კითხვას ამთავრებთ და ფიქრობთ: „ეს ტესტი კი წავიკითხე, მაგრამ ახლა რა გავაკეთო?“ ბოდიში, მე ვერაფერს გირჩევთ, გავრბივარ, პაემანზე მაგვიანდება!**

***ტესტი თქვენთვის მოიძია ზაქრო ინწკირველმა***

# მკითხველის — — საყვარელი ანეკდოტი

მაღაზიის წინ რიგი დგას. მივიდა მეგრელი და იკითხა:

— ბოლო ვინ არის?

— მე! — უპასუხა ბოლოში მდგომმა.

ახლა რიგის თავში მივიდა და იკითხა:

— ვინაა აქ პირველი?

— მე ვარ პირველი! — უპასუხა სვანმა, რომელიც რიგში მართლაც პირველი იდგა.

— ოო, შენ გეიხარე შენს ცოლშვილში, სულ პირველს გევლოს ყველაფერში, ყველგან პირველი ყოფილიყავი, პირველობა მოგცეს ღმერთმა და... ჩამაგდე შენ წინ ნულად!..





თექვსმეტსართულიანი სახლის სადარბაზოსთან დგას ქალი და ყვირის:

— ვასიკოო! ვასიკოო!..

გამოიხედა მეხუთე სართულიდან მეგრელმა და ეუბნება.

— ვერ გააგონებ მასე!

— ვასიკოო!.. ვასიკოო!.. — უფრო ხმამაღლა აყვირდა ქალი.

— ვერც მასე გააგონებ, ქალბატონო, ვერც მასე!

ქალმა კიდევ უფრო მოუმატა ყვირილს:

— ვასიკო, ვასიკო!..

— ვერც მასე გააგონებ, ქალბატონო, ვერა! ბათუმშია წასული!..

***მარიკა, კასპი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## გაეროს წესდების ყბადაღებული 51-ე მუხლი...

— იქნებ განგვიმარტოთ, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ ა.წ 11 სექტემბერს საქართველოს მიმართ გამოთქმულ განცხადებაში აღნიშნული გაეროს წესდების 51-ე მუხლის შინაარსი. ასევე, გვაინტერესებს, რა შინაარსობრივი თუ სამართლებრივი დატვირთვა აქვს საერთაშორისო სამართალში სიტყვა აგრესიას და რა 13 73-ე რეზოლუციაზე საუბრობდა პუტინი?

*ნიკა ასლანიშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **ლევან ალექსიძე**, საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი საერთაშორისო სამართლის საკითხებში, აკადემიკოსი.



— თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს აგრესიულ ომს, როგორც საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებას. თუმცა ყოველ სახელმწიფოს უფლებას ანიჭებს, მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ან ტერიტორიულ მთლიანობაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენოს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლება. ე.ი შეიარაღებულ თავდასხმას დაუპირისპიროს ან საკუთარი შეიარაღებული ძალები, ან მოკავშირე ქვეყნების ჯარები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი გასაგებად რომ ავხსნათ, თუ ორგანიზაციის წევრი შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი გახდება, ამ შემთხვევაში, გაეროს წესდების აღნიშნული მუხლი ოდნავადაც არ უარყოფს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ აუცილებელ ზომას მხოლოდ თავდასხმის შემთხვევაში შეიძლება მიმართოს სახელმწიფომ გაეროს უშიშროების საბჭოს სათანადო ღონიძიებათა გამოყენებამდე. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას თუ გავითვალისწინებთ, მისი მცდელობა და თვითმიზანი გახლავთ მსოფლიოს წინაშე წარდგეს, როგორც საქართველოს მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის და აგრესიის მსხვერპლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაეროს წესდების 51-ე მუხლის საქართველოსათვის მისადაგება აბსურდულია.

საერთაშორისო სამართალში აგრესიულ აქტად ჩაითვლება შემდეგი მოქმედებები:

ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, თუნდაც დროებითი; სახელმწიფო ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია, იგივე დაბომბვა; ან ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე და სხვა არაერთი აგრესიული აქტი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ უკვე არაერთხელ განახორციელა ჩვენ მიერ „ჩაგრულმა“ რუსეთმა. სწორედ ეს გახლავთ აგრესიის საერთაშორისო სამართლებრივი განმარტება. დღეს, რუსეთი მსოფლიოს თვალს უხვევს და აბსურდულ განცხადებებს აკეთებს. ეს არგუმენტი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ სურთ გამოიყენონ — „ერთი სახელმწიფოს ქმედება, რომელიც, სხვა სახელმწიფოს აძლევს საშუალებას გამოიყენოს მისი ტერიტორია მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ; ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, რეგულარული ან დაქირავებულ ძალების შეგზავნა, რასაც იმდენად სერიოზული სახე აქვს, რომ ისინი შეიძლება აგრესიის სახედ ჩაითვალოს“ — არანაირად არ მიესადაგება საქართველოს პოლიტიკას რუსეთის მიმართ. აქვე გავიმეორებ, რომ რუსეთს საქართველოს მიმართ არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია. ჩეჩნები არიან რუსეთის მოქალაქეები, ისინი ებრძვიან საკუთარ ხელისუფლებას და არა მსოფლიოს. როგორ უნდა მოახერხოს საქართველოს მთავრობამ ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრები მშვიდობიანი ჩეჩენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობიდან გამოხშიროს ბოევიკები თუ ტერორისტები? სჯობს რუსეთმა თავისი საზღვრები მეტად მკაცრად დაიცვას და პრობლემაც გადაწყდება. ხოლო რაც შეეხება რეზოლუცია 13 73-ს იგი ამერიკის წინააღმდეგ 11 სექტემბერის ტერორისტული აქტის შემდგომ მიიღო გაერომ და ნებისმიერ სახელმწიფოს მისცა ტერორიზმისაგან თავდაცვის უფლება, ანუ თავდაცვის მიზნით მიიტანონ იერიში იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც ხელს აფარებენ და ხელს უწყობენ ტერორიზმს. ჩვენი მთავრობა არც ტერორისტებს უწყობს ხელს და არც იფარავს მათ. რუსეთი ყველა ჩეჩენში ტერორისტს ხედავს, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ახირებაა და სხვა არაფერი...

## თავსატეხი ანუ კროსვორდი

— რუბრიკას „ანიდან ჰოემდე“ ვთხოვ, მოგვითხროს — ვინ გამოიგონა პირველად კროსვორდი და რომელ წელს?

*თემურ გიგინეიშვილი*

— კროსვორდი ინგლისური სიტყვაა (Crossword) და სიტყვასიტყვით „გადაჯვარედინებულ სიტყვებს“ ნიშნავს. იგი მთელ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და ძალზედ პოპულარული ინტელექტუალური გასართობია, თუმცა კროსვორდს საკმაოდ ხანმოკლე ისტორია აქვს. პირველი კროსვორდის მაგვარი თამაში გამოჩნდა ინგლისში, XX ს.-ში. თავდაპირველად იგი საკმაოდ მარტივი იყო. სიტყვების ჯგუფს ისე ადგენდნენ, რომ ვერტიკალურად დაწერილი სიტყვების პირველი ასოებით იკითხებოდა სიტყვა გასაღები. ასეთი თამაშები იბეჭდებოდა ბავშვთა სავარჯიშო წიგნებსა თუ სხვადასხვა კალენდრებში.

პირველი, თანამედროვე სახის კროსვორდის ავტორი გახლავთ ნიუ იორკში მოღვაწე ჟურნალისტი, ლივერპულელი არტურ ვაინი. კროსვორდი მისი ავტორობით საკვირაო გაზეთ New York World-ში დაიბეჭდა 1913 წლის 21 დეკემბერს. 1920 წლისთვის უკვე ყველა სერიოზული გამოცემა აქვეყნებდა მსგავს თავსატეხებს.

კროსვორდების პუბლიკაცია მალევე დაიწყეს ევროპაში და თქვენ წარმოიდგინეთ, ბრიტანული თავსატეხი გაცილებით რთული გახლდათ, ვიდრე ტრადიციული, ამერიკული.

## ჰოლივუდის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ოცეული...

— თუ არ დაგვზარდებით, გთხოვთ გამოაქვეყნოთ ბოლო წლების ყველაზე შემოსავლიანი ფილმების სია (თუ შეიძლება მიუთითეთ მათი შემოსავალიც).

*ილიკო ქურდაძე*

— გთავაზობთ ჰოლივუდის ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმების ოცეულს:

| № | დასახელება | შემოს. $ | გამ.თარ. |
|---|---|---|---|
| 1. | „ტიტანიკი“ | 600.788.188 | 12.19.97 |
| 2. | „ვარსკვლავური ომები“ | 460.998.007 | 05.25.77 |
| 3. | „ი.თი“ (უცხოპლანეტელი) | 434.949.459 | 06.11.82 |
| 4. | „ვარსკვლავური ომები“ ეპიზოდი | 431.088.295 | 05.19.99 |
| 5. | „ადამიანი — ობობა“ | 403.706.375 | 05.03.02 |
| 6. | „იურული პერიოდის პარკი“ | 357.067.947 | 06.11.93 |
| 7. | „ფორესტ გამპი“ | 329.694.499 | 07.06.94 |
| 8. | „ჰარი პოტერი“ | 317.557.891 | 11.16.01 |
| 9. | „რინგის მეფე“ | 313.364.114 | 12.19.01 |
| 10 | „მეფე ლომი“ | 312.855.561 | 06.15.94 |
| 11. | „ჯედაის დაბრუნება“ | 309.205.079 | 05.25.83 |
| 12. | „დამოუკიდებლობის დღე“ | 306.169.255 | 07.03.96 |
| 13. | „ვარსკვლავური ომები“ ეპიზოდი | 299.401.811 | 05.16.02 |
| 14. | „მეექვსე გრძნობა“ | 293.506.292 | 08.06.99 |
| 15. | „მარტო სახლში“ | 285.761.243 | 11.16.90 |
| 16. | „შრეკი“ | 267.665.011 | 05.16.01 |
| 17. | „როგორ მოიპარა გრინჩმა შობა“ | 260.031.035 | 11.17.00 |
| 18. | „ყბები“ | 260.000.000 | 06.20.75 |
| 19. | „მონსტრები“ | 255.660.741 | 11.02.01 |
| 20. | „ბეთმენი“ | 251.188.924 | 06.23.89 |




## ნეკა სებისკვერაძე იურმალაში ვერ იმღერებდა...

— ვარ ნეკა სებისკვერაძის თაყვანისმცემელი. ვფიქრობ, რომ სჯობდა „არტ-იმედს“ ქრისტინეს მაგიერ ნეკა გაეშვა იურმალაში გამართულ ფესტივალზე „ახალი ტალღა“. მაინტერესებს, რას საქმიანობს ნეკა. სწავლობს თუ არა სადმე და რას ჰპირდება ახალს თაყვანისმცემლებს?

*დიანა სიხარულიძე*



კითხვაზე უპასუხებს **ნეკა სებისკვერაძე**

— დიდი მადლობა მინდა მოვახსენო „კვირის პალიტრის“ მკითხველს ჩემი გულშემატკივრობისთვის. თავდაპირველად დავიწყებ იმით, რომ ვსწავლობ ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტში — საერთაშორისო ინტერნეტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. რა თქმა უნდა, ესტრადა არ მიმიტოვებია. რაც შეეხება იურმალაში გამართულ ფესტივალზე ჩემს მონაწილეობას, მე „არტ-იმედთან“ არ ვთანამშრომლობ და ბუნებრივია, ისინი ვერ გამიშვებდნენ ფესტივალზე. ვერც დამოუკიდებლად მივიღებდი მონაწილეობას, რადგანაც საამისო თანხები არ გამაჩნია... თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპონსორი არა მყავს. ამჟამად კონტრაქტი მაქვს გაფორმებული საქართველო-ისრაელის ბიზნესის პალატასა და ისრაელის საელჩოსთან, რომელთა დაფინანსებით სულ მალე საგასტროლოდ გავემგზავრები. ყველაზე მეტად ვაფასებ იმას, რომ მათ მიერ არაფრით არა ვარ შეზღუდული — შემიძლია ვიმღერო იქ, სადაც საჭიროდ ჩავთვლი (ვგულისხმობ კონცერტს), ასევე თავისუფლად შემიძლია ინტერვიუს მიცემა ჟურნალისტებისთვის და სხვა... დღეისათვის ვმუშაობ სამი ახალი სიმღერის ჩაწერაზე, გარდა ამისა, არაერთ საჩუქარს ვუმზადებ ჩემს მსმენელს. თუმცა, წინასწარ საუბარი არ მიყვარს, ბევრად მირჩევნია სიურპრიზის მოწყობა...

## ნადირობის სეზონი გახსნილია...

— გთხოვთ დამეხმაროთ, მინდა მონადირეთა კავშირში გაწევრება. რა არის ამისთვის საჭირო; როდიდან გაიხსნა წელს ნადირობის სეზონი და საქართველოში რომელ ცხოველზე შეიძლება ნადირობა; რა პრივილეგიით სარგებლობს „საპატიო მონადირე“ ჩვეულებრივი მონადირისაგან განსხვავებით?

*თედო მურღულია*

კითხვაზე უპასუხებს **დავით ბუჩუკური**, ასოციაცია მონკავშირის ვიცეპრეზიდენტი, ქ. თბილისის მონადირეთა ფედერაციის კლუბის პრეზიდენტი.



— მონადირეთა კავშირის წევრი შეიძლება გახდეს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი. არის ჯანმრთელი. მონკავშირში გაიარა ნადირობის თეორიული ცოდნის მინიმუმი (სემინარი). სათანადო საბუთების შეგროვებისა და სემინარის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პიროვნებას ეძლევა მონადირის ბილეთი. ამის შემდგომ მას შეუძლია შეიძინოს ნებადართული თუ ლიცენზირებული სანადირო თოფი და გარემოს დაცვის სამინისტროში მიიღოს ნადირობის უფლების ერთწლიანი ლიცენზია (სეზონის გახსნიდან — დახურვამდე).

ნადირობის სეზონი წელს 17 აგვისტოს გაიხსნა და დასრულდება 2003 წლის 1-ელ მარტს. საქართველოს კანონით „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ დადგენილია, რომ ჩვენთან ნადირობა დაშვებულია მხოლოდ სამონადირეო მეურნეობაში (გარდა გადამფრენი ფრინველებზე ნადირობისა). ვინაიდან დღეისათვის ჯერჯერობით არც ერთი სამონადირეო მეურნეობა არ ფუნქციონირებს საქართველოში, ნადირობა დაიშვება მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე. ხოლო ნადირ-ფრინველზე ნადირობა მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როდესაც აღდგება ზემოთ აღნიშნული მეურნეობები. ნებისმიერი, ვინც დაარღვევს აღნიშნულ კანონს, ჩაითვლება ბრაკონიერად.

რაც შეეხება „საპატიო მონადირეს“, მას უმნიშვნელო შეღავათი აქვს — განთავისუფლებულია მონკავშირის საწევროს გადასახადისგან (წელიწადში 5 ლარი). ეს არის და ეს, სხვა პრივილეგიით ამ წოდების მფლობელი არ სარგებლობს.

## გაირუჯეთ, მხოლოდ ზომიერად!..

— ზაფხულში ყოველწლიურად ვისვენებ ზღვაზე და ეს წელიც არ ყოფილა გამონაკლისი. მაინტერესებს სპეციალისტის აზრი, თუ რატომ ვერ ვახერხებ მზისა და წყლის აბაზანების რეგულარული მიღების მიუხედავად გარუჯვას? მიწითლდება კანი და შემდეგ უმნიშვნელოდ მეცვლება ფერი. გვესაუბრეთ გარუჯვის დადებით თუ უარყოფის მხარეებზე.

*მალხაზ ბობოხიძე*

კითხვაზე უპასუხებს **რუსუდან ბუნტური**, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კანისა და ვენსნეულებათა კათედრის ასისტენტი, ექიმი.



გარუჯვასთან დაკავშირებული თქვენი პრობლემის შესახებ გეტყვით, რომ მზის სხივებისადმი კანის მგრძნობელობის მიხედვით თეთრკანიანი რასის ადამიანებს ჰყოფენ 4 ტიპად:

ტიპი — მიუხედავად ფენოტიპისა (თვალისა და თმის ფერი), მზეზე ყოფნის 30 წთ-ის შემდგომ იღებენ კანის დამწვრობას და არასოდეს არ ირუჯებიან;

ტიპი — ადვილად იღებენ მზის დამწვრობას, ძნელად ირუჯებიან;

ტიპი — მზეზე ყოფნისას იღებენ მსუბუქ დამწვრობას, რომელიც შემდგომ გარუჯვაში გადადის (ზოგჯერ ინტენსიურშიც);

V ტიპი — როდესაც ადვილად ირუჯებიან და არ იღებენ დამწვრობას. ამრიგად, თქვენთვის ალბათ გასაგებია, თუ რატომ არ ირუჯებით ისე იოლად და ინტენსიურად, როგორც სხვები. წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მზის სხივებისადმი თქვენი კანის მგრძნობელობა ტიპს განეკუთვნება და პასუხიც ამაში მდგომარეობს.

გარუჯვის დადებითი მხარე კი ის გახლავთ, რომ პიგმენტ მელანინის წარმოქმნის შედეგად ძლიერდება ნივთიერებათა ცვლა კანში. ამ პროცესს მოჰყვება ორგანიზმში ვიტამინების წარმოქმნა, რაც დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

უარყოფითი მხარე კი ისაა, რომ ბოლო წლებში მოჭარბებულმა მზის რადიაციულმა ფონმა შესაძლოა არა ერთი პრობლემა შეუქმნას მზის აბაზანებს დაწაფებულ ადამიანს. გამორიცხული არ არის, რომ მზის რეგულარულმა ზემოქმედებამ ორგანიზმში სერიოზული იმუნური ძვრები და სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ასევე არ ვურჩევ ახალგაზრდა გოგონებს სისტემატურ გარუჯვას (მზის აბაზანების თუ ულტრაიისფერი სხივების მეშვეობით), რადგანაც შესაძლოა ამ სიამოვნებას შედეგად მზის გეროდერმია (კანის ნაადრევი დაბერება) მოჰყვეს.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

# ემბაზში ღვთისმშობელი გამოისახა



რამდენიმე ხნის წინ სვეტიცხოველში ჭეშმარიტად სასწაული მოხდა.

პატარა მარიამ ურუშაძის ნათლობისას ემბაზში, წყლის ზედაპირზე, ღვთისმშობელი გამოისახა — ფოტოაპარატმა სწორედ ის საოცარი წამი დააფიქსირა. სურათის დაბეჭდვის შემდეგ ბავშვის მშობლები გაოცებულნი (ცოტა შეშინებულნიც) დარჩნენ, იმდენად მკაფიო იყო წყალზე გამოხატული წმინდა მარიამი. ღვთის წყალობით (რადგან ამ ფაქტის გახმაურებას სულაც არ აპირებდნენ), ფოტოსურათმა „კვირის პალიტრამდეც“ მოაღწია. ჩვენ დავუკავშირდით პატარა მარიამის ახლობლებს, ასევე მამა მიქაელს (მაჭარაძეს), რომელმაც ნათლობა აღასრულა.



***პაატა ურუშაძე, ბავშვის მამა:*** მე და ოქსანას მარიამი 25 თებერვალს შეგვეძინა. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს დღე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეა. პირველ დღეებშივე გვინდოდა მისი მონათვლა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვერ მოვახერხეთ. პეტრეპავლობის მარხვის წინა დღეს გადავწყვიტე, სვეტიცხოველში მომენათლა მარიამი. ნათლობისას მოხდა ის, რასაც სასწაულს ვეძახით, თუმცა მაშინ, ნათლობისას, ეს არ შეგვიმჩნევია. წყლის ზედაპირზე ღვთისმშობლის გამოსახულება ფოტოაპარატმა დააფიქსირა. გაოცებულმა სურათი მაშინვე ჩემს მოძღვარს, მამა მიქაელს (მანვე მონათლა ბავშვი) ვაჩვენე. მან კი საპატრიარქოში წაიღო და ილია II-ს აჩვენა. უწმინდესმა ფოტოს ჯვარი გარდასახა და შეინახა...

***თამაზ ჭკუასელი, ბავშვის ნათლიის მეუღლე:*** პატარა მარიამი უნდა მოენათლა ჩემს მეუღლეს, მანანა ჯაყელს და ჩვენს საერთო მეგობარს, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილს, მართლმადიდებელ პეტრე პესკუნოვს. ბუნებრივია, რამდენიმე დღით ადრე დავიწყეთ ნათლობისთვის მზადება. ვიყიდეთ ოქროს ჯვარი ძეწკვით. იმავე დღეს ვერცხლის ჯვარიც ვუყიდე მეუღლეს საჩუქრად და სვეტიცხოველში თან წავიღე საკურთხებლად. ნათლობამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩვენებს ვაჩვენე ოქროს ძეწკვზე დაკიდებული ჯვარი. როცა ნათლობა დაიწყო, ველარსად ვიპოვეთ, თითქოს გაქრა. ამიტომ მეუღლისთვის ნაყიდი ვერცხლის ჯვარი მივეცი ბავშვს. ფოტოაპარატით მე ვიღებდი სურათებს. გამაოცა მარიამის „სიდინჯემ“. მონუსხული მისჩერებოდა მღვდელს, სანთლებს. წყალში შთაფლვის მერეც არ უტირია. მღვდელმა ჯვრის დაკარგვის გამო დაგვამშვიდა: ის ხომ ჯერ არც იყო ნაკურთხი, ტაძრის შემოწირულობა იქნებაო. თვითონ პატარა მარიამმა მიიღო წმინდა ნინოს ჯვრის ფორმა წყალში შთაფლვის დროს და რაღა გადარდებთო. ამას ისიც დაემატა, რომ ფოტოზე ღვთისმშობლის სახებაც აღმოვაჩინეთ. მარიამ ურუშაძე უსათუოდ ღრმად მორწმუნე და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი გაიზრდება.

**— მამა მიქაელ, პატარა მარიამის ნათლობა სასწაულს უნდა მივაწეროთ?**

— ჩემთვის ეს ნაკლებად გასაკვირია. მე სასწაულად ის უფრო მიმაჩნია, რომ ჩემი მრევლიდან მძიმე სენით დაავადებული ქალი ლოცვითა და მარხვით გამოჯანმრთელდა.

**— კი, მაგრამ წყლის ზედაპირზე ღვთისმშობლის გამოჩენა სასწაული არ არის?**

— ღმერთს როცა უნდა, მაშინ მოავლენს სასწაულებს. ვინც სურათი ნახა, ზოგმა მკითხა კიდეც: იქნებ, კედლიდან არის წმინდანის ანარეკლიო. იქ, სადაც ნათლობის რიტუალს ვატარებ, არც კედელზე, არც ემბაზში არაფერი არ არის დახატული. ჩვენ არ ვიცით, ვის რას უმზადებს უფალი, ნაკლებად მჯერა იმ ადამიანის, რომელიც პომადაწასმული ან სიგარეტით ხელში აღფრთოვანებით მიყვება, როგორ გამოეცხადა ღმერთი... თუკი გამოეცხადა, ესე იგი, რაღაცას მიანიშნებს, მას კი გულით არ სწამს. ამ მინიშნების შემდეგ ღვთის „რჩეულად“ თვლის თავს და ამპარტავნდება. XX საუკუნის მღვდლის ფუნქცია გაცილებით რთულია, ვიდრე ადრინდელისა. იცით, რატომ? ძველად ხალხს სწამდა, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო. ახლა მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთ ათეისტური სტანდარტის დამსხვრევის მერე ორ რამეზე გვიწევს ქადაგება: ჯერ ერთი, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს და მეორე — რომელია ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხალხი გულგაცივებულია, გონებით უფრო ჭვრეტს. არადა სულიერი მდგომარეობა უნდა თანხვდებოდეს გონებას.

მუდამ გახსოვდეთ, უფლისათვის ღარიბი უფრო მისაღებია, ვიდრე მდიდარი.

გამოცხადებებითა და მინიშნებებით უზენაესი გვაფრთხილებს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება მეტი სულიერებით წარვმართოთ. პატარა მარიამის დედ-მამა მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ შვილის ნათლობის მერე უფრო დაუახლოვდნენ ეკლესიას, მლოცველები გახდნენ. აი, მთავარი ესაა, რომ გამოცხადების მერე ადამიანი უფრო სულიერი, მორჩილი და თავმდაბალი გახდეს... ღმერთი გწყალობდეთ ყველას!

***მარინა ბაბუნაშვილი***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. 1 — დ; 2 — გ; 3 — ა; 4 — ბ.

II. მე-2 და მე-7 ბატი.

III. **რებუსი**

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

IV. ქოლგა.

V. 1 — გ); 2 — ბ).

VI. არწივი, დათვი, თევზი და ძაღლი

# მატარებელი ბურუსიდან გამოვიდა...

ეს ამბავი მოხდა 1991წლის 25 სექტემბერს, 21.43 სთ-ზე, პოლტავის ოლქის სოფელ ზავლაიჩისთან მდებარე სარკინიგზო გადასასვლელზე. შეესწრნენ: გადასასვლელის მორიგე ელენა ჩებრეცი და ვ. ლეშჩაცი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ანომალიური მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე.

მოჩვენება დღისით, მზისით გამოჩნდა. უზარმაზარი ორთქლმავალი მოულოდნელად ჩამოწოლილი ნისლიდან უხმაუროდ გამოცურდა, მილიდან კვამლი არ ამოდიოდა, არც მემანქანე მოჩანდა კაბინაში.

„როგორც იქნა“, — წამოიძახა ლეშჩაცმა. იგი მატარებელს რამდენიმე კვირა ელოდა. ორთქლმავალი ახლოვდებოდა. სულ სამი ვაგონი იყო, სარკმლები დაგმანული ჰქონდა, კარი — ღია. მეცნიერმა წინ წაიწია, მშვიდობითო, — დაიძახა, ვაგონის საფეხურს შეახტა და ტამბურის სიბნელემ შთანთქა. სადგურის მორიგემ პირჯვარი გადაიწერა, შემდეგ კი მწარედ აქვითინდა.

მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა. მატარებელმა-მოჩვენებამ რკინიგზის ამ გადასასვლელზე არაერთხელ ჩაიარა. ელენა ჩებრეცი დღემდე ელის, როდის ჩამოხტება ვაგონიდან ხანში შესული მეცნიერი ლეშჩაცი, მაგრამ ამაოდ...

ეს სამვაგონიანი მატარებელი რომის სადგურიდან გასულა 1911 წელს. ფირმა „სანეტიმ“ მდიდარი თანამემამულეებისთვის იტალიაში გასეირნება მოაწყო, რომლის საბოლოო მიზანი მაშინდელი ევროპის მთებში გაყვანილი ყველაზე გრძელი გვირაბის დათვალიერება იყო. 106-მგზავრიანი მატარებელი შევიდა ამ გვირაბში და... გაუჩინარდა.

ორი რომაელი ბოლო ვაგონის უკანა ბაქანზე სიგარეტს ეწეოდა. მათ რაღაცის შეშინებიათ და ძირს გადმომხტარან. ამ მატარებლიდან მხოლოდ ეს ორი მგზავრი გადარჩა. მათი თქმით, მოულოდნელად ჩამოწვა რძისფერი ბურუსი, რომელიც გვირაბთან მატარებლის მიახლოებასთან ერთად, უფრო და უფრო სქელდებოდა. უკვე ძირს ჩამომხტარმა კაცებმა დაინახეს, რომ მატარებელი ამ ნისლში შევიდა და... ამის შემდეგ იგი აღარავის უნახავს. მოგვიანებით გვირაბი ქვებით ჩახერგეს.

წლების მანძილზე მატარებელი-მოჩვენება დროდადრო ჩნდება ხოლმე მსოფლიოს რკინიგზებზე. გამორიცხული არ არის, რომ მგზავრები დღესაც ცოცხლები არიან. 40-იან წლებში, მეხიკოში, ისინი მატარებლიდან გამოფრენილან... ერთი კვირის შემდეგ კი თავი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოუყვიათ. თავდაპირველად, მათი ჩაცმულობის გამო, იფიქრეს, უთუოდ კინომსახიობები არიანო. მგზავრები ირწმუნებოდნენ, რომიდან ჩამოვედითო. გამოდიოდა, რომ მატარებელი მგზავრებით იტალიაში შევიდა გვირაბში და შემდეგ სულ სხვა კონტინენტზე მოხვდა.

ამ ამბის შესახებ ფსიქიატრის ჩანაწერები ხელში რუს მეცნიერ ლეშჩაცს ჩაუვარდა.



იგი მიხვდა, რომ საქმე ეხებოდა 1911 წელს გაუჩინარებულ მატარებელს. კვლევა-ძიება წამოუწყია და როგორც უკვე მოგახსენეთ, თან გაჰყოლია კიდეც.

ამრიგად, მეცნიერი ვ. ლეშჩაციც გაუჩინარდა. ამ ამბით გაზეთ „გუდოკის“ კორესპონდენტი ნიკოლაი ჩერკაშნი დაინტერესდა და მის საძებნელად იტალიაშიც კი გაემგზავრა.

1993 წელს, ჩერკაშნის, როცა უკრაინაში იმყოფებოდა, ბალაკლაფში მწყობრიდან გამოსულ ძველ ლიანდაგზე დაუნახავს მატარებელი, რომელიც უხმაუროდ მიდიოდა. სადგურის მორიგეს შიშით კინაღამ გული წასვლია, მაგრამ შემდეგ ზუსტად აღუწერია ორთქლმავალიცა და მატარებელიც.

ჩერკაშნის ექსპედიციამ გადაწყვიტა გაევლო ის გზა, სადაც შეიძლებოდა ამ იტალიურ მოჩვენებასთან შეხვედრა. აღმოჩნდა, რომ მატარებელი იმ რეგიონში ბევრ ადამიანს ენახა.

XX ს. 70-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში, გვირაბის შემკეთებელ მუშებსაც მოუკრავთ თვალი ორთქლმავლისთვის და მისი შეკივლებაც გაუგონიათ...

ჩერკაშნი განაგრძობდა კვლევას და ერთ საღამოს, ფინეთის ქალაქ როვანიემის სადგურის ბაქანზე მდგარმა თავად დაინახა უჩუმრად მოახლოებული მატარებელი — იგი შპალებზე მოდიოდა, რადგან ლიანდაგი მატარებლის ბორბლებზე ფართო იყო. ჩერკაშნიმ სასწრაფოდ მოიმარჯვა ფოტოაპარატი და მატარებელი გადაიღო. მაგრამ მოულოდნელად ვაგონები სქელ ნისლში გაეხვია, ამოვარდა ქარიშხალი და მატარებელი გაუჩინარდა. ფირის გამჟღავნებისას აღმოჩნდა, რომ მასზე არაფერი იყო აღბეჭდილი, ხოლო აპარატის ელემენტები... დამჯდარიყო...

***ინტერპოლ-ექსპრესი №29***

# ამანათი მომავლიდან

დღემდე გრძელდება კამათი რენესანსის ეპოქის უდიდესი გენიოსის, ლეონარდო და ვინჩის ირგვლივ, ვინ იყო ის — მხატვარი, მოქანდაკე, მეცნიერი, მექანიკოსი თუ გამომგონებელი? მწერალ-ფანტასტების ერთ-ერთ კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ლეონარდო იყო მომავლიდან მოსული ადამიანი, რომელმაც, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ველარ შეძლო თავის დროში დაბრუნება და იძულებული გახდა, XV საუკუნის „ველურ“ გარემოს შეგუებოდა. მის შემონახულ ნახაზებში აღმოჩენილია ორთქლის მანქანაც, ველოსიპედიც და სავსებით თანამედროვე მოდელის მანქანებიც.



მწერლებმა გაიხსენეს და ვინჩის თანამედროვეც — ცნობილი ჰოლანდიელი მხატვარი ბოსხი. სახელგანთქმული სიურრეალისტის ტილოებზე აღბეჭდილია მფრინავი თეფშები და ღამის დაბომბვებიც. რითი შეიძლება ამ ამოუცნობი წინასწარმეტყველების ახსნა? შემოქმედის ალღოთი, წინასწარგანჭვრეტის ნიჭით თუ... მხატვარს უბრალოდ გაუმართლა, როგორც მაგალითად, ედგარ პოს?

1837 წელს, ჯერ კიდევ უცნობ მწერალს ეწვია უცნობი უცნაური წინადადებით — ახალ წიგნს გამოგიცემთ, თუ რომანში რაღაც სითხეს აღწერთო. მწერალს გაუკვირდა, მაგრამ წიგნის გამოცემის ხათრით დათანხმდა. 1839 წელს გამოვიდა პოს რომანი „არტურ პიმის თავგადასავალი“. წიგნის გმირი ანტარქტიდის მახლობელ კუნძულზე წააწყდა უჩვეულო ნაკადულს: „მიჭირს ამ ნაკადულის აღწერა, — ამბობს არტური, — წყალი უფერო არ იყო, მაგრამ არც რაიმე გარკვეული ფერი ჰქონდა. მირაკრაკებდა, უჩვეულო, მეწამული ელფერი დაჰკრავდა და აბრეშუმივით ლივლივებდა. წყალი ჭურჭელში ჩავასხი და დავდგი. უცებ ფენებად დაიშალა უამრავ ძარღვოვან ჭავლად. ყოველ მათგანს თავისი ფერი ჰქონდა და ერთმანეთში არ ირეოდა. სიგანეზე დანით დავსერეთ და მაშინვე შეიკრა, მაგრამ როცა ფრთხილად გავატარეთ დანა ორ ძარღვს შორის, ისინი ერთმანეთს მოსცილდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შეერთდა“.

მხოლოდ XX საუკუნეში მიხვდნენ მეცნიერები, რომ ეს იყო უწმინდესი, თხევადი კრისტალების აღწერილობა. ვინ იყო ის პიროვნება, ვინც პოსთან მივიდა? იქნებ ეს მართლაც მომავლიდან გამოგზავნილი „ამანათებია“.

***ორაკული №9***


## საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

- TOEFL/GMAT (მათემატიკის მოდულის ჩათვლით)
  ბიზნეს ინგლისური
  საკომუნიკაციო ინგლისური
- უნივერსიტეტებისა და კოლეჯების შერჩევა აშშ-ში, საბუთების გაფორმება, თარგმანი, დამოწმება.

განაცხადი მიიღება ყოველდღე 12-18 სთ-მდე

შაბათ-კვირის გარდა

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 50, II სად, II სართ.
ტელეფონი: 22 19 72; 899 55 15 24



# საკონსულოები სპორტსმენებს ეჭვის თვალით უყურებენ



*საქართველოში მოქმედი წამყვანი ქვეყნების საკონსულოებს სპორტულმა სამყარომ უდიდესი საფიქრალი გაუჩინა. უამრავი შემთხვევაა აღრიცხული, როდესაც ამა თუ იმ დელეგაციაში სპორტსმენად ჩაწერილ პიროვნებას უცხოეთში ჩასვლის შემდეგ საქართველოში დაბრუნებაზე აღარც კი უფიქრია. თქვენ წარმოიდგინეთ, სამიოდე წლის წინ ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან სამშობლოში ნახევარიც არ დაბრუნდა.*

*ყოველივე ამან საკონსულოები მაქსიმალურად ფრთხილი გახადა და ახლა უკვე მეორე უკიდურესობა მივიღეთ — თურმე ნაღდ სპორტსმენებსაც არ აძლევენ ვიზებს.*

*პრობლემა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ საქმეში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე* ***ირაკლი მეძმარიაშვილი*** *ჩაერია...*

— უამრავი შემთხვევაა, როდესაც ჩვენს სპორტსმენებს ვიზას არ აძლევენ. ყოველივე ეს ზოგიერთი სახეობის ფედერაციათა ხელმძღვანელობის სინდისზეა, მათ სპორტსმენების გარდა, ტურისტებიც მიჰყავდათ და ამგვარად შოულობდნენ ფულს.

როგორც ავსტრიაში საქართველოს კონსულმა მითხრა, ჩეხეთის მთავრობა უაღრესად შეშფოთებულია იმით, რომ ჩეხეთიდან ავსტრიაში ყოველდღიურად ათობით ქართველი გადადის და ამით იძაბება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. უკეთეს დღეში არც საფრანგეთი და ბელგიაა. ყოველივე ეს ჩვენს სპორტულ დელეგაციებს ბუმერანგივით უკან უბრუნდება. ეს არის სამწუხარო.

— **გამოსავალს ვერ ხედავთ?**

— მგონი უკვე მივაგენით. პრობლემის თავიდან ასაცილებლად სპორტის დეპარტამენტში შეიქმნა კომისია, რომელიც უცხოეთში წასვლის თითოეულ მსურველს შეამოწმებს. ბუნებრივია, ყველა სპორტსმენს ჩვენ არ ვიცნობთ, განსაკუთრებით არაოლიმპიურ სახეობებში და მათ ყურადღებით ვამოწმებთ. ოლიმპიური სახეობების წარმომადგენლები უცხოეთში მუდმივად დადიან, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობენ და მათ მშვენივრად ვიცნობთ. ამ კომისიის დამსახურებით ბოლო ოთხი-ხუთი თვეა, საკონსულოებთან ურთიერთობები მეტ-ნაკლებად მოგვარდა. ყოველ შემთხვევაში, წელს ცუდი არაფერი მომხდარა და პრეტენზიითაც არავის მოუმართავს.

ეს ყოველივე მარტივად მოვახერხეთ, საკონსულოებს ვთხოვე (სხვა საქმეა თხოვნას როგორ ასრულებენ), რომ ჩემი ან ჩემი მოადგილის ხელმოწერის გარეშე ვიზა არ გასცენ.

— **თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში სპორტული დელეგაციები საკონსულოებს უარით ბევრჯერ გამოუსტუმრებიათ?**

— როდესაც დამნიშნეს, მაშინ რამდენიმე შემთხვევა მოხდა. თავიდან მთხოვდნენ ამეღო პასუხისმგებლობა.

— **ვიზებს როგორმე მოევლება, მაგრამ ფინანსებს ჯერაც ვერ ეშველა. ამიტომაც საინტერესოა, რატომ ჩამოაყალიბა ბადრი პატარკაციშვილმა სპორტის დახმარების ფონდი ოლიმპიური კომიტეტის და არა დეპარტამენტის ეგიდით.**

— ჩვენ ოლიმპიურ კომიტეტთან მშვენიერი ურთიერთობები გვაქვს და ვმოქმედებთ მათთან შეთანხმებულად, ანუ ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ. ამიტომაც ვერ ვხედავ პრინციპულ სხვაობას, რომელი ორგანიზაციის ეგიდით ჩამოყალიბდებოდა ფონდი. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ჩემი მოადგილე ლერი ხაბელოვია და ყველა საკითხს ერთობლივად ვწყვეტთ, თუნდაც ხელფასების დანიშვნას.

საერთოდ, რაც მეტად დააფინანსებენ სპორტსმენებს, მით უკეთესი. ოღონდ, არ უნდა იყოს პოლიტიკური გათვლები და ანგარება. უკეთესად დაფინანსებული სპორტსმენი ქვეყნის დატოვებას აღარ იფიქრებს. ახლახან რუსეთის სპორტკომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლიდანაც შევიტყვე საინტერესო ფაქტი: რუსები მსოფლიოს ჩემპიონებს 7 ათასი დოლარით დააჯილდოებენ, ევროპის ჩემპიონებს კი — 3,5 ათასი დოლარით. გამოდის, რომ ჩვენ უფრო მეტს ვიხდით: შესაბამისად მსოფლიოსა და ევროპის ოქროსმედალოსნებს 10 და 5 ათასი დოლარით ვამდიდრებთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, რუსებს ამ პარამეტრით რომ ვაჯობეთ.

მომავალ წელს გაირკვევა ოლიმპიადის მონაწილე ზოგიერთ სპორტსმენთა ვინაობა და მათ ხელფასებს გავუორმაგებთ.

— **ვის ხარჯზე?**

— ჩვენივე ბიუჯეტის ხარჯზე.

— **მერედა, საბიუჯეტო დაფინანსება რომ არ გაუზრდიათ?**

— წლეულს ის სახეობები, რომელთაც შედეგები არ გააჩნიათ, არ დაგვიფინანსებია და ეს თანხა წარმატებულ ფედერაციებზე გადავანაწილეთ.

— **რომელი სახეობები აღმოჩნდა თამაშგარეთ?**

— ვთქვათ, ცურვის სახეობები. რამდენი ხანია, რაც მათ წარმატებებზე არ გსმენიათ? ასეთთა ხარჯზე დახმარება გაეზარდათ ვეტერანებს და სპორტსმენებს. ფაქტობრივად, მსოფლიო ჩემპიონები თვეში 600-700 ლარს იღებენ, დიდი ტურნირების შემდეგ სპორტსმენებს ხელფასები შედეგების მიხედვით ხელახლა დაუდგინდებათ. სანამდეც მწვდება, საბანს იქამდე ვიხურავ და ეს არავისთვის არ უნდა იყოს საწყენი. ოლიმპიადამდე ორი წელი გავძლოთ და მერე იქნებ საშველიც გამოჩნდეს. ყველა ფედერაციას მცირე, არაფრის მომცემი თანხა რომ გავუნაწილო, ამით დიდ წარმატებას ვერავინ მიაღწევს, ჯამში კი დაზოგილი თანხა სოლიდურია და მირჩევნია პრიორიტეტული მიმართულებების კარგად დასაფინანსებლად გამოვიყენოთ. თუნდაც, ჩავატარებ თბილისში საერთაშორისო ტურნირს ჭიდაობაში. რაც უნდა არაპოპულარული გავხდე, ამ ნაბიჯს მაინც გადავდგამ.

— **საეჭვოა, წინააღმდეგობების გარეშე გაიტანოთ თქვენი პოზიცია.**

— საწყალოსნო ფედერაცია ახლაც მეწინააღმდეგება, როგორ, ერთი თეთრის ღირსი არ ვართო? ღირსნი როგორ არ არიან, მაგრამ ერთი თეთრი რაში ეყოფათ, ვერ გავიგე. საერთოდ, ფედერაციის პრეზიდენტმა სახსრებიც უნდა მოიზიდოს. თუ ამის უნარი არ შესწევთ, ფულის გასანაწილებლად ბუღალტერია მაქვს. რატომ არ მაქვს პრეტენზია მოჭიდავეებთან, ტანმოვარჯიშეებთან, მოკრივეებთან. საქმეს აკეთებენ, ფულს იზიდავენ და რატომ არ დავეხმარები.

— **დანიშვნისთანავე წყალბურთის ნაკრები ყველაზე პერსპექტიულად და პრიორიტეტული დახმარების ობიექტად დაასახელეთ. ახლა რატომ შეცვალეთ პოზიცია?**

— ერთ ტურნირზეც ვერ მოახერხეს საკუთარი ხარჯით გამგზავრება. ესაა საქმე? გიორგი კანდელაკმა მოკრივეები თავის ხარჯზე შეკრიბა და შედეგებსაც მიაღწია. მიბაძონ მას და მეც დავეხმარები. ფედერაციების დიდი ნაწილი უმოქმედოდაა. მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე უნდათ ჯიბის შევსება. ყველაფერს ვერ ვიტყვი... ჯერ თავის თავს მიხედონ და მერე წამოაყენონ პრეტენზიები.

## საჯაიას „დანდი“ იწვევს



საქართველოს ნაკრების წევრი ედიკ საჯაია ჯერ კიდევ 2000 წელს მოექცა შოტლანდიური პრემიერ-ლიგის გუნდის „დანდის“ მხედველობის არეში. მაშინ ტრანსფერი ბრიტანეთში არსებულმა სატრანსფერო წესმა დააბრკოლა — გუნდს მხოლოდ იმ მოთამაშის აყვანის უფლება გააჩნია, რომელსაც ნაკრებში მატჩების 75% აქვს ჩატარებული. 2000 წელს კი საჯაიას ეროვნული გუნდის მაისური მორგებული არ ჰქონდა.

ახლა ეს პრობლემა მოხსნილია, ჩივაძე მოსკოვის „ტორპედოს“ მცველს სისტემატურად იწვევს და შოტლანდიელები იმედოვნებენ, რომ ქართველი მცველი იანვრიდან „დანდიში“ ჩაირიცხება.

# ნაკრებში ამბოხებაა

საქართველოს ნაკრები რადიკალური ცვლილებების წინაშე დადგა. შვეიცარიის ნაკრებთან ნაწვნევი მარცხი იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, ნაკრებისა და ფედერაციის თავკაცებს სხვა გზა აღარც დარჩათ.

უკვე მერამდენედ, მარცხის შემდეგ გუნდში ბუნტიც დაიწყო. ნაკრებში გამოუძახებლობით აღშფოთებულმა **გოგა გახოკიძემ** საჯაროდ განაცხადა, რომ ჩივაძის ხელმძღვანელობით „შინდისფერ“ მაისურს აღარ მოირგებს:

*— ვფიქრობ ყოველდღე, ყოველ წამს, რატომ ვერ მოვიგე მწვრთნელების გული და ახსნას ვერ ვპოულობ. შეუძლებელიც არის ჩივაძის საქციელის გაგება. შარშან, დანიშვნის შემდეგ ლუქსემბურგის ნაკრებთან მათამაშა, შემაქო და ვიფიქრე, ახლა მაინც მეღირსა ნაკრებში თამაშიმეთქი. არადა, შემდეგ შეხვედრაში აღარ გამომიძახა. თურქეთის შემდეგაც იგივე განმეორდა. ვერ ვხვდები, რას მერჩის ეს კაცი. ვერავინ იტყვის, გახოკიძე ნაკრებში უგულოდ, მონდომების გარეშე თამაშობსო. ჩივაძე კი იქადნებოდა, არ მოვიწვევ მათ, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება ნაკრებსო. ბევრმა არ თქვას, რომ ჩემნაირი მონდომებით თამაშობს. ყველას ჩემნაირად რომ უყვარდეს საქართველო, ნაკრები ასეთ დღეში არც ჩავარდებოდა.*

*იცით რა მიკვირს? ტრაპზონის მატჩის შემდეგ მითხრა, კარგად თამაშობ და ასე გააგრძელეო. ყველამ ნახეთ, სიტყვა როგორც შეასრულა. შვეიცარიასთან მატჩამდე ცვლილებები ალბათ ჩემს ხარჯზე განახორციელა. ეტყობა თვლის, რომ თურქებთან წაგება ჩემი ბრალი იყო. ღმერთი სამართლიანია და უსამართლობისთვის დასასჯელი დაისაჯა.*

*ჩვენ მართლაც ძალიან კარგი მოთამაშეები გვყავს და ვერავინ იტყვის, რომ მეტის უნარი არ შეგვწევს, მაგრამ გუნდად ვერ ჩამოვყალიბდით. ეს არ არის მწვრთნელის ბრალი? ყველამ მშვენივრად იცის, რაც ხდება ნაკრებში. სანამ ვითარება არ მოწესრიგდება, მანამ არაფერი გვეშველება, ახალი თაობა იზრდება და არ მინდა, მათ ყველაფერი გაიგონ, ფეხბურთზე გულს აიყრიან. ამიტომაც გადავწყვიტე, ნაკრებში ჩივაძის ხელმძღვანელობით აღარ ვითამაშო.*



გოგა გახოკიძე

სავსებით გასაგებია გახოკიძის გულისტკივილი. 26 წლის ნახევარმცველი ბოლო დროს მშვენივრად გამოიყურება, კორეის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტის გუს ჰიდინკის ნდობა დაიმსახურა და „ეინდჰოვენის“ შემადგენლობაშიც სტაბილურად თამაშობს. ამასთანავე, იგი ლეგიონერებში ის იშვიათი გამონაკლისია, რომელსაც ვერ დასწამებ ნაკრებში უგულოდ თამაშს.

ფეხბურთელთა და მწვრთნელთა დაპირისპირება ნაკრებში აქამდეც ყოფილა. ქეცბაია გუცაევს განუდგა, ჯამარაული, იაშვილი და დემეტრაძე — ყიფიან-ძოძუაშვილის დუეტს, მაგრამ ამის ფონზეც კი, უცნაური იყო „ეინდჰოვენის“ ნახევარმცველის სკანდალური განცხადება. აქამდე ხომ ჩივაძე ფეხბურთელთა სამიზნე არასდოს ყოფილა.

ახლაც ვერავინ იტყვის, რომ ჩივაძე სატრანსფერო ციებ-ცხელებაში ჩაება და ამიტომაც შეუტიეს. როგორც ჩანს, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ყოყმანობს ცნობილი ფეხბურთელების (რომლებიც ან ფორმაში არ არიან, ან უგულოდ თამაშობენ) ნაკრებიდან მოკვეთას. ამ ყოყმანში კი გახოკიძე თამაშგარეთ დარჩა.



ალექსანდრე ჩივაძე

ნაკლებად სავარაუდოა, სფფ-ის თავკაცმა ჟორდანიამ მოხსნას ჩივაძე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოწოდებები უკვე გაისმის. ჩივაძის მოხსნა ფაქტობრივად მის უსაქმოდ დარჩენას ნიშნავს. ბატონი საშა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც აღარ არის, თბილისის „დინამოს“ კონსულტანტობაზე თავად თქვა უარი და გამოდის, რომ ნაკრებიდან წასვლის შემთხვევაში, სერიოზული სამსახურის გარეშე დარჩება. ჟორდანია კი თანამებრძოლს ასე არ გაწირავს.

გამოდის, რომ ჩივაძეს მოუწევს შეელიოს რამდენიმე მოთამაშეს. თუმცა, არსებობს მოსაზრებაც, თითქოს ფეხბურთელთა ნაწილი თავად იტყვის თამაშზე უარს და საამისოდ მიზეზსაც მოიგონებენო. არც ეს იქნება ურიგო. ყველა უნდა დაფიქრდეს, შეუძლიათ თუ არა ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა.

ასეა თუ ისე, ჩივაძე მაინც დგება მძიმე არჩევანის წინაშე — ვინ მოიწვიოს რუსეთის ნაკრებთან სათამაშოდ? გამოსავალი ქართველებს რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა, გაზაევმა აჩვენა. მან გუნდის შემადგენლობა რადიკალურად განაახლა და არაფერი წაუგია. სხვათა შორის, ანალოგიური ვითარება იყო მათთანაც, ვეტერანები (ჩვენი არ იყოს) უგულოდ ეკიდებოდნენ ნაკრებს. გაზაევმა ახალგაზრდა, სახელსა და აღიარებას მონატრებულ მოთამაშეთა მიწვევით ნაკრებს სული შთაბერა.

ასეთები საქართველოშიც მოიძებნებიან და ვინ იცის, იქნებ მათმა შემხედვარე ლეგიონერებმაც იგრძნონ, რა დააკლეს ნაკრებს და საქმეს გულით მოეკიდონ?

ყოველ შემთხვევაში, 12 ოქტომბერს გულშემატკივარი ნაკრებისგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვს. ასეთ რადიკალურ განწყობას რუსეთის აგრესიული პოლიტიკაც განაპირობებს. საკითხავი ისღაა, გაიმართება კი 12 ოქტომბერს მატჩი საქართველოში? არაა გამორიცხული ჟირინოვსკის მიერ როყიოდ ნასროლი ფრაზა რუსებმა სერიოზულად მიიღონ და ფეხბურთელთა უსაფრთხოების მომიზეზებით მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა ან სულაც გადატანა მოითხოვონ.

***გვერდი მოამზადა ლაშა დუმბაძემ***


**ბატონებო და ქალბატონებო**

**მულტინაციონალური ფარმაცევტული კომპანია აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე (თბილისი).**

**ვაკანსიაზე წარდგენილი კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:**

*** უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლება**

*** პიროვნული მახასიათებლები: გამოცდილი, მონდომებული, კომუნიკაბელური**

*** უპირატესობა ენიჭება სამედიცინო წარმომადგენლად მუშაობის გამოცდილებას**

*** ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა.**

გთხოვთ თქვენი "**Curiculum Vite**" - განაცხადები გამოაგზავნოთ

ტელ/ფაქსი: 94 13 39 **E-MAIL: jancil@caucasus.net**

**განაცხადები მიიღება 1 ოქტომბრამდე 2002წ.**

**გთხოვთ მიუთითოთ საკონტაქტო ტელეფონი**

# თბილისში დაწყებული დიდი სიყვარული

ეს ცოლ-ქმარი ოჯახური ბედნიერებისა და კეთილდღეობის სიმბოლოა. ხანდახან გგონია, რომ დევიდ და ვიქტორია ბექჰემები გამოგონილი გმირები არიან, მათი რომანიც ზღაპარს ჰგავს, ოღონდ ძალიან თანამედროვე ზღაპარს.

ყველაფერი კი თბილისში დაწყებულა. 1996 წელს დევიდ ბექჰემი იქ ინგლისის ნაკრებთან ერთად ჩავიდა საქართველოს ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ. თამაშის წინა დღეს დევიდი სასტუმროში ტელევიზიით მუსიკალურ კლიპებს უყურებდა. უცებ „სპაის გელზი" გამოჩნდა. დევიდი ტელევიზორს თვალს არ აშორებდა. მერე მეგობარს ვიქტორია ადამ-



სზე მიუთითა — მგონი, ვნახე ის, ვისზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი. ყველაფერს გავაკეთებ მის მოსახიბლავადო. თქმა ადვილი იყო, გაკეთება კი ძნელი — დევიდი ბუნებით მორცხვია და ვერ ბედავდა მომღერლის გაცნობას, ვაითუ, უარი მითხრას, ის ხომ ნამდვილი ლედია, მე კი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, რომელსაც მხოლოდ ბურთის დევნა შეუძლიაო. აბა რა იცოდა, რომ ადამსი თავად ეძებდა მისი გაცნობის საბაბს. საოცარი დამთხვევაა, მაგრამ მანაც ტელევიზორში ნახა დევიდი („მანჩესტერ იუნაიტედის" და ლონდონის „ჩელსის" თამაშის დროს). ადამსი ბექჰემზე გამბედავი აღმოჩნდა. ერთ მშვენიერ დღეს მანჩესტერში ჩავიდა, თამაშის შემდეგ დევიდს მიუახლოვდა და უთხრა: „დევიდ, შენ მშვენიერი იყავი", — ბექჰემმა მეტყველების უნარი დაკარგა, გაწითლდა, თავი ჩაღუნა და ძლივს მოისაზრა, რომ ქალიშვილი რესტორანში დაეპატიჟებინა.

იმ საღამოს მათზე ბედნიერი არავინ იყო. რესტორნიდან დევიდმა ვიქტორია თავისი ვერცხლისფერი „იაგუარით" შინ მიაცილა და ტელეფონის ნომერი სთხოვა...

## შვიდი წითელი ვარდი

დევიდის გაცნობის შემდეგ ვიქტორია ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი გახდა. არც ერთ მატჩს არ აცდენდა. ამის გამო ერთხელ „სპაის გელზის" კონცერტზეც დააგვიანა, მაგრამ მსმენელმა შოუს დაგვიანების მიზეზი რომ შეიტყო, აღფრთოვანდა და დიდი ოვაცია გაუმართა ვიქტორიას.

გაცნობის პირველი დღიდანვე დევიდი შეყვარებულს შვიდ მშვენიერ წითელ ვარდს უგზავნიდა („შვიდი" ბექჰემის საყვარელი ციფრია, თავის მაისურზეც აწერია) და დედოფალივით ექცეოდა. ხანდახან არც სჯეროდა ბედნიერებისა. ვიქტორიაც არ მალავდა, რომ თავდავიწყებით უყვარდა ჭაბუკი.

## გზა დიდებისკენ

დიდ ბრიტანეთში ბექჰემები პოპულარობით მეფის ოჯახსაც არ ჩამორჩებიან. არადა ცისფერსისხლიანობით ვერ დაიკვეხნიან.

ბექჰემი მუშისა და პარიკმახერის ოჯახში დაიბადა. ადრევე მიხვდა, კარგი ცხოვრების მისაღწევად მისთვის ერთადერთი საშუალება პროფესიული ფეხბურთელობა იყო. მალე იგი „მანჩესტერ იუნაიტედის" სპეციალისტებმა შენიშნეს და 16 წლის ბიჭი კლუბში მიიწვიეს.

ვიქტორია სულ სხვა წრეში იზრდებოდა, მამა ბიზნესმენი ჰყავდა და ყოველთვის მდიდრულად ცხოვრობდა. განათლებაც ჩინებული ჰქონდა მიღებული. კერძო სკოლის შემდეგ „სპაის გელზს" მიაშურა.

„ეს ახალგაზრდები ჰაერიდანაც ფულს ადნობენო," — ამბობენ მათზე. როცა დაქორწინება გადაწყვიტეს, ერთ-ერთ პოპულარულ ბრიტანულ ჟურნალს დაუდეს ხელშეკრულება, მათი ქორწილის ფოტომასალის ექსკლუზიურ პუბლიკაციაზე. ქორწილი ერთი მილიონი დოლარი დაუჯდათ, ჟურნალთან ხელშეკრულებამ კი ორი მილიონი დოლარი მოგება მოუტანათ. დევიდი რეკლამირებას უკეთებს ყველაფერს: თმის გელს, მზის სათვალეს, კომპიუტერს, არაფერზე ამბობს უარს. დიდი მოთხოვნაა სარეკლამო სააგენტოებში მის მეუღლეზეც, მაგრამ მის პროფესიულ მომღერლობასაც დიდძალი შემოსავალი მოაქვს. ჯგუფის დაშლის შემდეგ ვიქტორიამ მშვენიერი სოლო კარიერაც დაიწყო, ახლა კი ტელევიზიაში მისი ტოკ-შოუ გაჩნდა — „ვიქტორიას საიდუმლოებები". მოკლედ, ახალგაზრდების კაპიტალი 150 მლნ დოლარია.

## დაუოკებელი შოპინგი

ბექჰემებმა არა მარტო ფულის შოვნა იციან, ხარჯვაც ბარაქიანად უყვართ. სასახლე, სადაც ისინი ცხოვრობენ, 5 მლნ დოლარი დაუჯდათ. კიდევ აქვთ 1,5 მლნ დოლარიანი ბინა და 4,5 მლნ-ად შეფასებული სახლი. გარაჟში 9 მანქანა უდგათ — ორი „ფერარი", „ბმვ", „ასტონ მარტინი", „ლინკოლნ-ნავიგატორი", „ბენტლი" და სამი „მერსედესი". მათი გარდერობი ველარ იტევს ტანსაცმელს, რომელიც თითქმის ყოველკვირეულად ახლდება. „ჩვენ მოგვწონს საუკეთესო ნივთების ყიდვა და არც ვმალავთ ამას", — გულახდილად ამბობს ორივე.

## ბრუქლინი

მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნიათ, 4 წლის ვაჟიშვილი ბრუქლინია. მემკვიდრის დაბადებამ კიდევ უფრო განამტკიცა მათი სიყვარული. პირველ დღეებში დევიდი ბავშვს ხელიდან არ უშვებდა, ბედნიერებისგან მეშვიდე ცაზე იყო და მისი სახელი სხეულზეც ამოისვირინგა. მშობლები საჩუქრებით ავსებენ შვილს, მაგრამ ყველაზე „მაგარი" საჩუქარი მაინც დევიდის იყო — 75 ათას დოლარიანი „ფერარის" საბავშვო მოდელი... ბიჭი ხან დედას დაჰყავს ჩამწერ სტუდიაში და აღფრთოვანებულია მისი მუსიკალური მონაცემებით, ხან მამას — ფეხბურთზე და ამტკიცებს, ნამდვილად ფეხბურთელი გამოვაო. „რატომაც არა?" — კვერს უკრავს ვიქტორია.




## დიდი ოჯახი

ბექჰემები დიდ ოჯახზე ოცნებობენ, სულ ცოტა, ექვსი შვილი უნდათ. ახლახან მათ მეორე შვილის დაბადება იზეიმეს.

მიუხედავად უდიდესი პოპულარობისა, ცოლ-ქმარს შინ ყოფნას არაფერი ურჩევნია. მათი სახლის კარი მუდამ ღიაა ნათესავებისა და მეგობრებისთვის, ჟურნალისტებს კი სათოფეზეც არ იკარებენ.

მალე დიდ ბრიტანეთში გამოვა ვიქტორიასა და დევიდის გამოსახულებიანი საფოსტო მარკა.

*7 დღე №29*

# „გამოუსწორებელი" იმედი



გიიომ დეპარდიე ახალგაზრდა მსახიობების „ახალი ტალღის" ყველაზე პოპულარული წარმომადგენელია.

ცნობილი მსახიობის ჟერარ დეპარდიეს ვაჟს დიდი ხანია თვალს აღარ აშორებს სკანდალური პრესა. გიიომს „გამოუსწორებლის" რეპუტაცია აქვს — იყო დრო, როცა პოლიციასთანაც ჰქონდა უთანხმოებები და წლინახევრით ციხეში იჯდა.

მიუხედავად ყველაფრისა, გიიომი ნიჭიერი მსახიობია, უამრავ ფილმში ითამაშა და ამასთან, მეტად უყურადღებოდ ეკიდება თავის მომავალ კარიერას. 1996 წელს დეპარდიე-უმცროსს ნომინაციაში „მსახიობი-იმედი", „სეზარი" არგუნეს როლისათვის ფილმში „მოსწავლეები". გარდა ამისა, სახელოვან მამასთან ერთად, სერიალში „გრაფი მონტე-კრისტო" ახალგაზრდა ედმონ დანტესი განასახიერა.

მალე ეკრანებზე გამოვა კინოფილმი „პატივი ეც მამასა შენსა...", სადაც გიიომის პარტნიორი კვლავ მამამისი ჟერარ დეპარდიე იქნება. თავად გიიომი თავის საეტაპო ფილმად ლეოს კარაქსის „პოლა X"-ს მიიჩნევს. დეპარდიე-უმცროსი აღიარებს: „კარაქსის ფილმები თავისუფლებაზე კი არა, იმაზეა, თუ რამდენად მეფობს გრძნობა ჩვენზე. საკუთარ თავთან ბრძოლა ჩვენ არ ძალგვიძს, თუნდაც ამას მთელი სიცოცხლე მოანდომო".

# ჰოლივუდში სიყვარული დუღს და...



ჰოლივუდის ბოსები საგონებელში ჩააგდო ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი მსახიობის — **მეგ რაიანის** ფსიქიკურმა მდგომარეობამ, რომელსაც არანაირად არ აეწყო პირადი ცხოვრება. ქალი ფსიქიკური მოშლილობის ზღვარზეა მას შემდეგ, რაც მისი სიყვარული უარყო **რასელ ქროუმ**. 40 წლის მეგ რაიანი ქროუს ასობით ელექტრონულ ფოსტას უგზავნის და განუწყვეტლივ ურეკავს, რომ ნებისმიერი გზით დაიბრუნოს. რაიანი ვერ იტანს ქროუს ამჟამინდელ საყვარელს დანიელ სპენსერს. „დაე, შეიგნოს, რომ მისი რომანი ქროუსთან დასრულებულია. სჯობს საკუთარ ცხოვრებას მიხედოს და თავი დაგვანებოს", — კატეგორიულად მოითხოვს სპენსერი.

**ჯორჯ კლუნი** ცეცხლს პირიდან აფრქვევს იმის გამო, რომ მას მოქიშპე გაუჩნდა მსახიობ კრისტა ალენის გულის მონადირებაში. წარმოიქმნა ტიპური ჰოლივუდური სამკუთხედი. ჯორჯი ვერაფრით შეჰგუებია იმ აზრს, რომ თავქარიანი ლამაზმანი ალენი მის გარდა ხვდება კიდევ ერთ პოპულარულ მსახიობს (ტელესერიალების ვარსკვლავს) მეტ პერის. კლუნიმ შეყვარებულს უძვირფასესი ბრილიანტის ყელსაბამი და საყურე აჩუქა, მაგრამ არც ამან უშველა მოწინააღმდეგის ჩამოცილებაში. პრობლემის გადასაჭრელად მეტმა დაურეკა ჯორჯის მეგობარს და განუცხადა, რომ მასა და ალენს შორის არაფერი სერიოზული არ არის, თუმცა ხანდახან სექსი აქვთ. კლუნიმ მაშინვე დაურეკა კრისტას:



— როგორ შეგეძლო ასე მოქცეოდი? რატომ მატყუებ?

— შენ რა, არ ხვდები სხვა ქალებს? — შეიცხადა კრისტამ.

— მაგრამ, შენ ჩემ გარდა ხვდები კიდევ ერთ ცნობილ მსახიობს და ხალხი ყველაფერს ხედავს. ხან იმასთან ხარ, ხან ჩემთან. მე კი, თუ ვხვდები ქალებს, მათ არავინ იცნობს.

ამბობენ, ალენი გააცოფა ჯორჯის ასეთმა ლოგიკამო.

კიდევ ერთი სამკუთხედის გმირი გახდა **ჯენიფერ ლოპესი**. მისი გულის მოსაგებად ერთმანეთს შეერკინნენ ბენ აფლეკი და ზანგური რეპის ვარსკვლავი, მულტიმილიონერი შონ კომბსი. ბენ აფლეკმა აჯობა შონს და... ქორწილის დღეც დაინიშნა.



ჯენიფერი, სხვა ვარსკვლავებისგან განსხვავებით, არ მალავს, სად აპირებს ჯვრისწერას და ძალიან ბევრ ხალხსაც ეპატიჟება. ცერემონია კურორტ რიტცში გაიმართება. მომღერლის მეგობრები ამბობენ, — ეს იქნება ჰოლივუდის ყველაზე გრანდიოზული ქორწილი, ჯენიფერი ფულს არ დაიშურებსო.



უკვე ცნობილია, რომ პუერტო-რიკოში ლოპესი ნიუ-იორკიდან გაფრინდება, **ბენ აფლეკი** — საკუთარი თვითმფრინავით ბოსტონიდან ჩავა. ლოს-ანჯელესიდან სტუმრებს სპეციალური თვითმფრინავით ჩაიყვანენ, სხვადასხვა ქალაქში გაბნეულ ახლობლებს კი პირველი კლასის ბილეთებს აუღებენ. მარტო სტუმრების ჩასვლა ნეფე-პატარძალს 50 ათასამდე დოლარი დაუჯდება. ათი დიზაინერი მორთავს თეთრი აბრეშუმით საქორწინო დარბაზს, დაცვას 100 ათას დოლარს გადაუხდიან. ცერემონიაზე ბენი და ჯენიფერი ეტლით გამოცხადდებიან.

თაფლობის თვის გატარებას ვარაუდობენ კარიბის ზღვაზე.

# «ობობა» კიკი მსოფლიოს იპყრობს

ჰოლივუდის ახალი ფილმი „ადამიანი-ობობა" მსოფლიოს ეკრანებს იპყრობს. მაყურებელი ინტერესით ელის შეხვედრას არა მარტო მთავარი როლის შემსრულებელ ტობი მაგუაიერთან, არამედ მის მომხიბლავ პარტნიორთან — კირსტენ დუნსტთან, რომელიც 20 წლისაც არ არის. წარმოშობით გერმანელი მშვენიერი გოგონა 4 წლისა უკვე შოუ-ბიზნესში მონაწილეობდა. სილამაზის კონკურსში გამარჯვებამ მას „ფორდის" სუპერმოდელების ძალიან პრესტიჟული სააგენტოს კარი გაუხსნა. სწორედ მაშინ გახდა კირსტენი — კიკი. პოპულარობა ნორჩ მსახიობს 1995 წელს მოუტანა ფილმმა „ვამპირთან ინტერვიუ". მისი პარტნიორები იყვნენ ჰოლივუდის სუპერვარსკვლავები — ბრედ პიტი და ტომ კრუზი. მაშინ კიკი მხოლოდ 12 წლისა იყო. სხვათა შორის, იმავე წელს ჟურნალმა People კიკი პლანეტის ულამაზეს ადამიანთა სიაში შეიყვანა.



15 წლის კიკი უკვე ათამდე ფილმში იყო გადაღებული და რამდენიმე პრემიაც ჰქონდა მიღებული — მათ შორის პრესტიჟული „ოქროს გლობუსი". ნატიფი, დახვეწილი გარეგნობის კიკის სიმაღლე 164 სმ-ია, წონა 54 კგ. მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს, საკმაოდ საშიში ტრიუკების შესრულებაში. „ადამიანი-ობობას" გადაღებებზე ზოგჯერ მეტისმეტ გაბედულებას იჩენდა. გადაღებები საშინლად ნესტიან ადგილებში, ზამთარში მიმდინარეობდა, ზოგჯერ გამთენიისას 5 საათიდან იწყებოდა და გვიან ღამით მთავრდებოდა. ისე რომ, ეს კიკისთვის დიდი გამოცდა იყო. „ეს სურათი ჩემთვის ტრამპლინად იქცა. ვიცი, რომ ჰოლივუდში ყოველთვის მექნება სამუშაო," — ამბობს კირსტენი.

იგი დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობს ლოს-ანჯელესის მახლობლად. მისი ცხოვრების წესი დიდად განსხვავდება პოპულარულ ვარსკვლავთა სკანდალური ცხოვრებისგან. სპარტანულ წესს გადაღების მჭიდრო გრაფიკით ხსნის, მარტო შარშან 5 მხატვრულ სრულმეტრაჟიან ფილმში გადაიღეს, ამასთან კიკი (დაუსწრებლად) ლიტერატურულ კოლეჯშიც სწავლობს.

შარშან მისმა ბოიფრენდმა — მსახიობმა ბრიტანი მერფიმ, რომელთანაც ერთად ორ ფილმში გადაიღეს, ცოლობა სთხოვა, მაგრამ კიკიმ უარი უთხრა. ბულვარული პრესა იმასაც წერდა, კიკიმ 27 წლის ტობი მაგუაიერი ნიკოლ ქიდმანს წაართვაო...

***პარი მატჩი***

CMYK

## მალე მაღაზიებში „მოლაპარაკე“ ტანსაცმელი და პროდუქტი გამოჩნდება



ადამიანის ფანტაზიას საზღვარი რომ არ აქვს, ამის დასტურად ერთ-ერთი ბრიტანული კომპანიის მიერ გამოშვებული ტანსაცმელი და პროდუქტი გამოდგება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 80-ზე მეტი გამომგონებელი მუშაობს ახალ ტექნოლოგიაზე, რათა მომხმარებელს ყოველდღიური შრომა შეუმსუბუქოს. ფირმა NZS-ს განზრახული აქვს მასშტაბური ინვესტიციების ჩადება, რათა შეიქმნას მიკროჩიპი, რომელიც შეინახავს ინფორმაციას ტანსაცმლისა და პროდუქტების შესახებ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მიკროჩიპი დამონტაჟდება ტანსაცმელზე და მაღაზიაში მისულ მყიდველს თავად მიაწვდის ინფორმაციას სამოსის ავკარგიანობის შესახებ.

მიკროჩიპი დროულად „აფრთხილებს“ გამყიდველს, რომ ამა თუ იმ პროდუქტის მოხმარების ვადა ამოწურულია.

ვაჭრობის საკითხების ანალიტიკოსი რობერტ კლარკი აღფრთოვანებულია ახალი გამოგონებით და აღნიშნავს, რომ ამ ტექნოლოგიის დანერგვა ახალი თაობის მომხმარებლებს ძალიან დააინტერესებს, რადგან ისინი იმ თაობას წარმოადგენენ, რომელთაც მაღალი ტექნოლოგიის სამყაროში მოუწევთ ცხოვრება.

ტანსაცმელში ჩამონტაჟებული მიკროჩიპი ახლო მომავლის საქმეა, მაგრამ დღეს ამ კომპანიის მაღაზიებში უკვე გამოჩნდა ქურთუკები, რომელთაც გაუთოება არ სჭირდება, ასევე წინდები და ფეხსაცმელი, უსიამოვნო სუნს რომ არ იკარებს. მათში უკვე ჩამონტაჟებულია მიკროჩიპები.

ფირმის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათი მაღაზიები პირველობენ აღმოჩენების თვალსაზრისით, სწორედ მათ სავაჭრო ქსელში გამოჩნდა 1952 წელს ნეილონი, მოგვიანებით კი ლიკრის ქსოვილი.

***ინტერნეტ-რუ***

## რაზე ჭორაობენ?



რაზე ჭორაობენ ფინჯან ჩაისთან გერმანელი ქალები? რა პრობლემები აწუხებთ ამ ქვეყანაში ადამის შთამომავლებს? — გერმანელმა სოციოლოგებმა არ დაიზარეს და გამოკითხვა ჩაატარეს.

როგორც გაირკვა, გერმანელთა უმეტესობის საყვარელი თემაა — ქალები. ქალები კი ერთმანეთს უმეტესად თავიანთ წუხილს და დარდს ანდობენ. მიზეზი ისევ და ისევ მამაკაცები ბრძანდებიან.

გერმანელი ქალების 83% თავიანთ პრობლემებს მეგობარ ქალებს უზიარებს და სიტუაციის გაანალიზებას ცდილობს. 81%-ისთვის პირველ ადგილზე საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობა დგას, მესამე ადგილი (75%) ეროტიკას უჭირავს.

მამაკაცების 79% საუბარს ქალებით იწყებს და აუცილებლად სექსით ასრულებს. რესპონდენტთა 69%-ს კათხა ლუდის თანხლებით ამურული თავგადასავლების მოყოლა და ტრაბახი უყვარს. ყოფით პრობლემებზე მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როცა პირველი ორი თემა ბეზრდებათ.

საინტერესოა, რომ ქალბატონები, როცა სიყვარულსა და საყვარელ ადამიანებზე ლაპარაკობენ, ხელმძღვანელობენ ერთადერთი ფორმულით — „ყველა მამაკაცი იდიოტია“, მერე კი ყოველდღიურ წვრილმან საკითხებზე ჭორაობენ. მამაკაცების საყვარელი, რიგით მეოთხე სტაბილური თემა, საავტომობილო თემატიკა გახლავთ.

***ეხო პლანეტი №35***

## [illegible]



ბრაზილიელმა მსახიობებმა ანა პაულა აროსიომ და რეინალდ ჯანეჩინიმ (მათ მაყურებელი იცნობს ტელესერიალებით: „სიყვარულის მიწა“ და „ოჯახური ურთიერთობები“) კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჭეშმარიტი მსახიობები არიან. სცენარის მიხედვით, მთავარი გმირი ქალი სატრფოს მეტოქესთან ხვევნა-კოცნით გართულს მიუსწრებს და განრისხებული ამსხვრევს მოღალატის ნახელავ ქანდაკებას.

გადამღები ჯგუფი თურმე დღესაც გაოგნებულია — საიდან აქვს კაფანდარა ანა პაულას ამხელა ძალა? თაბაშირის სკულპტურა პირველსავე დუბლში ერთი დარტყმით ნამსხვრევებად აქცია. მოზრდილი ნატეხი რეინალდს სახეში მოხვდა, ტუჩი გაუჭრა და ნაკერის დადება და სტომატოლოგის დახმარებაც დასჭირდა, „გოლიათ“ ანა პაულას კი კოჭი ამოუვარდა, საბედნიეროდ, სტომატოლოგები სწრაფად დაუბრუნებენ მომხიბლავ ღიმილს რეინალდს, ანა პაულა კი უკვე შეუდგა მუშაობას, თუმცა ოდნავ მაინც კოჭლობს.

***ვოკრუგ სვეტა №34***

## არაბი ჟანა დ'არკები

არაბთა გაერთიანებული საამიროს ქვეშევრდომმა ჰაფსა ალ-ულიამამ არაბი ქალისთვის მეტად უჩვეულო განცხადება გააკეთა: პირობა დადო — პირველი არაბი ქალი ვიქნები, ვინც აფრიკის უმაღლეს წერტილს — კილიმანჯაროს დაიპყრობსო.

კონსერვატიული არაბეთის ნახევარკუნძულის მკვიდრთათვის ეს განცხადება სენსაციის ტოლფასია. სხვა შემთხვევაში, ჰაფსას მაშინვე არაბ ჟანა დ` არკად აღიარებდნენ, რომ არა ერთი „მაგრამ“...

როგორც გაირკვა, კილიმანჯარო უხმაუროდ და „მალულად“ უკვე დაუპყრია ორ არაბ ქალს ა.წ. ივნისში. საუდის გაზეთ „ალ-ჰაიათს“ ეს ცნობა ორთაგან ერთ-ერთმა ალპინისტმა ქალმა, სანავთობე კომპანიის თანამშრომელმა ლაიმა ჰასანმა მიაწოდა. მისი თქმით, მწვერვალზე თავის მეგობარ, პალესტინელ ჰალია ათაიასთან ერთად ავიდა. მათ ჯგუფში ამერიკელები, ევროპელები და ლიბანელებიც შედიოდნენ.

ასეა თუ ისე, არც ისე მნიშვნელოვანია, ვინ ავიდა პირველი კილიმანჯაროზე. მთავარია, რომ არაბულ სამყაროში არიან ისეთი ქალები, რომლებიც მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებიან.

***პარი მატჩი***

## ქვიშის ქალაქი



დიდხანს ფიქრობდა ჰოლანდიელი ანჟელიკა ვერნერი, რითი გაეკვირვებინა დღევანდელი ადამიანი და მოიფიქრა — ქვიშის ქალაქით.

ქვიშის ქანდაკებებს ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები აგებდნენ. ეს იდეა ანჟელიკა ვერნერმა 1991 წელს განახორციელა: მოუხმო ამსტერდამის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებს და ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე ააგეს ქალაქ ძველი ლიებელის პანორამა სიგრძით — 120 მ და სიგანით — 70 მ. ახალგაზრდა არქიტექტორებმა 7000 ტ ქვიშისგან სანაპიროზე აღმართეს სავაჭროები, ეკლესიები, სასახლეები. ამის გაკეთება ტალღებით გადარეცხილ სანაპიროზე ძალიან ძნელი იყო, იქ არაფერი ჩერდებოდა. ამიტომ მშენებლებმა ხის ყუთებში ჩაყრილ ქვიშაში წყალი გაურიეს, კარგად დატკეპნეს და საძირკველი ასე გაამაგრეს. შემდეგ ყველა ფიგურა თანდათანობით, მიკროსკოპული სიზუსტით ააგეს. ქვიშის ქალაქმა 7-ბალიან ქარსაც კი გაუძლო.

გაისად ზღვისპირა ქალაქის მშენებლები ჩინეთს გაემგზავრებიან და იქ ქვიშისგან მსოფლიოს შვიდი საოცრების ასლებს შექმნიან. განზრახული აქვთ აგრეთვე ქვიშაში ედემის გაცოცხლება. ასე რომ, კაცობრიობის ოცნების საგანი — იმქვეყნიური სამოთხე — შეიძლება დედამიწაზე ვიხილოთ.

***შტერნი №30***

## შარიათი ეჭვიანებს მკაცრად სჯის

ნიგერიის ქალაქ შინკაფის მკვიდრს შარიათის სასამართლომ ხელის მოჭრა მიუსაჯა გადამეტებული ეჭვიანობისათვის.

მოჰამად ჰასანს ერთ მშვენიერ დღეს აღმოუჩენია, რომ მის ახალგაზრდა მეუღლესთან საეჭვო სუბიექტები დაბრძანდებიან და ვინმე ჰახუნ ჰასანის ბარათებს გადასცემენ. ერთი წერილი ხელშიც კი ჩაუვარდა და შინაარსსაც გაეცნო — მის ცოლს პაემანზე იბარებდა ვიღაც არშიყი. ქმარმა მაჩეტეს (შაქრის ლერწმის დანა) დაავლო ხელი და პაემანზე თვითონ გამოცხადდა. გაცოფებული ქმარი რომ დაინახა, ჰასანს მაშინვე დაავიწყდა სიყვარული და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, მაგრამ შორს ვერ წავიდა — მაჩეტეთი ხელი წაასხიპა მოჰამადმა. სასამართლოზე მოჰამად ჰასანმა განაცხადა, გაქცეული რომ დავინახე, მაშინვე დავრწმუნდი, რქები რომ მქონდა დადგმული... რაკი გაიქცა — ე.ი. დამნაშავე იყოო.

მოსამართლემ განაცხადა, ამგვარი აჩქარებული ქმედება შარიათის კანონებს ეწინააღმდეგებაო და ეჭვიანს ხელის მოჭრა მიუსაჯა.

***ეხო პლანეტი №35***

## ვენტილატორიანი უთო



ბრიტანელმა ბიზნესმენმა ჯონათან ნვაბუეზემ გამოიგონა უთო, რომელსაც საალერსო სახელი „ჯენ ტურბო“ უწოდა. იგი თითქოს ჩვეულებრივი უთოა, მაგრამ ერთი უპირატესობა აქვს: შეუძლია გააუთოოს სამოსი საუთოო მაგიდის გარეშე.

ნვაბუეზემ უთოში ჩაამონტაჟა პატარა ვენტილატორი, რომელსაც შეუძლია გააგრილოს სამოსი.

უთოში ისხმება წყალი, შემდეგ ცხელდება და ძლიერი ჰაერის ტალღით საკიდარზე ჩამოკიდებული დაჭმუჭნილი ტანისამოსი ახალივით ტკიცინდება.

***მირ ნოვოსტეი №35***

## რა უნდოდა ხეზე იგუანას?



პოლონეთის ქალაქ გლივიცაში მეხანძრეებმა ხვლიკებზე ნადირობა გააჩაღეს. სიგნალი ერთ-ერთი მოქალაქისგან გაისმა — იტყობინებოდა, შუა ქალაქში ხეზე... ნიანგი ზისო.

ცეცხლთან მებრძოლები მითითებულ ადგილას ოპერატიულად მივიდნენ, მაგრამ „დამნაშავე“ ვერ იპოვეს. ნიანგი არა, მაგრამ ხიდან ხეზე უზარმაზარი იგუანა დასეირნობდა. იმისათვის, რომ ბადეში მოეგდოთ და დაბლა ჩამოებრძანებინათ, რამდენიმე საათის მანძილზე დარბოდნენ წინ და უკან მეხანძრეები.

ქალაქის ხელისუფლებამ რადიოთი მიმართა მოქალაქეებს — იგუანას პატრონს შეეძლო მეხანძრეთა დეპოში მისულიყო და თავისი საყვარელი რეპტილია შინ წაეყვანა.

თუმცა არავინ გამოჩენილა. გულკეთილი მეხანძრეები თავიანთი ფულით კვებავდნენ უზარმაზარ ხვლიკს ხილით, რომლის დიდი მოყვარული აღმოჩნდა მათი ტყვე. იგუანა მეხანძრეებთან „სტუმრად“ ალბათ დიდხანს არ დარჩება — მას ზოოპარკში გადაიყვანენ.

***ექსპრეს გაზეტა***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ბერძენი ტრაგიკოსის, ბომარშეს სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ი | ს | ფ | ე | რ | ე | ბ | შ | ი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნ | ა | ს | ძ | ნ | ე | თ | ო | ა | ს | ა | ნ | ი | ი | | ო | ა | | | ლ | ა | ვ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ**. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის წოდება და თანამდებობა; **ა**. ფეთქებადი ნივთიერება; **ი**. სისხლის აღრევა; **ს**. ქართველი მომღერალი ქალი; **ვ**. რა ჰქვია ბადმინტონის ბურთს; **ე**. ძველი ბერძენი მეიგავე; **ნ**. ძღვენი, საჩუქარი; **ე**. მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **პ**. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; **ა**. იანვრის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ლ**. მხატვრულ ფილმ „კაბარეში“ მთავარი როლის შემსრულებლის სახელი; **ი**. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე; **ტ**. „ტრანსპორტი“, რომლითაც რუსები საზღვარგარეთ დადიან; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ი**. კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ს**. ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი; **ფ**. ქსოვილის დამამზადებელი ოსტატი; **ე**. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონ ბონაპარტი; **რ**. ანსამბლი, რომელშიც მღეროდა ბუბა კიკაბიძე; **ე**. გაზაფხულის ყვავილი; **ბ**. ქალაქის, სიმაგრის ან არმიის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; **შ**. სანიმუშო ნაწარმოები, ოსტატობის უდიდესი მიღწევა; **ი**. იაპონური დეკორატიული ხელოვნება. ყვავილებით, ფოთლებით და ტოტებით რაიმე გამოსახულების შექმნა.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ**. დიმიტრი; **ა**. აპენინი; **ი**. იშხანი; **ს**. სტალონე; **ვ**. ვენეცია; **ე**. ეკლერი; **ნ**. ნიორი; **ე**. ერმაკი; **თ**. თრითინა; **ჩ**. ჩივაძე; **ვ**. ვუალი; **ე**. ებრაელი; **ნ**. ნახირი; **თ**. თიანეთი; **ა**. აპნისი; **ნ**. ნიაგარა; **ე**. ელცინი; **რ**. რემარკი; **თ**. თხევადი; **ა**. აკლდამა; **დ**. დრაკონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მე ხან ლომი ვარ, ხანაც მელა.**

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №36 (310) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 568 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 200-მა ქალმა და 361-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელ პოლიტიკოსს ჰყავს ყველაზე მეტი მტერი?“**

რესპონდენტთა 86-ის აზრით, მტერთა სიუხვით ყველაზე მეტად ედუარდ შევარდნაძე გამოირჩევა. მხოლოდ ათმა მკითხველმა (1,8) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **8,54** საშუალო ქულით პრეზიდენტი პირველ ადგილზეა.

ჩვენი მკითხველები მიიჩნევენ რომ, ასევე, ბევრი მტერი ჰყავს ასლან აბაშიძესაც, საშუალო ქულაა 7,12. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ მას ხვდა წილად — მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,5) შეაფასა იგი 1 ქულით. მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით კი აბაშიძეს (3,2) სააკაშვილი (5,5) უსწრებს. მიხეილ სააკაშვილი 6,48 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

ასეთია ყველაზე მტრიანი პოლიტიკოსების პირველი სამეული.

როგორც ვხედავთ, რეიტინგში არცთუ დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ჟვანია და ნათელაშვილი.

რესპონდენტთა აზრით, აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსთა შორის შედარებით ნაკლები მტერი „ედპ“-ის, „სოციალისტთა“ და „ახალ მემარჯვენეთა“ ლიდერებს ჰყავთ, ყველაზე ნაკლები კი ლევან გაჩეჩილაძეს — მკითხველთა 43-მა დაუწერა 1 ქულა და რეიტინგშიც ბოლო ადგილზეა.

საინტერესოა, ამ შემთხვევაში სახელოვანი წინაპრის სიბრძნე უნდა გავითვალისწინოთ („ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“), თუ უმტერო პოლიტიკოსები მივიჩნიოთ კარგ ადამიანებად?




საპრიზოს ზუსტად ხუთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 56 წლის **ნელი ჩიკვილაძე,** 21 წლის **ანა მაისურაძე,** 42 წლის **თენგიზ ქორჩიაშვილი,** 53 წლის **ნუგზარ ბარათაშვილი** და 62 წლის კასპელი **ნოდარ რაზმაძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით ოთხშაბათს, 18 სექტემბერს, 17 საათზე.

## №37 (311) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ფლიცინგში*

**№37 (311) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 18 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 19 სექტემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №37 (311) — მინისტრები**

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე პატიოსანი მინისტრი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№37(311) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | მინისტრები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კობა ნარჩემაშვილი | |
| 2 | მირიან გოგიაშვილი | |
| 3 | ვალერი ხაბურძანია | |
| 4 | დავით თევზაძე | |
| 5 | ალეკო კარტოზია | |
| 6 | ავთანდილ ჯორბენაძე | |
| 7 | დავით მირცხულავა | |
| 8 | ირაკლი მენაღარიშვილი | |
| 9 | როლანდ გილიგაშვილი | |

*მკითხველის ფლიცინგი*

**რა მოგწონთ „კვირის პალიტრაში“?**

✓ ____________________

**რა არ მოგწონთ „კვირის პალიტრაში“?**

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

## დამატებითი კითხვის შედეგები

*მატერიალური შესაძლებლობების მიხედვით რომელ ფენას მიაკუთვნებდით თავს?*




| | | |
|---|---|---|
| 1. | შეძლებული | 1 % |
| 2. | საშუალო შეძლების | 25 % |
| 3. | ღარიბი | 57 % |
| 4. | მიჭირს პასუხის გაცემა | 17 % |

თუ ანალოგიურ თემაზე შარშანდელი გამოკითხვის შედეგებს გადავხედავთ, ვნახავთ რომ სურათი თითქმის უცვლელია — შარშანაც მკითხველთა უმრავლესობამ (53-მა) მიაკუთვნა თავი ღარიბთა ფენას.

***დამატებით კითხვას 527-მა რესპონდენტმა უპასუხა.***

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

**1. ვაჟა გავაშელი — „აფხაზი მატეო ფალკონე ანუ რისთვის მოკლა მამამ შვილი“ — 119 ხმა**

**2. ნოდარ შოშიტაშვილი — „ფარნავაზი — ქართველთა პირველი გამაერთიანებელი“ — 54**

**3. ზურაბ მჭედლიშვილი — „ჩვენ იმავე გზაგასაყარზე დავდექით, რა გზაგასაყარზეც ერეკლე მეორე იდგა“ — 49**

**4. ლელა ჯიყაშვილი — „დავქეძებ თბილისს“ — 41**

**5. ომარ ჩიტაია — „ერთი დღე ზვიადისტების ტყვეობაში“ — 26**



**თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა რუბრიკა „ვერსიის“ ავტორს ვაჟა გავაშელს.**

მკითხველის პრემიის მფლობელი 422-მა რესპონდენტმა გამოავლინა.

# ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი ©

**პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?“ თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები“, გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.**

**„ფოტოანტიკვარის“ მონაწილეთა 46%-მა სწორად ამოიცნო ფოტოზე გამოსახული პატარის ვინაობა. დიახ, ეს მეოცნებე ბიჭუნა ახლა მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძეა.**

**რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს პაატა შევარდნაძე, იგორ გიორგაძე, რეზო ჩხიკვიშვილი, ლექსო თორაძე, სოსო პავლიაშვილი, ვალერი მელაძე, ლევან უჩანეიშვილი... თქვენ წარმოიდგინეთ, სამმა მკითხველმა მასში თამრიკო გვერდწითელიც კი „შეიცნო“. ეს, ალბათ, იმ წარწერის ბრალია „ფოტოანტიკვარის“ ქვემოთ რომ იყო მოთავსებული — „საქართველოში ხშირად ვერ მხედავთ, მაგრამ ვიცი, რომ გიყვარვართ“.**

**მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა კი ამ პატარა ბიჭუნაში გიგი წერეთელი, კოკა ყანდიაშვილი და უცნობი „ამოიცნეს“.**



**პაატა ბურჭულაძე, 5 წლის**





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



— აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

**გიკარნახებთ — ბუნებით ჰუმანისტი ვარ...**

## ფოტო განწყობისთვის



— ნავალ. მუტრუკაანთ თეთრ ვირს მივეშველეთ!.. (იხ. გვ.13)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**



21/IX — სავსე მთვარე

მაგნიტური დღეებია:

16/IX — 17-დან 19 სთ-მდე

22/IX — 5-დან 8 სთ-მდე




## მიკ ჯაგერი — მაგნიტი

თურმე, მიკ ჯაგერი მაგნიტის როლში ყოფილა უცხო პლანეტელთათვის. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლის ნლო-ს სპეციალისტი მაიკლ ლაკმენი. მისი მტკიცებით, სადაც არ უნდა გამოჩნდეს მუსიკოსი, მას კვალდაკვალ მიჰყვება მფრინავი თეფშები. 1968 წელს მეგობარ ქალთან ერთად ინგლისში ყოფნისას, მიკ ჯაგერმა პირველად დაინახა ცაზე მოციმციმე ობიექტი. იმავე პერიოდში ბევრმა თვითმხილველმა განაცხადა, რომ ნახა ნლო იქ, სადაც იმყოფებოდა ჯგუფი Rolling Stones-ი და მისი ლიდერი. ერთხელ მფრინავი თეფში ფირზეც კი დააფიქსირეს. ეს მოხდა, Rolling Stones-ის ერთ-ერთი კონცერტის დროს კალიფორნიაში. ეკრანზე ნათლად ჩანან ჯგუფის თაყვანისმცემლები, რომლებიც სცენის ნაცვლად, ცაში იყურებიან, ლაპარაკია რამდენიმე ათას ადამიანზე. საინტერესოა, რა უფრო იზიდავთ უცხოპლანეტელებს — თავად ჯაგერი, თუ მისი მუსიკა?!



„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიღუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; ვაჟა-ფშაველას გამზ. - ვ-ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე — არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

## (37) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№37 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 19 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

**ფირმა „ზერმუხა“**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

* * *

სვანი პოლიციელის ოჯახში ტყუპი დაიბადა. კოლეგები ეკითხებიან:

— როგორ უნდა განასხვაო?

— ძალიანაც უბრალოდ — თითების ანაბეჭდებით...



გაზეთი დარეგისტრირებულია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, რეკლამების სიზუსტეზე და განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი მუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.